1926

ფანფულა

ალეფბერი

4-5

ჟურნალი „ქართული მწერლობა“ № 6 გამოვა დეკემბრის პირველს.

—:—

ჟურნალი ბაზარზე გასაყიდად გამოვა ხელის მომწერლებზე დარიგების შემდეგ.

—:—

ჟურნალი იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში, მწერალთა კავშირის მთავარ მაღაზიაში (რუსთველის პროსპ. № 8) ხელოვნების სასახლეში. ხელის მოწერა მიიღება იქვე.

—:—

ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქცია და მთავარი კანტორა — ტფილისი, ივ. მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. 24-51.

—:—

რედაქციის საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 11 — 2 საათამდე რედაქციაში, რედაქციის გამგესთან ალ. შანშიაშვილთან.

—:—

ჟურნალის ფასი — ერთი წლით — 8 მანეთი 6 თვით — 4 მანეთი სამი თვით — 3 მანეთი.

ფანფარა

მწერლებს

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
ყოველთვიური ჟურნალი.

F 668

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

სექტემბერი — ოქტომბერი

საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ფანფარა
ფანფარა

ტფილისი — 1926

ЦЗСЗА

შალვა დადიანი

ვასო აბაშიძე

გარდაიცვალა დიდი კაცი მეცხრამეტე საუკუნიდან.

ეს უბრალო ქებისათვის არ არის ნათქვამი.

მეცხრამეტე საუკუნის გარეგანი სახე საქართველოში მე ესეთ სამკუთხედათ მაქვს წარმოდგენილი:

„დედა ენა", „დროება" და თეატრი.

ამ შემეცნებათ აღარ უნდა განმარტება.

თეატრის სათავეში კი მოექცა ვასო აბაშიძე.

და მას აქეთია ვასოს სახელი და ქართული თეატრის ისტორია განუყრელნი არიან.

მას აქეთია — 70-იან წლებიდან — ვასო ზედ დაჰკანკალებს ამ საქმეს და თუ ერთი მხრივ, როგორც ხელოვანი ჯადოსნობს თავის შემოქმედებით სასცენო ასპარაზზე, მეორე მხრივ „ეძიებს და პოულობს" თავისებურ მაღალი ნიჭით მადლ-მოსილ პიროვნებათ მომავალ ბურჯებს ქართული თეატრისა.

საკმარისია დასახელებულ იქნენ მათ შორის ქალებში:

მაკო საფაროვი და ნატო გაბუნია.

ვაჟებში:

ლადო მესხიშვილი და ვალ. გუნია.

მთელი ეპოქა წარმომდინარეს ამ ოთხეულისაგან, რომელსაც ჯალასავით თავს ადგია

ამიერით უთუოდ უკვდავი ხალხის ხსოვნაში

ვასო აბაშიძე.

და რამდენი კიდევ სხვა ვასოს მიერ მოძებნილი და შემდეგში სცენაზე მიმაგრებული.

იგივე ჯილა „ეძიებს და პოულობს" რეპერტუარს. არჩევს, სთარგმნის, სწერს, გადმოაკეთებს.

უძღვება სეზონებს ხან მარტო, ხან სხვებთან ერთად. ერთის სიტყვით მის მიერ არის ცხოვრებაში პირველად გატარებული თეატრის საორგანიზაციო მუშაობა და ქართულ თეატრში მსახიობთა შორის კვლავ ვასო უნდა ჩაითვალოს ორგანიზატორების მამამთავრადაც.

ორგანიზატორობა კი ძალიან დიდი საქმე გახლავთ თეატრის საქმეში.

ცნობილია, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრს ისეთი დიდი ორგანიზატორი არა ჰყოლოდა როგორც ნემიროვიჩ-დანჩენკოა, მას მარტო სტანისლავსკის განსაკუთრებული ნიჭი ვერ უშველიდა.

მხოლოდ ვასო, რაღა თქმა უნდა, შთამომავლობისათვის დარჩება, როგორც ერთი უდიდესი სახე ხალასი ხელოვანისა.

ვასოს ფართო ეზოდგან გამოდის სათავეები თეატრის სფეროში სხვადასხვა გვარი მუშაობისა, მაგრამ ვასო უწინარეს ყოვლისა უკვდავი იქნება, როგორც პირველი მსახიობი 19 საუკუნისა.

ვასო ეკუთვნის იმ მსახიობთა რიცხვს, რომლებიც საერთოდ, საკაცობრიო მასშტაბით, თითებზეა ჩამოსათვლელი.

ვასო რომ ევროპას ცნობოდა, კოვლენებს, შჩეპკინებს და მისთანათა, გვერდში ამოუყენებდა.

რადგანაც ვასოში, როგორც ხელოვანში, ცხოვრობდა მართალი აქტიორი, უშუალო, ბუნებრივი, დიდის ინტუიციისა. მას ჰქონდა დიდი მხატვრული საზომი თავის ბუნებაშივე, რაიც ყოველთვის გადაჭარბების და თეატრალობის საზღვარზე ოსტატურად შეაჩერებდა.

მას არ რჩებოდა ამოუწურავი ყველა ის ღონე და ხერხი, რომელიც მის მძლავრ ნიჭს შესდგამდა, მაგრამ ამ ღონეს და ხერხს იგი ბოროტათ არ ხმაროობდა და მუდამ სათანადო არტისტულ სიმაღლეზე იდგა.

ეს არის საერთო წესი დიდი არტისტისა.

როგორც გნებავთ ისე შეასრულეთ როლი, მხოლოდ შიგ სიმართლე უნდა იყოს ფუძეთ. გამართლებული უნდა იყოს შინაგანათ და მაშასადამე გარეგნულათაც მსახიობის განსახიერება.

დაახლოვებით ესეთი აზრის არის უდიდესი თეორეთიკოსი თეატრისა სტანისლავსკი.

მერმე საიდან ჩამოყალიბდა ამ თეორეთიკოსის სისტემა:

ვასოსთანა დიდ მსახიობების დაკვირვებათაგან.

მაშასადამე ვასო, ჩვენი ვასო, ერთ-ერთი კანონმდებელთაგანია თეატრში.

და ესეთი დარჩება იგი მუდამ.

კანონები იმ მხატვრული სიმართლისა, რომელიც იყო ვასოს ზიერ გამობრძმედილი, მუდამ დარჩება თაობათა სახელმძღვანელოთ.

მიდგომა სხვადასხვა გვარი შეიძლება, მაგრამ ჭეშმარიტება ერთი. ჩვენში — ჭეშმარიტება ვასოსი. ამიტომ უფრო უნდა მოგვქონდეს თავი, რომ ვასო ჩვენ შორის ცხოვრობდა, ის არ იყო გადამთიელი

და მისი მხატვრული მიღწევანი უფრო მოხვდება ჩვენ გულს.

გვაქვს საამაყო.

გვაქვს ამის უფლებაც და მოვალეობაც.

სხეული დაიშალა ამ დიდი კაცის, მაგრამ სახელი მისი კიდევ უფრო გასხივოსნებული

და უნარი მისი სამხატვრო

დარჩება უკვდავებათ.

ზედ ეწერება ორი კოხტა სიტყვა:

ვასო აბაშიძე.

ნიკოლოზ მიწიშვილი

ფიქრები საქართველოზე

—:—

ეს წერილი გამოგზავნა „ცისფერ ყანწებს“ ნ. მიწიშვილის მიერ სტამბოლიდან 1922 წ. 30 აგვისტოს. ვინაიდან მასში აღძრულია ბევრი საინტერესო საკითხი — რედაქცია აქვეყნებს მას ავტორის თანხმობით. „ქართული მწერლობის“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება **გ. რობაქიძის** პასუხი ამ წერილზე.

„ქართული მწერლობის“ რედაქცია

—:—

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს წერილია თქვენზე და პოეზიაზე.—შეიძლება ხვალ ამის გამოგზავნა მოვახერხო და ამალამ მინდა გესაუბროთ თქვენ, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია სტამბოლში და შემდეგ არ ვიცი, როდის შევძლებ რამეს მოწერას. ეს სამი თვე, რომელიც დავყავი ამ გარყვნილ ქალაქში — გავატარე მარტო კითხვასა და ჩვენზე ფიქრში. და ამ წერილში მინდა ამაზე გელაპარაკოთ. ხომ გახსოვს ტიუტჩევი:

„Но вам, друзья, знакомо вдохновенье
На краткий миг в сердечном умиленьи
Я жребий свой невольно забывал
И радость пел когда о вас мечтал“.

სიხარული, როგორც ამას დაინახავთ — აქ აღარაა, მაგრამ ფიქრები თქვენზე და საქართველოზე — არის. და ეს მინდა თქვენ დაგიბაროთ.

თქვენ დაინახავთ, რომ ჩემი შთაბეჭდილება არაა სრული, ყოველმხრივი და დეტალური. მაგრამ ესაა პირველი შთაბეჭდილება და ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

გარდა ამისა მე ჩემს დაფასებაში მივუვები იმ თვისებას, რომელიც წამომყვა საქართველოდან და შეიძლება ეს ვიხმარო უმთავრეს საბუთად და ჩემს გასამართლებლად.

საქმე იმაშია, რომ პოეტმა უნდა გაიგოს თუ „რაშია საქმე".

პოეტისათვის მე მგონია, ესაა უმთავრესი და სავალდებულო. მან ერთი შეხედვით უნდა გასინჯოს პულსი, ჩააფრინდეს „ძირს" და არ „დაადოს ხელი იქ, სადაც არ უნდა".

ამას იქით იწყება უკვე „დოხტურობა", დიაგნოსტიკა, ქირურგია და ლეჭვა. ესე იგი ყველაფერი ის, რაც სწოვს პოეზიას, რაც საზრდოობს მითი, ხოლო რასაც პოეზია არასოდეს არ დაერქმევა.

ამ გრძნობას ვივუვები მეც და ყველაფერი, რაც აქ ითქმება — ამის ნეგატივია.

ეს არის თქვენი გრძნობაც პოეზიის, მე მგონია.

ყოველ შემთხვევაში ეხლა, როცა მე ასე თუ ისე უკვე შევადგინე ერთგვარი წარმოდგენა უცხოეთის ლიტერატურის შესახებ და ვეკითხები ჩემს თავს: ჩამოვრჩით, თუ არა ჩვენ პოეზიას — მე უსათუოდ ერთი პასუხი მაქვს: არა, ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი ხუთი წელი დახურულ ყუთში ვზივართ.

შეიძლება ჩვენ ვერ გავთელეთ ბერგსონი, უცნობია ჩვენთვის ეინშტაინის თეორია, ბუნდოვანი იყოს შპენგლერი (და ის მართლაც ბუნდოვანია ისე, როგორც მისი გვარი) უფრო აშკარად ამბობდა გერცენი თავის დროზე: „Прощай буржуазная Европа"-ო; მეტად სუსტნი ვიყოთ კანტებსა და სხვა ამისთანებში. ეს მართალია. მართალია, რომ ყოველივე ეს, როგორც აზროვნება, როგორც ცეხვა და ცოხნა — მიდის ჩვენს გარეშე და ჩვენში შეიძლება ვერ სტოვებს კვალს. ამ მხრივ, შეიძლება. მართლა ჩამოვრჩით და. — ეს ჩვენი ნაკლია. მაგრამ ის, რაც ამ ცოხნიდან გამომდინარეობს, რისთვისაც ყველაფერი ეს გაჩენილია და რასაც ყველა ეძებს — ამას ჩვენ ვგრძნობთ. და თუ, მაგ. შპენგლერი მექანიკური სეისმი-

გრაფია, მაჩვენებელი დღევანდელი კულტურის შექანების და შენგრევის — ჩვენ ვართ ის ხარი, რომელიც სეისმოგრაფზე ადრე გრძნობს მიწისძვრას. ეს არის კოსმიური გრძნობა ყოველი პოეტის; მიკრობი, რომელიც შედის მის სისხლში და უცვლის მას ფერს.

ევროპის ხელოვნება და პოეზია, როგორც ხედვითი სანახაობა, როგორც წაუკითხავი წიგნი, უნახავი გამოფენა, ან მოუსმენელი მუსიკა, მიდიოდა შორს ჩვენგან. მაგრამ ის მარადიული სინათლე, რომლითაც ანათებს ხელოვნება ყოველ დროს, და ის შეუსხლეტელი სისხლი, რომელიც საუკუნეებით სჩქეფს ყველა პოეტის ძარღვებში — ვგრძნობ, გადმოსხმულია ჩვენშიაც.

ეს გრძნობა და თვისება გვაერთიანებს ჩვენ უცხოეთთან და, ალბად, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე აქ არ ვიგრძნე თავი ჩამორჩენილად.

მივყვები შემდეგ.

ამ რიგად — ჩვენ ვიცით ის „ლჯილო", სადაც შეხულია პოეზია.

ჩვენ მხარდამხარ მივყვებით იმ შეგნებას, რომელიც დღეს არსებობს სხვაგან და შეიძლება ჩვენ'ში ზოგიერთი უპირატესობანიც კი ვიპოვოთ.

მაგრამ, როცა ვფიქრობთ ჩვენზე, ჩვენს გზებზე და ჩვენს მიღწევებზე — მე ვხედავ, რომ ჩვენ ეს შეგნება, ეს ძალა, ვერ ავიყვანეთ იმ სიმაღლემდე, რამდენზედაც ეს შეგვეძლო. ვერ გავზარდეთ, ვერ გამოვიყენეთ. და რომ ჩვენი შემოქმედება არ არის გამართლებული.

მე მჯერა ჩვენი პოეტური ინტუიცია და პოტენცია. მაგრამ მე ვხედავ იმასაც, რომ ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთა შეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია.

ეს ჩემთვის უდავოა და აქ წერტილს დავსვამ.

და აქ იწყება ჩემთვის საშინელი ფიქრები. თუ ერთია — რატომ მეორე არაა?

მე მინდა ვნახო ამის მიზეზი. და ჩემი ეჭვები გადადის თვით ჩვენს ყოფნაზედ, იმ წვენის სიმშრალეზე, რომლი-

თაც უნდა ვსაზრდოებდეთ ჩვენ, როგორც ქართველი პოეტები.

აქ არის, ჩემის ფიქრით, ჩვენი კრიზისი, რომლიდანაც მე გამოსავალს ვეძებ.

მე არ ვიცი — ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად. დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსათვის. ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულიაციას—სპეკლიანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით.

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერა შერყეულ ქართველის ჯაგლაგათ, რომელსაც მიაჩანჩალებს დონკიხოტივით.

მე არ ვიტყვი აქაურებზე, რადგანაც, გერცენის არ იყოს, ემიგრანტობა თავის თავად მეტად ცუდი ავადმყოფობაა, და ქართველ ემიგრაციას, რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს — ცხადია.

მაგრამ მე ვიცი ხალხი, რომელიც აქაურებში მიწასთან ასწორებს ქართველ ბოლშევიკებს და საქართველოში კი იმავე ბოლშევიკურ ხელისუფლების ქვეშ მილიარდებს აკეთებენ. საქართველოში ბოლშევიკებს უძვრებიან უკანა კარებიდან და ყოველშემთხვევისათვის, რომელიმე რესტორანში მენშევიკებსა და ნაც. დემ.-თან მაინც მოიწმენდენ ხოლმე კეთილშობილ ცრემლს.

და ყველა ასეთებს, ალბად ჩვენზედ მეტად „უყვართ" საქართველო.

თქვენ იცით ბევრი ქართველი, რომელიც ტკბილად ეწესახლება საბჭოთა ხელისუფლებას, შერიგებით და მოერიგებით, „არ იკლებს არაფერს". მაგრამ „დღიური წესრიგის" ამოსაწურავად ყოველ შემთხვევისათვის მაინც გააჩერებს მოსახვევში თავისიანს, კითხავს „თუ რა ისმის", და დამშვიდებული სინდისით წავა შინისაკენ.

თქვენ იცით ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტს გვიყვიროდენ ჩვენ და წრიპინობდენ ჩვეს ბოლშევიკობასა და კომუნისტობაზე (რამაც სტამბოლამდე და პარიზამდეც კი ჩააწია).

ეს ქართული „თილისმობაა“, ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო. და თუ ეხლაც ჩვენში ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ ხაზით უნდა წავიდეს — დეე ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ხეირი ანახოს. მე ამ გზით ვერ ვიარ.

დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო სპეკულიანტური, გაიძვერული ფსიხოლოგია, რომელიც წალმა უკულმა „ეტორლიალება“ საქართველოს სხეულს — განსაკუთრებით ძლიერია.

ასეა აქაც.

და როცა ფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო — მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო:

— Тьфу, сволочи!

თქვენ იცით ეს თავდასხმა ჩვენზე რომელიც, ალბად გრძელდება, რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო, რომ არ ვართ პატრიოტები. ამას ყრანტალობს ხოლმე ერთიანად, როგორც ვინმე ფილისტერი, ისე „პატრიოტი“ უკმაყოფილო და გულმოსული იმით, რომ ჩვენ არ დავდივართ ქუჩა-ქუჩა და სიმონა ჯღამაძესავით არ ვყვირით „მზეო ამოდი, ამოდი“-ს...

გამიგრძელდა ამაზე წერა, მაგრამ აქეთ წამომიყვანა სიტყვებმა, საცა მე გავჩერდი ჩვენს შემოქმედებაზე. ჩემს იქვზე და საქართველოზე. და განვაგრძნობ.

დიახ, მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა, მიუხედავათ იმისა, რომ მასშია დიდი გრძნობა პოეზიის გაგებისა და ათვისების, ვერ აიმაღლა თავი შემოქმედებაში იმდენათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პოტენციის მიხედვით. ამას უწოდე მე ჩვენი კრი-

ზისი. და არა თავის გასამართლებლად ვახსენე მე საქართველო და მისი სიმშრალე.

ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ „ამოვიწურეთ“, ან რომ ჩვენ ვართ, ზარმაცები, ან და კიდევ სხვა რამეს. მაგრამ ეს არ მიმაჩნია საყურადღებოდ და ამაზე არ გავჩერდები.

ჩემი ფიქრი ებჯინება საქართველოს, და იგრიხება ასე:

ჩემს წინ სდგას კითხვა: კითხვა „დედა-შვილობის“ და ვკითხულობ: სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის.

საზრდოობა სამშობლოსაგან, თუ „რჩენა“ სამშობლოსი.

იმ სახით, როგორც მე ამას ვკითხულობ, ეხლა ევროპაში ეს საკითხი არ დაისმის. შეიძლება რუსეთში დაისვას ეს კითხვა. ეს იქ მართლაც არის, მაგრამ განსაკუთრებით კი ეს ჩვენი ქართული საკითხია.

და მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „სამშობლო — პოეტისათვის“. (ხელოვანისათვის) ე. ი. რომ სამშობლოში (არა მარტო ზოოლოგიურ ცნებებსა და ეტნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერგია, ის სხვადასხვაობა, რომელიც ბადებს დიდ შემოქმედებას. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერა, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას.

სწორედ აქ მეეჭვება მე საქართველო. აქ მეჩვენება მე ის იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში, რომ იტყვიან „უშვილობის წამალი აქვს დალეული“.

ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას, და მისი არ უნდა გვეშინოდეს, თუმცა დღეს გახურებულ ქართულ ატმოსფერაში ძნელია ამის თქმა...

აქ გვეტყვიან, შეიძლება, რომ ეს არის თვით მკვლელობა ჩვენი, და მოიყვანენ ძველი ჩექმასავით გაცვეთილ მაგალითს იმ შტოს გადაჭრის შესახებ, რომელზედაც კაცი ზის. რა გაეწყობა!

და მე ვფიქრობ, დიახ, ჩვენ და ყველასდელი საქართველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოდ) ვართ ორი ანდროგინი, და ჩვენგან არ შეიქმნის შთამომავლობა. და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ — სულიწმინდის მიერ დაორსულებულ არსებათ. რომელსაც „ბებია" სჭირდება, რათა მიიღოს ხელთ „ნაყოფი მუცლის მისისა". მაშინაც ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთ ბებიად, ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და აც იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის, ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნების და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც გვიყვარს საქართველო.

ჩვენი მოწინააღმდეგეები აქ ახსენებენ სხვა სახელებს ჩვენს გარშემო. იტყვიან, რომ ეს მარტო ჩვენა ვართ უვარგისი, რომ არიან სხვები. კი ბატონო.

.... რაა? ვინაა?

აქ იტყვიან, რომ პოეტი მაგალითად „დახეული დროშის" ლექსით სამშობლოს ემსახურება. როგორ? განა მაზე ნაკლებად ემსახურება სამშობლოს უცხო ვინმე რუსთაველის პროსპექტიდან, რომელიც „ანტანტის ფლოტის" შესახებ გავრცელებულ ჭორებით ნაკლებ კი არა, უფრო მეტად აღელვებს „პატრიოტების" გულს და „ემსახურება" ქვეყანას?! ეს მეჭორე და ეს პოეტი ერთნაირად ღელდებიან და აღელვებენ, მაგრამ რა შუაშია აქ პოეზია?

ესაა, ჩემის ფიქრით ის უკულმართი მოვლენა, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდი, როცა სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და პირიქით, პოეტი სცდილობს მისცეს მას.

პოეზიაში და. საზოგადოდ, ეს დამარცხების ამბავია და ჩვენ ვიცით რომ ეს სიყალბეა, გაუგებრობაა და მართლა სირცხვილი იმ პოეტს, რომელსაც შეეხარბება ასეთ გაუგებრობაზე აშენებული ძეგლი.

ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე „კვანძს ვერ მოკიდებ" და ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს.

ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პოეზიაც. აძიგძიგებული, როგორც ცოცხალი ქათამი სამეგრელოში.

ეროვნული ბიბ. სამ. ტ.
საჯარო
ბიბლიოთეკა

მე მეშინია ამაზე ფიქრი.

კი, ბატონო, ჩვენ ვიყვეთ დეგენერატები; დეე, საქართველო არ გვიყვარდეს; დეე ჩვენ გაგვრიყოს საქართველომ და ეთაყვანოს თუნდა რწყილს. კი, მაგრამ სხვები სადაა? სხვებს რაღა დაემართა? რომ არც სხვა სჩანს!

და შემდეგ. ჩვენთვის, ჩვენნაირად ხომ გვიყვარს საქართველო. ხომ გვინდა ის, ჩვენი საქართველო, რომელიც ჩვენს ოცნებაში ზის, მუდამ ვეალერსებით და სხვანაირია. რომ არც ამ საქართველოზე გვაქვს ჩვენ კონკრეტიული წარმოდგენა?!

ჩვენს ოცნებას საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ ჩვნი გული და სიყვარული, ჩვენი სურვილი, მაგრამ არის სურვილი, ნდომა და არ არის რეალობა...

ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანათებს:

მაგრამ, როგორც ვსთქვი, ის ვერც სხვამ ნახა. და თუ პარტო ჩოხა ახალოხია საქართველო უტიეთ მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, წყალში გადავარდეთ!!

ჩვენ ამხანაგებო, დიდი დეფექტები გვაქვს, მაგრამ ერთი ცხადია რომ პოეზია უსათოთ გვესმის, ვგრძნობთ მას სხვაზე მეტად. ამას მიმტკიცებს მე მთელი ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიაც ვბუნაგობ აქ. და სწორედ ამიტომ ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მოვსულიყავით საქართველოს მიგნებამდე.

ეს ჩვენ ვერ ვქენით. ვერ შევძელით. აქაა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურობა. ამის მეშინია მე და აი, რატომ:

როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყოს პოეზია და ხელოვნება ის, ჩემის ფიქრით, მაინც ატარებს ეროვნულ სახეს. თვით ვერლენი, რომელსაც ნაკლებად ახსენდება სამშობლო და რომელიც ამბობს — „Я равнодушен к судьбе народа“-ო (ჯერ კიდევ ვერ მომყავს ფრანგული ციტატები) ეროვნული მოველნაა. შექსპირი(ვ. დანტეც. ეროვნულია „ომი და ზავი“ „ჟან კრისტოფი“ (რომელიც მხოლოდ ეხლა გადვიკითხე) მაგრამ ამ ერის და ეროვნების სახე იმდენად ძლიერია შემოქმედში, რომ მას სრულიად არ სჭირდება ლაპარაკი: „გაუმარჯოს საფრან-

გეთსო"! და სხვა. ამას ყვირის თვითეული სტრიქონი ყოველი ავტორისა. ეს წვრილმანი არ სჭირდება ავტორს, რადგან მის ერს იმდენი ქონი აქვს, იმდენი სხვადასხვაობაა მაში, იმდენათ თვალსაჩინოა და გრანდიოზულია ის, როგორც ერი, რომ რაც უნდა არა ეროვნული ხასიათის იყოს ნაწარმოები — მისი ქვეყანა მაინც შიგაა. ის ყვირის და იძახის.

ამას წინეთ აქ იყო კლოდ ფარერი, რომელსაც სტამბოლმა დიდი ზეიმი გაუმართა. ოსმალეთს ეძახიან „პიერ ლოტის და ფარერის ქვეყანას" — სულ ამ თათრებზე სწერენ, მაგრამ ისინი მაინც საფრანგეთის ლიტერატურაში არიან, საფრანგეთის ხალხი არიან.

აიღეთ რუსეთი. რუსის ხელოვნებამ მთელი ევროპა დაიპყრო. არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსების გამოფენებზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს ტერეჟკოვსკით, ბუნინით, დოსტოევსკით და სხვა — ფრანგულ ენაზე. სუდეიკინი ვერ აუდის თეატრების შეკვეთების და მისი სურათები მიაქვთ ამერიკაში. ერენბურგი გამოდის რუსულათ, ფრანგულათ, გერმანულათ. ესენინი და კლიუევი ყვირიან ბარბიუსის „კლარტე„-ში ბევრი ჩვენი ნაცნობები რუსი მწერალი იბეჭდება თითქმის ყოველ თვიურად „მერკურ-დე-ფრანს"-ში და სხვ.

რა არის ეს?

ეს არის რუსეთი, რომელიც ნახა რუსის შემოქმედმა. ესაა რუსეთი, რომელიც მონახეს კირეევსკებმა და აქსაკოვმა; რომელიც აკურთხა „რაინდმა ბერმა" სოლოვიოვმა; რომელსაც მიახეთქა თავისი გამსქდარი თავი ჩადაევმა; რომელზედაც სტიროდა გერცენი — ეს ბაყბაყ-დევი რევოლუციის პათოსისა; რომელმაც დაარწმუნა ბელლი თავის მესსიანობაში და სხვა და სხვა. ეს რუსეთი აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს, შემოქმედებს...

აქ არის ხაზიც — ძიების და განდგომისა. ტირილისა და ძაგვის. მაგრამ ტირის პოეტი, რომელსაც აწევს რა-

ღაც გრანდიოზული, რომელსაც ახჩობს თავის ქვეყნის სიდიდე, სხვანაირობა, საკვირველობა. თავის სამშობლოს ღმერთი.

მოიგონეთ დოსტოევსკის მსჯელობა ერებზე და სახელმწიფოებზე: რომ არარაა ის ერი, რომელსაც არა ყავს და არა სწამს საკუთარი, თავისი ღმერთი.

ეს ღმერთი ყველასა ყავს, მართლა. ეს ღმერთი ყავს საფრანგეთს, რომელიც კურთხევადა სდგას მარნაზე და ელენეს კუნძულზე; ბასტილიაზე და მარსელიეზაში. ეს ღმერთი ყავს გერმანეთს (და მარტო ამ ღმერთს ეხებოდა ის შტამპი, რომელიც დაკრული ქონდა სამხედრო საგნებს ომის დროს „ღმერთო, დასაჯე ინგლისი“) ინგლისს, რომლის ღმერთი ვენერასავით ამოდის ზღვიდან, შემდეგ იქცევა ოფელიად რომ გაცოცხლდეს ინდოეთში...

ჩვენ ყველა ვხედავთ სკვითების ღმერთს...

და ასე ყველგან.

სხვებსაც ყავს და თუ არ ყავთ — შედიან სხვის საყდარში, ეს ღმერთები აკურთხებენ მათ პოეზიას, მათ ხელოვნებას, ასუქებენ და ანავარდებენ მას.

და ჩვენც, თუ გავშლით ფრთებს — გავშლით, როგორც ეროვნული მოვლენა. თუ გავალთ ევროპაში — გავალთ, როგორც და მარტო ქართველები. რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩენთ საქართველოს სახებას.

და როცა კვლავ უბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაყრილი. მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ. და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში.

იქნება საქართველო წარსულში გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველ მხრიდან.

მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს. და სადაა ეს კურთხევა? ნუ თუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა. ნუთუ, ოთხასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოიკვეთდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით. ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოთ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს", რომელიც წინ მიუძღვის ყოველს ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ.

ოთხასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანია — უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და — ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.

მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების; მაწუხებს ეს აქ, ისე როგორც არასოდეს და იოყევა ჩემი სიმტკიცე და გული.

მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში — საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია. ხოლო ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში ეს თქვენ იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს...

შეიძლება ვერც ჩვენ ავამაღლოთ ხმა, როგორც შემოქმედმა. შეიძლება ჩვენც ჩაგყვლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში.

მე მგონია, რომ ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ.

ჩვენ რომ ვეძებდეთ დაფასებას დღევანდელს, სახელს იაფს — ამას ყოველი ჩვენგანი შესძლებს. ეს ადვილია. მაგრამ ეს იქნება ღალატი სინდისისა და პოეზიისა. და ის, რაც მარადიულია ყველგან, რასაც უხვად აძლევს სხვა ხელოვნებას სხვა სამშობლოები — ჩვენ საქართველოში მას ვერ ვხედავთ და ვვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც, ალბად მიგვიყვანს ცინიზმამდე.

სადაც არ უნდა წავიდეთ, ამ მიზეზის გამო, ჩვენ თავს მაღლა ვერ ავწევთ და ვერც ერთ ჩვენგანში დღეს ვერ ალაპარაკებდა საქართველო ისე, როგორც ალაპარაკდა იტალია მარინეტის ინტერნაციონალურ მანიფესტებში.

ისეთი ინტერნაციონალური მოვლენა, როგორცა რევოლიუცია, უალრესად ეროვნულ სახეს ამოისვრის ხოლმე პოეტში. საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლიუციისა, რომელიც იშვენ რევოლიუციით და მესამე ინტერნაციონალის ვარსკვლავსაც უგალობენ, — ყველაზე მეტად ეროვნული არიან.

მაიაკოვსკი. ესენინი, კლიუევი.

ტატლინის ძეგლი, მესამე ინტერნაციონალისათვის ეროვნული პოტენციის შედეგია, რომელიც გააქანა აამოძრავა და გამოაჩინა რევოლიუციამ.

დროა გავათავო წერილი!

ჩვენი გემი, რომელზედაც მე ვცხოვრობ სდგას „ოქროს რქაზე". ღამეა და ამ სიწყნარეში უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან.

მეც დავიღალე.

სტამბოლი ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიოოდენ ქართველები. ეს წყლები „ბაბილონის მდინარეებია" და იქნება ოდესმე ქართველი პოეტიც დასტიროდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე. იქნება ისიც ეძებდა საკუთარ ვარსკვლავს ამ მინარეთების წვეტიან თავებში. და ეს მთვარიანი მინარითები მასაც უფარავდენ სამშობლოს სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი...

ვინ იცის.

ვიჩქარი დასკვნებს. მეშინია ამ „ერესი"-ს. მაგრამ ესაა და რა ვქნა.

საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან. (ენერგია ჭის, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო, საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა", თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა. ქართული ჭკუისა. განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა. რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე. დაუმთავრებელი, მიულწეველი...

ნ. საქარელი

ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივება

მაგონდება ქართული მწერლობის ისტორიიდან თითო-ოროლა მაგალითი, რომელიც მეტად დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნებისათვის.

1903 წ. „კვალში" „ყვირილელი" თავისებურ მარქსისტულ ანალიზს უკეთებდა მაშინდელ ყბადაღებულ „მამულიშვილობას", სახავდა მას გადაგვარებული კლასის, ფეოდალთა წოდების პოლიტიკურ გამოხატულებად. რომელიც „რეაქციით იყო გაჟღენთილი და რეაქციას ასულდგმულებდა". ხოლო თავადაზნაურული რეაქცია,— ყვირილელის შორს მჭვრეტელი აზრით, — განსაკუთრებული და გაწმენდილი პოეზიით აკაკის საუკეთესო ლექსებში არის გამოსახული. ოროიდე ლექსი თურმე აკაკისაც დაუწერია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს კი-ლო **სრულებით არ არის დამახასიათებელი** მისი პოეზიისათვის, რომლის ძირითადი ძაღლვი რეაქციონური და თავადაზნაურულია.

ამ ნაირათ აკაკი გამოდის ფეოდალთა წოდების სულისკვეთების პოეტურ გამომხატველად, რეაქციის უმშვენიერეს მომღეროლად. მისი პოეზია აწყობილი ყოფილა წოდებრივ-კლასიურ ჰანგზე. აშკარაა, აკაკის დაფასებაში მოტყუებულა მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა. მომხიბლავი საგნებითდატკბეებულ ეროს საუკუნოთ შეუყვარებია ფეოდალიზმის მალმერთებელი, უკანასკნელი მოციქული!

ასეთი შეუსაბამობა, რომელიც მაშინ ბევრი იწერებოდა, საყოველთაოთ იყო გავრცელებული იმ დროინდელი მოძრაობის ხელმძღვანელ წრეებში. სამწუხაროთ,

მაშინ ასეთი შეხედულება ნიშანი იყო სოციალისტურ-დემოკრატიული და რევოლიუციონური სიმწიფის და უალრესობის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ყოვლად შეუსაბამო შეხედულებას დღესაც იცავენ ზოგიერთები, — და იცავენ სწორეთ კლასთა ბრძოლის პრინციპით და სოციალიზმის თვალსაზრისით: აკაკის პოეზია დამარხულია, ის წარსულის ექსპლოტატორულ კლასებს ემსახურებოდა და მუშა ხალხს არ გამოადგებოდაო. ამ შემთხვევაში ისინი ყვირილელზე შორს ვერ წასულან. მათ შორის არსებითი განსხვავება არაა. ორივენი უკიდურესათ, ცალმხრივათ უდგებიან აკაკის პოეზიას, თანმიმდევნურათ და ლოგიკურათ ანვითარებენ თავის ვიწროთ გაგებულ კლასიურ შეხედულებას და ამ თვალითვე შინჯავენ დიდი ხელოვანის ღვაწლსა და შემოქმედებას.

ახლა ნახეთ, რას სწერს ნ. ჟორდანია აკაკის შესახებ 1915 წ. „ახალ აზრში“ [1]).

აკაკი იყო ბუნებრივი დემოკრატი და ოპოზიციონერი. ეს მას წიგნიდან არ უსწავლია, შკოლიდან არ მიუღია. არა, ეს თვით მის ბუნებაში იყო ბავშობიდან სტიქიურად ჩანერგილი, ძუძუსთან ერთად მიღებული. მის სიარსა და პირადობაში ჩაქსოვილი. მისი კერძო ცხოვრება, მისი საზოგადოებასთან დამოკიდებულება. ისე როგორც მისი პოეზია, გაჟღენთილი იყო დემოკრატიული და ოპოზიციონური სულითო და სხ. ნ. ჟორდანია აკაკის რუსთაველს ადარებს: ორივემ ერთნაირად მიაგნო ერის სულიერ სალაროს. მის წმინდათა წმინდას და ეს მუსიკალურ წყობილსიტყვაობით ააჟღერაო. აკაკი „ჩვენია“. დემოკრატიის არისო. — აი ავტორის დასკვნა.

როგორც ხედავთ, ეს სულ სხვანაირი განხილვაა აკაკის პოეზიის და სრულიათ არა ჰგავს ყვირილელის მიერ შეთხზულ ამბავს — აკაკის პოეზია ფეოდალური რეაქციის სულიერი განწყობილების გამოშსახველიაო.

აქვე არ შეგვიძლია გაკვრით არ მოვიხსენიოთ რ. კალაძის შეხედულება აკაკისა და მისი პოეზიის შესახებ.

---

1) № 138. წერილი „ჩვენი აკაკი“.

არსებითად რ. კალაძის შეხედულება სრული და რადიკალური უარყოფაა ყვირილელის და სხვების პოზიციის აკაკის პოეზიის დაფასების საკითხში. ის ნ. ყორდანიაზედაც შორს მიდის და აკაკის აწერს პირდაპირ ჰენიოსურ შორსმოუკიდებლობაო".

მან „საღი ოცნების თვალით ნათლად დაინახა დღევანდელი საქართველოს ნამდვილი პროლეტარული დამოუკიდებლობაო.

რ. კალაძის თქმით აკაკის ზედმიწევნით შეუთვისებია ხალხური სიტყვიერება, ხალხური პოეზია, ხალხის იდეოლოგია და სულისკვეთება და მერე ყოველივე ეს თავის პოეტურ შემოქმედების ბრძმედში გარდაქმნილ — გადამუშავებული უკანვე ხალხს დაუბრუნა. ამიტომ ხალხმა ის გაიგო და შეიგრძნო და მისი პოეზია თავის პოეზიად მიიჩნია. მან დასტოვა ძველი ზღაპარი, მითი და შეითვისა აკაკის სიმღერა ლექსი და შაირი". [2]) — ამ სიტყვების შემდეგ თავისთავად გასაგებია „მნათობის" რედაქციის შენიშვნა: ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებითო.

აი, ასეთი სხვაობა, ასეთი წინააღმდეგობა სუფევს იმათ მსჯელობაში, ვინც საზოგადოთ, ავათ თუ კარგათ. ერთნაირ მეთოდს იმარჯვებდა და ერთგვარი ზოგადი ისტორიულ — სოციოლოგიური პრინციპებიდან გამოდიოდა. მკითხველი თვითონ გაარკვევს, ვინ რამდენათ მართალია ხსენებულ ავტორთა შორის აკაკის პოეტური ღვაწლის დაფასების საქმეში. ჩვენ კი ჩვენდა თავათ ვიტყვით, რომ აკაკი მართლაც ჩასწვდა ქართველი ხალხის გულის სიღრმეს და ჯადოსნური ტკბილი სიტყვაობით გამოსახა მისი სულიერი თვისებები, მისი წმინდათა წმინდა სწორეთ ამიტომ იწამა და შარავანდედით შეძოსა იგი ძმობელმა ერმა.

აკაკის პოეზია მართლაც ხალხის პოეზიაა, მის იდუმალ ზრახვათა მაგიური ამეტყველებაა. აკაკი განწირული

---

[2]) „მნათობი" 1925 წ. № 2.

წოდების ინტერესებს კი არ დასტირის, — ამის თქმა საკვალილო დაბრმავებაა, — არამედ ცრემლში ჰბანს ხალხის დიდს ნაციონალურ სევდას, მთელი ერის მწუხარებას და საოცარი გულთამხილაობით ემსახურება მას. ამიტომ დაიდგა მან სიცოცხლეშივე ხალხის გულში სამარადისო ძეგლი.

რალა თქმა უნდა, აკაკისაც ამჩნევია წოდებრივობის და პირადი თავის წარმომშობი საზოგადოების გავლენა! — მაგრამ აკაკის პოეზიისათვის, — წინააღმდეგ ყვირილელის აზრისა, — **სწორეთ ეს არაა დამახასიათებელი**. აკაკის სიძლიერეც იმაში სჩანს, რომ მის პოეზიაში საზოგადოთ დათრგუნვილია ყოველგვარი კუთვნილება და ცალკეობა, როგორც გეოგრაფიულათ, ისე სოციალურათ, გადალახულია ყოველივე წოდებრივი და სეპარატიული ზღუდე. აკაკის პოეზიაში გარდაუვალი და უკვდავი, — შედარებით რასაკვირველია, — სწორეთ ისაა, რაც აერთიანებს და არა ის, რაც თიშავს.

აკაკი ავიღეთ, როგორც არსობრივი და მჭერმეტყველი მაგალითი საკითხის ნათლათ წარმოდგენისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ყოველ დიდ შემოქმედზე ხელოვნების რომელ დარგს და რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. გარჩევა შეიძლება მხოლოთ ნიჭის მეტნაკლებობის და შემოქმედების სისავსისა და ძლიერების მიხედვით.

ა. ლუნაჩარსკი თავის „ლიტერატურულ სილუეტებში“ „აზნაურ“ პუშკინს ახასიათებს ისეთ დიდბუნებოვან ადამიანად, რომელშიაც „ნამდვილათ იღვიძებდა არა კლასი (თუმცა კლასმა დაასვა მას ერთგვარი ბეჭედი) არამედ ხალხი, ერი, ენა, ისტორიული ბედი“. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს პუშკინის წინათ გრძნობელ, წინასწარმეტყველურ, მომავალ საუკუნეთა გამომხმაურებელ გენიოსობას. პუშკინის წარსული — ეს ჩვენი რუსული ცოცხალი ბარბაროსობაა, ეს ახლათ გამოღვიძებული ხალხის სიჭაბუკეა; მისი მომავალი — რუსი ხალხის მთელი მომავალია და სხ.

ეს საინტერესო დახასიათებაა. მაგრამ იგი ბევრ რამეში ძალიან წააგავს დოსტოევსკის მიერ იმავე პუშკინის დახასიათებას (იხ. დოსტოევსკის სიტყვა პუშკინის შესახებ). მხოლოთ ეს დახასიათება, ცხადია ხელოვნების კლასიკურობის ვიწრო კალაპოტში ვერ მოთავსდება.

აღსანიშნავია, რომ რუსული ლიტერატურის „მემარცხენე" ფრონტის მრავალი წარმომადგენელი უკან იხევს პუშკინის (და საზოგადოთ კლასიკოსების) დაფასების საკითხში. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ლოზუნგიც კი არის წამოსროლილი: პუშკინს დაუბრუნდეთო. ამ მხრით მეტათ დამახასიათებელია რუსი პროლეტარული პოეტის პანფილოვის აღსარება: Ах Александр Сергеевич Пушкин. Я думал — мы тебя взрослей, но нет — все так же лучший из всех учитилей.

ვის შეუძლია თქვას, რომ გოეტე თავის დიადობით საზოგადოების ერთ კლასს ეკუთვნის, — რომ მისი პოეტური ბრწყინვალება მხოლოთ არისტოკრატიის თუ ბურჟუაზიის მიდამოს აშუქებს, — რომ მისი უკვდავი პოეზია „კლასიური ფსიქოლოგიით" იყოს ნაკარნახევი! თითქოს პირდაპირ. აშკარათ ამის თქმას ვერავინ ბედავს, — ეს მეტის მეტი სითავხედე იქნებოდა მაგრამ ხელოვნების საკითხებში თუ **კლასიურ რეფლექსოლოგიას** მივილებთ საორიენტაციოთ, რატომღა უნდა დარჩენ გამონაკლისად გოეტე და სხვა მისდაგვარი გენიოსები.

მარქსი გოეტეს შესანიშნავი, — მკაცრი, — დახასიათების დროს (პოლემიკა ვ. გრიუნის წინააღმდეგ) კრინტსაც არა სძრავს იმის შესახებ, რომ გოეტე, როგორც პოეტი (და მეცნიერი) კლასიური ფსიხიკით იყო გამსჭვალული და თავისი შემოქმედებით რეაქციას და გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდა. მისი სიტყვებიდან მხოლოთ ის მტკიცდებოდა, რომ გენიოსებიც ვერ თავისუფლდებიან თავის კერძო, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარშემორტყმული პირობების გავლენისაგან და პირადათ გოეტეს ცხოვრებაზე ჰქონდა გავლენა მისი დროის გერმანიის ფილისტერულ სიდუხჭირეს და საზოგადოებრივ უილაჯობას. მაგრამ ყოველივე ეს, ყოველივე

წვრილმანური, ყოველივე ფილისტერული გოეტეს ცხოვრებაში გამქრალია. გოეტეს პოეზიაში, რომელიც უკვდავების წყაროსავით ეპკურება ყოველი კულტურული საზოგადოების წევრს, რა კლასის და მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, ვილას ახსოვს გოეტეს პოეტური დიდებულებასთან პატარა ვაიმარის სასახლის პატარა ისტორია!

ფ. მერინგი, — რომელიც არავის არ ჩამოუვარდებოდა მარქსისტულ ორთოდოქსიაში, — ასე მჭერმეტყველურათ სწერს გოეტეს შესახებ:

„შესაძლებელია სხვა ხალხებს ყავდათ და სხვა დროებაში ცხოვრობდენ დიდი გენიოსი ხელოვანნი. შესაძლებელია მომავალში, — რომლის განჭვრეტა არ ძალუძს არც ერთი მომაკვდავის თვალს, — დაიბადონ დიდებული ხელოვანი გენიოსები. ყველა ეს „თუ" და „მაგრამ" დავით შტრაუსმა მოსწრებულათ უკუაგდო შემდეგი სიტყვებით: შეიძლება სიროუისი მზეზე მეტია, მაგრამ ის ჩვენს ყურძენს ვერ ამწიფებსო. **გერმანული ხელოვნება** არასოდეს და არავისში არ განსახიერებულა ისე ყოველ მხრივ, ისე ნათლათ და ისე ღრმათ, როგორც გოეტეში. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი დრო, როდესაც ეს მზე დაკარგავს თავის ბრწყინვალებასა და სიმხურვალეს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ თანდათან ახლოვდება ის დღე, როცა გაქრება ღრუბლები, რომლიდანაც მხოლოდ მისი სუსტი სხივები გამოკრთიან. ის დღე, როდესაც გერმანიის ხალხი განთავისუფლდება ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, იქნება დღე გოეტეს გამარჯვებისა, — იმიტომ რომ ამ დღეს ხელოვნება გადაიქცევა მთელი ხალხის კუთვნილებად".

ხელოვნების სფერო განსაკუთრებით მორჩილობს **ისტორიული მონაცვალეობის** ანუ მემკვიდროების კანონს აქ ძველი და ახალი განუწყვეტელი ორგანიული კავშირით არის ერთმანეთზე გადამბული. ტრადიცია ამ ნიადაგზე ისეთ ძალას წარმოადგენს, რომლის უგულებელყოფა და გადალახვა ყოვლათ შეუძლებელია. ყოველი ხელოვანი, — რომელი წრიდანაც უნდა იყოს გამოსული, — ძალა-უნებურათ იკრებს, ითვისებს მთელი საზოგადოე-

ბის კულტურულ მონაგაპს, ეცნობა და ემყარება შემკვიდ-
რეობით გადმოცემულ შემოქმედების ფორმებს და ამ ნაი-
რად ქმნის რაიმე ახალსა და ლირსეულსა, რამდენათაც
ამისთვის შესწევს ინდივიდუალური ძალონე და შესაძ-
ლებლობა. ამიტომ მიუღებელია ხელოვნების თვალ-
უწვდენელი სამეფოსთვის სამოქალაქო ომის თეორია და
მეთოდები, რომელსაც ტყვილა-უბრალოდ ჩაფრენიან
რადიკალური ფრაზის მოყვარული ლიტერატორები.

ამიტომ შეუძლებელია, რომ საზოგადოებაში, — რო-
მელიც, მიუხედავათ სოციალური ანტაგონიზმისა, მაინც
ორგანიული კრებადობა და მთლიანობაა, — ამა თუ იმ
კლასმა თავის საკუთარი, სავსებით თვითმყოფი, სრუ-
ლიათ დამოუკიდებელი ხელოვნება წარმოშოს, — რომ
საკუთრივ პროლეტარიატმა თავისთავადი, დამოუკიდე-
ბელი, სრულიათ ახალი ხელოვნება შექმნას სხვადასხვა
კარდახშული საორანჟერეო სამხატვრო წრეების საშვა-
ლებით. შემოქმედების ისტორიული მონაცვალეობა ისე-
თი ურყეველი სიმტკიცეა, რომელსაც ვერც ერთი საზოგა-
დოებრივი კლასი ვერ გადაუვლის. ყოველი ახალი კლასი
განსაზღვრულ ისტორიულ და ეროვნულ საზოგადოებრივ
პირობებში მოქმედებს. ყოველი ამომავალი კლასი წინა-
მავალ კლასთა უშუალო მემკვიდრე და მათი კულტუ-
რული მემკვიდრეობის მიმრქმელია.

გრ. გიორგაძე

კვარტალინზე.

ომის სახე.

კაცობრიობას ჯერ კიდევ არ დაუვიწყია ევროპის დიდი ომის საშინელება. ომმა იმსხვერპლა უამრავი სიცოცხლე, ვაჟკაცობა და კულტურული ძალები. მან გაანადგურა ერთა მატერიალური სიმდიდრე, მოშალა მეომარ სახელმწიფოების საწარმოო აპარატი.

ანატოლ ფრანსი ჩვეული იუმორით სწერდა 1917 წელს ერთ თანამემამულე ფრანგ პატრიოტს: „რა გეჩქარებათ ზავი, — საფრანგეთს დღეში 10.000 კაცზე მეტი ხომ არ ეღუპება“-ო.

მიუხედავათ ასეთი შედეგებისა, იმპერიალისტური ქვეყნები კვლავ ომისათვის ემზადებიან. ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სწარმოებს ნერვიული მზადება ომისათვის. და თანამედროვე ტექნიკურ-მეცნიერული ძალების შემოქმედება იქითაა მიმართული, რომ შექმნან ახალ-ახალი საშუალებანი ადამიანთა გასანადგურებლად. საომრათ განწყობილნი სახელმწიფონი არ კმაყოფილდებიან ხმელეთის და საზღვაო ომით და ლამობენ მის ასპარეზათ ჰაერის სივრცე გახადონ.

ომის საკითხი თანამედროვე ხანის აქტუალური საკითხია. და ეს მიტომ, რომ, როგორც რომაელები იტყოდნენ, „ღმერთს თუ ადამიანის დასჯა უნდა, ჯერ ჭკუას წაართმევს“. იმპერიალისტები ხედავენ ამის შედეგებს, მაგრამ გამოუვალ ჩიხში მომწყვდეული კაპიტალიზმისათვის მეტი გამოსავალი არ არის გარდა იმისა, რომ თვით მოსჭრას ის ტოტი, რომელზედაც ზის.

კრიზისში შესულ კაპიტალიზმს და მის დამცველ კლასს გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ის გრძნობს, რომ

დგება მისი აღსასრულის ხანა, არ შეუძლია არ შეეცადოს, რომ შეაჩეროს კაპიტალიზმის დეზორგანიზაციის პროცესი, თვალები აუხვიოს მას ეროვნული ინტერესების დაცვით, ავანტიურაში ჩაბას ხალხის უმრავლესობა და სისხლის მორევში ჩაახრჩოს მისი სამართლიანი მისწრაფებანი.

სამართლიანად სწერდა იგივე ანატოლ ფრანსი თანამედროვე ომზე: „ფიქრობენ კვდებიან სამშობლოსათვის — იხოცებიან კაპიტალისტებისათვის".

იმპერიალისტურ ქვეყნებს იარაღი იმისთვისაც უნდათ, რომ ის სამოქალაქო ომში გამოიყენონ. ცხადია, რომ მართველი კლასი ნებაყოფლობით არ დაუთმობს ადგილს მუშათა კლასს. გადამწვეტ მომენტში ის მიმართავს ყოველივე საშუალებას ბატონობის შესანარჩუნებლად გამოიყენებს მთელ სახელმწიფო აპარატს ჯარით და ადმინისტრაციით მუშათა კლასის წინააღმდეგ.

შინაგანი წინააღმდეგობით გაუმაძღარ კაპიტალისტურ კლასს იარაღი თავის მოძმე კლასისათვისაც სჭირია. თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყნის ფინანსიური კაპიტალის ექსპორტი ბადებს იმპერიალისტურ-კოლონიალურ პოლიტიკას: ეს პოლიტიკა კი საშუალებაა განურჩეველ ქიშპობის იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. მათ შორის ამ სფეროში დავას სწყვეტს ძალა, იარაღი, რისთვისაც საჭიროა დიდი საშუალება. ერის ნაოფლარის დაბანდვა, ხალხის გამანადგურებელ მილიტარიზმისათვის.

ყოველი ერის ბურჟუაზია ხმალს ლესს. რომ. თავის იმპერიალისტურ ზრახვებისათვის. არ დაერიდოს ერთი მეორეს დაკვლას ნადავლისათვის.

ამიტომ კაპიტალიზმს იმპერიალისტურ-ფინანსიური ფაზა მისი უკანასკნელი საფეხურია.

ამ ბრძოლაში თაღლითობით, მზაკვარებით, მოყიდვით. ვერაგობით ისინი ითრევენ ადგილობრივ კოლონიალურ მოსახლეობას. იწვევენ მათ შორის ბრძოლას და მათი სისხლით ახორციელებენ თავიანთ დამპყრობ გეგმებს.

რა საჭიროა. ზემოყვანილ დებულებათა დასადასტურებლათ. ისტორიას მივმართოთ და ფაქტები მოვიყვა-

ნოთ. ჩვენ თვალწინ ტარდება ორი დიდი ბრძოლა: ერთი — ინგლისის მემარცხენეებისა ინგლისის კაპიტალისტების წინააღმდეგ, მეორე — იმპერიალისტურ ქვეყნებისა ურთიერთ შორის და ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ. ეს ორი სხვადასხვა შინაარსის ჭიდილი: მუშათა კლასის იმპერიალისტების წინააღმდეგ და იმპერიალისტებისა—ურთიერთ შორის — ნამდვილი დოსტაქრული გადაშლაა მთელი დღევანდელი ხანის საერთაშორისო ურთიერთობის.

ინგლისის კონსერვატორიულმა მთავრობამ, რომელიც, მარქსის ტერმინოლოგიით, ინგლისის ბურჟუაზიის აღმასრულებელი კომიტეტია, ინგლისის მუშათა კლასის, საერთო გაფიცვის დროს ნიღაბი ჩამოიხადა, ინგლისის პროლეტარიატს დაანახა თავისი წვეტიანი კლანჭები და ის საბრძოლველათ გამოიწვია. მან, სამოქალაქო ომის მოლოდინში, ფეხზე დააყენა მთელი შეიარაღებული ძალა. არარევოლიუციონურად განწყობილ მეთაურების მეოხებით, ინგლისის პროლეტარიატის დიდმა რიგებმა დროებით უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დარჩა ერთი ძლიერი რაზმი. ცხადია ამ ბრძოლაში ინგლისის ბურჟუაზიის მხარეზეა მსოფლიო ბურჟუაზია, რომელსაც ძილს უფრთხობს მუშათა კლასის ყოველი გათვითცნობიერება და შეკავშირებული გამოსვლა.

ამავე დროს ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის ბურჟუაზია აშკარა ბრძოლას აწარმოებენ ჩინეთში ერთი მეორის წინააღმდეგ ადგილობრივ მოყიდულ სარდლების საშუალებით, ხოლო ყველა ერთად ჩინეთის ხალხის და მისი ინტერესების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიულ მთავრობების დაპირება მშვიდობიანობის, განიარაღების, სადაო საკითხების ერთა ლიგის და ჰაგის ტრიბუნალის საშუალებით მოგვარების შესახებ „მელიას ფიცი"-ა. საფრანგეთის და გერმანიის, ბრიანის და შტრეიზმანის სახით, შერიგება და რბილი სიტყვები ყინვაზე დაწერილი აღთქმაა: გერმანიის ერთა ლიგაში მიღება და იმავე დროს მის წინააღმდეგ იქვე ოპოზიციის შექმნა, პოლონეთ — რუმინია — ჩეხოსლოვაკიის სახით,

მამლის კუდია, რომელიც მაფიცარ ინგლის-საფრანგეთს კალთიდან მოუჩანს.

ან ჰო, ან არა.

ასეთ პირობებში იმპერიალისტური ომისადმი დამოკიდებულება უდიდესი მნიშვნელობის თანამედროვე საკითხია. ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის ავ-კარგიანობა და რევოლიუციონერობა ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრით განისაზღვრება. ომისადმი დამოკიდებლება ეს ის **ჯვარედინია,** სადაც სწყდება საკითხი: საით მიდის პოლიტიკური აზროვნება და ტაქტიკა, მარჯვნით ბურჟუაზიისაკენ, თუ მარცხნით მუშათა კლასისაკენ. ამ საკითხის გაურკვევლობა და თაღლითობა დიდათ მავნებელია მუშათა კლასი. ეს ორგანიზაცია წინააღმდეგი იყო ომის, მაგ-

თავის დროზე ამ საკითხში მე-II ინტერნაციონალის გაურკვეველმა პოზიციამ დიდ განსაცდელში ჩააგდო მუშათა კლასი. ეს ორგანიზაცია წინააღმდეგი იყო ომის, მაგრამ ისეთ ორჭოფულ და გაურკვეველ ფორმებში ასხამდა თავის პოზიციას, რომ საშუალებას აძლევდა თითეულ პარტიას თავისებურად აეხსნა დადგენილება და გამოეყენებია ის ომის სასარგებლოთ და საწინააღმდეგოთაც.

ფორმულა „იმდენათ — რამდენათ“ აქ მიღებულია. „თავდაცვითი და შეტევითი“ ცნებების თამაში და მით მუშათა კლასის გაბრუება — მოტყუილებაა.

ომის წინა დღეებში მე-II ინტერნაციონალი მთლანად წინააღმდეგი იყო ომის, „შეტევითი“ ომის. როდესაც თოფი გავარდა, გერმანიის და საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიებმა ომი აღიარეს მათ ქვეყნებზე „თავდამსხმელ“ ომათ იმპერიალისტებთან ერთად „თავდაცვით“ ომის მომხრეთ გამოვიდენ და ორი ქვეყნის მუშათა კლასი იმპერიალისტურ ომში ჩააბეს.

დღეს, რომ თოფი კიდევ გავარდეს, მე-II ინტერნაციონალს დღესაც არ აქვს გარკვეული პოზიცია ომისადმი. ამის წინეთ მე-II ინტერ. ალმასკომმა ვერ გადასწყვიტა საკითხი ბურჟუაზიულ მთავრობების წარმომადგენლობის შესახებ ერთა ლიგაში სოციალისტების სახით.

საკითხის გადაჭრა მან მიანდო თითეულ სოციალისტურ პარტიას თავის ქვეყნის ადგილობრივ პირობების მიხედვით. ეს საკითხის გადაჭრა არ არის.

აგრეთვე არ არის საკითხის გადაჭრა ის დადგენილება, რომელიც II ინტერ., ეხლა „სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალურათ" წოდებულმა, მიიღო 1923 წელს ჰამბურგის კონგრესზე: ის აღიარებს, რომ თანამედროვე ომი იმპერიალისტურია, ის სცნობს რომ ევროპის ბურჟუაზია ანხორციელებს ომის საშუალებით იმპერიალისტურ გეგმებს, მაგრამ ასეთ ომისადმი დამოკიდებულების შესახებ გარკვეულათ მაინც არაფერს ამბობს და ამ დიდს საკითხს ასამარებს მყვირალა და უშინაარსო ფრაზებით: „პარლამენტალურ და არა პარლამენტალურ ბრძოლით".

ერთათ ერთი გარკვეული, სალი და უყოყმანო პოზიცია გამოთქმულია შემდეგ დებულებაში: „იმპერიალისტურ ომს — ომი".

ეხლა, როდესაც ყველა ევროპის სოციალისტური პარტია ხედავს ომისათვის სამზადისს, ბურჟუაზიის ოინებს და ზრახვებს, — მუშათა კლასის კიდევ ბურსულში გახვევა მალალი ფრაზებით საკითხის მიჩქმალვა, აშკარა ღალატია სოციალიზმის წმინდა საქმისა.

ანის წინეთ, 28 აგვისტოს, ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტის ცენტრალურმა ორგანომ მოწოდებით მიმართა მსოფლიო მუშათა კლასს, ის აფრთხილებს მას იმპერიალისტურ ომის მოსალოდნელ საშინელებით.

ლატვიის და ლიტვის სოციალისტურმა პარტიებმაც მიმართეს პოლონეთის სოციალისტებს იმავე საკითხის შესახებ.

მაროკოში კიდევ არ გამშრალა იმპერიალისტების მიერ რიფების დანთხეული სისხლი, სირიაში გრძელდება ბრძოლა, ჩინეთი კარგა ხანია ნამდვილ ბრძოლის ასპარეზათაა გადაქცეული, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტები დემონსტრაციას აწარმოებენ ბალტიის ზღვაში, იმპერიალისტური მთავრობები ერთი მეორეს ეცილებიან ჯავშნიანი გემების აგებაში და საჰაერო ფლოტის გაძლიე-

ლებაში. ევროპაში იქმნება ისეთი მგომარეობა, რომ „ხარბაზნები თვით დაიწყებენ სროლას“.

და ასეთი დროს ევროპის სოციალისტურ პარტიების შტაბი კონტსაც არ ძრავს შექმნილ მდგომარეობის გამო.

მწერლობა? მწერლობაც ღვიძლი შვილია თანამედროვე მართველი კლასის. ისიც დუმს, ან ვერ ამბობს მას, რაც უნდა სთქვას.

როდესაც ევროპაში დიდი ომი ატყდა საფრანგეთის ერთი დიდი მწერალი სწერდა: „ჩვენ გამარჯვებას არ შევბილწავთ დანაშაულით... ჩვენ გავაცხადებთ, რომ საფრანგეთის ხალხი მიიღებს დამარცხებულ მტერსაც თავის მეგობრების რიცხვში“. ამ სამართლიანმა და ლიბერალურმა განცხადებამაც-კი პატრიოტების საშინელი გულის წყრობა გამოიწვია და მან ხუთასზე მეტი შეურაცმყოფელი წერილი მიიღო.

კლემანსომ, ომის სულის ჩამდგმელმა, მოურიდებლად განაცხადა: „მე აღტაცებული ვარ ანატოლ ფრანსით, მაგრამ თუ მას ზედმეტი სიტყვა წამოსცდა, მე მას დავიჭერ“.

საფრანგეთის პატრიოტებმა და იმპერიალსტებმა მოჰკლეს ჟორესი, გავარდა თუ არა თოფი ევროპაში.

ყველა ეს მისი მომასწავებელია. რომ მწერლობას კიდევ აქვს დრო ემსახუროს თავის დიდ ამოცანებს, გადაუშალოს კაცობრიობას და ეროვნებას მომავალი ომის საშინელება და უსამართლობა, სანამ ქარქაშიდან ხმალი არ ამოღებულა.

პოლიტიკურ ტრაქტატებს ომის შესახებ, ციფრებს, ისტორიულ მაგალითებს, პოლიტიკურ გამოსვლებს, ცხადია, აქვს დიდი მნიშვნელობა ომისადმი მასების გამორკვევისათვის, მაგრამ ღრმა მნიშვნელობა აქვს მხატვრულ გულწრფელ სურათებს და განცდას კაცობრიობის და ეროვნების დიდი ტრაგედიის შესახებ თანამედროვე ომის გამო.

საფრანგეთის დედა-ქალაქში, იქ, სადაც ამართულია ტრიუმფიალური არკა, აგებულია დიდებული ძეგლი სა-

ხელწოდებით: „უცნობ ჯარისკაცს". ძეგლი აღმართა ბურჟუაზიამ საფრანგეთის მეომართა პატივსაცემათ:

ამის წინეთ ამ ძეგლთან მივიდა ევროპის დიდი ომის ერთი ინვალიდთაგანი, ფეხმოჭრილი ჯარისკაცი; ძეგლთან მან ნერვიულათ დალია ერთი ბოთლი ღვინო და ცარიელი ბოთლი ძეგლს შეამტვრია.

ეს იყო ინვალიდის ულრმესი პროტესტი ომისადმი. იმპერიალისტური ზრახვებისათვის მილიონობით ხალხის ამოწყვეტა და შემდეგ მათ „პატივსაცემათ" ძეგლის აგება — დაცინვათ ალიარა ფეხმოკვეთილმა მხედარმა.

უდავოა, რომ ამ ჯარისკაცის საქციელი გამომხატველია იმ თაობის სულისკვეთების, რომელმაც ნახა თანამედროვე ომის საშინელება.

საჭიროა, ეს განცდა გადაეცეს მომავალ თაობას, რომ იმპერიალისტურ ომს დაუპირდაპირდეს პროლეტარული ომი.

ამ გეზით უნდა მუშაობდეს პოლიტიკური აზროვნება და მხატვრული შემოქმედება.

ავანტიურა.

გერმანელ გროსს, სხვათა შორის, ერთი დამახასიათებელი კარიკატურა აქვს: დიდებულ ამფიტეატრში სხედან ჩასუქებულნი ლორის მსგასვნი ვებერთელა ცხოველები ცილინდრებით და ვიზიტკებით. სურათს აქვს წარწერა: „გაბატონებული კლასის სახე".

ეს სურათი მჭერმეტყველური გამომხატველია იმ კლასის მდგომიარობის, რომელიც ომიანობისაკენ უსისინებს ყველას, ბრძოლის საშინელების დროს თვით განცხრომას განაგრძობს და სამხედრო შეკვეთებით ხელს ითბობს.

მაგრამ გასაოცარია, როდესაც ომის ორიენტაციის მომხრეთ გამოდის ხალხის სწორეთ ის ნაწილი, რომელსაც თავიდანვე მთელი თავის სისასტიკით დაატყდება ომის უარყოფითი მხარეები.

ჩვენში დღეს ბევრს შევხვდებით ისეთ პირებს, რომელნიც იმედიანათ და სიამოვნებით უცქერიან საბჭოთა კავშირის საზღვარზე რაიმე გაფაჩუნებას. ასეთი „ობი-

ვატელი" ფიქრობს: იქნებ ომი ატყდეს, ევროპის სახელმწიფოები ერთი მეორეს დაეერიონ, ევროპა აზიას, ხოლო ყველამ ერთათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიღაშქროსო.

ამის წინათ შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა ემიგრაციის ერთი ნაწილის პოზიციის წინააღმდეგ მიმართული კაკი წერეთლის წერილი. წერეთელი უსაყვედურებს ემიგრაციის ერთ ნაწილს, რომ ის შველას და ხსნას ომისაგან მოელის და ამიტომ ომის ორიენტაციისაა. კ. წერეთელი არ იზიარებს ასეთ ორიენტაციას.

ემიგრაციის ერთი ნაწილის ასეთი გეზი ადვილი მისახვედრია მისი ფსიქოლოგიის და მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ძნელი გასაგებია ომიანობისადმი მიდრეკილება ბევრათ თუ ცოტათ ობიექტურათ მოაზროვნე წრისათვის.

როდესაც ბალდუინის, მუსოლინის და კულიჯის მთავრობა ომისათვის სამზადისშია, გასაოცარი აქ არაფერია: ისინი აკეთებენ მას, რაც უნდა გააკეთონ. ხოლო როდესაც ომიანობას არა თუ ებრძვის, არამედ მის ატეხის მოლოდინშია „სოციალისტურათ" მოაზროვნე პიროვნება, ცხადია, რომ უკანასკნელმა დასტოვა ყველა სოციალისტური პოზიციები და აშკარათ დაჯდა გერმანელ გროსის გმირებთან ერთად დიდებულ ამფითეატრში.

ომზე აგებული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტაც სრული ავანტიურაა. ომი ქმნის მრავალგვარ კომბინაციას. რესპუბლიკური საფრანგეთი იბრძოდა თვითმყრობელ რუსეთთან ერთათ გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო სლოვიანური ბულგარეთი გერმანიასთან ერთათ სლავიანურ რუსეთის წინააღმდეგ.

ვინ იძლევა, ვსთქვათ საქართველოსათვის, ომიანობის პროცესში ხელსაყრელ კოალიციის შექმნის გარანტიას? ასეთი „გარანტია" შეიძლება მისცენ ხალხს მათ, ვინც დაჰკარგეს ეროვნული მდგომიარეობის დაფასების უნარი, თანამედროვე რეალურ პირობების მიხედვით, და თავის გულისთქმას აჰყვენ.

ჩვენ კი შეგვიძლია სრული გარანტია მივსცეთ ხალხს, რომ ომი დიდ უბედურებას დაატეხს ქართველ ხალხს;

გაანადგურებს მის ტერიტორიას, ქონებას, ახალგაზრდობას, ნაცრათ აქცევს მის კულტურულ ძალებს და, თუ რუსეთის და საქართველოს ტახტის პრეტენდენტმა დიდმა მთავარმა კირილე რომანოვმა გაიმარჯვა, — ყველა შეგნებულ ქართველს, კომუნისტს თუ სოციალისტს ერთ ხეზე ერთი ბაწრით ჩამოჰკიდებს. —

1926 წ. 11/X.
ტფილისი.

ს. ო — ია

ქართული წიგნი

ჩვენში ამ ბოლო დროს გავრცელებულია ისეთი შეხედულება, თითქოს ქართული წიგნის და საზოგადოთ ქართული ლიტერატურის განვითარების საქმე შეფერხებული იყო და ქართული მწერლობა უალრეს კრიზისს განიცდიდა.

ეს შეხედულება, ალბად, გამომდინარეობს იმ სასოწარკვეთილებით მოცულ წრეებიდან, რომლებიც საქართველოს დღევანდელ განვითარების საქმეს ყოველი მხრიდან პესიმისტური თვალით უყურებენ და ვერაფერს სანუგეშოს ვერ ხედავენ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ სურთ დაინახონ ამწყოსა და მომავალში.

ასეთი უიმედობისა და ცრუ შეხედულების გასაბათილებლად არ იქნება ზედმეტი მოვიყვანოთ აქ ის სტატისტიკური ცნობები, რომლებიც შეკრებილია საქართველოს წიგნის პალატის მიერ და რომლებიც თვალსაჩინოთ ასრულებენ ქართული წიგნის და საზოგადოთ ლიტერატურის მდგომარეობას წარსულში და დღეს.

სანიმუშოთ ავიღებთ სამი ხანის, — თვითმპყრობელობის, მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის, — თითო ნორმალურ წლებს. შედარებით ასეთი ნორმალურ წლებათ ჩაითვლებიან: თვითმპყრობელობის ხანისთვის მსოფლიო ომის დაწყების წინა 1913 წელი, მენშევიკების არსებობის უკანასკნელი — 1920 წელი და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეხუთე — 1925 წელი.

ამ წლების სტატისტიკური ცნობები გვაძლევს შემდეგ სურათს:

1913 წელში გამოსულა:

სამეცნიერო შინაარსის წიგნები 45 სახეწოლობით. პოლიტიკური და საგიტაციო 1. სასწავლო-პედოგოგიური 12, სამეცნიერო პოპულიარული 48. სიტყვა-კაზმული მწერლობა 101, საბავშო მწერლობა 2, სხვა და სხვა 28. სულ 192 სახელწოდების წიგნები. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს სიტყვა-კაზმულ მწერლობას, მეორე კი სამეცნიეროს.

სამწუხაროთ, გამოსულ წიგნების ცალობის რაოდენობის შესახებ ცნობები არ არის შეკრებილი.

1920 წელში, მენშევიკურ მთავრობის არსებობის უნორმალეს ხანაში გამოსულა:

სამეცნიერო შინაარსის წიგნები 35 სახელწოდებით, პოლიტიკური და საგიტაციო 35, სასწავლო პედაგოგიური 81, სამეცნიერო-პოპულიარული 17, საბუთები და უწყებათა ანგარიშები 16, ცნობათა საძიებელი 8, სიტყვა-კაზმული მწერლობა 64, საბავშო მწერლობა 9, სხვა და სხვა 7. სულ 266 სახელწოდების წიგნები.

მათ შორის პირველი ადგილი უკავია სასწავლო-პედაგოგიურ წიგნებს, მეორე — მხატვრულ ლიტერატურას და მესამე პოლიტიკურ საგიტაციოს.

აქაც არ არის შეკრებილი ცნობები გამოსულ წიგნების ცალობის რაოდენობის შესახებ.

გადავიდეთ ეხლა საბჭოთა ხელისუფლების ხანაზე. სახელდობრ 1925 წელზე *).

აღნიშნულ წლის განმავლობაში გამოსულა:

სამეცნიერო შინაარსის წიგნები 35 სახელწოდებით, პოლიტიკური და საგიტაციო 76, სასწავლო პედაგოგიური 112, სამეცნიერო პოპულიარული 185, საბუთები და უწყებათა ანგარიშები 116, ცნობათა საძიებელი 19, სიტყვა კაზმული მწერლობა 60, საბავშო მწერლობა 34, სხვა და სხვა 13.

სულ 650 სახელწოდების წიგნები, რომელთა რიცხვი უდრის 2.435, 390 ცალს.

---

*) კიდევ უფრო ნორმალური 1926 წელი ჯერ არ არის დამთავრებული და ხელთ არა გვაქვს ამ წლის სტატისტიკური ცნობები.

მათ შორის პირველი ადგილი უკავია სამეცნიერო პოპულიარულ წიგნებს, შემდეგ მიდის საბუთები და უწყებათა ანგარიშები. მას მიჰყვება მესამე ადგილზე სასწავლო პედაგოგიური. ამის შემდეგ პოლიტიკური და საგიტაციო და მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია სამხატვრო ლიტერატურას.

ამნაირათ ვხედავთ, რომ თვითმპყრობელობის დროს წელიწადში გამოსულა 192 სახელწოდების წიგნები, მენშევიკების დროს 266 და საბჭოთა ხელისუფლების დროს კი 650 სახელწოდების, — 2.435.390 ცალის რაოდენობით. ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ეს შედარებები თავისთავად ბევრ რამეს ლაპარაკობენ ქართული წიგნის, ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხანაში.

შესაძლებელია, ზოგიერთს ის გარემოება აფიქრებდეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს მხატვრული ლიტერატურა ჩაყენებულია მეხუთე რიგში და მას წინ უსწრებენ სხვა ხასიათის ლიტერატურული დარგები, მაშინ, როდესაც მას პირველი ალაგი ეკავა თვითმპყრობელობის ხანაში და მეორე მენშევიკების დროს.

ასეთ სასოწარკვეთილებას მიცემულთ სანუგეშებლად ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ წარსულ რევოლიუციების ისტორიაზე, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამ რევოლიუციების დროსაც მხატვრული ლიტერატურა მუდამ უკან ჩამორჩენილი ყოფილა შედარებით სხვა ხასიათის ლიტერატურულ დარგებთან.

რაღაც გამოუკვეველ მიზეზების გამო, როდესაც რევოლიუციის დროს ზარბაზნები სჭექენ, მხატვრული ლიტერატურის მუზა სდუმს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ის მეტად ნაზი და სათუთი ბუნების არის და ვერ იტანს რევოლიუციის სიმკაცრეს. მაგრამ, მიწყნარდება თუ არა ზარბაზნების გრიალი და ცხოვრება ჩადგება თავის ახალ კალაპოტში, მხატვრული ლიტერატურის მუზის სანავარდო ასპარეზი მაშინ იშლება. ის დამშვიდებული გონების თვალს გადაავლებს წარსული ბრძოლების არეს, ზედმიწევნით შეისწავლის მას მასალებით თუ ზეპირსიტყვიერი

გადმოცემით და მხოლოდ მაშინ შეუდგება მის დასურათებას.

მხატვრული ლიტერატურის მუზა გაორკეცებულ ენერგიას იჩენს რევოლიუციის შემდეგ ხანაში და ერთი ორათ და სამათ ინაზღაურებს რევოლიუციის ხანის იძულებითი თავის სიჩუმეს.

რევოლიუციის ამ გარდუვალ კანონს, რა თქმა უნდა, ვერ ასცდებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ უნდა გვქონდეს იმისი მცირე რწმენა, რომ ზემოთ მოყვანილი შედარებითი ციფრები უტყუარი საბუთია ახალი საქართველოს ლიტერატურის, ქართული წიგნის ჯერ არ გაგონილ განვითარებისა ახლო მომავალში. ამ მხრით არავითარ იჭვიანობას არ უნდა დაურჩეს ადგილი ჩვენს ლიტერატურულ წრეებში.

აკაკი ვასაძე

ქართული დრამა

სამი წელიწადია შემთხვევა მეძლევა გამოვსთქვა ყოველ სეზონის დასაწყისს საკუთარი შეხედულებანი, დაკვირვებანი არტისტისა და თეატრალის ჩვენი თეატრის შესახებ. და ამ სამი წლის განმავლობაში ერთ და იმავე საჭირბოროტო საკითხზე მიხდება განმეორება და შეჩერება.

ეს გახლავთ „სეზონის" საკითხი, რომელსაც ვერ იქნა და ვერც ასცდა ჩვენი თეატრი ამ ოთხი წლის განმავლობაში. ამით აიხსნება, რომ ყოველ წელს ჩვენი თეატრი, ვერ ასწრობს რა მთლიან ორგანულად შედგულებას, განიცდის ძირითად ორგანიზაციას და წლევანდელმა მოსალოდნელმა ორგანიზაციამ ხომ, ყოველივე საზღვარს გადააჭარბა. ამ მოვლენას საზოგადოება, მართველობა და რამოდენიმედ არტისტებიც კი, ბუნებრივად სთვლიან. მაგრამ იმ უნუგეშო შედეგებს, რომელიც მოაქვს ამ დაუსრულებელ ორგანიზაციებს თეატრისათვის ან ანგარიშს არ უწევენ. ან ივიწყებენ, ან და თავს ინუგეშებენ იმით, რომ „ას შენელებულს, ერთი ცეცხლოვანი წარმოდგენა მირჩევნია"-ო გრ. რობაქიძის თქმით. რასაკვირველია, შემოქმედებას და მით უმეტეს თეატრისას, ერთფეროვანი მუდმივი წვა არ ახასიათებს; ის ხან „ცეცხლოვანია", ხან შენელებული, მაგრამ ყოველივე ამას ზომიერება უნდა ახასიათებდეს.

ზომიერება და გემოვნება კი უფრო ხშირად პროფესიანალს, ოსტატს ახასიათებს და არა ზომიერება — დილეტანტს, რომელიც საქართველოში, — შეიძლება ჩემ-

განგაბედული თქმაა, — მაგრად ზის და არც რცხვენია თავის მოქალაქეობისა. აი, ეს ერთი მხარე, რომელიც ხელის შემშლელი პირობა იყო თეატრის ორგანიზმის განმტკიცებისათვის და მხატვრულ დისციპლინისათვის და თუ დილეტანტიზმი გვეპარებოდა წარსულში და მომავალშიაც გაგვეპარა, ამის მიზეზი ეს ყოველ წლიური, დაუსრებელი რეორგანიზაციებია.

მეორე ხელის შემშლელი პირობა — ეს თეატრის ადმინისტრაცია და ტეხნიკური პერსონალია, რომელიც პირდაპირ საანეგდოტო მდგომარეობაშია. სტამბა ვერ ასწრებს მსახიობთა პირადობის მოწმობის წიგნაკების დაბეჭდვას, რომ შემოწმებული იქნას ახალი კომისრის, გამგის, ან დირექტორს მიერ, რომელიც ჩვენ თეატრში ამიდივით იცვლებიან. ტეხნიკური პერსონალი ხომ ნამდვილი კალეიდესკოპია ყოველ წლიურ შემოკლებებით და რეორგანიზაციებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ისეთ დადგმას, როგორიც „ჰამლეტია“, განა მას ეკადრებოდა ის ტეხნიკური შესრულება, რომელიც თან ახლდა „ჰამლეტის“ დადგმას?

ვინ მოსთვლის, რამდენი ხელის შემშლელი პირობებია და რამდენი დაბრკოლება აქვს სეზონის დროზე გახსნასაც. მაგრამ ტრადიციას არც წელს ვუღალატეთ, და თუმცა ორი კვირით ადრე, მაგრამ მაინც ოცდა რვა ოქტომბერს ვხსნით სეზონს.

დიდი დამაბრკოლებელი მიზეზები გახლავთ აგრეთვე რეპერტუარი და განსაკუთრებით ორიგინალურ რეპერტუარის სიმცირე.

პროფესორი ქართულ დრამატურგობის გრ. როგავაქიძეს და სანდრო შანშიაშვილს ჯერ ვერავინ ჩამოართვა და ეს ორი პიროვნება, რასაკვირველია ქართული დრამატურგიის სიმცირეს ვერ ამოავსებს. ამით აიხსნება, რომ ჩვენი თეატრი წინად და ეხლაც თარგმნილი ლიტერატურით იკვებება.

წლის სეზონის გასახსნელად მზადდება ან. გლეგოცის პიესა „ზაგმუკ“, (ქართულად „ყვენობა“) რომელიც,

მართლაც ლირს შესანიშნავი მოვლენაა თანამედროვე დრამატურგიაში და მარქსისტ დრამატურგთა შორის გლებოვი პირველია, რომელმაც ოსტატურად ნაკვეთი ქვა დაუდო საძირკვლად ახალ დრამატურგიას.

მე არ მინახავს „ზაგმუკი“ და არც ვიცი, რომელ „მწარე გამოცდილებაზე“ ლაპარაკობდა ან. გლებოვი მისი პიესის მოსკოვის მცირე თეატრის დადგმის შემდეგ ალ. ახმეტელთან თავის წერილში, საცა ის დახმარებას ალუთქვამდა დამდგმელს თავის რჩევებით. მაგრამ ავანსად შემიძლიან მიულოცო ალ. ახმეტელს, ამხანაგებს, და ავტორს, რომ ეს პიესა, თარგმნილ პიესათაგან, ერთ-ერთი საყვარელი წარმოდგენა იქნება ჩვენი აუდიტორიისათვის. ხოლო საუცხოვო კონსტრუქცია მხ.ირ. გამრეკელისა და მუსიკა კომპ. ტუსკიასი, ეს ის ძვირფასი ჩარჩოა, საცა ალ. ახმეტელი, როგორც რეჟისორი და დამდგმელი, ერთხელ კიდევ დამოუკიდებელ გზაზე დამდგარ მხატვრად იშლება. მისივე დადგმები იქნება შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და ანდრეევის „სამსონი ჯაჭვებში“, რომელიც, ჩემის აზრით ერთი ძლიერი დრამათაგანია ანდრეევის შემოქმედებაში და არც ტყუილად დაიფერფლა იგი იმ წვის შემდეგ, რომელიც უცხო შუქით აელვარებს მის უკანასკნელ ნაწარმოებს.

სასიხარულო არჩევანი აქვთ წელს აღებული სადებიუტოდ ჩვენს ახალგ. რეჟისორებს: დ. ანთაძეს და კუკ. პატარიძეს. პირველი სდგამს შილერის „ვილჰელმ-ტელს“.

მეორე სადებიუტო დადგმა ეკუთვნის კ. პატარიძეს. რომელმაც შილერისვე „ფიესკო“ აირჩია. ჩემის აზრით ეს პიესა სცენიურათ უფრო ძლიერია. მისი ძირითადი აზრი პოლიტიკური. აპოთეოზი რესპუბლიკისა და თავისუფლების.

ამ რიგად თქვენ დაინახავთ გაკვრით: პირველი: თუ როგორ ხელის შემშლელი პირობები ელობებოდა წინ ჩვენი დრამის ორგანიულ ზრდასა და წარმატებას. მეორე, თუ როგორი მუშაობა მიუძღოდა წინ ოცდა რვა ოქტომბერს ფარდის გადაწევას და ჩვენგან გადამეტებული არ იქნება.

რომ ჩვენი თეატრის საუცხოვო პერსპექტივა დამეხატოს, რომელიც თავს დააღწევს „სეზონობიას" და ერთ მთლიან, მონოლიტურ მხატვრულ ორგანიზმად იქცევა, რომლის მატიანეს კ. მარჯანიშვილის ქართულ თეატრში მოსვლით ვიწყებთ.

ჩვენი თეატრი წრევანდელი სეზონით, თუ ტექნიკური დაბრკოლებანი წინ არ გადაეღობენ, კდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯით წინ წაიწევს. მაშინ არ შეგვრცხვება გავაცნოთ ჩვენი ოთხი წლის ნამუშევარი რევოლიუციის დედა ქალაქ მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებასაც.

ამის შესახებ მუშაობას და მოლაპარაკებას, როგორც ვიცით, მთავ. ხელ. კომიტეტი უკვე აწარმოებს.

ლექსები

ს. აბაშელი

შემოდგომის მზე

1.

ქარვა და ლალის გულს ახარებს დღესასწაული.
სკდება მზისაგან მწიფე ლელვი და ბროწეული.
ფერების ჯარში სჭარბობს ოქრო და მეწამული.
ჰშვენის ოქტომბერს ფარჩის კაბა და ძოწეული.
უფრო გატკბება შემოდგომის მზე გადახრილი,
რომ არ შეშინდეს მიწა ზამთრის მოახლოებით.
სპარსულ ნოხივით აყვავდება ქვეყანა თბილი
წაბლით, ყურძენით და სიმინდის ბაჯალოებით.
დაიბურება ტყე მოოქვრილ სამოსელითა,
ულრუბლო ციდან მზე წამოვა ყვითელ ღვარებად.
სუფთა ქვევრებში ჩაიღვრება საწნახელიდან
ყურძნის მარცვლებში დაგროვილი მზის ელვარება;
რომ შემდეგ სისხლში კვლავ აენთოს, როგორც სანთელი,
და გულს მოუნდეს სიყვარულის დასახელება;
იგრძნოს სხეულმა აღტაცება და ჟრუანტელი,
ჩადგეს ძარღვებში მზის სინათლე და გახელება.

2. ღვინობისთვეში.

ტფილისს ლაჟვარდი შემოელობა,
და მზემ ულევი ოქრო დაჰყარა.
ასადუღებლად მყინვარს ეყოფა
რაც ოქტომბერმა აქ მზე დალვარა.
ალი სწვავს ქუჩებს შუშაბანდიანს,
და მზე ბანაობს ყოველ მინაში.

და ეჯიბრება მწუხრი განთიადს
ფერთა უცნაურ დოლის წინაშე.
და ყოველ ხის ქვეშ დღითა და ღამით
ყვითელ ფოთლების გროვდება ზვინი.
აივსო ხილი თაფლიან ნამით,
დაითრო სული მზითა და ღვინით.

3. მზე და ჰაერი.

მოადგა ღრუბელს თეთრი ნათელი,
ჯერ მორცხვად, მშვიდად და მორიდებით, —
შემდეგ გაიღვა ღამის სარტყელი
და მზემ გამოჰყო ოქროს თითები.
მინდა შორიდან მზეს დავუძახო:
დამკოცნოს სხივის თბილმა შეხებამ,
გადავირბინო ველი უწალოდ,
რომ შესვას ცვარი შიშველ ფეხებმა;
ვიგრძნო, რომ გულში კვლავ გატაროსდა,
მომესმას შორით ხმა სასურველი,
და ყვავილებში მცურავ წყაროსთან
დავლიო წყალი, მზე და სურნელი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

მზისუმზირას გამყიდველი.

ის მზისუმზირას სარწყავით ჰყიდის,
ფეხებ მორთხმული მონა ცხოვრების.
შეჰფარებია ის ქუჩის კიდეს,
ტოლი ბრმებისა და მათხოვრების.

ის მზისუმზირას, როგორც საჩუქარს,
უყრის იისფერ მოჩვეულ მტრედებს,
მაგრამ ქვაფენილს, მზით განაშუქარს,
ვერ ანდობს თავის საოუთ იმედებს.

თუმცა აწვალებს მზე ბარბაროსი,
მისგან საყვედურს ვინ გაიგონებს?
მას ესიზმრება სულ სხვა ტაროსი
და ყურანიდან მღერის სტროიქონებს.

მას ენატრება ფინიკი, ხალვა,
და მთვარე სპარსულ ნიამორებით.
ფერილ ფრჩხილების ამაყი კრძალვა,
როცა ჰაერი ჰქრის ამბორებით.

ერთხელ მის გობზე ქალს ხელთათმანი
სწრაფ დაუვარდა სურნელით სავსე,
იგი არ იყო მისი ფატმანი,
ყურები ჰქონდა ვარდების მსგავსი.

თავისი გობი ღარიბი ხილით
ძილში ჰგონია მას მინარეტი.
ვით მუეძინი პირგამეხილი
ეძახის მუშტარს მზით განარეტი.

ის დაუზოგავ ზამთარ-ზაფხულებს
წელში საკმაოდ გაუზნექია.
ითვლის ნაშოვარ სპილენძის ფულებს
ქუჩის მელოტი ნაცარქექია.

მზისუმზირათი ავსებულ ჭიქით
იგი ადიდებს ზეციურ ალახს.
უთუოდ ხედავს ღრუბლების იქით
ბალებს, გურიებს, სამოთხის ბალახს.

ი. გრიშაშვილი

ჩუსტის მკერავი

უცხო მხარეში გავიცანი ქართველი ქალი,
ოთვლივით წმინდა, მროშანივით ფერ-გადამკრთალი.
მითხრა: რომ ოდით მას ნაღველი კარდაკარ სდევდა,
მეც დაულექსე ჩემი გულის ახალი სევდა.

ახ, ჩემი წიგნი აბა როგორ დამემდურება —
ჩვენ შეგვაერთა საზიარო უბედურებამ.

მას, ზღვის ტალღები თავის ფაფუკ სხივებში ჰხვევდა,
მე—კვლავ მტანჯავდა ჩემი გულის ახალი სევდა.

ერთხელ, როდესაც ვსეირნობდით, მან მითხრა ასე:
„ხშირად უბრალო ქვაშიც არი ცის სიძვირფასე,

აი, ამ დახლში ერთი ვაჟი მომწონს იმ გვარად,
რომ ჩემს ცხელ ვნებას ვერ დააქრობს თვით ნიაგარა,

თუმც დუქანში ზის, თუმც მუშაა—ჩუსტის მკერავი —
მაგრამ, რა ვუყოთ, სილამაზით ვერ სჯობს ვერავინ.“

მე დავაცქერდი და ჩურჩულით წარმოვთქვი მერე:
მოდი და ეხლა, ამის შემდეგ, ლექსები სწერე!

ანაპა. 1926.

ტ. გრანელი

* * *

მე შენზე ფიქრი მაშინ მლალავდა,
დღეს მოწყენილი მივდივარ გზაზე.
რა უყო ყველამ თუ მიღალატა.
რა იყო მცხედარს თუ დავემსგავსე.

გარშემო დაწვა დღე უცნაური,
დასდევს წამება ილბალს თანაბარს.
ქალაქში უცებ შეწყდა ხმაური,
ქალაქმა უცებ სული განაბა.

ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს,
ეს გრძნობა თვალებს ცრემლით ამივსებს.
მწუხარე სახით მოვწყდი სალამოს
და ეხლა მივალ ცისფერ ლამისკენ...

* * *

ეს მთები ისევ დგანან მეფურად,
(მე არ ვიყავი და წუხელ წვიმდა)
ქალაქი ისე გაჩუმებულა,
თითქოს ქალაქი დალუპვის წინ დგას.

დღეს სხვანაირი სიცოცხლე ვიგრძენ,
და ქვეყანაზე აღარ ვეტევი.
მზიანი დღეა, ელვარებს სივრცე.
და დაფრინავენ მალლა მტრედები...

რაუდენ გვეტაძე

ქვის მჭრელი.

მინდვრად ყვავილი როს აყვავდება
და მოფრინდება პეპელა ჭრელი:
ვაქცევ პიტალოს შაქრის ხვავებად, —
ასე მლეროდა ნორჩი ქვის მჭრელი

და გაზაფხულზე ბასრი წალკატი
მამისნაირად გაიდო მხარზე.
ჰყვაოდა არე — დარი წალკოტის
და ჩხრიალებდა წყარო ხის ლარზე.

ნატრობდა ფარულ როგორც ფირალი —
ნეტავი მთვარემ დიდხანს იგოგოს.
და იგონებდა გული მტირალი
სიზმარში ნახულ შავ-თვალა გოგოს.

ეხლაც ეხება მალალ თეძოებს,
გულზე უწყვია თეთრი კვახები.
გაცილდა დარდით მცვრიან ეზოებს...
სადღაცა ჭოტი ჰკიოდა მკვახეთ.

თვალს მიეფარა მთვარის თრიალიც,
ქალი კვლავ უზის ვარსკვლავთა კერას.
აცვია კაბა. როგორც თრიალეთს
ნისლი. აისის ხელით ნაკერი.

მზე ამოფრინდა ოქროს კრუხივით
როცა ლალუმით გასკდა ფრიალო.
ავარდა კვამლი ხავსივით რუხი
და ცამდის ფერფლი ააფრიალა.

და როცა ქარმა, ნარბენმა ტივით
გააჩანაგა ბოლის ჯეჯილი —
ლოდის ქვეშ ეგდო გული ბურთივით,
გული ბუდიდან ამოგლეჯილი.

ნინო თარიშვილი

მწვანე შაირი

ცა შემოირტყავს ძველ ქამარ-ხანჯალს,
მთვარეს გაიბნევს ვერცხლის საყურეთ.
ცივად დანაბავ თვალს დაუტანჯავს,
როგორც ყვავილი გამოსახული.

შენ საიდუმლოს მხოლოდ ღამ-ღამე
ყოფნას შეუდგამ მალალ სვეტებათ,
და წენგოსფერი თვალის ხამხამი
მარტო ფიქრისთვის გაგემეტება.

დარდით იშლება კაბის ნაოჭი.
შეიკრა სივრცე ირმის ნახტომით
და მოგონება ყელ-გამოჭრილი
ამოდუღდება, როგორც ახტალა.

შეაჭრეს ფრთები მძინარე მერცხალს,
მაგრამ არავინ არის მნახველი.
ტყე ავდარს ბევრჯელ ჩამოურეცხავს,
ბევრჯელ სცემია მინდორს ლახვარი.

ხეებს წუხილი გადაეყარა.
ლიმი გაქვს ლურჯი სახე ქარცივი,
და შემოგვყურებს ჩვენ ეს ქვეყანა,
როგორც აკვანი გადასარწევი.

ნინო თარიშვილი.

შარა გზაზე

შუადღის ფიქრი უმისამართო
მზეს გადავკიდე, როგორც ხურჯინი.
არავინ არის ჩემსავით მარტო,
თვალთა სიჩუმე გახდა ურჯული.

სიცოცხლეს ერთხელ გადავეზმანე,
ჩვენს ოლოობეში მზე არ ჰფენს ნოხებს
და შემოდგომაც მოასწროს მალე:
მინდორზე გაშლილ ფერდსავსე ძოხებს.

ინახავს ყველა ცელსა და ნამგალს
წლის მოსავალი აიღეს ბევრი.
სად ნახავთ კიდევ, თქვენ, სურათს ამგვარს —
როგორ ისვენებს კალოზე კევრი.

ურემს შეაბეს ზანტი ხარები.
მთიდან ბრუნდება ცხვარი ნამთევი.
შირაქს მიუვა თალხი თვალებით
მწყემსის ოცნება ლამის გამთევი.

დააწყეს მზეზე ყვითელი ნამჯა.
არ ეშინიათ ძირგადგმულ აზრის.
მე სხვა სურვილიც მრავალი დამრჩა
და მხოლოდ კენტათ დარდი ალაზნის.

ქიზიყი. შემოდგომა.

გიორგი ლეონიძე

იორის ღამე

წიგნიდან „იორის სიმღერები“

სანდრო შანშიაშვილს.

მთვარე შრიალებს ფიჭვივით
დაუსრულებელ ოხრაში;
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში

ეს მთვარე ვილამ შეკერა?
ვინ არი მისი მკერავი?
ეს გული ვილამ დასხლიტა
ბურთივით გაუთქერავი.

— შენ დამარწიე იორო,
მაჩქეფე თავზე მირონი,
დალაგდა ლექსის ჯიქნებათ
ეგ შენი სანაპირონი.

შენი ჩანჩქრები, საწური
აბრეშუმისა ბადითა;
შენს ვენახებში სუფრები
დაირითა და მწვადითა.

შენი ბდღვრიალა კალმახი
აცვია თითქოს ჩითები;
დილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები.

და უწმინდესი ტაძარი,
არხზედ წისქვილი პატარა.
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

შენი ფშანების ნაჟური
ჩემში დულს, როგორც მაჭარი,
თუ ამოგხაპეს, გაგყიდეს,
გავხდები შენი ვაჭარი...

მთვარე შრიალებს ფიჭვივით
დაუსრულებელ ოხრაში;
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში.

მთვარე გომბორზედ წაიქცა,
რძით გავსებული ტაგანი;
ორზე ვმღერი: წნორებთან —
ერთი იმ წნორებთაგანი.

მიმდინარე ლექსი

მე ვარ გამოჭენება
ჩერქეზულ ისარისა:
თითებზე მეჩვენება
ოქრო ოპიზარისა!

გული სათივარია,
ლექსებს ვსწურავ ბადაგათ:
— მზე ყვითელი ვარია,
გასაბდღვნელი ტაბაკა.

სიტყვავ, ნაშოვნო კრივით,
გაცლი დამპალ სოკოებს!
ლექსო, ჰგავდე სიმკვრივით
ტაბახმელელ გოგოებს!

არ დარჩე უმლერალი,
სთქვი ტოროლას ზარები;
გქონდეს ოქროს ხორალი,
გული — ნახანძარევი.

გქონდეს შენი მზითევი:
ცხენი, რკინა, ატლასი!
„შევსვათ წითელ-წითელი
შევსვათ ათი ათასი.

კ. ლორთქიფანიძე.

რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს:

შევსვამთ საწამლავს ჩვენც როგორც მირონს.
ლექსი „სერგეი ესენინს“

ტიციან ტაბიძე.

ეს ლექსიც დავიწყე, მამძიმებდა ფიქრები:
ღამე იყო და გული მოგონებით მიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხდილი, მიმქრალი,
როგორც თავი დამხრჩვალი ესენინის მიცქერდა.
მწუხარებამ შემიპყრო მსურს გავსძახო: მავნეა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა,
სასიკვდილო თოკზე რომ გადმოჰკიდო კისერი?
თვითმკვლელობა რათ გვინდა მოვა დრო და მოვკვდებით.
პოეტებო, უმღეროთ ახალ ქვეყნის ალიონს,
სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით,
საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ.

სიკვდილი

ყორანივით მოფრინდა ღამე აუტანელი,
ქარი კით მეფანდურე არ მასვენებს ზუილით
და ყვითელი ფოთოლი ხიდან ჩამოტანილი,
ჩემს ფანჯარას დაეცა თითქო ხელის გულივით.

ნეტავ მალე გათენდეს, თვალნი ღამე ნათევი
საით მიგყავს, მითხარი, ფიქრო ბნელი ღამისა!
გულში რეკავს სურვილი წლიდან წლამდე ნათრევი
— უხილავი ცის გული ნეტავ წუთით გამიხსნა.

ვინატრებდი — ლრუბლებში მოცურავე მთვარიდან,
ჯამბაზივით ჰყვებოდეს ყოველ სხვის სიხარული;
ვფიცავ, მაშინ ლექსები აღმაფრენით დამთვრალი
ქვეყნათ გადაიჭრება გუგუნით და ხმაურით.

უცნაური ღამეა მაწვევს მძიმე ლოდივით
არ მასვენებს დაშჩხავის ძილი არ მეკარება,
დავწვები და ფიქრები იდუმალნი მოდიან
და ფიქრებში მგონია უცნობი დგას კარებთან.

მესმის ფრთხილი კაკუნი მძაფრი და ერთნაირი,
გულში შიშის წვეთები ირევა და მაღვიძებს:
ფიქრით ქუსლებ აკრეფით კარებისკენ გაივლის,
უხმობს უხმობს უხილავს: — ჰა, შემოდი გამიძეხ!

უძილობის წუთები ასე ბიდის დილამდე;
რა ვქნა ვერ მოვითმინე და შევძახე: ვინა ხარ!
მაშინ სწრაფათ კარები შემოალო სიკვდილმა.
ცელით ჩვეულებრივმა როგორც წიგნში მინახავს.

მოახლოვდა, საწოლთან დადგა ძონძის შრიალით
ტუჩზე ცივი ლიმილი გააცურა გველივით:
გამეცინა, უთხარი: — ბინა ხომ არ შეგშლიათ,
ეგებ მე თქვენ გგონივართ ტაბიძე ან გრანელი!

ეხლა ცელებს ველებზე გლეხებიც არ ხმაროობენ,
თორემ მუხის გადაჭრა ცელით ვინ გაიგონა,
მე მუხა ვარ, ფესონი ისე მაგრათ ხაროობენ
შენისთანა ათასი გულზე გადაიგორა!

ხვალ რომ ვერ დავესწრო ამომავალ განთიადს, —
მზეს რომ დაუგვიანდეს გული ამოიყვირებს,
ხედავ გულში სიცოცხლე კოცონივით ანთია
ინდუსტრიის ხანაში სიკვდილს ცელით მიპირებ?

ვაქკაცს მაინც მოჰგავდე ვინმეს შეუყვარდები,
მხოლოდ შენებრ ფერმიხდილ პოეტების ხასა ხარ;
მომშორდი, დრო გავა და გნახავ ისე დადნები
მათაც შეეზარები ახლო დასანახავათ. —

. . . . . .

შემობრუნდა, თეთრდება ღამე აუტანელი,
მხოლოთ ქარის ფანდური არ მასვენებს ზუილით
და ყვითელი ფოთოლი ხიდან ჩამოტანილი
ჩემს ფანჯარას დაეცა თითქო ხელის გულივით.

კოლაუ ნადირაძე

იმედრეთს.

შენ ველარ გიმზერ. ჩემი სიმღერა
ალარ მოესმის შენ ცისფერ ველებს.
მე აშობლიური დავკარგე კერაც,
და მაინც გიწვდი ალერსით ხელებს.

რათ მაგონდება ასე ულმერთოდ
შენი თხემები ჩამოქცეული?
რათ მინდა მოვკვდე და შეგიერთო
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?

რათ შემიყვარდა დღეს ისევ-ისე
ხაშმი, წვიმები და ღელეები,
ზღვად მოვარდნილი შენი მაისი,
ქაჯებით სავსე შენი ტყეები?

ვიცოდე მაინც, რათ არ მასვენებს
ქოხში სმენილი სიმღერა ტკბილი?
ზაფხულის წვიმა ისევ მასველებს,
ისევ ბიძკვეთა ალუჩამ კბილი.

ისევ ძროხები მიდიან ნელა
ვიწროთ ამოჭრილ სოფლის შარაზე,
და შუის ჩასვლამდე თოხები ელავს
აბიბინებულ გლეხის ყანაზე.

მე ითქო ახლა ცქერა ამეცრა,
და გამოვფხიზლდი მძინარ გონებით...
ითქოს ამღერდენ ჩემში უეცრად
ანგელოზების ლეგიონები!

და მინდა დავთვრე უკანასკნელად,
ამ ულაჟვარდეს უძირო ზეცით!
მოვზილო ჭადი, როგორც რომ ძველად,
და ავაფიცხო შუა ცეცხლთან კეცით.

არა, არასდროს არ მელირსება
გადავიწყება შენი სიმწვანის!
ვხედავ — მარნები მაჭრით ივსება,
და ოქროთ ღელავს სიმწიფე ყანის.

ხელახლა სოფლის ვიწრო ბოგირზე
გააქვს ჭრიალი შუადამით ურემს,
და გლეხსაც სძინავს ყანის ნაპირზე,
როცა შუადღის მზე გადმოახურებს.

ქვეყანავ ჩემო, ზეცით ნაკურთხო,
უხვად მორწყულო მზითა და მთვარით!
მე უბინადრო, დავეძებ კუთხეს —
მომეცი შენთან თავშესაფარი!

ისევ შემიშვი ღარიბ ფაცხაში,
სადაც ქართულად აკვანს არწევენ;
მანახე შენი ზეცის კაშკაში,
მასმინე ხმები გულს რომ ანგრევენ.

რომ კიდევ ერთხელ დავიკაპიწო,
გადავირბინო შენი ნოხები,
რომ შიშველ ფეხებს მომაცხო მიწა,
ვიცნოსო კვამლი შენი ქოხების.

რომ ხელმეორეთ ვიგრძნო სინაზე
ჭალადიდის და ორპირის კუთხის,—
სადაც ჩანგლებით სოველ სილაზე
ამოათრევენ კუდებით ზუთხებს.

სადაც ტყეები, ჩამდგარი წყალში,
გარშემორტყმულან მალალ ისლებით,
და ზეცის კიდეს, გახვეულს ალში,
მძიმედ არხევენ ლურჯი ნისლები.

მოვსულვარ შენთან შერიგებული,
რომ გითხრა მაინც: „სიზმარი ახდა.
მე ვარ ბულბული ამღერებული,
ატირებული საყვარელ ბალთან!“

რომ გითხრა მაინც: „კიდევ ეს გული
სალამურივით მკერდში მიმღერის...
რომ ვარ ქართველი, ქართული რჯულის,
და მიყვარს შენი ქვიშა და მტვერიც!

და თუ მე დღემდე ბედს ვეჭიდები
სჩანს მშობელ ზეცის კურთხევა მიცავს...
მოვედი შენთან, რომ მორიდებით
კიდევ ვემთხვიო შენ წმინდა მიწას!

ე. პოლუმორდვინოვი.

ფიქრების შემოდგომა.

შენ, როგორც დობილი, ყოველდღე მნახულობ,
დალალულს, დალარულს მიხდება განაბვა; —
გავტეხავ ამ გულის კიდეს და სახურავს,
რათ მინდა თუ გრძნობა უსიტყვოდ დამაბავს.

ხო ცივა ქუჩაში, ქარი ხო დაჰქროდა,
ხო გაცარცულია სიმწვანე ხეხილის?
მითხარი, ეგ სითბო რამ შემოგაყოლა,
ან რატომ არა ხარ ვნებაგატეხილი.

ბინდისკენ ჩამოვფენ წამწამთა ბაირალს,
განთიადს ციდანვე მართმევენ ნისლები, —
ვინ დაჰკრავს სალხენათ გულია დაირას,
სად არის სიამე ღილებგადახსნილი?!.

მე ვიცი შენს მკერდზე თოვლები სდნებიან
და არა გჩვევია ფიქრების მონება,
რას ვაქნევ სიცოცხლეს ლამაზს და ვნებიანს,
თუ თვითონ სიცოცხლე მტრად არ მეყოლება?..

აქ მოდი, აქ მოდი, სულ ახლო, სულ ახლო,
მე ეს დედამიწა მეგონა უშენოდ,
მინდა გესაუბრო გულთბილს და გულახდილს,
დარდი და მოწყენა რომ გადავიშენო.

როდესაც მარტო ვარ, — უზომო წადილით,
ვშლი ბარათაშვილის მერანზე ოცნებას,
ის გადამაქროლებს ლაგამ წავარდნილი,
თავზე კი დაჰნათის ბედის საოცრება...

გონების კედლები ვერ გადავალოვიე,
რომ ავდევნებოდი ქუსლების ნაკვალევს,
გული კი ისევე სურვილებს აღვივებს,
გრძნობათა ალმური ისევე მაწვალებს...

დახოცილ ფიქრებში შუბლს ველარ ავზიდავ,
ყოველდღე ვბრუნდები სისხლიან ომიდან; —
ძვირფასო, მიდი და ძალიან კარგს იზამ,
ვისიმე ქვაგულს თუ საჩუქრათ მომიტან...

ვარლამ ჟურული

გზა მთაწმინდიდან-წიწამურამდე.

„მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოლიკამ მე გამათანასწორა თანამედროობასთან როგორც ადამიანი“.

ნიკოლოზ მიწიშვილი

არ ვიცი ბედი რად მემდურება,
არ ვიცი რისთვის მიკვდება გული:
მგონია თითქო — დრო მებურება,
დრო ნათელი და მზით გათანგული.

რადგან ცხოვრებით ნასროლ მახვილით
მზეც კი ეცემა ნათელ-ნადარი,
ვგრძნობ: წინაპართა სისხლის ძახილით
გზა გოლგოთამდე სათელი არი.

გულს რომ ასკდება ლექსების გროვა,
გული ღრიალებს შხამში ნამური:
შეიყეფს ღამე, — მთა-წმინდა მოვა,
როგორც ილია და წიწამური.

სად ყაზბეგების ქუხილის ხმაზე
შამილის ლანდი მთებში ყვიროდა,
დარიალიდან გატეხილ ხმალზე
საქართველოში ქვაც კი ტიროდა;

ეხლა დალმუის ჩრდილოელი ქარი,
ეხლა მთაწმინდას სიჩუმე მოსავს;
მე კი მგოსნებში როგორც აფთარი
თერგ-დალეულთა საფლავებს ვუნოსავ,

ჩემს გონებაში გრიგალი ბრუნავს,
მეც გრიგალში ვარ გადაკარგული;
ვგრძობ: არ შესტირის ტფილელის ზურნას,
ბარათაშვილის ფიქრთა სადგური.

ძველი დიდების დალუპულ ნავზე
დღეს ირაკლივით მტკვარი არ გმინავს,
მაგრამ მდუმარე მთაწმინდის თავზე
ხუთ ქიმიანი ვარსკვლავი ბრწყინავს.

დრო უკვე დადგა სევდის მთელელი,
დრომ კი მეგობრად მეც მიყოლია;
მთა ცრემლიანი ვით წერეთელი
სვამს ცა-ფირუზის მელანქოლიას.

თუ არ არინ ძველი მგოსნები,
როცა პოეტი დროსთან გმირობდა,
დღეს ხომ ბევრია ცის ნაოსნები
გაფრენილ ფიქრთა სანაპიროდან.

მაგრამ წინაპართ ლანდურ ჩვენებას
მეც თუ მივყვები მზის დაურვამდე,
სუნთქავს ჩონჩხების გამოჭენებას
გზა მთაწმინდიდან — წიწამურამდე.

სადაც სისხლიდან ქვათა გოდებით
სამშობლოს ცაზე ვარსკვლავი მიწვა, —
მტკვარ-დალეული გრიბოედოვი
გულში იხუტებს ილიას მიწას.

გულს რომ ამძიმებს ხავსი და ლოდი,
გულს რომ ეძახის ძვლების ნაცარი:
ლიაა ლამე, — გოლგოთად მოდის
მთა ჭავჭავაძის ცრემლით ნაცვარი.

ლირიულ მუზას დრო თუ ველარ ჰკლავს,
ეხლა ამ ტკივილს რომ გაჰკრა ფანდი:
დიდუბიდანაც მოარბევს საფლავს
ფეხმოტეხილი პოეტის ლანდი.

ყელს თუ მოასკდა სამართებელი
ვინ შემახვედრებს სიცოცხლის მომგონს!
დე, მარტო ვიყო—უცხო ქართველი,
დე, გულს ვასმევდე სისხლს და მონოლოგს.

რომ ამ ცხოვრებას ბრძოლა რგებია
ეხლა მეცა ვარ ბრძოლების მდომი;
მოვარდნილ გრიგალს შერიგებია
დარიალიდან დაჭრილი ლომი.

გული თუ რეკავს, როგორც საათი,
გული თუ გამტყდარ ბედის მდურია
დროდან გაქცეულ პოეტისათვის
საქართველოც კი-წიწამურია.

ვარლამ რუხაძე

მიწის ძვრა

ო, დედამიწა არის უგულო,
ბევრს სულს ატირებს ტანჯვის მიტანით:
არ ელი უცებ დაიგუგუნებს
და ამოსკდება ძალა ტიტანი!

არის შემთხვევა ერთი ან ორი?
სად არ დაირწო — ოლვევის აკვანი!
იაპონია, ეტნა, თუ გორი,
და ახლა კიდევ — ლენინაკანი!

ო, დედამიწა არის უგულო,
არ იცის ნდობა და არც გატანა:
არ ელი, უცებ დაიგუგუნებს,
და ნგრევის გრიგალს ტყორცნის სატანა!

ტიციან ტაბიძე

ილაიალი.

ალი არსენიშვილს

სკიფიაში ვარ... ქიმერიის მწუხრით დამწვარი
ალი ძვირფასო: მე შენი ხმით ვკითხულობ პუშკინს
ბახჩისარაის შადრევანის მასველებს ღვარი
ძველ შადრევანებს ატირებას არავინ უშლის!..
და ვეკითხები ამ დაბურულ სკვითების ღამეს
რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა და გატაცება?..
ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალლამით
და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება...
მალე ტფილისში, როგორც წინათ ვაჟა-ფშაველა,
მე ჩამოვიტან ხურჯინებით დაწერილ ლექსებს,
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს მაინც ნაღველი,
ასე უჩემოთ სასიკვდილოთ რომ გამილესეს...
და გეფიცები მეც ოვიდის დამწუხრებულ ლანდს,
რომ ძველებურზე სიყვარულით უფრო ვარ ახლო,
ვოცნებობ შენთან რუსთაველზე ტირილით გავლას,
დავიწყებული სტროიქონები, რომ განვიახლოთ!..
ვიგონებ იმ დროს, როცა შევხვდით მართლა ლოენგრინს,
თეთრი ვაშლის ხე, თეთრ ხიდეზე მოცურდი გედით.
გიგონებ რაინდს. სამუდამო ლექსით დაბეგრილს,
რომ გათენებას ქუთაისშიც ველარ ვიგებდით...
ვიგონებ ტფილისს რძიან დილით და ვარდისუბანს,
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს, ილაიალის
და საიათნოვას სიმღერებით აყვანილ დუქანს,
ალი ძვირფასო, დაგრჩა რამე იმ ცეცხლის ალის?..
ბუენოს აირეს, ალეხანდრო და კასტილია,
თეთრი საბნებით თავწაკრული მალაელები.
იმ მტანჯველ დღეთა პანაშვიდი გადახდილია
საბანეევას უნაზეს ხმით ნამტირალები...

თვრამეტი წელი, დასაწვავი თვრამეტი წელი
ჩვენ გუსარები — გაფრენილი ჰოლანდიელი,
მომტირის გული, სასიკვდილე, გული ალალი,
ციცინათელათ გადამდნარი და ილაიალი!..
თითქო გუგუნებს ამალამაც დავითის ზარი
და ეს სკითია სიზმარია — მარტო სიზმარი...

ოლპირის ღამე.

არ გაუვლია თითქო ამ ოც წელს.
ეზოში ვწევარ ბავში უძრავათ;
ვიგონებ ყრმობას მე წარუხოცელს
ჯერ ცხოვრებისგან გაუკაწრავად.
მზეს მოიტაცებს ჭალადიდის ტბა.
საბაოფვითა სდგას ნაქერალა;
ლაგესიზმრება თამარის კაბა.
ათ წელზე მეტი რომ ნაკერალა.
ჰე ვინ მალირსებს რუსთაველის სახელს.
მაგრამ ოცნება მაინც ტკბილია;
გიყვარს ნეშოში თვალს რომ გაახელ,
და ნეშო ქალზე უფრო თბილია.
მტანჯავი არის ზეცის სიმაღლე
და ვარსკვლავების ცივი კრიალი;
დღეს ლექსს თან ახლავს სიმამაძაღლე.
მე ძველი დამრჩა გულის ფრიალი.
და რაც უბრალოთ იტყვი ამაზე,
უფრო მეტია გულში სიამე.
ვაშლის გაშლილი ხის სილამაზე
ტანზე გასკდება აპრილის ღამე.
ცა წითელია და რქა ნაყარი,
ამალამ ზენა ამოვა ქარი...

გ. ქუჩიშვილი

ოქრი ლექსი

1. აბასთუმანს

გესალმებით: აბასთუმნის მთებო,
არაწინდოვ, აზიდულო ცაში;
თავ-ჩუჭუჭა ფიჭვის გუმბათებო,
დაკოცნილნო მზის სიცილ-კაშკაშით!
გესალმები შენც თამარის ციხევ,
მატიანევ მრავალ წარსულ დროთა;
თეთრ სუდარათ გარს ნისლებს რომ იხვევ,
შენთან ხომ არ განისვენებს შოთა?
ეჰ, რას ვროშავ!.. განცხრით წინაპრებო,
დაფერფლილნო მშობლიურ მიწაში.
ზეკარისკენ, ჩემო სიმღერებო!
ტყის ფოთლებო, ტაში-ტუში-ტაში!

2. ინგლისს

ინგლისო, შენი მუშათა ჯარი
მალაროებს რომ უბღვერის ცერათ, —
რაც იყო გუშინ, ის ალარ არი,
ალარც დარჩება ცხოვრების გერათ!
მილიონიან გაფიცულ მკლავებს
ალარ დაუშვებს უსისხლოთ დაბლა, —
ვიდრე მდიდრებს არ დაასაფლავებს
და მათს დამქაშებს არ დასცემს დაშბლას!
არც შერიგება და არც დათმობა,
სამოქალაქო გაჩაღდეს ომი,
ვიდრე გრიალით არ დაემხობა
ლორდთა სამეფო, ვით ძველი რომი!

სანდრო შანშიაშვილი

ქაჯი

გიოტესი

ვინ მოჰქრის ქარბუქში, ვინ იკვლევს გზას?
ბნელ ღამით ტყეღრეში არ ზოგავს თავს!
მამაა, მხედარი, იხუტებს ბავშს:

— შვილო! რად ჰკანკალებ? რას უკრთი, რას?
— ვერ იცან, მამილო? ვერ ჰხედავ ქაჯს?
კუდიანს გვირგვინი ადგია თავს.
— შვილო! ის ნისლია, შორს მიაქვს ქარს.
— წამომყე, ბიჭიკო, გიჩვენებ ბალს,
თამაშას გასწავლი სხვა და სხვა გვარს.
მდინარის ნაპირზე მოგიკრეფ ვარდს,
და დედაც ზიზიებს ჩაგაცმევს კარგს.
—მამილო! არ გესმის? მპირდება ბევრს!
— იყუჩე, გენაცვა! ქარი ჰქრის ეს!
ფოთოლი შრიალებს ძირს სცვივა ხეს.
—პაწიავ, არა გსურს მოხვიდე დღეს?
შენს ტოლებს გოგონებს ჩაჰკიდებ ხელს,
ფერხულსაც იცეკვებ, გაავლებ წრეს.
ძილისპირს გიმღერენ, ნანინას ნელს.
— მამილო! ვერ ჰხედავ იმ ადგილს ბნელს
ქაჯეთის ქალები მიქნევენ ხელს.
— შვილო! ის ტირიფი მოთეთრო სჩანს,
ტოტი რომ ქანაობს, ატყუებს თვალს!

— მოგვწონხარ, პაწიავ! ნუ ჰმალავ თავს!
თუ ნებით არ მოხვალ, შეგამთხვევთ ავს!
— მამილო! ტყის ქაჯი ჩვენ უკან გვდევს!
აჩქარდი! მიტაცებს, არ მიშვებს ხელს!

მხედარი ისწრაფვის, ამოკლებს გზას,
შემკრთალი მოადგა თვის ეზოკარს
და შვილსა პაწიას დასტირის მკვდარს!

ნოე ჩხიკვაძე

შრომის ფსალმუნი

(დაუმთავრებელი ლექსი).

მე მონა ვიყავ ურწმუნო, უგრძნობი სიყვარულისა,
ალარ მინათდა მზე-მთვარე, სიტურფე გაზაფხულისა,
ოავს დამკიოდა აჩრდილი შავ-ბნელი აღსასრულისა:
შენ მომივლინე სიამე და უკვდავება სულისა!

მე მწირი ვიყავ, ყარიბი,საწუთრო შეუცნობელი,
სიყრმიდან-სიჭაბუკემდე მუხანათ ბედის მგმობელი,
არ მრწამდა თავისუფლება, სიცოცხლე დამატკბობელი.
შენ დამანახვე სინათლე და შემაყვარე სოფელი!

მე გიჟი ვიყავ, ეული, მოძულე ყველაფერისა,
ყოველგან მეჩვენებოდა სიავე, სახე მტერისა,
წინ მიმიძღოდა წყვდიადი, არარაობა წერისა;
შენ დამიბრუნე გონება და კილო ციურ მღერისა!

მე გლახა ვიყავ, ვცოცხლობდი კეთილთა ნამოწყალითა,
მენატრებოდა ყოველი, რასაც ვხედავდი თვალითა,
უგულო მიწას ვალობდი ცრემლითა შესაბრალითა:
შენ განმიკურნე არსება და აღმადგინე ძალითა!

ახლა გულ-წმინდათ ვლოცულობ, დავეძებ სათნოებასა,
სიცოცხლეს ვუკმევ გუნდრუკათ საქვეყნო მიზან-მცნებასა,
აღვახვენ სულის ტაძარი, ვასრულებ შენსა ნებასა.
ვინა ხარ გულის-უფალო? ვინ ავლენ უკვდავებასა?!

გრიგოლ ცეცხლაძე

საიდუმლო ბარათი

ნუ გადააგდებ ამ ბარათს სანამ
არ წაიკითხავ მაინც ბოლომდე.
ჩემი ამბავი იცის ქვეყანამ,
მეც მომეწყინა ცრემლებით ვგლოვდე.

ნუ შეიჭმუხნი მრისხანედ წარბებს,
შენ არ გიხდება ეს გაჯავრება.
გეყოფა:
ნიშნი მოუგოთ ხარბებს,
ჩვენ უნდა გავხდეთ თანამგზავრებათ.

რაინდის ძალას კი არ ვიჩემებ,
ვარ, როგორც სხვები, კაცი უბრალო,
მაგრამ შენს ტრფობას ვერავინ ჩემებრ
ვერ შესძლებს ქალო!...

პატარა ბავშვებს მე თითქოს ვხედავ,
ქალს ჰქვია ნუნუ და ვაჟსა — რამა,
შენ — ჩინებული ქართველი დედა,
მე-სიხარულით ალსავსე მამა.

ჩემს ფერად ლექსებს კითხულობს ქალი
და გაცქერდება თვალებში ხარბათ.
გოგონა ფიქრობს, გულის ფართქალით:
— ძეც ასეთ წიგნებს მიძღვნიან ალბათ.

ჩვენი ბიჭუნა პიონერია,
დაუდეგარ ცელქს, შეჰყრია სურდო,
ბურჟუაზიის დიდი მტერია,
სურს დაარბიოს იმათი ურდო...

და მეზობლები მოდიან ჩვენთან,
ძაინც იჭვს მიძრავს მათი ამბორი,
მე უკვრო მიყვარს როცა ბავშვებთან
ერის ბებია
და ვართ ჩვენ ორნი.

ნუ ჩამომართმევ პურძვიროობაში, —
ჩვენს კარგ მეგობრებს მოვიწვევ ხშირად.
და შევეცდები, რომ ევროპაშიც
გაგასეირნო სადმე ზღვისპირად.

ნუ შეიჭმუხნი მრისხანედ წარბებს,
შენ არ გიხდება ეგ მრისხანება.
ბედი მე ასეთ სიზმრებს მახარბებს, —
ნუ თუ სიზმრისაც არა მაქვს ნება!?..

1926 წ. 28/VIII

ალექსანდრ პუშკინ.

ევგენი ონეგინი

თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა.

თავი პირველი.

I

„დარბაისელად ცნობილ ჩემს ბიძას
ავადმყოფობა როს შეეჩვია,
პატივისცემას მოითხოვს დიდძალს,
უკეთ ვერ იქმდა რალა ეჭვია.
ეს მაგალითი სხვათა მწვრთნელია!..
მაგრამ ო, ღმერთო რა რიგ ძნელია
ავადმყოფს უჯდე დღითა და ღამით,
ვერ სცილდებოდე ვერც ერთი წამით!
ცბიერებაა რა რიგ მდაბალი:
მომაკვდავისა იყო შემქცევი,
როცა ალერსით თითქოს ექცევი,
მწუხარებითაც მიგაქვს წამალი,
მობეზრებული გულში ფიქრობ კი:
როდის წაგიღებს ნეტა ეშმაკი!"

II

ასე ფიქრობდა ყმაწვილურ ვნებით,
ეტლი სიჩქარით მიჰქროდა ვიდრე,
დიდი ზევსისა უმაღლეს ნებით,
თვის წინაპართა პირმშო მემკვიდრე.
მკითხველთ ლიუდმილა და რუსლანისა,
გაგაცნოთ გმირი ამ რომანისა,

თუმც ნაჩქარევი საქმე იქნება,
უწინასიტყვოთ მომეცით ნება:
ონეგინ ჩემი ძმა-მეგობარი
იყო მდინარე-ნევასპირელი,
სადაც იქნება თქვენაც პირველათ
იხილეთ მზე და გიყვარდათ ბარი!
მეც იქ ვცხოვრობდი იყო დრო ერთი:
მაგრამ ძლიერ მწყენს მე ჩრდილოეთი.

III

მამა იმისი კეთილშობილად
მსახურობდა და ცხოვრობდა ვალით;
მართავდა ბალებს სამხელ წლიურად
მიტომ ქონებაც გაფლანგა მალე.
ევგენის ბედი ჰფარვიდა მუდამ
თავს ევლებოდა პირველად Madame,
შემდეგ Monsieur მას შეეცვალა.
ყმაწვილი იყო ცელქი, თვალ-თვალა.
Monsieur l' Abbè, ფრანგი საწყალი,
ბავშვს არ ატანდა არასდროს ძალას,
თამაშთან ერთად აწვდიდა სწავლას:
არ აბეზრებდა თავს მ'მრალ მორალით,
ცელქობისათვის ოდნავ ჰკიცხავდა
და სასეირნოდ ბაღში დაჰყავდა.

IV

როცა მშფოთვარე ახალგაზრდობის
ჩვენსა ევგენის ეწვია ხანა,
ხანა იმედის და ნაზ მოწყენის,
Monsieur გააგდეს სწრაფ სახლიდანა
ჰა ონეგინი თავის ნებაზე,
თმა შეკრეჭილი ახალ მოდაზე,

ჩაცმული როგორც დენდი ლონდონის
ხალხში ამაყად გამოვიდა ის.
გაუჭირვებლად ფრანგულ ენაზე
ევგენი სწერდა და საუბრობდა
მაზურკას კოხტად ის თამაშობდა
და მისალმება იცოდა ნაზი.
სხვა რაღა გინდათ? გონება მჭრელი, —
სთქვეს — ჭკვიანია და საყვარელი.

V

ჩვენც გვისწავლია ცოტა რაღაცა,
როგორმე მაინც და ასე ვგონებ,
რომ ნასწავლობით, მადლობა ზეცას,
თავს ჩვენ ვერავინ ვერ მოგვაწონებს.
ევგენი იყო ბევრების აზრით
(მსაჯულთ, რომელნიც სჭრიან სწორ ხაზით),
ნასწავლი ვაჟი, მაგრამ პედანტი
და ბედნიერი ჰქონდა ტალანტი:
მას საუბარში სხვები ვერ სჯობდენ,
შეეხებოდა ყველაფერს ოდნავ,
მაგრამ ის სდუმდა ვით დიდი მცოდნე
სერიოზულად როცა მსჯელობდენ;
წაუკითხავდა მჭრელ ეპიგრამებს
და აცინებდა მშვენიერ დამებს.

VI

დღეს ლათინური უარყო მოდამ,
მაგრამ რომ გითხრათ მართალი სიტყვა,
კარგათ მეეძლი ისე იცოდა,
ეპიგრაფები რომ წაეკითხა.
ეხსენებინა იუვენალი,
წერილის ბოლოს დაესვა vale,

თანაც ახსოვდა, თუმც კარგათ არა,
ენციდიდან ლექსი პატარა.
ის არასოდეს თავგამოდებით
ძველ ისტორიებს გულს არ აკლავდა,
ქრონოლოგიურ მტვერს არ ყლაპავდა;
მაგრამ წარსულის ანეკდოტები,
რომელის დროდან ვინც რამ შესცოდა,
მან, ჩინებულად ყველა იცოდა.

VII

რადგან არ სწვავდა მადლი ცისაგან
ლექსისთვის ტანჯვა რომ განეცადა,
იამბიკონი ხორეისაგან
ვერ გაარჩია თუმცა ეცადა.
ლანძღავდა გომერს და ფეორიტსა,
.სამაგიეროდ აქებდა სმიტსა.
ეკონომისტი იყო ულრმესი
ესე იგი მან იცოდა წესი:
სახელმწიფოსთვის რა არის კარგი,
რითი იცხოვრებს, რით გამდიდრდება
და ოქროები რად არ სჭირდება,
ნედლის მასალის თუ აქვს მარაგი.
მამამ ჭკვა ვერ სცნო მის ლაპარაკში
და აგირავა მიწები ბანკში.

VIII

სხვა ყველაფერის რაც კვლავ იცოდა
თავს არ მოგაწყენთ გძელი მოთხრობით,
მაგრამ რისთვისაც მუდამ იწოდა,
აღტაცებული მღელვარე გრძნობით,
რაც იყო მისი სული და გული,
შრომა, წამება და სიხარული,

სიწარმაცეს და მოწყენილობას,
რომ აშორებდა მკრთალ უნდილობას,
მეცნიერება იყო რჩეული:
ტრფობა, რომელზეც ნაზონმა სწერა,
რისთვისაც ბედი გადაიმტერა.
და საუკუნე აჯანყებული
მან გაატარა სამშობლოს გარედ,
იტალიაზე რომ სწუხდა მწარედ.

X

ადრე დაიწყო მან პირფეროობა,
იჭვიანობა, ფარვა იმედის,
გადაჯერება და დაჯერება,
განგებ შოლუშვა კვლავ მეტის-მეტი.
ხან იყო ყიფი, ხან თავდახრილი,
ხანაც ბეჯითი, ხანაც გულგრილი!
ხან მუნჯი იყო, არაფრის მთქმელი.
ხან ორატორი ცეცხლის მფრქვეველი.
დაუდევარად იცოდა წერა.
თავდავიწყებით როცა უყვარდა
და ალარავინ სურდა მის გარდა.
მისი სწრაფი და სათუთი მზერა
იყო მორცხვი და თავხედი ძალზე,
ხან კი ცრემლები ეკიდა თვალზე.

XI

ეხერხებოდა ფერისცვალება
და გაკვირვება გამოუცდელის,
უიმედობის შიშით წვალება,
ქათინაური თვალმაქცი მტრელი.
იცოდა კარგათ დროის შერჩევა,
გულუბრყვილობა იჭვში რომ შევა.

დაარწმუნებდა ენით ნალესით,
რომ დამტკბარიყო შემდეგ ალერსით
გაუცხადებდა გრძნობებს ახდილად,
თუ რა-რიგ წვავდა ალი ტრფიალის,
რომ გულისცემა გაეგო ქალის,
შემდეგ პაემანს უფრო ადვილად
დაუნიშნავდა. მარტოს ნახავდა, —
იქ კი გაკვეთილს წაუკითხავდა.

XII

მან მეტის-მეტად ადრე გაიგო
თვალმაქც ქალების მთელი ბუნება!
თუ მათი გული სურდა მოეგო
და მეტოქეთა განადგურება,
ის მიმართავდა დაცინვას მკვახეს,
გრძნეულ ხერხებით აბამდა მახეს;
მაგრამ ყოველთვის იმასთან ქმრები
იყვნენ ვით ძმები და მეგობრები:
ცნობილ ფობლასის ნამოწაფარი
მეუღლე იმას ეფერებოდა,
უნდო ბებერი თავს ევლებოდა,
დიდათ აქებდა რქოსანი ქმარი;
ყმაყოფილებით რომ არ ჰყავს ტოლი,
ოიმ უყვარს ჭამა, ძილი და ცოლი.

XII. XIV.

. . . . . .

XV

ხშირად როცა კვლავ იწვა ლოგინში,
შრავალ ბარათებს ის მიიღებდა:
— რა ამბავია? იწვევენ ლხინში?
— სამი ოჯახი მას ჰპატიჟებდა:

აქ დღეობაა, იქ არის ბალი,
საით წაიყვანს ნეტა ოლბალი?
ვისგან დაიწყებს საით იჩქარის?
ყველგან მიუსწრებს სულ ერთი არის.
ჯერ კი არ ფიქრობს ის არაფერზე,
და ფართე ქუდით á la Bolivar
ონეგინ მიდის ეხლა ბულვარში
და იქ სეირნობს სუფთა ჰაერზე,
სანამ ბრეგეტი ეტყვის ფხიზელი:
დროა მიირთვა სადილი ცხელი!

XVI

დალამდა სწრაფად მარხილით მიჰქრის
„ეი! აქეთ, აქეთ!“ — ისმის ძახილი;
და ივერცხლება ყინვისა ფიფქით
მისი ტოლომა ბეწვებ დახრილი.
Talon! — მან გასცა განკარგულება,
რომ კავერინი იქ ეგულება;
შეალო კარი სუფრა სალხინო,
მალალ ჭიქებში შუშხუნებს ღვინო.
მას დახვდა rost-beef სუფრაზე მზადა,
რჩეულ კერძებით სხვა ლამბაქები,
ფრანგთ ქვეყანაში დიდათ ნაქები
და სასურველი სტრასბურგის ქადა,
ლიმბურგის ყველი ნელლი ხალასი
და ოქროსფერი კვლავ ანანასი.

XVII

მათ კიდევ უნდათ სმის გაგრძელება,
რადგან აწყურებს ძლიერ კატლეტი,
მაგრამ ბრეგეტის სცნეს გაფრთხილება
რომ დაიწყება მალე ბალეტი.

თეატრის ავი კანონმდებელი,
არაერთგული მალმერთებელი
თვალის წარმტაცი აქტრისებისა,
კვლავ მოჭალაქე კულისებისა,
ონეგინ მიჰქრის: ელის თეატრი
სადაც კრიტიკით ყველა ამეტებს
გააქვს ქუხილი აპლოდისმენტებს;
ეს სინჯავს ფედრას და კლეოპატრას,
ის მოინასთვის ცერებზე დგება,
რომ მიიქციოს მით ყურადღება.

XVIII

წარმტაცი მხარე! იქ ძველ დროებში,
სატირის მეფე, მწერალი ჟინით,
დ. ფონვიზინი იდგა ვით დროშა
და მიმბაძველი ი. კნიაჟინი.
იქ ოზეროვი ქება-დიდებას,
ხალხის ცრემლებსა და აღტაცებას
სემიონოვას უზიარებდა,
იქ კატენინიც კვლავ ნეტარებდა,
კორნელის ნიჭი რომ აღადგინა
და შახოვსკოიმ იქ მოათავსა
კომედიები გესლით აღსავსე;
იქ დიდლოსაც კი ერგო გვიროგვინი;
ო, იქ მეც ბევრი მახსოვს სიამე,
მეც კულისებში ვიყავ დღე-ღამე.

XIX

სატრფო ასულნო! სადა ხართ ნეტა,
ისმინეთ ჩემი ხმა სევდიანი:
ისევ ისა ხართ? თუ გაიმეტა
დრომ დასაჭკნობათ ვარდნი, იანი?

განა მოვისმენ კვალად თქვენს ხოროს,
ან დავინახავ რუს ტერპსიხორას,
რომ გადაიფრენს ჩემს წინ ვით ალი?
თუ ველარ ნახავს აწ ჩემი თვალი,
ნაცნობ სცენაზე. ნაცნობს სახეებს,
ავხედ-დავხედავ ლოჟებს და პარტერს,
ველარც მოყვარეს, მეგობარს ან მტერს,
ვერ ვნახავ რადგან შთაუნთქავს დღეებს;
დროსაც იქ ტკბილად ვერ გავატარებ,
ძველს მოვიგონებ და დავამთქნარებ?

XX

თეატრში ხალხი უკვე დამსხდარა,
კრთიან ლოჟები; ღელავს პარტერი,
მოუთმენლობას იჩენს ქანდარა
და შეარხია ფარდამ ჰაერი.
ბრწყინვალე როგორც ქალი ზღვის ქაფის,
მუდამ მორჩილი გრძნეულ მიზრაფის,
გარშემოცული ნიმფების რკალით
სდგას ისტომინა. ის ფეხით ცალით
ეყრდნობა ნოხს და ბრუნავს მეორე,
მთელი თეატრი წამს გაარინდა,
ძაგრამ ჰა. მოსწყდა და გადაფრინდა,
მოსწყდა ვით ბუმბლი ტუჩებს ეოლის.
შოლტაობს ტანი.ირხევა ტოკავს.
ხან შეხტება და ფეხს-ფეხს შემოკრავს.

XXI

ყველა ტაშს უკრავს. ლხენაა მეტი.
ონეგინ შედის: და მოკრძალებით,
ათვალიერებს ორმაგ ლორნეტით
ელვარე ლოჟებს უცნობ ქალების.

იარუსებსაც შეავლო თვალი,
მაგრამ არ მოსწონს არც ერთი ქალი,
არც მორთულობით, არც სილამაზით,
ირგვლივ ნაცნობებს დინჯად, თავაზით
მიესალმა და შემდეგ კი სცენას
უკმაყოფილოდ შეხედა მარა,
წამსვე მობრუნდა და დაამთქნარა.
და სთქვა: „საზღვარი აქვს ხოლმე თმენას;
ბალეტი უკვე მე ალარ მინდა,
დიდიხანია დიდლოც მომწყინდა“.

XXX

ახალგაზდური გულის მხნეობა
გასართობებში ბევრი ჩავკალი, —
რომ არ ვიცავდე, მაინც, ზნეობას,
მეყვარებოდა მე დღესაც ბალი.
მიყვარს ხალისი ნიალვარული
სინათლე ბევრი და სიხარული
ლამაზ ქალების, ლამაზათ მორთვა,
მათი ფეხები — მაგრამ ეჰ, რომ ვსთქვა
ჩვენს საშობლოში არა მგონია
თუნდ სამ წყვილ ფეხებს შევხვდეთ უზადოს.
ოჰ, მეგობრებო ვამბობ ვერასდროს
ვერ დავივიწყებ ორ ფეხს!... თუმც ღონე
დღეს მომიდუნდა — მახსოვს, მაწვალებს
და სიზმარშიაც გულს მიკანკალებს.

XXXI

როდის ან როგორ, რა უდაბნოში.
შეშლილო დათმობ საკრთოს გულისა?
ჰოი ფეხებო! ნეტავ დღეს ქოშით
სად სრესთ ყვავილებს გაზაფხულისა?

სათუთად ზრდილნო ალმოსავლეთის,
მოწყენილ თოვლზე ცივ ჩრდილოეთის,
არც ნატერფალი თქვენი არ რჩება;
მახსოვს გიყვარდათ რბილ ხალიჩების
მედიდური და ნაზი შეხება.
მავიწყდებოდა თქვენი სურვილით,
სახელისგანთქმის დიდი წყურვილი,
საშშობლოს ცა და გადასახლება.
ბედნიერების გაჰქრა აწ ძუქი,
ვით მოლზე თქვენი კვალი მსუმბუქი.

XXXII

ო, მეგობრებო, მშვენიერია,
დიანას მკერდი, სახე ფლორასი,
მაგრამ მე ვამბობ სხვა იერია,
რომ მიყვარს ფეხი ტერფსიხორასი.
იგი ანაზდათ მოხიბლულ თვალებს.
ფასდაუდებელსჰპირდება ლალებს.
და ალტაცებულ სურვილთა გუნდი
მისდევს; ვერ ეტყვი: კმარა დაბრუნდი!
მე მიყვარს იგი მზეო ელვინა,
ზამთარში როცა ბუხართან ვუმზერ,
გძელი სუფრის ქვეშ; და გაზაფხულზე
როცა ბალახი ჰკოცნის ბიბინა,
როცა ეხება პარკეტს პრიალას,
ან ზღვის პირებზე კლდეთა ფრიალოს.

XXXIII

გაავდრების წინ მახსოვს ტალღები,
მშურდა მე მათი ბედი და ბრძოლა,
წინ მიიწევდენ თავ-ხელალებით
და მის ფეხებთან სურდათ დაწოლა.

ტალღებთან ერთად რარიგ სიშმაგით,
ფეხს შევხებოდი მე მსურდა ბაგით!
ო, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში,
მე ჩემს მჩქეფარე ყმაწვილობაში,
არ მსურვებია ამოიგად მწარეთ,
ნორჩი არმიდას მეკოცნა პირი,
ან წამწამები: დანაკი ხშირი,
და ლალ-ლაწვები ვარდს რომ ხდის მდარეთ.
არა, არ მახსოვს მე ჩემი სული
ასეთის ვნებით შეშფოთებული.

XXXIV.

ავლავ სხვა დროების სჩანან ლანდები,
ოცნებავ ნაზი ფრთებით მეხები:
მარჯვედ მიჭირავს მე ავჟანდები
და ვგრძნობ ხელში მაქვს მისი ფეხები.
ისევ აანთო ცეცხლი ოცნებამ,
ისევ და ისევ მისმა შეხებამ,
ააჩქეფარა დამზრალი გული,
ისევ მოწყენა და სიყვარული...
ბევრი ილაყბა ჩონგურმა ვგონებ,
ეხლა დრო არის თავი ვანებოთ,
ისენი არ ლირს ამოდენ ვნებათ
და იმ ლექსებათ რომ შთაგვაგონეს;
ქალთა სიტყვა და თვალთა კამათი
მატყუარაა ვით ფეხი მათი.

ს. ჩიქოვანი

მიძღვნა ახალ პოეტებს.

ვით საყმაწვილო სენისაგან ჩვილი ბავშები,
ჩვენი გრძნობებიც გაყვითლდება ალბათ ოდესმე;
მოვა დროება ანგარიშთა გამოშიშვლების
და ორმაგობას ჩვენი თქმების ნიშანს დაუსვამს.
ტუჩზე ღიმილით ჩვენ შეხვედრებს მოიგონებენ,
ბრბოს ყიჟინამაც დაგვიფასოს იქნებ ნაშრომი.
მე თქვენში ვჩანდი ვით ხეებში სდგას მაგნოლია
მსურდა ლექსებით ტკივილების თავის მოშრობა.
მსმენია — სხვაიც გადმოევლოს ხორკლი სიმწარის
მისი აზრები მოსდებია ჩვენ ხალხს პარტახად;
უნახავს ძმების ერთმანეთში ხმლების ტრიალი
და ინტელექტი წისქვილის ბორბლით გადატეხილი.
და მას. ძირმაგარს. გადმომკვეთელს ოკიანების
ნევრასტენია ფეხის ძვლებში სწვავდა, მოხეტეს
დამწყები იყო ძარღვის ამშლელ აყიჟინების
მაგრამ შემდეგში
დროშკებიდან დამცინავათ გადმოუხედეს.
როცა მოვდივართ ამ ცხოვრების ნორჩი მგზავრები
და ხელებს ვრგავთ ხეებივით ცის ლაჟვარდებზე,
ვიგონებ მებრძოლს ცოდნითა და გზებით გამიზნულს
ეხლა მის აზრებს დაჟანგულს და უკვე ჭვარტლიანს.
ვაი თუ მიწამ ჩვენც ვერ გვიგრძნოს როგორც ღვიძლები
დაგვწამოს ხავსი უსიცოცხლო გარესკნელების.
და როცა ვხედავ ხალხს ყიჟინზე გამოღვიძებულს
ეგებ დაარქვან ჩვენ სიმღერას უკანასკნელი
და როს ხალხთან ვარ, მე პირის-პირ აყეფებული
გონების სილრმის და აზრების ვეძებ საწერელს —

გვირტყამს ტალღები ცხოვრებიდან დასალუპავად
მგოსნებს და ქარებს ამ პროსპექტზე აწრიალებულს.
მე მძიმე ვარ და სიზარმაცეს მოძულებული
თქვენმა შეხვედრამ მეგობრებო წამახალისა;
ცხოვრების ზღვაში თქვენ მისცურავთ კუნძულებივით
და ყოველ კუნძულს მე უგალობ ჩემს სიახლოვეს.
ვით საყმაწვილო სენისაგან ჩვილი ბავშები,
ჩვენი გრძნობებიც გაყვითლდება, ალბათ, ოდესმე;
მოვა დროება ხასიათის გამოშიშვლების
და ორმაგობას ჩვენი თქმების ნიშანს დაუსვამს.
სალამი თქვენდა სიყვარული დღის თაღებიდან
თქვენი მიზნები უნაყოფოთ არ გაჰქრებიან
ჩვენ მოვიტანოთ ხასიათების გასაღებები
და გავყვეთ შორს,
ჩვენ ხომალდებს ადამიანთა იალქნებიანს.
ცხოვრება არის საფეხურთა წყება მაღალი
და სურვილების მისაღწევად გზა ჯვარედინობს
და კიბეებზე ბევრი თუ სდგას უკვე დაღლილი
ჩვენ გულწრფელობით გამარჯვება დაგვეჯერება.

პრეზა

მიხეილ ჯავახიშვილი

ბოვანა

ხირჩლა დაღვრემილია. მოლზე ზის, ყალიავანს აბოლებს და გაღმა მთებს გასცქერის. მაგრამ თითქო ვერაფერს ჰხედავს: ვერც ოქროს ბაღეში გახვეულ ქედს, ვერც მოლურჯო ნისლში ჩაწოლილ ალაზნის ველს და ვერც უძირო, გამოშიგნულ ხევს, რომელიც გამბორის ფერდში ისე შეჭრილა, თითქო მისთვის მკლავი ამოუგდიათ.

იმ ხევიდან სოფლის ჭრელი საქონელი — დაჩითული ხარავანი ბღავილით ამოდის და მწვანე მოლზე ეფინება. აგერ, აგერ დათვიას ლეგა კუნტრუშით მორბის. უკან ჩოხაურის ლემანა მოსდევს. აი, ბაჯაურის ჩაკუტებულიც... აჰა, ძილუკას მჩირგავი ფურიც. მწყევსი აპარეკა კაუჭა კომბალით — ჩამახით დასდევს ფაშა ძროხას. მაგრამ დალმართზე ყირამალა გადადის. მხრებიდან ტყავის გუდაქინთი მოსწყდა და დაუგორდა. ხევსურები რახრახებენ. ხირჩლამ კი თითის სისქე წარბი ოდნავად არ აირხია.

დარდისგან ხელმარეულია ხირჩილა. დაღვრემილია ჯიხალაური.

მისი საქონელიც თავის გზით მოდის. ცურჩალხა ფურმა კუდი გაჰკრა. ხვედა ძალმა ხელი აულოკა. ლურჯა „კვიცმა“ ჭიხვინით ჩაურბინა. ღვინამ ყურში ჩაჰბლავლა. თავლორა ულაყმა ფრუტუნით და „თოლორიკით“ ამოირბინა, ხოლო ვეჟანა ხარმა ქვადქცეული პატრონი გაოცებით აათვალიერა, ამბავი გამოჰკითხა და, პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონაც დაღონდა და ბილიკისკენ წავიდა.

აგერ, ვაციც მოაბოტებს. „მანძილო ქეჩი— გლოვად შავი“—ისე მიუძღვის თხებსა და თიკნებს—„ცივად თეთრებს“ — თითქო სურს თავისი რაზმით იქაურობა გაიტანოს და მიანგრიოსო. მაგრამ ტუტუცი და ქარაფშუტა ბე-

ლადი დატაკების ნაცვლად წინა ფეხებით მორზე აბობღდა ხევსურს ყურში „მე-ე-ე“ ჩასჩხავლა და თავის ამალას ისე რიხითა და ზეიმით შეუძღვა ფარეხში.

ხირჩლა ჯიხალაური ჩამუქებულია, იმ ნისლივით დაღვრემილია, რომელიც „გლოვად შავი“ მანდილივით ეფინება გალმა მხარეს და გამოლმა ხევებსაც. მისმა „საყორელმა“ საქონელმა ბინდივით ჩამოუარა გვერდით თითქო ლანდებმა ჩაუგოგინეს მწუხრით სავსე „თოლებში“. გაუკვირდათ, რომ პატრონი ნაჩვევის ალერსითა და მოკითხვით არ დაუხვდათ. ეხლაც სდგანან ეზო-ფარეხში და გაოცებით გამოსცქერიან გახევებულ ხირჩლას, თანაც თითქოს ურთერთს ეჩურჩულებიან, ხევსურის დაღვრემის მიზეზს ეკითხებიანო.

ორი შვილი ჰყავს ხარჩლას: ოცდასამი წლის ვაჟი ძალიკა და თვრამეტი წლის ქალი კმარა. ხირჩლა თეთრ წყლებზე — გომბორზე მაშინ გადმოვიდა შატილიდან აგერ ამ აყლაყუდა მთიდან, როცა ძალიკა თავქარიან ბოჩოლასავით დარბოდა, ხოლო კმარა ჯერ ისევ ძუძუმწოვარა და პირყვითელა ბლარტი იყო.

რამდენი წელიწადი გავიდა მას აქეთ — აღარ ახსოვს ხირჩლას. ის კი ახსოვს, რომ მისმა „შავთოლა“ ტოლამხანაგმა ძილუკამ სწორედ წლისთავზე მიიძინა სამუდამო ძილით და ეხლაც აგერ იმ გორაკზე სძინავს შავი მიწის ქვეშ.

ცოლის სიკვდილის ბრალს ხირჩლა ეზიდება — დღესაც შავი ლოდივით მიათრევს.

ეხლაც აგონდება ქვრივ ხევსურს: ქალი რომ დაიბადა, უკვე გაწმენდილმა ძილუკამ ურჩია ქმარს: ამას კმარა დავარქვათ და ვიკმაროთო. ხირჩლა დასთანხმდა: ქალს კმარა დაარქვა, მაგრამ ძილუკას არ აკმარა. და გომბორზე რომ გადმოვიდნენ, მესამე შვილმა დედაც თან გაიყოლა.

ზამთარს გაზაფხული მოსდევდა, შემოდგომას ზაფხული მოუძღოდა, ხირჩლამ მეორე ცოლი აღარ მოიყვანა. ჯერ შავად გლოვობდა, მერე კი, დედამ — სანდუამ რომ აღარ მოასვენა, ქალის „დასალიშნად“ ბარისახოში ავიდა.

ეშმაკი მიუძღოდა წინ თუ სპარსანგელოზი — დღესაც არ იცის. ქალს წააწყდა ქალურს, ჯეირანივით მოსხლიტილს, წითელტუჩას და მაყვალთვალას. მაგრამ ქალთამზეს ქმარი ჰყავდა — გონჯი, სნეული, მომაკვდავი.

— დამაცა, ბეჩა, მახკვდების და... მერმ წამიყვანავ — ეუბნებოდა ხირჩლას ქალთამზე.

ხირჩლაც ნათესავთან ცხოვრობდა და იცდიდა.

სნეული კვდებოდა, მაგრამ არ მოკვდა. პირველი თოვლიც ჩამოწვა. ხირჩლას რომ კიდევ მოეცადნა, გომბორზე დატოვებულ ოჯახს ცხრა თვით მოსწყდებოდა.

— ქალთამზევ, წამად! — ეხვეწებოდა დაუქვრივებელ ქვრივს.

— დამაცა, ხირჩლავ, დამაცად. ჯერ არ დავქვრივებულვარ.

მაგრამ ხირჩლას აღარ შეეძლო მოცდა. მორბოდა თავდალმა და გულით მოჰქონდა ქალთამზეს სახე, მისი ლონიერი მკვლავების ლანდები და მტკიცე იმედი, რომ ზაფხულში ისევ დაბრუნდებოდა, ქალთამზეს ქურანაზე შესვამდა და თავის ქალ-ვაჟს ახალ დედას მოუყვანდა.

ეხლაც აგონდება ხირჩლას ის ცხრა თვე. ცხრა წელიწადივით რომ გაატარა გომბორზე ზაფხულის მოლოდინში. მერე, გზა რომ გაიხსნა, დამშეულ ვეფხვივით ავარდა ბარისახოში. ავარდა, მაგრამ... მომაკვდავი ქმარი ისევ კვდებოდა და ვერ მომკვდარიყო.

სანამ შემოდგომა მოვიდოდა, სამჯერ დაბრუნდა გომბორზე და სამჯერ კიდევ აიჭრა ბარისახოში. იქიდან რომ მესამეჯერ ბრუნდებოდა. მკერდამდე თოვლში იფლებოდა და ქარბუქისაგან იხრჩობოდა.

კიდევ გავიდა ცხრა თვე — ცხრა წელიწადივით მძიმე, წელი, უბოლო. მესამე ზაფხულს, გზა ჯერაც არ იყო გახსნილი, რომ ხირჩლამ ბობღვით ასერა ხევსურეთის მთები.

ბარისახოში ყოველივე თავის რიგზე იდგა და მიდიოდა. მხოლოდ გონჯი ქმარი აღარ იყო ამ ქვეყნად: შარშან ზამთრის პირზე, გომბორისკენ მომავალი ხირჩლა რომ ქარ-

ბუქში იხრჩობოდა, ის სნეულიც სწორედ იმ დღეს გადიოდა ამ ქვეყნიდან.

მაგრამ ალარც ქალთამზე სჩანდა ბარისახოში. ვილაც კეფხვია ხირჩლაზე ადრე აჩოჩებულიყო იმ სოფელში და ახალგაზრდა ქვრივი სადღაც შორს წაეყვანა თუ მოეტაცნა.

ხირჩლა იმავე დღეს გამობრუნდა. ისევ მკერდამდე იფლებოდა თოვლში, კვლავ ქარბუქით იხრჩობოდა. თან მოჰქონდა იმ თოვლივით გაცივებული გული და ქარბუქივით შმაგი გრიგალი.

სხვა ქალი ალარ მიიკარა, ზედაც ალარ შეჰხედა. ამასობაში, სანამ მკერდში ქარბუქი ჩაუნელდებოდა და გულიც მოუთბებოდა, ქალ-ვაჟიც წამოეზარდნენ.

ზამთარ-ზაფხული დინჯად ამოდიოდა გომბორის ქედზე და მშვიდად ჩადიოდა უკუნეთში. თითქოს არაფერი იცვლებოდა გომბორზე — გარდა ხირჩლას დოვლათისა, რომელიც თავისთავად ინაგრებოდა, შენდებოდა, ფუვდებოდა.

მსუყე ოჯახი ჰქონდა ხევსურს — თავის საქონელსავით ნასუქი, ჩაკიტრებული და გაგუდული. იალაღი—მსუქანი, კანძი — გაბერილი, აკაზმულობა — ნაქები, უნაგირი — ოზბეგური, საცხენე — სავსე, ქვაბ-ტაგანი — სპილენძისა,წველა-დღვება — ვითარცა ღვარი, ხოლო ფური, შიშაგი, ჭოჭყი და ცხენი მუდამ ნაურვალი, გამსუქარი და ნარჩევი მოდგმისა.

ხირჩლას საქონელი სხვებსავით არ გამოფერდილა, იმის ცხენებს არც თურქული შეჰყრიათ, არც უქეროობისაგან დამალი ჩამოჰსვლიათ.

გომბორელი ჯიხალაურის დამლას შირაქშიც სცნობენ და მულანლოელი თათრებიც დაეძებენ.. იმის ცხვარს არც ყარაო, არც ჩიჩხარი, არც სხვა რამ სენი არა სცნობია.

მადლობა უფალსა! დოვლათიც მისცა ხევსურსა და არც ყარაო, არც ჩიჩხარი, არც სხვა რამ სენი სცნობია.

* * *

რალა მაგრამ, — იღუპება ხირჩლა ჯიხალაური! ასე ყოფილა ეს ქვეყანა მომართული: ვისაც მრავალი ებოძე-

ბის, იმას ერთი პაწაწა ფათერაკიც თან მიჰყვების. მერე ის პაწაწკინტელა ეშმა გაიზრდების და ისე გაიბერების, რომ იმ სოფელშიც ველარ დაეტევის, ვეება დოვლათი კი ისე დაილევის, რომ ნემსის ყუნწშიც ადვილად გაძვრების.

ჯერ-ჯეროობით არა უშავს-რა ხევსურის ნაამაგარს. მაგრამ ეხლავე ცხადია მისი მომავალიც. უკვე შეუჩნდა შხამიანი ჭია — აგერ ის ჭია, ნელცოფა, მორიელი, აგერ ის ძალიკა, ხირჩლას შვილი, აგერ, ფარეხთან რომ დაეხეტება, ურცხვად რომ ჭიხვინებს, ჩობნებს ელანზღანდარება და ჯიხალაურის „გორს" მთელ გომბორზე თავსა სჭრის.

როდის გადაიქცა ძალიკა მორიელად, ნელცოფად, ობობად, — აბა რა იცის ხირჩლამ! ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად. მერე სამხედრო ბეგრის მოსახდელად წავიდა და როცა დაბრუნდა, მამამ თავის სახლში შვილის მაგიერ ოცფეხიანი მორიელი აღმოაჩინა.

ეხლაც აგონდება შატილიდან წამოსულს: ქალაქიდან ძალიკას მაგივრად თითქო უცხო ვინმე მოვიდაო: ლაზღანდარა, თავლორა, მოუხეშავი, ურჩი, კანდიერი და ულაგმო.

და თავისუფლად ააყირავა იქაურობა. აღარც მაძახურა სწამს, არც ოჩოპინტე, არც მეჯალაფე. ეს კიდევ არაფერი. ბარმა ბევრი რამ დაავიწყებინა გომბორელ ხევსურებს. გულში ეშმებისა და კუდიანებისა აღარც ხირჩლას სჯერა, თუმცა სახალხოდ ამას არ ამბობს და ვერც იტყვის. მაგრამ ძალიკა ხევის ბერსაც კი ეურჩება, ეკამათება, დასცინის, სახელს უტეხავს და პატივს უქარწყლებს.

— აჰუ, ხირჩლავ, — უთხრა ხევისბერმა, — წყალს წაულივის შენი კაცობაი, წყალსა!

— ჰაი-ჰაი, წაულივის! — დაეთანხმა ჯიხალაური.

ხევსურული ნირი აღარა აქვს ძალიკას, ნირი! როცა გომბორელები ძველის-ძველ ადათებს ასრულებდნენ — წელიწად-წუხრას, მგელთ-უქმს, სულთაკრეფას ან კუდიანთ წუხრას, ძალიკა უშნოდ იკრიჭებოდა

უაღრესს გაჰკიოდა, ხალხის წმინდანებს მასხარად იგდებდა.

— ხირჩლავ, ლაგამ ამასდევ ძალიკასა, თვარემ... — ურჩია გაგამ.

ხირჩლამ რამდენჯერმე ამოსდო ლაგამი, მაგრამ ამის გამო მამა-შვილმა ერთმანეთი უარესად შეიძულეს.

— ლავი თუ აქვს. შაულოცოთ, — ურჩია ხევისბერმა. შეულოცეს. მაგრამ ძალიკამ თილისმა მოიგლიჯა და სიცილით გადააგდო.

მამამ ასახელებული მოზვერი დაუკლა ხატს და შვილს თავი შაავედრა. არც ამან უშველა.

— ნეტა ვის მოდგმაი აქვს ა უბედურს? — იტყოდა ხოლმე ხირჩლა. — მე არ ორავ ასეთი და არც დედა ჰყოლია ლავიანი.

— ნაგალია, გამოჭმულია. — ამბობდნენ მეზობლები. და ისე ერიდებოდნენ, თითქო ძალიკა მართლა ჭირიანი ყოფილიყო.

ქალებიც გაურბიან ძალიკას. თვალადია, დოვლათიანია, მაგრამ სახელგატეხილია. მთელი სოფელი გადაიმტერა. მარტო დაჰ კმარა ესარჩლება.

მამა-შვილი რომ შაიბმებიან ხოლმე, კმარა სადმე კუთხეში აიბუზება და სტირის. ან რა საკვირველია — უყვართ ერთმანეთი დაჰ-ძმას. რაც უნდა იყოს, მაინც ღვიძლები არიან. ზოგჯერ სადმე განაპირდებიან და ღუღუნებენ.

აი, ეხლაც... აგერ... ყრუ სანდუა ბურღულს ხარშავს. კმარა ძროხებს სწველავს. ძალიკა კი ლეკვივით დასდევს, ლაზღანდარობს და ხელს უშლის.

პატარა ჩობანმაც კი ორჯერ გაავსო საწველელი, პატრონი კი ხელუქმად დაბორიალებს.

— ზანტია, ზანტი! გაიფიქრა ხირჩლამ და წამოდგა. წამოდგა.

გაახსენდა მეზობლების დარიგება: ცოლი შერთე, დადინჯდებაო. რჩევა ჭკუაში დაუჯდა. თვითონაც რამდენჯერმე მოუვიდა ასეთივე აზრი, მაგრამ ძალიკას ჯერ არაფერი უთხრა. ეხლა კი დროა გაახსენოს.

სანდუ — დედა მისი — ძალიან დაბერდა და დაყრუვდა. კმარასაც დრო მოუვიდა. მთხოვნელებიც ჰყავდნენ, მაგრამ ხირჩლამ გადაადებინა. მაშინ ძალიკა ქალაქში იყო. ქალი რომ გაეთხოვნა, სახლში ალარავინ დარჩებოდა. ეხლა კი კმარას გაათხოვებს და სამაგიეროდ სძალს მოიყვანს. ძალიკას რომ ცოლი ჩამოეკიდება კისერზე და წვრილშვილი შამოეხვევა, თავიდან ქარს მოიშორებს და დაწყნარდება, რა თქმა უნდა, დაწყნარდება!

— აგრე! — დაიდასტურა ნააზრევი და ჩობანს გადასძახა:

— ტიკლიკავ, დუშაკი აჰყარე ზერდაგსა.

ბიჭმა ბაჭკოიანი ნაბადი მოიძრო და ოქროსფერ ცხენს ბორკილი გაუხსნა, მერე ჭრელი ყაჯარი გადააფარა, ბოძზე მიაბა.

ხირჩლამ ძალიკასთვის გაზარდა ეს „კიცვი“. კმარამ ლამაზი ყაჯარი მოუქსოვა. ცხენია ცხენური. ამას წინათ თელავიდან თორმეტი ცხენოსანი მოდიოდა. გზაში ცხენები შეაჯიბრეს. ხირჩლა მძიმე კაცია, მისი ზერდაგი კი მჩატე მოსჩანს. გამოუტიეს შარა გზაზე. მისმა ზერდაგმა თერთმეტივე ცხენი უკან დაჰყარა და „დოლვი“ აიღო. ძალიკა კი ასეთ ცხენს არ უვლის!

— ნაგალია, ნაგალი!

* * *

საქონელი დააბინავეს, ნაწველი შინ შეიტანეს და თვითონაც შევიდნენ.

ხირჩლა რომ შედიოდა ბნელ ოთახში, კარი ძლივს შეაღო: კარის უკან და-ძმის ბღლარძუნი და ჩურჩული მოისმა:

— მამა მოდის... გეყოფის, ძალიკავ, გეყოფის.— გაიფრთხილა ძმა კმარამ და გაუსხლტა.

ისევ! ძალიკა ველარც თვითონ ისვენებს და არც ქალს ასვენებს! მართალია, და-ძმანი არიან, ზოგჯერ ხუმრობაც შეჰშვენით, მაგრამ ასე ხშირად ლეკვებიც არ ანცობენ და კატებიც არ ელამუნებიან ერთმანეთს.

ხირჩლამ პირი დააღო შესატევად, მაგრამ თავი შეიმაგრა. საჭირო აღარ არის დატუქსვა. ეხლავე მოელაპარაკება. მოკლე ვადას მისცემს. თუ ძალიკამ თვითონვე მოსძებნა საცოლე — ხომ კარგი; თუ არა და — ხირჩლა თვითონ უპოვნის შესაფერ ქმარს და „დალიშნავს“.

ჭრაქმა შეტუსული ოთახი თითქო უარესად ჩააბნელა. ყველანი ჰფუსფუსებენ, დღის საქმეს ამთავრებენ. მხოლოდ ხირჩლა ზის ცეცხლთან და ისევ ყალიონს სწუწნის.

ვერავინ ჰბედავს სიჩუმის დაფრთხობას. ხირჩლა შესავალ სიტყვას ეძებს, მაგრამ ვერ ჰპოულობს. ყრუ სანდუა ვახშამს ამზადებს. კმარა ჭოჭინაზე შემდგარ სადღვებელს არწევს. კარებთან ძალები შრატს სთვლეფენ. დარაბების უკან ცხენი ფრუტუნებს. ფური იკევნება. ძალიკა კმარას გვერდით ცოდვილობს და თვისი თვალის ცეცხლს ხან დას ესვრის, ხან მამას.

ხირჩლას ერთი თვალი ბუხარში უჭირავს, მეორე კი შვილზე აქვს მიბჯენილი.

ეს კი მეტის-მეტია! ძალიკამ კმარას იღლიის ქვეშ შეუპარა მკლავი და უჩქმიტა.

— ძალიკავ, აქ მადი! — დაიბარა შვილი.

ვაჟი ფეხაკრეფით მივიდა ბუხართან და შორეახლოს შესდგა.

— აქ დაჯე.

და ხირჩილამ ფეხით მიუგდო ჩული.

ძალიკამ ზედ მოიკეცა და ცეცხლს ჩააცივდა.

მამა სდუმს. შვილი სიჩუმეს ველარ უძლებს: სტოკავს, თვალებს აცეცებს, მერე იქვე გვერდიდან შეშის ნატეხს იღებს და ხანჯლის-შვილით ჰკორტნის. ბოლოს, ხირჩლა ამბობს:

— ძალიკავ! პირწმინდათ გაგზარდევით ორივე შვილი — შენცა და კმარაც. — და მცირე დუმილის შემდეგ: — აგრეა თუ არა? — და ისევ სიჩუმის შემდეგ: — მართალს ვუბნობ თუ არა?

— მართალს უბნობ. —უდასტურებს შვილი.

— კა შვილ ვერ გამახვედ, ძალიკავ! — ოხრავს მამა. — ვერ გამახვედ კა შვილი. შენამც არეულ გამახვედ და ქოყანაც აურიგდე. მარამ ახლა ამას საკიცხავად არ ვუბნობ. რაცა ხარ — ხარ. ღმერთმ გადამიხადის ცოდვისათვის, თუ ეშმამ დამწყევლის — არ ვიცივ.

გაჩუმდა. ბუხარში შეაწიტა, კუნძი შეასწორა და ჩაფიქრდა.

— ახლა რაი გინდა ჩემგანა? — ველარ მოითმინა ძალიკამ.

— ახლა რაი მინდვის? არაფერ... ბევრ არაფერ. ოჯახს მამვლელ უნდვის. შენი დადინჯების დროც მავიდის, ცოლ უნდა შაირთავდე.

და ისევ გაჩუმდა. მერე ყალიონი გამოჰბერტყა და განაწყვეტი ისევ გადააბა:

— თეთრ წყალზე ბევრ კა ქალი მაინახების. მასძებნე ერთი და დახორწილდი. ყველა ქალაი წამაგყვების. გორიც კა გაქვს და დავლათიც. ე ქალაიც უნდა გავათხოვოთ. მაგისი დროც მავიდის.

ძალიკა ნუგუზალს უჩუჩხურებდა. უცებ ისე გამოსტაცა ხელი ბუხარს, თითქო ცეცხლი მოეკიდაო. თვალები აეცეცა, წარბები აახამხამა და თავი ისე აიგორა, თითქო თავში ჩაჰკრეს და დაარეტიანესო. მერე მამას აჰხედა და შიშნაჭამი ხმით ჰკითხა:

— კმარა უნდა გაათხოვო?

— ჰაი-ჰაი, უნდა გავათხოვოთ. დრო მავიდის — შეხიცა და იმისიცა.

კუთხეში ჭრიჭინა ალარ ჭრიალებს, სადღვებელი ალარ ფუყფუყებს. სიბნელიდან კმარას ციმციმა თვალები ბუხარს მისჩერებიან. იქ სწყდება მისი ბედი.

— ქალაუ, — ეუბნება მამა, — გარეთ გაიხედე. როცა დაგიძახებ, მაშინ შამოდი.

კმარა კარებს მოეფარა.

ძალიკა ველარ ისვენებს: იშმუშნება და ისე სტოკავს, თითქო ჩულის მაგიერ ლურსმებზე დასვესო. ბოლოს წამოდგა მიიხედ-მოიხედა, ისევ დაჯდა და ისევცეცხლს ჩააცივდა. მერე ხრიალით იკითხა:

— ვის უნდა მიათხოვო?

— მთხოვნელ ბევრ არიან: ბაიკაი, გაგაი და ლვთისავარ. ვინც უნდის კმარას, ის აირჩიოს.

ძალლიკას თითქო რალაც გაუხარდა:

— ჰაი-ჰაი, ვინც მოეწონების, ის უნდა აირჩიოს.

— აგრე. მაგრამ ჯერ შენ უნდა დახორწინდე, რო სანდუას შამწევი ჰყავდეს სახლჩი... რა გემართების, ძალლიკა, ცოტა ველარ მაისვენე ერთ ალაგზე?!

ვერა, ძალლიკა ველარ ისვენებს. წამოხტება, ხელებს იმტვრევს, ისევ ჩულზე დავარდება და კუნძივით ხევდება.

— მე გაგა მირჩევნივ. კა ვაჟკაცი ას, დავლათიან, გამრჯელ. — აგრძელებს ხირჩლა დუმილის შემდეგ.

— კმარას არ უნდა გაგაი. — ფიცხად იძახის ძალლიკა.

— მაშ ვინ უნდის?

— არავინ.

— თუ აგრეა, მაშ არცა ვკითხავ. დალიშნოს გაგამ.

— არა, ვერ დალიშნავს. — წამოხტა ძალლიკა. — ვერ დალიშნავს...

— რატო? — ეკითხება გაოცებული მამა.

— მიტომ რო... მიტომ რო, მე არ მინდა.

— რაოოო? შენ არ გინდა? მერე, შენ ვინ გეკითხების? ან რა აქს დასაწუნ გაგას?

ძალლიკა სტოკავს და იმტვრევა მშიშარასავით, რომელიც ცივ წყალში აპირებს გადავარდნას, მაგრამ ვერ ჰბედავს. ბოლოს გაჰბედა და თვალდახუჭული გადავარდა. თან ისე ისვრის და ჰყლაპავს სიტყვებსა და ჰაერს, თითქო იმ წყალში იხრჩობაო:

— გაგას დასაწუნ არაფერი აქვს... არც ბაიკას... არც სხვებს, მარამ...

და უცებ გაჩუმდა, თითქო ჩაიძირაო.

— მარამ? — ჩასძახის ყურში ხირჩლა.

— მარამ, — ამოტივტივდა ძალლიკა, — მარამ ისა, რო... მე არ მინდა. — და შეჰკივლა: — არ მინდა! — მერე, თითქო რალაცამ გაამწარაო, ანჩხლად და თავგაწევით შეუტია მამას: — შაიძლების...

— რა შაიძლების, რა? — გახლეჩილი ხმით ხრიალებს ხირჩლა.

— ის შაიძლების, რო... კმარას არავის მივცემ, არავის!.. ჩემია, ჩემი!

ამონაროშისა თვითონვე შეეშინდა და პირლია მიაჩერდა მამას.

ხირჩლას თითქოს ელვამ ჩაურბინა ტანში. ოთახში ჯერ წყვდიადი ჩამოწვა, მერე ჭრაქი გაასდა. ცეცხლიც გიზგიზებს ბუხარში. მაგრამ იროგვლივ ისევ ბნელა. ჭრაქები კი მირბიან, მიჰქრიან ცეცხლის ნაპერწკლებივით იოლვიან. სახლი ქანაობს. დედა-ბოძი სადღაც მისცურავს. ზედ ჭრაქი ჰკიდია.

წელან ოთახი ჭრაქებით აივსო. ეხლა კი ისევ ერთიღა ბჟუტავს. აღარც სახლი ქანაობს, არც ბოძი მისცურავს. ხირჩლა დედა-ბოძს მიჰყუდებია და იგონებს: როგორ გაჩნდა დედა-ბოძთან, რად მოჰხვია მარჯვენა მკლავი, ან ძალლიკას რად უჭირავს ამოღებული ხანჯალი, ან კიდევ — როდის ან რისთვის ჩამოიღო ხირჩლამ თოფი, ეხლაც რომ ხელში აქვს. ხან ჩახმახს დასცქერის, ხან ძალლიკას აშტერდება.

ეშმა ჩაუჯდა ხირჩლას სულში! ავი სული შეუჩნდა ხევსურს, ავი სული, თორემ... რა სთქვა განა საამისო ძალლიკამ, რომ მამამ თოფს დაავლო ხელი?

„არაფერი... საიმისო არაფერი. კმარა ჩემიაო? რა თქმა უნდა. იმისი... იმის დაჰია... ღვიძლი დაჰი... მეტი არაფერი... რასაკვირველია, არაფერი... ან სხვა რა უნდა იყოს!.. დაჰ-ძმები არიან და... დაჰ-ძმურად უყვარს ძალლიკასაც... არ უნდა დას მოსწყდეს. მე კი... დასწყევლოს უფალმა! ეს რა ცეცხლ ჩამივარდის თავჩია!“

ჰსურს შვილს გაუღიმოს, ახლოს მივიდეს, ხელი აუტყაპუნოს ბეჭებზე და გააგებინოს, რომ ქალი, ადრე თუ გვიან უნდა გათხოვდეს, ქმარს უნდა გაჰყვეს, რომ დაჰ-ძმა მუდამ ერთ ჭერ-ქვეშ ვერ იცხოვრებენ. მაგრამ ლიმილის ნაცვლად ტუჩებზე უნებურად რისხვის ნაოჭები ეკეცება და ხმაშიც — ისევ უნებურად — ზიზღი ისხმის:

— ძალიკავ! ძალებმაც არ იცივ აგეთი... არ იცივ აგეთი მასხრობაი.

— მე არა ვმასხრობ, — იღიმება შვილი.

— მაშ... არ ხუმრობ? — მაინც არა სჯერა მამას.

— არა, არ ვხუმრობ.

— ძალიკავ, ნუ ხუმრობ მეთქი, თორე... ა ეს ტყვია უფრო შაგერგების. ძალიკავ, ნუ ხუმრობ მეთქი—თითქო იხვეწება ხირჩლა.

— არა ვხუმრობ... შამერგების.

— იქნებ ხუმრობ, ძალიკავ! — მუდარით ეკითხება მამა.

— სახუმრო არა მაქს-რა.

— ძალიკავ, უკანასკნელ გეკითხები, ხუმბრობ თუ არა?

— არა... არა ვხუმბრობ, — ჟინით გამოიწურა კბილებიდან ძალიკამ.

— მაშ... აროც მე ვხუმრობ. ღმერთო მიშველე!

პირჯვარი გადაიწერა და უცებ, — იქნებ ისევ უნებურად, — თვისი თვალი, თოფის ტუჩი და შვილის შუბლი ერთ ლარზე გააბა.

— ვერ გამიმეტებს — ჰფიქრობს ძალიკა და იჭვნეულად იღიმება. თოფის ლულიდან ერთად გამოცვიდნენ ცეცხლი, ქუხილი და კვამლი, ხოლო ბნელ კარებიდან კმარას კივილი გრიგალივით შემოვარდა.

*
* *

გათავებულია. ხირჩლა ისევ ბოძზეა მიყუდებული. ორვე ხელი თოფზე აქვს დაბჯენილი. თავი მკერდზე ჰკიდია, თითქო კისერი ყელამდე გადაჭრილი აქვსო.

ძალიკა პირქვე ჰგდია. იქვე კმარა წევს.

— დაიძინა თუ გულ შაულონდა? — ეკითხება თავის თავს მამა.

გარეთ ჩობანი გაჰკივის. სანდუა სჩხავის, თითქო მელიას ახრჩობენო.

მეზობლებიც მოდიან. ზოგი შემორბის, ზოგი მოიპარება. ბინდიან ოთახში ლანდებივით დასცურავენ, რალაცას ჩიფჩიფებენ, ხირჩლაზე უთითებენ. იქნება მალალი ხმითაც ლაპარაკობენ, მაგრამ მას არაფერი ესმის.

— ხირჩლაუ! — იცნო მან, ბოლოს, დეკანოზი, რომელმაც მხარზე ხელი დაადო. — ხირჩლაუ რა ამბავ მახდის ამ სახლჩი?

— რაი ამბავ მახდის? ის ამბავ მახდის, რო...

ვერა, ხიჩლა ვერ იტყვის სათქმელს. ან რა საჭიროა? ალბად არ დაიჯერებენ. კმარასაც ჩრდილი დააწვება. ან ვის რად უნდა ნამდვილი ამბავი? ვისთვის რა საჭიროა? ხირჩლა იტყვის მხოლოდ ორ სიტყვას, ორიოდე სიტყვას:

— ხალხო! ორ ბოკვერ მყავდის, ორი... მერმ ერთი გამიცოფდის... აგერ ის... პირქვე რო წევს... ვაჟაი. გამიცოფდის და... მახვკალ!.. ეგ ას ცოფიანი, ე მანდ რომ ჰგდია. მეორე გულშეწუხებულ ას. გონს მავიდისავ და... ახლა ჩემ სათხოვნელ ეს ას, ხალხნო: ჩემ დავლათს მააგროვებდეთ და ე ქალაიას შაინახვიდეთ. სრუ ყველაფერ მაგის ას. მესამედი თქონ თავათ მაახმარეთ სოფელს... ე საწყალ დედასაც მაუარეთ. თემობა ნუ დაგავიწყდეთ, მე კი... მე ნულარ მამძებნით. მშვიდობით იყავით!

ხალხი აჩოჩქოლდა, კარებისაკენ მიმავალი ხირჩლა რომ დაინახეს, წაეტანნენ შესაჩერებლად, მაგრამ ხირჩლა უკვე გასხლტა კარებში და სიბნელეში შეერია.

— ხირჩლა!.. ხირჩლაუ! — მოისმოდა გარედან მდევრების ხმა. — სად მიხოლ, ხირჩლაუ!.. ჰაუ, ხირჩლაუ, ხმა გაგვე, ხმა!..

ხირჩლამ მხოლოდ მეორე ზაფხულის პირზე გასცა უხმო ხმა.

როცა თოვლი დადნა, ერთმა მონადირემ გაჰბედა და უძირო კლდეზე გადავარდნილ ჯიხვს ჩაჰყვა. ცოცვით ჩავიდა ძირამდე და ადამიანის ჩონჩხს წააწყდა. იქვე დაჟანგებული სატევარი ეგდო.

და იმ ხანჯალზე იცნეს ხირჩილა ჯიხალაურის ძვლები.

ნ. ლორთქიფანიძე

ᲔᲡᲙᲘᲖᲔᲑᲘ

I

ᲜᲘᲨᲜᲝᲒᲐ.

— თმა — წვერ-ულვაში, შელებილი მაქვს. შენ ოცი არ შეგისრულებია, მე — ორმოცდა თუთხმეტი წლის კაცი ვიქნები. რომ გაგიგონია, ვარდენ გოგაძეს უთვალავ-ურიცხვი აქვს ყველაფერი — ტყუილია. მამა შენზე და შენს ბიძეებზე მეტი, რათ დაგიმალო, მაქვს, მაგრამ არც ჩემი ოჯახი დულს და გადადულს. ჩემს სახლში ჩემს მეტი არავინ არის. დედა კი ბრძანდება ჩემთან. თუ პატარას შეგვიყვარებ, ღმერთი იყოს თამდები, ხელზე საგოგმანებლად გვეყოლები. დაუკვირდი საქმეს: იქნება, არ გინდოდეს და ძალას გატანდენ... ოლონდ შენ მითხარი, და მე ისე მოვახერხებ, რომ შენ არაფერ შუაში იქნები — ისევ ჩემზე დარჩებიან უკმაყოფილო: ან მზითევს მოვითხოვ დიდს, ან ეხლა დავპირდები და მერე არ გამოვჩნდები აქეთკენ... მოიფიქრე...

ვარდენი ადგა.

ოთახში დაიწყო სიარული.

სავარძელზე იჯდა ქალი.

თავ-ჩაღუნული სწეწდა ცხვირსახოცის წვერს.

— აბა რას მეტყვი?

ვარდენი ქალს ჩააჩერდა.

ქალმა ქვევიდან ამოხედა.

შავი დიდი თვალები წამით შეჩერდა ვარდენზე და ისევ მორცხვად დაეშო ძირს.

თმა ბზინავდა.

ნაწნავთა შორის მოსჩანდა სპილოს ძვლის კისერი.

ვარდენმა მორიდებით გადუსვა ქალს თმაზე ხელი:

— აბა, რას მეტყვი? დამიწუნებ? — თითქმის თხოვნითა და მუდარით დაეკითხა ვარდენი.

— როგორც გენებოს, ბატონო. — სხვა სიტყვა ვერ მოახერხა ქალმა.

— მაშ მომეცი ხელი — გეამბორო.

ქალს ხელი არ გამოუწევია, მაგრამ, როცა ვარდენმა მოწიწებით თვითონ მოკიდა ხელი, ქალი არ გაჯიუტებულა.

ვარდენი მიუჯდა ახლო, უნდოდა ხელი შემოეხვია. მაგრამ ქალმა გაიწია და მუდარით ახედა ვარდენს.

— არა, ნუ გეწყინება... ვერ მოვითმინე... კარგი, შენს სურვილს მოუცდი — ოდნავ შეკრთომით უთხრა ვარდენმა.

ვარდენი ბედნიერი იყო, მთვრალი.

. . . . . .

ქალი არაფერს ფიქრობდა, მხოლოდ გრძნობდა სითბოს, და გრძნობდა, რომ ასეთს წამებაში სხვასთან სხვა ადგილას კიდევ რასმე იგრძნობდა.

— უი, თვალი კი დამემსო, რას ვხედავ?. წამოიძახა მოხუცებულმა ქალმა, რომელიც ჭრვიტიმალს მისდგომოდა და ვარდენ-ელიკოს მუსაიფს თვალ-ყურს ადევნებდა.

ხელზე კოცნა და ხელის მოხვევა არ მოუვიდა დედაბერს ჭკუაში.

— თვალიც დაგემსო და ყურიც დაგიდგა!.. — მიაძახა უკანა კარებიდან შემოსულმა თეთრ-წვერა კაცმა.— გკითხავენ და არ — გკითხავენ, რომ უნდა მიეტმასნო, ქვეყნის ამბავი რომ უნდა დაიხვიო ენაზე, რა შენი ლმერთის წყრომა გჭირს?!

— ახლა მაგინებ, რაღა გიჭირს, როცა სამეფო კაცი იმოვე სასიძოთ... მარა მაინც გეტყვი, რომ ჯვარ დაუწერელი, კაცთან პრაშტი-პრუშტი ვერაფელი მოსაწონია.

— ნუ წააგლე, დედაკაცო, ენა!... რას ლოშავ?

. . . . . .

ვარდენმა ქალი აივანზე გამოიყვანა და სასიდედროს მიმართა:

— ქალბატონო, თქვენი ქალის ხელს გთხოვთ. იმედია, გამაბედნიერებთ.

— დედა, შენი ჭირიმე! თუ კი მოგეწონა, ცოლად კი არა მოახლეთ წაიყვანე. მეფის ტოლი კაცი ხარ, დადიანი ვერ დაგიკავებს ქალს.... მე და ჩემი ოჯახი შენი მოსამსახურე ვიქნებით. ჩამაკვრევიე გულში, შენ დაგენაცვლე, ჩემი ელიკოს გამაბედნიერებელი კოკობი ულვაშები.

ერთმანეთს გადაეხვიენ.

„კოკობი ულვაშები" რაღაც განსაკუთრებულად მოხვდა ყურში ვარდენს; დაცინვა არ იყო, მაგრამ სასაცილო კი გამოვიდა. თხელსა და გრძელ ულვაშებს „სიკოკბის" აღარაფერი ეტყობოდა

ამიტომ ცოტა არ იყოს მკვახეთ გაისმა ვარდენის სიტყვები:

— ბატონ იოსებს მოახსენეთ, მობრძანდეს.

— კი, შენ გენაცვალე, ახლავე.... უარს გეტყვის თუ რა?... რისი გეჩქარება? — დაახალა ვარდენს ისევ სასიდედრომ.

ამ დროს საჩქაროდ წინა კარები გაიღო, და ელიკოს უმცროსმა ძმამ მხიარულად დაიძახა: —

— მამა, მობრძანდი ვარდენი დალოცვას თხოულობს.

— მოვდივარ.

იოსები უკვე კარებში იყო.

ნელა მოვიდა ვარდენთან და ნელათვე უთხრა:

— გმადლობთ პატივისთვის... ღმერთმა ტკბილად შეგაბეროსთ ერთმანეთს.

ბევრი ლაპარაკის თავი არც უწინ ჰქონდა იოსებს, მაგრამ ეხლა ჩმას სევდაც შერეოდა.

II

ფეოდალები

სალამო აუქმებული.

ეკლესიის გალავანზე, მღვდლის მოლოდინში, გადმოყუდებულა მედავითნე;

იქვე, თითქმის გალავანზე მიდგმულ დუქნის წინ, დირეზე, ზის ერთი და წალდის ყუით ხაზავს, მგონი, მეზობელთან სადაო ნაკვეთის საზღვრებს;

კუთხეში, კუნძზე, წამომჯდარა მეორე, ცხვირსახოცით თავწაკრული და შალის ნაგლეჯით წელშემოკრული;

ახლადგათლილ სარს დაყრდნობია მესამე;

მედუქნე-ხარაზი მუშაობს გაღებულ დარაბის იქეთ.

სოფლის დამამშვიდებელი მიდამო.

ჩასლაპარაკებენ.

— დიდი მდიდარი კაცია, ძმაო, დიდი მდიდარი...

— რამდენი ექნება მაინც?

— ჯიბეში არ ჩამიყვია ხელი, მარა ამბობენ ათასი მანეთი გასესხებული აქვსო...

იმე! რავა გეკადრება?!

! ?

— რა ჩემი ფეხებია ათასი მანეთი?!

— იტყვი შენც რალა?!! ათასი მანეთი არაფერიაო!!!

— ერთ კაი ქეიფში ხარჯავენ, ძმაო ამდენს!..

— შე დალოცვილო, ვინცხა რაცხას შვება, იმას კი არ გეუბნები... აქ, ამ ჩვენ მიდამოში, ათასი მანეთი დიდი ღვთის წყალობა და ბედნიერებაა.

— ასე თუ თქვი, შე კაცო, ჩვენთვის ახლა წითელი თუმანიც კაი საქმეა!

— შენ უნდა თქვა, როკფელია ყოფილა ამერიკაში ვინცხა, ყოველ წამში — ფუუ! მოლაპარაკემ სული შეუბერა — აი, ამდენ ხანში, ერთ მუჭა ოქროს ღებულობს თურმე.

დაზგაზე მომუშავე ხარაზმა მიმიზნებული დანა შეაჩერა და მობაასეთ შეხედა:

— რავა, რავო?

— რავა და ერთი წამში — ფუუ — ამდენს ხანში, რაც კი ჩაეტევა ამ პეშვში — მობაასემ პეშვი გააკეთა — იმდენი ოქრო შემოდის..

— რას უშვება მერე ის სულწაწყმენდილი?

— ჩვენ არ გვიგზავნის, და რა ვიცი რას უშვება?!

გზაზე გამოჩნდა შუა ხნის დედა-კაცი, თანაქით ხელში.

— მერე ერთ წუთში ერთი პეშვი, მეორე წუთში კიდევ ერთი პეშვი... დედავ, რამდენი შედგება ერთ საათში, ერთ დღეში.... ახლა წელწადში თქვი შენ!!

— ვერც ქე ვიანგარიშებთ, მე და შენ, ჩემო ლავრენტი.

— მაგაზე დამიდგა ჯავრი! მომცა, იცოცხლე ვიანგარიშო, და რომ არ მაქვს, რათ შევიწუხო თავი?

ხარაზმა ისევ შეასწორა ტყავზე მომარჯვებული თარგი და უნდოდა შემოჭრა დაეწყო, რომ ქალმა მორიდებით შემოუარა მობაასეთ და მედუქნე ხარაზს მიმართა:

— გირვანქა ნახევარი ნავთი ჩამომისხი ჩემო ლავრენტი...

— ნისია მომიტანე?

— ნისია არ მომიტანია, ახლანდელის აიღე.

— რა ვქნა, არ მაქვს ამდენი სერმია... ნუ გამაკოტრებთ, თვარა ალარც თქვენ გექნებათ ხელის მოსანაცვლებელი.

— არა, შე კაცო! არ ვიცი განა?!

მობაასენი განაგრძობენ ბაასს.

— ალარაფერი მესმის, ძმაო, ამ ქვეყნის... რას არ გაიგონებ კაცი?!

ყველა მიაჩერდა.

— იმას ვამბობდი,... ამას წინათ ქალაქში რომ ჩემ ბალანასთან ვიყავი, — ვამზადებ ბანკის კლასისთვის, იქნებ,ის მაინც გამოვიდეს კაცი — მასწავლებელმა მით-

ხრა, იმისთანა მანქანა მოიგონეს, სამოც კაცს ჰაერში აიყვანებენ და აფრენენო!...

— იმე?!.. რავა შეიძლება?!..

— ნახატი მაჩვენა, კაცო, ნახატი.... დახატული... გაზეთში.

— ჰო და ახლა ილაპარაკე, ღმერთი ყოვლადძლიერიაო! — მიუბრუნდა მობაასე დიაკონს.

— ნუ ცოდავ ღმერთს!... — თქვა და თავის კადნიერების შესამსუბუქებლათ მუჭში ჩაიხითხითა.

— ღმერთს კი არა, იმ კაცს არ უნდა შესცოდო, ჩემო ძმაო, სამოც ადამიანს ჰაერში რომ ატრიალებს „ბაბუას წვერებივით“.

— მედაჩემმა ღმერთმა!.. უწინ გვიკვირდა, ანგელოზი და ღმერთი დაფრინავსო... თითო თითო, და ახლა კი, ვინცხა ნემეცია თუ ფრანცუზი, ეიყვანს შენს დათია კოპტაშვილს, პატიოსან აზნაუშვილს, და ატრიალებს, ქორი რომ წიწილს ეიყვანს ისე, ჰაერში... მოდი და ნუ სცემ იმას თაყვანს!...

— ჰო და ის იქნება ვინცხა ანტიქრისტეს წინამორბედი, წერია ასე სალმთოწერილში — კიდევ შეეცადა მედუქნემ ნავთით სავსე თანაქი უკან მოიტანა.

— წადი ახლა,... ანტონქრისტე კი არა, ჭკუიანი კაცი, ვინცხაა, ვაცხონე მისი დამბადებელი!

მედუქნემ ნავთით სავსე თაქანი უკან მოიტანა.

— აბა პარასკევს მივდივარ ქალაქში და ნუ დამალალატიანებთ...

ქალი უკან წასვლას აპირებდა, რომ ერთმა მობაასეთაგანმა მიმართა:

— თედორე სახლშია, ქალბატონო ფოტინე?

— კი, ბატონო, სახლში გახლავთ; ყანიდან ახლა დამიძახა, მოვდივარო.

მეტათ ზრდილობიან მიმართვაზე ფოტინე ეცადა მეტის დარბაისლობით დაეჭირა თავი; მეტი რომ ვერა მოახერხა რა, ნიშნათ მოკრძალებისა თავსაფარი შუბლზე უფრო ჩამოსწია და ქვევიდან ცხვირამდის ასწია.

— კაი დაგემართოს, აბა ვნახავ...

— რა გნებავთ, ბატონო, მიბრძანე და თვითონ გეახლებათ.

— მე მაქვს საქმე და მე მივალ, რათ გავსაჯო.. — მიუგო მობაასემ.

ქალი წავიდა.

— ნამეტარი თავმდაბლად მელაპარაკებოდა... მიმიხვდა ალბათ....

— რა საქმე გაქ, შე კაცო, ამისთანა.

— ქალაქს მივდივარ პარასკევს და უნაგირი მინდა ვინათხოვრო... უარს მეტყვის ნეტავი?

— რავა დაგიკავებს, რავა ღმერთი გაუწყრება, მარა რა დრო აგირჩევია, ისედაც ბევრია უქმე...

— ვენახი ქე მოვრწყე და ყანა ხომ პარასკევს არ ითოხნება... შემოგველია, შემოგვეხა ყოველაფერი... სხვა რომ არაფერი, ხეირიან თუთუნს მაინც მოვწევ...

— ასე იცით, შენიშნა დუქნიდან ხარაზმა, ერთ კაპიკს არ მოაგებიებთ კაცს... მირბიხართ ქალაქში, თითქო იქ უფასოთ არიგებდენ...

— რა ვქნა ჩემო ლავრენტი, იქ გავყიდი რაცხა შალი მოქსოვა დედაკაცმა — იმას, და უფრო იაფათ ვიყიდი რაც მჭირია.

— რაა ახლა უფრო იაფათ? თუთუნს რომ ამბობ, ამ თუთუნმა რა დააშავა — და მადუქნე გადაწვდა დახლში და თაროდან თუთუნის პატარა პარკი გადმოიღო.

— რა ღირს?

— სამი შაური...

— თითხმეტი კაპეიკი რომ აწერია? — დიდი ხნის კითხვის შემდეგ შეეკითხა სარზე დაყრდნობილი მობაასე.

— შე მამა ცხონებულო, ორი თვე რომ აქ მიწყვია საქონელი, ერთი კაპეიკი არ უნდა მოვიგო?

— შენც მართალი ხარ ჩემო ძმაო, მარა მეც მართალი ვარ: კაპეიკი სპიჩკას მიყიდის, და ბავშები ალარ ირბენენ მეზობლებში ნიგუზარზე...

დამსწრეთ გაეღიმათ.

თუთუნის პარკი ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ნუ დაფშვნით ერთი.

— ვშინჯავთ, შე კაცო...

— პწკენა პწკენაშია, დედოფალი დაორსულდა; ამ შენ შინჯვაში ქე შემოგეფშვნება ხელში, და მერე ვინ-ღა იყიდის?!.

— რავალია, თუ კაცი ხარ ეს თუთუნი?

— დიდებული, „ოსობი ზაკაზი" წეიკითხე, თუ შეგიძლია, ზედ აწერია რუსულათ.

— რუსულათ კი აია ფრანციცულათ წამაკითხე ახლა...

— რა გიყო აპა, თუ დამიჯერებ ბოზორჟიანცია ნამდვილი... ძველი... ქალაქში, მგონი, ველარც იშოვ მაგისთანა...

— კაია ახლა ამით პირის ჩამტკბარუნება.

— იცოცხლე კარგი იყოს... მომკლა ამ ნაპწენმა თუ-თუნმა!

— იყიდეთ მერე, რავა წახდით ასე ორი აზნაურიშვილი!

— აზნაურიშვილობა ქე წაგვართვეს კაი ხანია!

— მათი წართმეულიც შეარცხვინა ღმერთმა და მოცემულიც!

— იყიდე შენ... რვა კაპეიკი მაქვს ჯიბეში და რას იყიდი?!.

— გენდობათ..

— ისედაც ბევრი მაქვს ნისია...

კუნძზე მჯდომმა ჩუმათ ჯიბე გაისინჯა და უთხრა:

— შვიდ კაპეიკს მე დაუმატებ, და გავაბოლოთ ერთი რჯულზე.

— ჰო, შეერდით, ჩემმა მზემ, კოოპერაცია გახსენით და მეც მიწილადეთ, მასარგებლეთ — ოდნავის დაცინვით წააქეზა დირეზე მოკალათებულმა.

— მოდი, .

— კარგი.

ფული მედუქნეს გადასცეს.

პარკის გასაჭრელათ ერთმა დაზგიდან დანა აიღო.

— რას შვები, კაცო... ორი წილი მიგაქვს? ხელის ფათურით წაედავა მეორე.

— რა ორი წილი, სად ორი წილი, ერთი ნამცეცაა მეტი.

— ამხანაგობა თუა, შუაზე გავიყოთ — ვითომ ხუმრობით და ღიმილით, მაგრამ დაბეჯითებით ეუბნებოდა მეორე და უშლიდა დანა იქ დაესვა პარკისთვის, სადაც ძიძაზნებული იყო.

— რვა კაპეიკია ჩემი, იმე!

— შენ არ მომიკვდე ასე არ გაგაჭრევინო...ასე ორ ნაწილს შენ წაიღებ, რა სამართალია. მოიცა შუაკაცმა გაყოს. —

და სწორედ იმ წამს, როცა პირველმა დანა დაუსვა, მეორე პარკი თავისკენ მიიზიდა.

— უჰ! რა მიქენი, კაცო! —პარკს ხელი მიანება და მარცხენა მაჩვენებელი თითი მარჯვენა ხელში ჩაბღუჯა.

— რა იყო?

— რალა რა იყო, თითი ქე წამაცალე და!

— გეხუმბრებოდი... — გაისმა შემკრთალი ხმა.

— კაი ხუმბრობა გამოგვიდა — კაი მოგეცა!...

გაჭრილ თითს ხელი მოაშორა; სისხლმა მალლა აასხა.

— ბიჭოს! ეს მთლად სახუმრო არ არის... მარილი დააყარე და ახლავე შეიხვიე...

მედუქნე წამოდგა და დახლიდან მარილი დააყარა.

— უ, უ!.. რა ამწვა, მომკლა...

— მოითმინე ასე სჯობია, ვაჟკაცი არა ხარ?!

— ნუ გეშინია სულ ერთია, ყველა აქ უნდა დაგმარხოთ, ამ სასაფლაოზე... ბოლოს და ბოლოს მე უნდა მოგიაროთ — იოხუნჯა მედავითნემ, მაგრამ უდროვო ოხუნჯობას ყურადღება არავინ მიაქცია.

— ობობასაც რომ დავადებდეთ კაი იქნება — გაისმა ისევ დარცხვენილი ხმა.

დუქნის კუთხიდან ჩამოიღეს ობობა და დაადვეს.

ახალოხის გაცრეცილი სარჩული მოიხია დამნაშავემ და მედუქნეს გადასცა, რომელიც დოსტაქრობდა.

შეხვიეს მაგრამ სისხლი მაინც ასველებდა სახვევს და დრო-გამოშვებით წვეთავდა მიწაზე.

— ხელმეორეთ შევხვიოთ, თვარა სისხლიდან დაიცლები.

ისევ გახსნეს, ისევ დააყარეს მარილი, აუარებელი ობობა შემოადვეს და სადღაც მიგდებული ტომარი შემოახვიეს.

— ნუ დატოვებ ასე, აჩვენე თურმანიძეს ან ფერშალს — შეიშნა მედუქნემ.

დაზიანებულმა ხელი ჩაიქნია:

— რამდენი გავიკაწრები იმდენი თუ ექიმებთან ვიარე, აშენდა ჩემი ოჯახი. გაჭერი მაგ დასაწვავი თუთუნი და მალირსე მაინც ერთი პაპიროსი.

დამნაშავემ ჯერ ამოაცალა პარკს სისხლით გასვრილი თუთუნი და მერმე ბევრათ უფრო დიდი ნაწილი მონაწილეს მიაწოდა:

— ეს შერიგების იყოს...

— კი არ გეჩხუბები, მარა ნამეტარი ხარბი ხარ, კიხალამ გადამაყოლე...

— რა ვიცოდი, მაგ ოხერ დანაში თუ ეშმაკები იჯდა?!

— ქე მინდოდა, ღმერთო შეგცოდე, თქმა, დანა ახალი ალესილია და ფრთხილათ იხმარეთ-თქვა, მარა გულზე გადამიარა რაცხა... დალახვროს ღმერთმა!

— ასეა ფათერაკი. — შენიშნა მესამემ და ნაომარი თუთუნით ყალიონი აავსო.

როცა გამოწვდილს დაგრეხილს პაპიროსს შეხედა, დაჭრილმა შეუტია:

— ბარელამ ენაც გაუსვი, შე კაცო, რალას მაწვალებ!?.

— ახლა მეშინია, ძმაო,ჩემმა ნერწყვმა არ მოგწამლოს...

— ოჰ, კაი ახლა, გაათავე ოხუნჯობა!

ოთხივემ ააბოლა.

— კაია კაი ცხოვრება, ძმაო. ასეთს თუთუნს უნდა წევდე და კაი გემო გექნება პირში, თვარა ვწევთ ამ შხამივით მწარე ნაპწენს და რა გუნებაზე დაგვაყენებს?!.

— აბა, აბა! და მერე რა ღირს? სამი შაური! რა ჩემი ფეხებია სამი შაური?!

— ფეხები კი არა, ხელებია, ხელები, ჩემო ძმაო, სამი შაური... ხომ უყურებ, სამი შაურისათვის კინაღამ ხელი წაგათალეს... აბა!!

მოსწრებულმა საბუთმა ყველას ღიმილი მოჰგვარა.

— მე და შენ რომ არ გვქონდეს — ცოტა არ იყოს დაუშვა მედიდურობის კილო ხელშეხვეულმა — რა ვქნათ ახლა? — მარა სამი შაური.. ფუ...

— ქე წევიდეთ ახალა სახლში. ღამე ნების.ბატონებო.

— მეიცა მეც მაქეთ მოვალ...

ხარაზმა, როგორც იქნა, გაათავა წულის აჭრა და დუქნის მილაგებას მიჰყო ხელი.

— რა გითხრა იცი — მედუქნე მოულოდნელათ მიუბრუნდა დარჩენილს — კიდო ურჩია თურმანიძეს ეჩვენოს, თვარა რომ რამე დეემართოს, შენ იქნები პასუხის მგებელი...

— მიჩივლებს თუ?

— გიჩივლებს თუ რაცხას იზამს, სისხლს დიდი ფასი აქვს.

— იმე, მე რა შუაში ვარ?

— მე კი მითქვამს და.....

სოფელში, დაჭრილის მარცხენა ხელის მაჩვენებელ თითს ცალკე სახელი შეარქვეს „თუთუნის მსხვერპლი“.

— „თუთუნის მსხვერპლი“ თუ მკრა შუბლში წამაქცევს... — გაიფიქრებდა პატარა ვაჟი, როცა მამას გაჯავრებულს დაინახავდა.

— „თუთუნის მსხვერპლი“ სწორეთ პაპიროსის გასაკეთებლათ და დასაჭერათ განგებისათ არის გაჩენილი — ოხუნჯობდენ სოფლის ბიჭები.

— მადლობა ღმერთს, მარცხენა ხელზეა... მუშაობას არ უშლის... — ფიქრობდა მამა.

რასაც ფიქრშივე ემატებოდა ცოლის აზრი:

— ეს გაშეშებული თითი აუშნოვებს, აუშნოვებს...

მედუქნის წინასწარმეტყველება არ გამართლდა:

წახდენილი თითის სამაგიეროო არაფერი შეხვედრია დამნაშავეს — ერთხელ — ორჯერ გაკვრით უთხრა „თუთუნის მსხვერპლის“ პატრონმა, ცოტა რამ მომეცით, მაგრამ სიტყვები ხუმრობაში გაითქვიფა; ჩივილის შერცხვა დაზიანებულს; მეზობლებმა კი მოციქულობაზე უარი თქვეს.

ვერც მედავითნემ აასრულა თავისი დაპირება — მას არ მოუვლია მიცვალებულთათვის, — რადგან არც ერთს არ ლირსებია სამარე, ეკლესიის გალავანში, საკუთარ სასაფლაოზე, ნაკურთხ მიწაში.

დემნა შენგელაია

კ ო რ ო ვ ე ლ

სიცხემ დახუთა დედამიწა.
გვალვა ზუზუნებს.
ჰაერი სდუღს საკირესავით.
ლივლივებს ალხი.
მზე გახურებული კეცივით სწვავს სხეულს.
ოფლი იღვრება ხვითქად, გროვდება თვალის უპეებში, ღლიავში და თვალებში არის: რეტი და სილენჩე.
მზემ დასწვა ჩრდილი და სუნთქვა მძიმს.
ხევიდან ყრუდ მოისმის მდინარის ხუილი.
სადღაც ხბო ბღავის და ყველგან არის გამხმარი ბალახის, ფუნის, რძისა და დუმის სუნი.

გარინდებულია შუადღე და მდინარის პირას აყრილ ბუერის ჩეროში ჩამჯდარი ქედანი სულს ძლივს იბრუნებს.

ისმის მწყერის გვალვიანი „ქვითკვირო".

დაგვალულ მთებს ცა ზურგზე შეუგდიათ, უჭირავთ იგი უზარმაზარ საარყე ზარფუშივით და სცოხნიან გვალვას.

ხეები ქოფაკ ძალლებივით დაყუნტულან და შეჰლმუიან ცასა და სიცხეს.

ყანებში დგას ჯიაურები და ყანის პირებში ლუის ხვატით ჩაშავებული მაყვალი. ლადარივით გახურებულ ლორლში გაწვართული გველი იზმორება და თვალებს წკვარამად ჰკუსავს.

სიცხე თავზარივით დაეცა მიწას და მალალ შუადღეზე ოქროს ჯილასავით დადგმულ მზე კრიახობს სილურჯეში, იფოფრება შეხურებულ კოუხივით და მიწას აყრის ხაშმსა და გვალვას.

ცა ისეა მოწმენდილი რომ დალევ.

თვალებ მილულული კამეჩი წევს შინდის ჩეროში და ნაცოხნი სიცხე ილვრება დუჟად ლაშებიდან.

მზეში დგას კამეჩი, კისერი გაუწვდია და ყოყინით შესჩივის მზეს. მზე დააცხრა მის გაპოხილ ტანს და ალხით დამთვრალ კამეჩის ყოყინი კიდევ უფრო აფიცხებს მას და ჰლვრის ადულებულ ლოშქრსა და ცოფს.

ბოსტანში ანთია მზესუმზირა. ზუზუნობს სკა და ფარეხის ბანზე საგვერდულზე დაწყობილ იხნებთან გდია კამეჩის გამხმარი ფუნა და სწვავს თვალებს.

ბუზები ირევიან და სათონესთან დაწოლილ ყუბაქს ტვინი, უდულს და ბოროტად აქლოშინებულს ენა ვარდივით გადმოუგდია.

შმორიან ბოსლებში ქათმები იქექებიან და ბანზე უზარმაზარ მოქცეულ კანჭივით გდია საზეპელა.

— კეკე, ჰაი, კეკე!... — ისმის ბანზე გადმომდგარ ოთხად მოკეცილ ბრასტებიან მოხუც დედაკაცის ხმა.

— მოვდივარ, მოვდივარ!... — ეხმაურება ორლობიდან ჭანჭურის ჩრდილებ ქვეშ ქევქევით მომავალი კეკე. მხარზე დასტაბალით თავდაცმული კოკა მოაქვს და იგი ჰგავს გათქვირულ დეკეულას.

ფეხები მზისგან დამწვარი, კაბა აკარწახებული და წვივები: ჩამოქნილი კელაპტრებივით.

— სადა ხარ, შე გასაწყალებელო, ამდენ ხანს!.. მოდი ჩქარა და ი ბიჭს დოშეჭამადი აუტანე კალოზე, თორე მოკვდა, ი ჩემი ცოდვით სავსე მარტოხელა.

კეკე კუთხეში კოკას სდგამს და მიწურ სახლში არის საამო სიგრილე, ბინდები, ბუზები და სიწყნარე.

დედალი კრიახობს.

ყველა კალოებზეა გასული და ისმის იქიდან ჰორველ, ზუზუნი, მღვდლის კურთხევა და გაცოფებული კევრის ტრიალი.

კალოები ფშვინავენ ცხელ თარაქამა ძროხებივით, გახელებული კევრი ბრუნავს მობულრავე კურატივით, უქცევენ ბზეს და გაშლილი კალო, მალალი ზვინი და ჩალით დახურული საბძელი ანთია ავარდნილ ცეცხლებივით.

ზვინები ჟიჟინდებიან სიცხით, თავთავი სკდება ალმურში და ცხელი დაფშვნეტილი ხორბალი სცვივა კალოზე მზის თესლივით.

ხორბალი და გორველა აბრუებს ჰაერს და ჰაერში დგას კამეჩის ფუნის, გალეწილ ბზისა და ახალი ხორბლის სუნი.

კალო გაშლილა ღვთის კალთასავით და ბერტყავს უხვად ხვავსა და ბარაქას.

— ჰაი, ხვავი და ბარაქა თქვენ კალოსა, ხვავი და ბარაქა!... — გასძახიან გამვლელი მეზობლები და კალო ხელდება, კალო ბრაზდება მზით გაფიცხებული, იბერტყება თავთავი და ჰოროველ ბუღრაობს კალოში (თუ ქალში?), ფშვინავს და გალეწილ ბზეს თავზე იყრის.

სიცხით ლენჩდება თვალები, მოთენთილ დედამიწას რული ეკიდება და ყურები წივიან უცნაურად და ეს ხვატი მოზვერივით გახურებული კევრი ტრიალობს იქ კი არა, — კალოში, — თავში. რეტია ყველგან და ბრუალი.

ჰაერი გარინდულია და არის ცხადება: კალოსთან ზის ქერა ცბიერი ბერიკაცი, თაველის წვერებს ფრჩხილებით ივარცხნის. გდია იქვე სალამური, უცქერის კალოს, ილიმება ავხორცად და ლირწად. გადაშლილ კალოში სცვივა ხორბალი, წითელპერანგა გოგო უქცევს ბზეს და ბერიკაცი ჰოროველ თვალების კრეხით იტყუებს მას პურის ორმოში. ლოყა წითელი გოგო არ ნებდება, ალეწილი დგას თავჩალუნული, მზეს თავს აღიდებს და ჰოროველ ჭიხვინობს ჟინატეხილი ტორს მიწაზე სცემს და ცხელი მიწა გუგუნობს ალერსს მოწყურებულ დედაკაცივით, იბნიდება.

საღერღელ აშლილი ბანჯგვლიანი ცბიერი ბერიკაცი ვნებით აკანკალებული კალოს ცხელი კევრივით ეხუტება და შემოდგომის ნაგვიანევ ჟინით ანთებული მიწა ნაყო-

ფეირდება ანეულებში, ლიოლიტა სჭრის, გუთანი აპობს დედამიწას, გუთნისდედა ზის ულელზე, უმღერს ჰოროველს და თესლი იპნევა ხვავიანად.

ჰოროველ ჩავდგი და საკირე,
ორმო ჩავთხარე ქვიანი — ო!..
ჰე-ჰე, ოროველ, ოროველ, ჰე-ჰე!..
ჰო, თუ კამეჩი არი — ო, ჰე-ჰე-ეე!..

მღერის ქალაქს ნასწავლი შიშნია ბიჭი, მზისგან დამწვარი გალეღილი მკერდი გოდორივით აქვს დაწნული და კეკეს უცქერის, ულიმის და წითლად ალეწილი გოგო მოოცხობს, არ იცის რა ჰქნას და ქვეშ-ქვეშ ილიმება.

ტლაშუნობს იფნის სახრე, შრიალობს ქალის კალთასავით გაშლილ კალოში კევრი და ილეწება კალო ბარაქიანი და მადლიანი.

კამეჩები ზარმაცად იზლაზნებიან და ძალი მურია, უზარმაზარი ქოფაკი წევს ზვინში და სძინავს.

დაცხა და დადგა ლულია,
კამეჩებს ველარ უვლია — აა!..

— ჰა, მამო, თფვეი!.. — გასძახის იგი და მერმე განაგრძნობს:

ჰატუ კამეჩო ბეხია!..

ტვინი ბნელდება ასეთ სიცხეში, არის უცნაური ბრუალი და ალხის ზუზუნში ისმის ყრუ რეკა. სიცხე სისხლს ამღვრევს და ზარხოშიან თავში იბადება ჟინი დაგუბებული ბალლამივით, სუნთქვა მძიმდება და ზვინში შემალული ხვატით ახურებული ჰოროველ ჭიხვინობს ვაყასავით.

კალო სდუღს, გოგო იბნიდება და კალო იგი არის: კალა, ქალი და სიყვარული.

იქ სადღაც ცაში თუ მთაში მოწანწკარობს გრილი წყარო, წყალი და აქ არის სიცხე, ვნება, ხურვება და პირი ხმება, ნერწყვი შრება.

საბძელში ჩავარდა მზე და ბორგავს მთვრალ დედაკაცივით, ბრუნავს შიგ წისქვილის ქვასავით, კისკისობს, ზუზუნობს და მზე ანთია დაყრილ ოქროსავით.

პურის ორმოსთან დგას დოშეჭამანდი, მჟავე და მხიარული, ყრია დაგვალული, დაგრეხილი კიტრები, აგდია: არნაბი, კაბდონი, ფიწალი და ქალი კეკელა, ქალი ტილა და ვნებით დაყურსული უქცევს კალოს და განიერი თეძოები ცახცახებენ ფურო კაბის ქვეშ და შიშნია ბიჭს კისერი მოექცა, თვალს ვერ აშორებს მის განიერ გავას.

ქვექვეშ შემოგცქერს, თვალს შეგყრის, ჟუჟუნა სვილის ფერია,
თავს დაჰხრის წყნარად გაივლის, ვითომდა არაფერია.
ეტყვი: — რათ დამჭერ?.. იძახის : — ბეჩა, რა ჩემი ბრალია?!.

შენ, კვესო, ალსა მიაყრი და ნუ იფეთქებს ფალია?!.

ლილინებს შიშინია ბიჭი და იცის კეკემ, კარგად იცის ვის უმღერის ის წყეული ბიჭი ამ ლექსს.

ის ახლად გამოთხოვილია, ჯერ კიდევ მორცხვობს, კდემოსილი თავს ღუნავს და ხმის ამოუღებლად უქცევს კალოს.

ბიჭს მეტი არ შეუძლია, ყელში რაღაც შემოაწვა და მას უნდა მის კალთაში ყოფნა, არ იცის რა მოახერხოს და გადასძახის:

— მოდი, ქალო, კევრზე მომიჯექ, თორემ მსუბუქადაა. საცაა მზეც დაბრძანდება და ვერ მოვასწროთ!..

კეკემ კარგად იცის რომ მზის ჩასვლამდე ჯერ კიდევ შორსაა, ქმრის სურვილს ემორჩილება, ფიწალი იქვე მიაგდო და კევრს უჯდება.

ჰოროველ ჩავდგი და საკირე — ეე!..

მღერის შიშნია ბიჭი, კევრი ბრუნავს, კალო ტრიალებს პური შრიალებს და კეკემ იგრძნო, რომ მზემ დაჰკრა თავში და წავიდა ორმოში.

სილრმეებში ახვიხვინდა ცხელი ჰოროველ, ტვინში გაიელვა, თავი გაიქნია და გამოერკვა: ისევ კალო, ისევ შიშნია, — მისი ქმარი და სიყვარული.

— რას იტყვი, ქალო, მზის დაჯდომამდე, თუ მოვასწროთ?...

— მოვასწროთ, მაშა!.. — ამბობს კეკე მიბნედილი ხმით გაბუტულივით.

შიშნიამ იგრძნო...

მუხლები აუკანკალდა. უეცრად კამეჩებს სახრე გადუჭირა, კამეჩები დაფრთხენ, თავი აიშვეს და საბძლისკენ ჩრდილ ქვეშ გაქანდენ.

კეკე დატორტმანდა, თავი ვერ შეიკავა, ქმარს წაეტანა და ორივე კალოში გადაგორდენ.

კალო აბრუნდა ზევით, აირია და მან არ დაინახა, — იგრძნო რომ ბიჭი მოდის მისკენ, მკლავები მოჰხვია და ანთებული ბიჭი აეკრა მის მკერდს.

კალოში პირალმა წაწვა და წელი გაისწორა... თავთავი ყელში ულიტნებს, მერე თავთავი აცურდა ზევით და შიშნია ცხელი ნალივით დაეკრა მის ტუჩებს.

სუთქვა დამძიმდა და ჰგრძნობს როგორ ფათურობს ეს გასატიალებელი ბიჭი მის უბეში... და როცა გახელებულ წუთებს შემდეგ დადგა გარინდება და სიყუჩე, მოისმა:

— ჰაი, თქვე გასაწყვეტლებო, თქვენა, აჰა!.. სირცხვილ-ნამუსი არა გაქვთ ამ შუადღისით?!.

ქალი შეკრთა.

მოიხედა, — ხედავს: ბოსტანში კარტოფილის სათოხნად ჩასული დედამთილი ლობეს მოსდგომია, იფოფრება და ქოქოლას აყრის მათ.

შეჰკივლა, თავსაფარი აიტაცა და ზვინებში მიიმალა.

შიშნია იდგა თავდახრილი, შუბლქვემოდან დედას უცქეროდა და ხელში შერჩენილ ჩითის ნახევს სძენძავდა...

სოფ. ბევრეთი.

სერ. კლდიაშვილი.

რაინდი ვილვარ

ყოველ ავტორს სჭირია დახმარება წამკითხავისგან. ყოველი ამბავი ცარიელ სიტყვებათ დარჩება და მომთხრობს დაუწუნებენ, თუ წამკითხველი ავტორს ვერ გაუსწორდა.

ეს მოთხრობა მარტივია. მაგრამ აქაც მჭირია გრძნობა იმის, რომ წამკითხავი გამითანასწორდა.

მოთხრობა ეხება სიყვარულს და ამბავიც მოხდა შორეულ ქვეყნის შორეულ დროში. ამიტომ ხშირად [illegible] შეძულებული მთვარე.

თავი I.

დონა ელვირა და დონა ვეტა მეგობრები იყვნენ.

ალიბის მეგობრობა ფოლადის ჯაჭვს გავს; ქალების მეგობრობა ნაზია და სათუთი, როგორც ძაფი, რომელსაც აბრეშუმის ჭია პირით ქსოვს.

წარმოიდგინეთ ცა და ცაზე ერთსა და იმავე დროს მარცხნით მთვარე და მარჯვნივ მზე.

დონა ელვირა გავდა მთვარეს. დონა ვეტა გავდა მზეს.

დონა ელვირას ჰქონდა სახე თეთრი, თმები ლიმონის და თვალები ისეთი, თითქო ყოველთვის სიზმარს ხედავდენ.

დონა ვეტას ჰქონდა სახე სპილენძის, ტუჩები, როგორც ბროწეული, თმა შავი და თმაში სავარცხელი ლალით მოჭედილი.

თავი II.

ვინც უარყოფს იმას, რომ არის ბედი და წინასწარ განსაზღვრულია ყველაფერი, ეს მოსდის იმიტომ, რომ არ დავაჟკაცებულა, ან ბედი იგვიანებს.

ქალაქში მრავალი იყო სახელგანთქმული რაინდი და წარჩინებული გვარის ახალგაზრდა. მაგრამ დონა ელვირას და დონა ვეტას არასოდეს ჰქონიათ სურვილი რომელიმესთან განმარტოებულიყვნენ.

თავი III.

დილით ქალაქში იყო ზეიმი, საღამოთი კი ცაზე მთვარე და დონა ელვირა ესტუმრა დონა ვეტას. მეგობრები სასეირნოთ გავიდენ. დღით მზე იყო ცხელი. დაღამების შემდეგ კიდევ ცხელოდა. ყველა სახლებში ფანჯრები იყო ღია. აივნებიდან გიტარის ხმები ისმოდა.

მეგობრებმა გაიარეს ვიწრო ქუჩები და როცა მოედნისკენ შეუხვიეს, შეხვდათ რაინდი დონ ბილბაო.

რაინდს ჰქონდა დიდი ცხვირი და მისი დეზები რეკავდა ისეთი წმინდა ხმით, რომ უნდა ყოფილიყო გაკეთებული საუკეთესო ლითონისაგან.

რაინდი მოკრძალებით მიესალმა ქალებს და ითხოვა ნება გაჰყოლოდა მათ.

ბილბაომ უამბოთ მრავალი შემთხვევა სარაინდო და გასაკვირვალი.

თავი IV.

როცა დონა ელვირა დაბრუნდა ოთახში, იყო გვიან, მაგრამ თვალს ძილი არ ეკარებოდა. ჩამოჯდა ფანჯარასთან და ჯვარედინათ დაწყობილ ხელებზე თავი მოასვენა. თვალები ხედავდენ ცას უსაზღვროს და მთვარეს ნათელს, ყურს კი ესმოდა დეზების რეკა და საოცნებო ამბები, გაგონილი რაინდისაგან.

ვერც დონა ვეტამ დაიძინა. ოთახში იგრძნო სიცხე, ჩამოჯდა ფანჯარაზე, გიტარა ხელში მოიმარჯვა და სიმღერა დაიწყო.

დონა ვეტა არაფერზე ფიქრობდა და არაფერი აგონდებოდა, მხოლოდ გრძნობდა უსაზღვრო სიხარულს.

თავი V.

დანიშნულ დროზე მოდიოდა ყოველთვის დონ ბილბაო.

თუ იყვნენ დონა ელვირასთან, რაინდს უმასპინძლდებოდენ ტკბილი სასმელით, ლეღვით და ყურძენით.

დონა ვეტა კი ამჯობინებდა ბროწეულს, მწიფე შინდს და წითელ ღვინოს.

როცა შინ ბრუნდებოდა დონა ელვირა, ბილბაო უფრო ხშირად მიყვებოდა გაჩუმებული, მაგრამ ხანდახან შეხედავდა ისეთი ალერსით და იტყოდა რამეს ისე, რომ დონა ელვირას უკვირდა კიდეც, სად იყო რაინდში ამდენი სინაზე.

როცა ელვირასგან შინ ბრუნდებოდა დონა ვეტა, ქუჩებში შეუჩერებლივ ისმოდა მხიარული სიცილი და მაღალი ქუსლები ქვაფენილზე შოლტივით ურტყამდენ. რაინდი ბილბაოც ბოხი ხმით იცინოდა და მეტი ჯაფა ადგა თითებს, რომლებიც ვერ ისვენებდენ და გრეხდენ ულვაშებს.

თავი VI.

დონა ვეტამ შენიშნა ერთ დღეს, რომ მეგობარი უფრო მჭრთალი გახდა.

დონა ელვირამ იგრძო ერთ დღეს, რომ მეგობარი ხანდახან ოცნებობდა. ამის შემდეგ როცა ხვდებოდენ ერთმანეთს, უფრო ალერსიანი იყვნენ და ისე მიმართავდენ ერთი მეორეს. რომ მათ ხმაში ისმოდა მორიდება და ხუგეში.

— საბრალო ვეტა! — ფიქრობდა დონა ელვირა — მას უყვარს დონ ბილბაო და რა მწუხარება იქნება მისთვის, როცა გაიგებს, რომ ვუყვარვარ მე!

დონა ვეტა კი ფიქრობდა ასე, როცა ხედავდა მეგობარს:

— ახ ელვირა! ვხედავ, გიყვარს რაინდი, მაგრამ ვიცი საყვედურსაც არ მეტყვი, როცა გაიგებ, რომ ის მხოლოდ ჩემ სანახავად დადიოდა. შენ ისეთი კეთილი ხარ, რომ ნაღველს გულში ჩაიკლავ და ისევ მეგობრათ დარჩები!

და ფარულად ერთი მეორისაგან მეგობრები ხვდებოდენ ბილბაოს, რომელიც დანიშნულ დროს არასოდეს აგვიანებდა და საიდუმლო პაემანზე მეტი სიხარულით მიდიოდა.

თავი VII.

როცა დონა ელვირამ გაიგო, რომ ვეტა მისგან ფარულად ხვდებოდა ბილბაოს, ბევრი იტირა, მაგრამ სალამოს მაინც წავიდა პაემანზე.

დონა ვეტამ კი იფიქრა, რომ მეგობარი რაინდს გადაბირებას უპირებდა, გაბრაზდა და გაუგზავნა ბარათი, რომელმაც ატირა ელვირა.

ამის შემდეგ გაბედულათ ხვდებოდენ დონ ბილბაოს, მაგრამ მას სჭირდებოდა ისე მოეწყო საქმე, რომ დონა ელვარას არ გაეგო როცა დონა ვეტას უნდა შეხვედროდა და ათასგვარი ხრიკები ეხმარა, რომ დაეფარა დონა ვეტასაგან ელვირასთან პაემანზე წასვლა.

თავი VIII.

გზაჯვარედინზე ყოველთვის უბერავდა ქარი.

ყველამ, ვინც მიდიოდა ტავერნაში, იცოდა — გზაჯვარედინთან ქუდი უნდა დაემაგრებია, რომ ქარს არ მოეტაცა, ვისაც პარიკი ჰქონდა, ორივე ხელით უნდა მიშველებოდა, რომ მელოტი არ გაემხილა.

საღამოთი ტავერნაში თავს იყრიდენ მხიარული მოქალაქენი, გამოპარული ჯარისკაცები და კახპები.

რადგან დონ ბილბაოს პაემანზე სიარული გაუძნელდა, ისიც ტავერნის ხშირი სტუმარი გახდა.

ტავერნის პატრონი, ორსული ქალივით გაბერილი პასკვინო, სტუმრების მოსვლის შემდეგ მალე თვრებოდა. მიეგდებოდა დახლის ქვეშ და ხვრინავდა.

პასკვინოს მოვალეობის შესრულება უხდებოდა მის ცოლს დელფინას, რომელიც სიმსუქნისაგან ბევრს ვერ დადიოდა და ძუძუები ეკიდა როგორც მეწველი ძროხის ჯიქნები.

დელფინას სიამოვნებით ესაუბრებოდენ სტუმრები, როცა ის მიუჯდებოდა მათ მაგიდას.

მხოლოდ რაინდ ბილბაოს არ უყვარდა ტავერნის პატრონის ცოლი. მას ყოველთვის უდიოდა საჭმელების სუნი და ლაპარაკი უყვარდა გრძელი და უაზრო.

— პატივცემულო ქალბატონო, თქვენ ისეთი ალტაცებით მესაუბრებით მყრალ ლორებზე და ბანჯგვლიან ვირებზე, რომ ალბად ისინი თქვენი ახლო მეგობრები არიან!

ასეთი უზრდელობა სწყინდა დელფინას, მაგრამ რაინდს და მუშტარს წყენას როგორ შეკადრებდა.

რაინდი ბილბაო ცალკე იჭერდა მაგიდას. ვერც ერთი კახპა ვერ გაბედავდა მასთან მისვლას. იცოდენ — ელოდა თავისას.

პირველ ოთახიდან, სადაც შემოსასვლელი კარები იყო, უეცრად ისმოდა საერთო შეძახება და კიჟინა. მეორემ იცოდა რა იყო ეს.

მეორე ოთახიც იმავე კიჟინით ეგებებოდა ტერეზას.

რაინდი დონ ბილბაო მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვდა სასმისს.

ქალს ჰქონდა პატარა ვარდისფერი ქოლგა და თმებში დიდი საკარცხელი ყალბი მარგალიტებით მოჭედილი. აუჩქარებელი ნაბიჯით გაივლიდა მაგიდებს. ურცხვად, თითქო განგებ, გაუხედნავ ცხენივით მიათამაშებდა თა-

ვის დიდ საჯდომს. თხელი ნაქსოვი დაკვროდა ბარძაყებს და მის სათავეს, სჩანდა, კუნთები ჰქონდა მაგარი და მამაკაცების ხელებს ვერ დაესრისა ისინი.

თავი IX

დონა ელვირა გავდა წმინდანს და დონა ვეტაც არ იყო მიწიერი, მაგრამ ორივე იყო ქალი. ქალის გული კი შუდამ ეჭვიანი და წინადმგრძნობელია. მათ მალე გაიგეს, რომ რაინდი დონ-ბილბაო ორივეს ხვდებოდა ფარულად, ორივეს ერთსა და იმავეს უმღერიდა და, რომ მათ შემდეგ ტერეზასთან ღამეს ათევდა.

ერთ დღეს მოხდა ასე: დონა ელვირამ ვერ მიიღო დონ-ბილბაო, ხოლო ვეტამ გაბრაზებით კარები მიუხურა. ამის შემდეგ რაინდი მიხვდა, რომ აღარ დასჭირდებოდა ფიქრი, თუ რომლისათვის სად დაენიშნა შეხვედრა.

ახ, ბილბაო, რაინდო ბილბაო! შენი გული ქვათ აქცეს ომებმა და შენი ხმალისგან დაღვრილმა სისხლმა ჩამორეცხა სულ სინაზე. შენ დააშორე ერთმანეთს მეგობრები და ეხლა მხოლოდ ღიმილით იგონებ იმ ღამეებს, როცა ფარულად ხვდებოდი მათ!.

თავი X და უკანასკნელი

— დონა ვეტა — უეცრად მოესმა აივანზე მყოფ ვეტას ნაცნობი ხმა. — მინდა მოვიდე, როგორც მეგობარი... მიმიღებ თუ არა?

აივნის ქვეშ იდგა დონა ელვირა. დონა ვეტამ საჩქაროთ ჩაირბინა კიბე, გადაეხვია მეგობარს და სთხოვა შემოსვლა.

ამ საღამოს მთვარეც აღარ იყო ისე საოცნებო, დონა ელვირის თვალები აცრემლებულა, დონა ვეტამ გაახსენა მხიარული სიმღერები და მეგობრობა უფრო გაძლიერდა. და თუ შემთხვევით გაივლიდა დონა ვეტას აივნის წინ, იძულებული იყო დაეყრუებია დეზების ხმა, რომ ქალს არ გაეგონა და არ დაედევნებია დამცინავი სიცილი, რომელიც იყო ომებში მიღებულ ჭრილობებზე უფრო მწვავე.

დ. სულიაშვილი

პირველი ზვირთი

უძრავი და შეჩერებული იყო ზედაპირი ცხოვრებისა ერთმანეთს შეუმჩნევლად მისდევდენ უფსკრული დღეები ქალაქის მოსახლეობისა და არ იყო გატაცება აფრთოვანება... სამაგიეროდ ცხოვრების სილრმეში, მის განაპირა უბნებში, იქ, — სადაც დაკოჟებული ხელით ინთება პატარა ლამპარი და შუქით ნათდება პატარა ეზოები, — ისმოდა ხმაური უცნაური.

შეუცნობელის ძალით, როგორც გაზაფხულის მთის ნიავი, ახალი ხმა, — მისრიალებდა ერთი ეზოდან მეორეში, ერთის პირიდან მეორეს ყურში, ერთის გულიდან მეორეს კუნთებში.

ჯერ კიდევ სუსტი გრიგალი, — მუშათა უბნებს სისწრაფით ედებოდა. პატარა წრეები გაფიცვებში გადადიოდა. გაფიცვები დემოსტრაციებში.

ისმოდა ახალი ხმა. აიაზმით გაწმენდილი სიტყვა „ამხანაგებო, — და ეს სიტყვა, ახალი შეცნებით ნახმარი, — აღფრთოვანებას და გატაცებას ჰბადებდა ახალგაზრდათა გულში...

პირველად გოგიას ძალიან გაუჭირდა წრის ჩატარება ეხლაც ცივ ოფლს დაასხამს ხოლმე, პირველი წრის საუბრის ამბავს რომ იგონებს.

რვა საათის სამუშაო დღის შესახებ უნდა ელაპარაკნა. წაიკითხა მოცემული ბროშურა „რვა საათის მუშაობის დღე“, დანიშნულ დროს მივიდა რკინის გზის ხიდთან. აქ უნდა მოსულიყო კავშირი.

მოუსვენრად გრძნობდა თავს, ხიდის ყურიდან დაჰყურებდა ღამის სივრცეში გაჭიმულ რკინის ლიანდაგს ცეცხლის თვალებით და რკინის რკალებით, რომ ახმაუ-

ებდენ მიდამოს. გაჰკიოდენ. ხვრინავდენ. ქშინავდენ. ძალლა აზიდულ ელექტროს შუქზე — კვამლის ბამბას აბურთავებდენ. ვაგონებს წიწილებსავით მიათრევდენ და მერე ლამის წყვდიადში ინთქებოდენ. ლიანდაგთა შორის უწესრიგოდ გაფანტული სანათები მიბჟუტულ ვარსკვლავებივით კიაფობდენ.

ყრუ გრუხუნი, ხმაური, სტვენა და ყვირილი — ქალაქის პირად მყოფ სადგურისა, — მუდმივი სიცოცხლისა და მოძრაობის ემბლემად გადაქცეულიყო.

მოაჯირზე დაყრდნობილი, გატაცებით გასცქეროდა ამ სურათს. მკლავში ხელი მოჰკიდა ნაცნობმა ახალგაზრდა მუშამ და ვიწრო, ოლრო-ჩოლრო გზით დაბალ შენობისაკენ წაიყვანა.

მერე, — პატარა ოთახი, აგურით დაგებული. მბჟუტავი ლამპარი, კედელთან ჯაზეთებით დაფენილი მაგიდა. მაგიდაზე წიგნები. ჭიქა ბოთლი. სამელნე, კალამი და ტანისამოსის საწმენდი ჩოთქი.

მაგიდის ზევით კედელზე, — პატარა სურათები გაურკვეველი სახეებით.

აქეთ იქით ტახტები ლოგინით. ორიოდე სკამი. ტახტებზე ჩამომსხდარი ახალგაზრდა სახეები, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი.

ოთახის მკრთალ სინათლეში შავად მბზინავი წყვილ წყვილი შავი წერტილები, — შესცქეროდენ მას იდუმალებით, როგორც მორწმუნენი, — მღვდელს, სარწმუნოებრივი წესის შესრულების წინ.

გოგიამ უნდა ილაპარაკოს რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ეს იცის მან. ამისთვის მომზადებულიცაა. ორჯელ აქვს წაკითხული წითელ კანიანი წიგნაკი, თავში უტრიალებს იქიდან ამოკითხული აზრები: — რომ მუშისათვის საჭიროა რვა საათის მუშაობა, — რვა საათის დასვენება, რვა საათის ძილი. ეხლა კი ზოგ წარმოებაში მუშები თორმეტ საათს მუშაობენ და მისი ნამუშევარით სხვები მუცელს ისიებენ, საჭიროა მუშამ მოიპოოს რვა საათის სამუშაო დღე, საკმარისად დაისვენოს და მაშინ მუშაობაც ნაყოფიერი, ინტენსიობით იქნა. ამას მიხვდენ

ბევრი კაპიტალისტები და ამიტომ თორმეტი საათის სამუშაო დღის მაგიერ თორმეტი საათი შემოიღეს და მაშინ მუშაობაც ნაყოფიერი გამოდგა, კაპიტალისტმაც მოიგო.

ამოკრებილ აზრებს აჩქარებით ლაპარაკობს, ერთ წინადადებას — მეორე მისდევს. აზრების დალაგებას და მოფიქრებას ენა უსწრებს. და უეცრად თავში გამოიჭრება ერთი აზრი; „თუ კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელია სამუშაო დღის შემოკლება. რატომ ამისათვის უნდა იბრძოლოს მუშამ მაინც და მაინც“.

აზრი ჩერდება. ენა ებნევა. იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი ახალგაზრდათა სახეები, ქარის წისქვილის ფრთებივით შეტრიალდებიან და დაექანებიან ქვევით დაბლობისაკენ.

ორომ ტრიალში ჩავარდნილი, თავბრუ დახვეული გოგია გრძნობს, რომ სიჩუმე ჩამოვარდა. საჭიროა საუბრის გაგრძობა, მაგრამ აღარ იცის რა უნდა სთქვას. თავში უხერხულობას გრძნობს, — ეს უფრო აბნევს. მოსულ კითხვას რა პასუხი გასცეს.

ენა ტყვიასავითაა დამძიმებული და აღარ იძვრის. საფეთქელი გახურებულია, უნდა წამოვარდეს და დახუთულ ოთახიდან სუფთა ჰაერზე გავიდეს სიცხვილს გაექცეს, სიწითლე დამალოს, მაგრამ სკამზე მიკრულია მძიმე ჯაჭვებით.

პაპიროზს ამოიღებს. წუმწუმას მოუკიდებს. ბოლის ამოსუნთქვასთან ერთად გული მოძრაობას იწყებს, ენა ბორძიკით ალაპარაკდება და ორიოდე წინადადებას ამოისვრის.

ამ საგანზე შემდეგ კრებაზე განაგრძობს ლაპარაკს, ეხლა უქეიფოდ გრძნობს თავს, — წაილულლულებს,—და ოთახიდან შურდულივით გავარდება...

ასე ჩაიარა პირველმა წრემ. ხოლო შემდეგში, — როცა საუბარი ბუნების მოვლენებზე, კაცობრიობის კულტურის ისტორიაზე და განსაკუთრებით პოლიტიკურ მდგომარეობაზე მიმდინარეობდა — მსმენელთა

თვალები გაფართოებული იყო. ეს კითხვები აინტერესებდა მათ. ისიც გატაცებით ლაპარაკობდა და მათაც იტაცებდა...

*
* *

გოგიას გული სავსე იყო მალალი ჯერ მისთვის შეუცნობი ზრახვებით. სხეულის კუნთები მისთვის სავსე იყო ციური ხმებით. თითქო სიმი ყოფილიყოს, ისე იყო მისი ძარღვები დაჭიმული...

მას ესმოდა უცხო სიმღერა, სადღაც კუნჭულში გაისმოდა ბავშობისას ალიონზე მოსმენილი ურმული „მთაო გადმიშვი, გადმიშვი! რა ნისლი მოგიხვევია... მთას იქით ჩემი მიჯნური, სხვას ვისმე ჩაუხვევია“...

ეს მოდუნებული, მწუხრი და ნაღვლიანი სიმღერა, ახლა მხიარულ სიმფონიად ჟღურტულებდა მის სხეულში.

შეუმჩნევი მოპარვით გაივლიდა გონების თვალის წინ სურათი ოლლობეში აჭრიალებულ ძნით დატვირთულ ურმისა. კოფოზე წამომჯდარი ნაღვლიანი სახე ლექსოსი და ზანტი ნაბიჯები კამბეჩებისა...

ადრიან გაღვიძებული, ხის ტოტებზე შემომსხდარი მოჟღურტულე ჩიტები, დილის სიოსგან აშრიალებული ფოთლები, — ერთ დაუსრულებელ ჰარმონიად ქცეული ბუნება და ცხოვრება, — როგორც სიზმარში ნახული უცხო სახეები, — გაივლიდენ მის მეხსიერებაში და იქ ხმაურობდენ, როგორც ნაკადი მოვარდნილ მდინარისა.

გატაცებული და აფრთოვანებული დაიარებოდა ქალაქის ახმაურებულ ქუჩებზე და გრძნობდა, რომ მომავალი ნიალვარი მალე წალეკდა დაბურულ ცხოვრების დენას.

მას უნდოდა ყველა ამღერებულიყო, ყველა ჩაბმულიყო დიად ბრძოლაში.

ახლა მას გაუჩდენ ახალი მეგობრები, — მის წრეებში მოსიარულე ახალგაზრდა მუშები, — მკვირცხლი

თვალებით, გონიერი შეკითხვებით, ზრდილობიანი, სათნო და ნაზი მოპყრობით, — რომ აქებდენ და ახალისებდენ მას.

ამათ გარდა კიდევ იყო ერთი არსება — მის გულის ყურს რომ ატყვევებდა.

ეს ის თვალები იყო, ზევითა სართულიდან, რომ მალაროს ორი ხვრელივით მოაჯირზე გადმოეყუდებოდენ და გოგიას თვალებს იზიდავდენ.

მის დანახვაზე უცნობი სიმი აჟღერდებოდა სხეულის მივარდნილ კუთხეში და ტკბილ ლიტინს დაუწყებდა.

და როცა კიბეზე ჩამომავალ შავ თვალწარბას დაინახავდა, — მსწრაფლ მიანებებდა წიგნის კითხვას თავს. ქუჩაზე გავიდოდა. ჯერ შორიდან ქვაფენილზე რხევით მიმავალ ტანს მისდევდა და მერე კრძალვით თვალებში ჩახედავდა.

— სად მიხვალთ, ელენე?

კრთომით შეეკითხებოდა.

— არსად! დეიდასთან!

სხვაგან არსად დაიარებით ელენე? არაფერი გიზიდავთ?

— რა უნდა მიზიდავდეს?

— აი, მაგალითად წიგნებიიი... — კიდევ უნდა დაესახელებია ბევრი რამ, რაღაც დიდი მალალი, წარმტაცი, რომელიც ელენეს უსათუოდ ‘ზიიზიდავდა. მაგრამ რა იყო ეს, — სიტყვით ვერ გამოეხატა მას.

— წიგნები კი! წიგნები ძალიან მაინტერესებს, მაგრამ რომ ვერ ვშოულობ ისეთ წიგნებს, როგორიც მე მიხდა?

— მაგალითად გორკი წაგიკითხავთ?

— არა, გორკი არ წამიკითხავს მომიტანეთ! თუ იშოვოთ!..

კი, გოგია სიამოვნებით მოუტანს გორკის და სხვა წიგნებსაც! და გოგიას მოტანილ წიგნებს, რომ წაიკითხავს ელენე, — მაშინ გაიგებს რა უსამართლობაა ქვეყანაზე დამყარებული!.. აბა, როგორ შეიძლება ერთ ქა-

ლაქში სცხოვრობდეს ორი ოჯახი: ერთი ფუფუნებაში და ნებივრობაში, მეორე კი მოკლებული ყოველივეს! ერთის ბავშვები ყველაფერს ჭამდნენ, მეორესი კი არაფერს!.. მაშინ, როცა სიმდიდრეს მუშები ჰქმნიან, მათი შვილები სილატაკეში იზრდებიან... ეს უსამართლობა უნდა მოისპოს! უნდა დამყარდეს თანასწორობა. ბავშვები უნდა იზრდებოდნენ თანაბარ პირობებში, ბუნების წიაღში!..

გატაცებით ეუბნებოდა ხოლმე გოგია ელენეს თავის კდემა მოსულობით, ნაივური აფრთოვანებით, ყელში მოსული გულჩვილობით.

ელენეც ყურს უგდებდა გაყუჩებული, ხოლო არ ესმოდა, რა იყო საჭირო ამის მისაღწევად!

თითქოს ხიბლავდა მასაც გოგიას ამაღლებული აზრები, თითქო ახალი ნაკადი ანკარა და მჩქეფარე ერთოდა გაჩერებულ მდინარეს... უყვარდა მისი ლაპარაკი, — ხოლო დასცილდებოდა თუ არა მას, — სულ სხვა ფიქრები და ზრახვები ეუფლებოდნენ მის გულს.

შემოფარგლული წრე, ოჯახის და ნათესავების ჯაჭვიანი ხელებით ჰბორკავდნენ მას.

მისი ერთფეროვანი ცხოვრება, მიმდინარეობდა ისე, როგორც ყოველი მცირე მოხელის ოჯახის წევრებისა.

მამა მისი რკინის გზის მოხელე — სამგზავრო მატარებლის ობერკონდუქტორი, — ერთ დროს ოჯახს დოვლათით ავსებდა. სახლებს იძენდა. ცოლშვილს კმაყოფაში ინახავდა. ხოლო ბედნიერება დიდ ხანს არ დასცალდა და ფილტვების ანთებით ადრე გარდაიცვალა...

ქალ ვაჟით დარჩენილმა დედამ, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ხელმომჭირნეთ იწყო ცხოვრება დატოვებულ შენაძენს, — ობოლ შვილების სწავლა-გაზდაში იზოგავდა.

ნელის ტემპით და ქალაქის მოსახლეობის ზნეჩვეულებით მიდიოდა ელენეს ცხოვრება. შეზღუდული იყო გონების კარი. დედის მიერ რჩევა-დარიგების იქით არ მიდიოდა აზრი.

და როდესაც გოგია ადუღებული გულით, აცეცხლებული გონებით ჰლამობდა მის მოხიბვლას და გულისყუ-

რის ახალი გზით მიმართვას, — ელენე სულ სხვა ცხოვრებას ეტანებოდა.

დედობრივი მზრუნველობით გამოაწყობდა ხოლმე დედა თავის ქალიშვილს და მიჰყავდა სალამოებზე, „ვეჩერინკებზე“, ლოტოს თამაშობაზე, „ლატარიაზე“ და თეატრებში.

დედობრივის მზრუნველობითვე თვალ-ყურს ადევნებდა თავის შვილის ყოფა-ქცევას.

ელენე გოგიაზე ფიქრობდა. მაშინ მისი სურვილი იყო, რომ მასაც ეარნა ასეთ სალამოებზე. მაშინ ელენე აჩვენებდა გოგიას თუ როგორ მომხიბვლელად ცეკვავდა მაზურკას და ვალსს, როგორ ეცილებოდენ კავალერები ერთმანეთს ელენესთვის...

ყურს უგდებდა გოგიას ლაპარაკს და თავის თავს ეკითხებოდა, — რატომ მისი ნაცნობნიც არ ლაპარაკობდენ ასეთი ენით, ან რატომ გოგია არ დაიარებოდა ასეთ სალამოებზე ან თეატრში...

— მართლა, რა უნდა მეკითხა თქვენთვის! — შეეკითხა ერთხელ ელენე, — რატომ არ დაიარებით ქართულ თეატრში?..

მართლაც! რატომ არ დაიარებოდა გოგია ქართულ თეატრში?.. ერთხელ არ ყოფილა ქართულ წარმოდგენაზე!... მაგრამ მას ხომ მოცალება არ აქვს! წავიდოდა როგორ არა! მაგრამ რას მისცემს მას თეატრი! დღევანდელი თეატრი ხომ მდიდარ კლასის ინტერეს ემსახურება! მესმის მომავალი თეატრი, სადაც პროლეტარული თვალსაზრისით იქნება გაშუქებული ცხოვრება და მის დუხჭირი მიმდინარეობა... არა! გოგია არ ივლის დღევანდელ თეატრში!..

— ამას წინად სამშობლოზე ვიყავი!.. განაგრძნობდა ელენე.—ღმერთო! რა კარგია მესხიშვილი ლევან ხიმშიაშვილის როლში. თეატრი სავსე იყო ხალხით. მესხიშვილის გამოძახებას არ ჰქონდა დასასრული! არ გინახავთ მესხიშვილი „სამშობლოში“?

— არა, არ მინახავს!

უსათუოდ ნახეთ! он прямо божественен? განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში თავის საყვარელ ქეთოსთან... როცა მას აგონდება მიცემული ფიცი... დაჰკა ლევან მით სამშობლოს ხსნი! გული გაუპე, მითჩემ გულს მოიგებ!.. ხანჯალს ყუამდი ჩასცემს მოღალატე ქეთოს და გადახტება სამშობლოსათვის წამებულ მეგობრებთან განათებულ ფანჯარაში.
თვის წამებულ მეგობრებთან განათებულ ფანჯარაში.

— ჰმ! სამშობლო! მერე რა არის სამშობლო! სამშობლო! პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო! სამშობლო ბურჟუების მოგონილია და სამშობლოც მათია! ისინი სარგებლობენ მისი სიმდიდრეებით! საუკეთესო ალაგებს ისინი ისაკუთრებენ. სამშობლოს ჰაერს, წყალს, მთებს და მინდვრებს, ისინი დაჰპატრონებიან!..

პროლეტარიატი, მშრომელი ხალხი კი უმზეო და ჭვარტლიან ქარხნებში არიან მომწყვდეულნი... ლუკმა პურის საშოვნელად, პროლეტარი იქ მიდის, სადაც მას მოიპოვებს! მაშ რაღა არის სამშობლო!..

არა ქალბატონო ელენე! მაგისთანა პიესებზე ნულარ წახვალთ! არ გირჩევთ! აი, დადგმენ კაი გრაკხს, მაშინ კი ღირს წასვლა!

ელენესათვის უცხოა ასეთი ლაპარაკი. ვერ მიმხვდარა ვერ გაუგია მისი აზრები. მაგრამ, გრძნობს მასში შეუცნობ ძალას, მოსწონს მისი გულწრფელი მსჯელობა, ბავშვის თვალები, ანთებულ სანთლის შუქივით, რომ ციმციმებენ, ერთმანეთზე მოწყობილი გრძელი კბილები და მიმზიდველი სახე...

* * *

საპროპაგანდო წრეები ნაძალადევში და დიდუბეში თანდათან მრავლდებოდა. ახლა გოგიას ყოველ საღამოს ჰქონდა ძველი თუ ახალი წრე.

რუსეთიდან მოდიოდა ახალი არალეგალური ლიტერატურა: წიგნაკები, ბროშურები, ფურცლები, გაზეთები. იქიდანვე მოდიოდა ხმები გაძლიერებულ მუშაობის შესახებ, გუგუნის ხმა თანდათან ძლიერდებოდა.

მოძრაობას მუშაკებიც ემატებოდა.

ქვევიდან დაწყებული მოძრაობა, ცხოვრების ზედა ფენებსაც ედებოდა. ლეგალურ გაზეთებშიაც გაისმოდა ხმა პროტესტების, ხაზი ესმოდა შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჩრდილოეთიდან ისმოდა ყრუ გრგვინვა. ქარხნის მუშების გაფიცვები, დემოსტრაციები, პროტესტები, ყუმბრების აფეთქება, — „საზოგადოებას“ არ აძინებდა, მყუდრო ცხოვრებას ურღვევდა.

ყოველ საღამოს გაივლიდა გოგია, მაღალს და ვიწრო რკინის გზის ხიდს და ნაძალადევში მიდიოდა.

დანიშნულ ალაგს კავშირს შეხვდებოდა, მერე უსწორ-მასწორო ბნელ ქუჩებს გაჰყვებოდა, პატარა დაბალ აგურებით დაგებულ ოთახში ახალგაზრდა სახეებს საღამს მისცემდა და იწყებდა საუბარს.

მსმენელთა სახეები თითქო მოიღუშებოდა, გოგიას საუბარი ჯერ ნელა მიოაკრაკებდა, როგორც მთის მდინარე, ხტუნვით და ბორძიკით, თითქო ორრო-ჩორრო გზას იკვლევდა, კორდიან ნაპირებს გვერდს უხვევდა, მერე კი დინჯი მსვლელობით, როგორც მდელოზე გასული მდინარე, მოჩუხჩუხებდა ნელა, დალაგებული აზრებით.

შეკითხვები საუბარს აცხოველებდა, გაურკვეველ კითხვებს აშუქებდა, მოღუშულ სახეებს შლიდა. აღიმებდა იბმოდა იდუმალი სიმი, — წრეს რომ აფრთოვანებდა.

ხშირად რევოლიუციის გმირებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მაშინ ახალგაზდათა თვალები ნესტით ივსებოდა და ლოყებს წითელი ფერი ეკვროდა.

„როდის იქნება ეგ ამბავი ჩვენში, როდის“ იკითხებოდა ატაცებული სახე ახალგაზდა მუშასი.

„მალე!“ „მალე!“ პასუხს იძლეოდა ამხანაგი.

ერთი წრის ჩატარების შემდეგ, გოგია შავბლუზიანმა მუშამ გააცილა. კვირცხლი თვალებით, ბავშური სახის გამომეტყველებით, ისე შესცქეროდა გოგიას, როგორც შეგირდი მასწავლებელს!

მოკრძალებით, ზრდილობით ეკითხებოდა, თუ რომელი წიგნი უნდა წაეკითხა ან სად ეშოვნა წიგნები.

— შენი სახელი? ჰკითხა გოგიამ

— იაკინთე ბატ.. ონ... ამხანაგო! გაისწორა იაკინთემ და პირველად რომ წარმოთქვა ეს სიტყვა გოგიასადმი მიმართული, — ტანში ჟრუანტელმა გაუარა. „ამხანაგო“ და გულში ელემებოდა, თვალები უბრწყინდებოდა, გული უჩქროლავდა.

მას ჰყავს ამხანაგი, და მისი ამხანაგია მასწავლებელი გოგია! ამხანაგია!.. კუნთებში მისრიალებდა თხელი, ტკბილი სითხე, შეუცნობი ახალი ნაკადი... და ეს სიტყვა „ამხანაგო“ ამხნევებდა მას... მისი პატარა ტანი, გოლიათის ოდენა ხდებოდა, გული გაღუებული პურივით იბურცებოდა, თვალები განიერდებოდა, ძარღვებში სისხლი ჩხრიალებდა.

მაშ, ასე! იაკინთე ივლის „ამხანაგ“ გოგიას ბინაზე, იქ ძიღლებს წიგნებს და საჭირო განმარტებას შეკითხვებზე...

— რამდენი ხანია თბილსში ხარ?

— არ არის დიდი ხანი! სულ ოთხიოდე წელია!

— როგორ მოხვდი აქ?

როგორ? სულ უბრალოდ! ყველაფერს დაწვრილებით ეტყვის, თუ კი ეს ამხანაგს ესიამოვნება! მაშ, ვის ეტყვის თავის გულში ნაღებს, თუ არა მას! კარგად ახსოვს იაკინთეს თავისი სოფელი ისლარი! აგონდება ფერდობზე გაფანტული ყავრით დახურული, პატარა აივანიანი სახლები. ფარლალალა, — ფიცრული შენობა, ჭერში ჩამოკიდებული ჭვარტლიან ჯაჭვზე გიდელის მსგავსი ქვაბი, ქვაზე გადებული გრძელი ტოტები და ალ ავარდნილ ტოტებზე, — კეცები, დედა დაკარწახებული მკლავებით, ჭადის ცომით ხელში... იაკინთე სამ ფეხა სკამზე წამომჯდარი, ჭადის გამოცხობის მოლოდინში. მერე გადმობრუნებული გაწითლებული კეცები.

რგვალი ჭადის ცომი დედის თითებით კეცზე პტყელდება და ცეცხლის წინ სამ-კაპიან ჯოხზე ეყუდება, ნაკვერჩხლებს ეფიცხება. კეცებით შეკავებული ალი ახლა ზევით ესწრაფის, ნაპერწკლები სცვივდება.

მალე დედა კეციდან აგლეჯილ ჭადს შუაზე სტეხს. ხახევარი ჭადი იაკინთეს თითებში ფარფატებს.

კიდევ იღებს დედა ორიოდე ჭადს. პატარა კოჭობში მოხარშული ლობიოს და ჭადებს სახოცში ახვევს. სახოცში გამოკრული და წყაროდან მოტანილი სავსე დოქი იაკინთეს ხელს ამძიმებს, მეორე ხელში ჭადი უჭირავს და კბეჩით მიეშურება ყანისაკენ.

პატარა ღელეს გაივლის, ორლობეს აეკვრება. მალე გავა ყანებში. შორიდან შეამჩნევს მოკაკულს მამას თოხი ხელში, სიმიდებში რომ ტრიალებს.

„მოხვედი შვილო? სად ხარ ამდენ ხანს“ თოხს მიაყუდებს, დოქის ტუჩს ულვაშებში და წვერებში ჩამალავს და გოგია ხედავს მამის წვერებზე პატარა ნაკადი, თეთრ ნამცვეცებათ რომ მისრიალებენ, ბალნიან გაღეღილ გულ მკერდზე, რომ მიკრიალებენ თეთრი მძივების მსგავსად.

იაკინთე ისევ სახლში ბრუნდება. ბალის ქერქისაგან გაკეთებულ რგვალ ბოყვებს მოკრიფავს, ზოგს თხილით გაავსებს, ზოგს ქლიავით და ზოგსაც ლეღვით. ფოთლებს გადაახურებს, მზის ჩრდილს შეხედავს თეთრ ქვასთან რომაა მიტანებული და დალმართზე დაეშვება.

გზაში ამხანაგები ხვდებიან, ისინიც სადგურზე მიდიან ქლიავის და ლეღვის გასაყიდად.

დადიოდა სადგურზე, გაჩერებულ ვაგონებს აუვლ — ჩაუვლიდა და ხმა მაღლა გაჰკიოდა! ლეღვი! ლეღვი! — აბა კაი ლეღვი!..

ვაგონების ფანჯრებზე ამჩნევდა გადმოყუდებულ თავებს. იცოდა რომ ისინი ქალაქში მიდიოდენ. იცოდა რომ ქალაქში დიდი შენობებია, რომ ხალხი მდიდარია და ყველა ნასწავლი; რომ ქალაქში თეთრ პურს სჭამენ და არა ჭადს და ლობიოს.

მისი ერთი მეზობელიც მსახურობდა ქალაქში და როცა იქიდან ბრუნდებოდა სახლში, თავის პატარა დებსა და ძმებისათვის თეთრი პური მოჰქონდა და კიდევ ფოჩიანი კამფეტები.

იაკინთე გულდაწყვეტით აცილებდა მიმავალ მატარებლებს, დიდ ხანს შესცქერდა ქალაქისაკენ მიმავალ ვაგონებს და მგზავრებს შენატროდა.

იმანაც გადაწყვიტა ქალაქში წასვლა. ხილის ყიდვას უმატა, გააფთრებული დარბოდა ვაგონების წინ და გაჰკიოდა! ლელვი! ლელვი!. აბა, ვის უნდა კაი ლელვი!... შაური! შაური!...

და იწყო შაურების მოგროვება.

გადაწყვეტილებას არავის უზიარებდა ერთი ამხანაგის გარდა, რომელსაც ეკვეხებოდა, რომ ის მალე ქალაქში წავა, იქ გამდიდრდება და წვეროულვაშიანი ისევ დაბრუნდება სოფელში, მერე დედასაც და მამასაც წაიყვანს და იქ იცხოვრებს დიდ სახლში.

ამაზე ოცნებობდა იაკინთე მთელი წლის განმავლობაში. შემდეგ ქალაქში მცხოვრებ მეზობლის მისამართი ჩაიწერა.

როცა ქალაქში ჩამოვიდა. მეზობლებმა ერთ ქარხანაში მიაბარა შეგირდად. პირველ ხანად ბევრი ინალვლა სოფლის დაშორებაზე, მეტად ეძნელა ქარხანაში მუშაობა. ქალაქის კეთილ ცხოვრების მოლოდინი გაუცრუვდა, დაღონდა... მაგრამ დაბრუნება მაინც არ ინდომა. სასირცხოდ მიაჩნდა. მშობლებს წერილი მისწერა და თავის კარგი ამბავი შეატყობინა.

მალე კერძო ქარხანიდან რკინის გზის სახელოსნოში გადავიდა და კმაყოფილია თავის ცხოვრებით.

— ახლა მე, აი წიგნები მაინტერესებს ამხანაგო, სხვა არაფერი! დაამთავრა იაკინთემ.

— აღარ გინდა სოფელში დაბრუნება?

— არა, რა უნდა გავაკეთო იქ! აი, ახლა ამ წრეში რომ ჩავარდი და პატარა რაცხა გავიგე, მეტი რა მინდა! ამიზა არ ვიკლავდი თავს. — პატარა ვისწავლო რამე თქვა?

გოგია მოხიბლულია იაკინთეს დაკვირვებული განვითარებული გონებით, მისი ენერგია და მკვირცლი თვალები მასაც ამხნევებს, და რომ ასეთ ამხანაგებს იძენს, მუშაობის ენერგია უათკეცდება. მხნეობა ემატება. გამარჯვების რწმენა უმტკიცდება და იმედიანი თვალებით გაიყურება შორს, მომავლისაკენ...

ლევ. მეტრეველი.

ალავერდობა

ქართველი ხალხის ხალისიან გუნებას წარსულის შორეულ გზასავალიდან თითქმის ხელუხლებ სიმშვენიერეთ გადმოუტანია ძველთაგან ძველად მომდინარე დღეობა.

ახალ ცხოვრების საზღვარზე შეიძლება ბევრი თავისებური სამკაული დარჩა დღეობას. მხოლოდ რაც გადმოსცდა, ისიც სიცოცხლით მოჩუხჩუხე გაბადრული სურათია ჩვენი ხალხის საგანგებო მოლხენისა.

დღეობა — ეს სოფლის ბირმშო მოვლენაა.

სოფელი და დღეობა ხლი-ხელ გადახვეულან — როგორც ძმად ნაფიცნი, როგორც შეყვარებულნი.

გლეხის ჭაპანსაწყვეტ ცხოვრებაში დღეობა გვევლინება ნამდვილ ხალხურ სიხალისეთ და სილამაზეთ.

ეს არის გლეხობის შესვენება, მეჯლისი და სანახაობა.

სოფლის ცხოვრება მოსაბეზრებელი იქნებოდა ურმის ჭრიჭინივით, რომ იქ ხანდახან არ იჭრებოდეს დღეობა თავისი ფეროვანი ალიაქოთით.

დღეობა არის სოფლეურად ჯერ-ჯეროობით გადახდილი უდიდესი წვეულებანი.

ეს არც ნათლობაა, არც ქორწილი, არც სალმთო, მაგრამ აქაც პურ-მარილის სიუხვეს არა აქვს საზღვარი. სიმხიარულე და გართობა აქაც გადადის თავდავიწყებაში.

არა! ეს ნათლობაზე და ქორწილზე მეტიც არის. ეს არის სოფლები. სახალხო დროს გატარება, საერთო მოლხენა და არა ცალკე ოჯახის ბედნიერება.

ამ დღეს დაუპატიჟებლად მიდის ნათესავი — ნათესავთან, ნაცნობი — ნაცნობთან.

ძალიან ხშირად კი ხდება ახალი დანათესავებაც და ახალი გაცნობაც.

ამ დღეს ყოველ გლეხს უხარია სტუმარი, ქეიფი და ხარჯის გაღება.

ამ დღეს ყველა სცდილობს — იყვეს პურადი, საამო და მხიარული.

ეს არის ვალის გადახდა პურმარილით და ახალი ვალის დადება ისევე პურმარილით.

ამ საზეიმო შეხვედრით ინახება გულივით მფეთქავი და ანდამატივით მიმზიდველი კავშირი სოფლისა — სოფელთან, ნათესავისა — ნათესავთან, ხალხისა — ხალხთან.

ეს არის პურმარილის უკვდავყოფა — ჩვენი ხალხის გულუხვობითა და სიმხიარულით ყოველ წელიწადს განახლებული.

აქ ახლად იმყნობა რაღაც კეთილი ნაყოფი. ახლად იჭედება რაღაც ძალა. ახლად ეწაფება უკვდავების ნაკადს ქართველი ხალხის უკვდავი სული.

ხშირად კი დღეობას საქმიანი ხასიათიცა აქვს:

აქ მოდის გლეხი სავაჭროდ. აქ ძოუდით ჩოდრებს საქონელი გასასყიდათ. ჩვენი სოფლების შინაური ნაწარმოებიც აქ მოდის ხშირად გასასაღებლად.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმიანობა მაინც სხვა არის:

აქ საქორწილოდ შელერებული ბიჭი მოუსვენრათ დაეძებს თავის საკბილოს.

ვასათხოვრად გამზადებული გოგონაც აქ უთვალთვალებს თავის ბედით მოგზავნილ უცხო ჭაბუკს.

აქ სინჯავენ. აქ იწუნებენ. აქ არჩევენ ახალს.

დღეობა სწყვეტავს ბევრი სოფლელი ბიჭისა და გოგოს ბედ-იღბალს.

ოო, დღეობა საუცხოვო გამოფენაა ჩვენი ხალხის ხალისიანი გუნებისა.

აქ ქეიფობენ დარდიმანდულად და სხვასაც აქეიფებენ.

აქ თამაშობენ გაუთვალისწინებელი მოხდენით და სხვასაც ათამაშებენ. მღერიან და სხვასაც ამღერებენ.

თვითონაც ახარებენ თავიანთ ჭიას და სხვასაც გაუხარებენ.

ყველა სცდილობს გამოიჩინოს აქ ლაზათი — ქეიფისა, შნო — სიმღერისა, მოხდენა — ცეკვისა, უნარი ჯირითისა და ფალავნობისა.

დიალ, ბევრი თავმომწონე ბიჭი მოდის დღეობაში საფალავანოდ. ზოგი მათგანი სახელზე სახელს მოიხვეჭს. ზოგი კი გულმოკლული ბრუნდება უკან, რომ მეორე დღეობაზე აღადგინონ შენახული თავმოყვარეობა.

უდღეობოთ სოფელი წარმოადგენდა მხოლოდ შრომის ბეგარას და ემსგავსებოდა სამგლოვიარო სავანეს.

დღეობა უნდა დღეგრძელობდეს ხელშეუხებლად, რადგან ეს უდიდესი და ულამაზესი მოვლენაა ჩვენი ხალხის ადათ-ჩვეულებაში.

ეს არის მთელი ხალხის სადღესასწაულო ამოძრავება ნადიმობით, დავლურ-სიმღერით, ჯირით-ფალავნობით, სამხიარულო აურ-ზაურით.

ეს არის გულადი და პურადი მოლხენა ჩვენი ხალხისა.

*
* *

ალავერდობას მივემგზავრები.

წინადაც მინახავს. ეხლაც მინდა ვნახო.

ვისაც არ უნდა გაანახევროს შთაბეჭდილება აუცილებლად უნდა დაესწროს ლამისთევასაც.

შუადღის შემდეგ გამოვედით თელავიდან.

ვარდისუბნის გადმოსახედიდან მწვანე ხეების ქარავან შორის იქ, ალაზნის დაბლობიდან ფეხზე ამდგარ პატარძალივით მოსჩანს თეთრი ტაძარი ალავერდისა.

ხან მოეფარება. თითქოს მორცხობდეს ყოველის ძხრიდან მისკენ მიმავალ ხალხის წინაშე. ხან ისე გამობრწყინდება თვალის საამო ნავთსაყუდარად, თითქოს გვამხელდეს:

— აქა ვარ! გელით!

გადავიარეთ თოფის სასროლზე გადაჭიმულ თურდოს რიყე.

გზა მიდის ლორლზე, სიპ ქვებზე, ლოდებზე.

ეს ქვები, ეს ლოდები ყოველთვის მაგონებენ სამარეში მწოლიარეთა აქ დარჩენილ ფიქრებს და იმედებს.

(ალბათ იმიტომ ხმაურობენ ასე ერთგვარად, ასე საზარლად).

რუისპირიდან იწყება გრძელის გრძელი, მიხვეულ-მოხვეული ორლობეები.

ეს მაყვალის მწვანე კედლებია მარცხნივ და მარჯვნივ ჩაყოლებული. თითქოს პირი შეუკრავთ ამ უკარა ბუჩქებს ყველა თავიანთი ფერისცვალობა ერთად გვამხილონ:

ერთ და იმავე დროს კიდეც ჰყვავიან. პირველშობილი მწვანე ნაყოფიც ბლომად ასხიათ. მათში არეულან მარჯნისა და გიშრის მძიმე კუნწულები.

— ოო, როგორ მიზიდავენ ეს გიშრის კუნწულები! ასევე რომ მიზიდავდენ სახელი, დიდება და სიმდიდრე, ალბათ არ დაგერიდებოდი ხელების დაკაწვრას (და შეიძლება გულისასაც) მათ მოსაკრებათ, მათ მოსახვეჭად.

ხან აქ და ხან იქ, ლობესა და ლობეს შუა გამოჩნდება ცელქი ნაკადი და კარგახანს მოგვდევს გზის პირად წყაროს ლილინით.

მაგრამ სრულყოფილი სიკეთე ლობეებს იქით გადაფენილა.

ერთი ერთმანეთზე მოსწრებული ბალ- ვენახები მოსვენებას არ აძლევენ თვალს. თვალს კი არა გულს.

აგერ ატმები — ახლად შელებული გოგონასავით გვერდელათ რომ შებრაწიათ ხავერდის ლოყები.

აქეთ — დახუნძლული ვაშლის ხეები. იქით — ტოტებ ჩადრეკილი მსხალი შველას თხოულობს ჩქარის მოკრეფით.

ზვარიდან კი — ვაზებსა და ვაზებ შუაგულიდან მორცხვად იცქირება თავისივე სიკეთით დართვილული გიშერა საფერავი.

გვერდებ ალეწლი რქაწითელიც ერჩევა სხვებში, მისი მკვრივი მტევნები, რომ შეხარბდება თვით მზეთუნახავს.

ფაქიზ მწვანესაც არჩევს თვალი ფოთოლთა შორის.

იმათ იქით ეგებ იმალებოდეს ი'შვიათად ქცეული ბუდეშური.

ბალი ბალს მისდევს. ვენახი — ვენახს. სურათი სურათზე მეორდება.

ისინი დატყვევებას უნდებიან ჩემი თვალისას, მე კი — განთავისუფლებას.

ყველა ბალებში, ხეებ ქვეშ უხვათა ჰყრია ხილეულობა: ატამი, ლელვი, ვაშლი. ჰყრია სიმდიდრისა და სიუხვის დაუდევრობით.

მაგრამ აქ ჰხედავ თითქოს რაღაც მარადიულ კანონს — ბუნების მოვლენებში გადაქანებულს: აქ თითქოს ნაყოფი სცდილობს დაუბრუნდეს თავის წარმომშობ უკვდავ ნიადაგს. ადამინზე პირველ — მას უნდა შეერგოს თავის გემოთი და სურნელებით.

— ო, კახეთის უხვო და ლამაზო ნიადაგო! ჯერ ერთხელაც არ დავმხობილვარ შენს მკერდზე და არ მიკოცნია შენთვის!

მათრობს შემოდგომის სუნი, მისი ეშხი, მისი მოზღვავება.

ჯადოქრულათ ნახლართ ორლობეებშიც ველარ ეტევა სული და აჰა გავედით კიდეც ალაზნის ველებზე, ალაზნის ჭალებში.

— უძღებო თვალო! რამდენჯერ გადაგიხედია ამ ველებისთვის! რატომ არ სჯერდები?

მაგრამ ყოველ გადახედვაზე პირველხილული მხიბლაობით წარმოგიდგება ეს კავკასიისა და გომბორის სადარაჯოზე ატეხილი წალკოტი.

როგორც არ დაილევა ალაზნის მიდამოებში მოსული ზედაშე, მე მგონი ისევე არ დაილევა ჩემ ბაგეთაგან სადღეგრძელო ამ გულდაგული დიდი კახეთის სადიდებელად.

მიყვარს ეს ჩახლართული და გაუვალი ჭალები. იქ კიდევ მეგულებიან სნეულებათ გადაქცეულ ნადირობას გადარჩენილი უცხო ხოხბები.

გულს მიტოკებს — ამ მწვანე ზღვიდან ალაგ-ალაგ. ღრმ ამოტივტივდება ალაბნის სახე და მომაგონებს ვეფ-ცხლის სარტყელს — მრგვალად დაწყვეტილს.

თეთრი ალაველდი კი ახლოვდება უფრო დაუფრო. გზაზედ მრავლათა გვხვდებიან ჩარდახიანი ურმები.

ყველა გაჭიკნულია სანოვაგით. ბოლო კოფოზე მაგრა დაუკრავთ თამამი ჭედილა. ჭრელ ფარდაგ ქვეშიდან ცნობის მოყვარეობით იჭყიტებიან მოხუცი და ახალგაზრდა სახეები. შავ კისერა ბიჭები კი მარჯვედ ეროკვებიან ლომა კამეჩებს და ტვირთს უმსუბუქებენ ნებიერი ღიღინით.

მახლობელ მიდამოებში მიწაზე გაწოლილი თეთრი ლრუბელივით დაფანტულან ცხვრის ფარები. მოუდით ახალქალაქიდან, ბაკურიანიდან საზამთრო შირაქისკენ. გზაზედ კი უნდა წაიალაველდონ. ეს არის ჩვენი მეცხვარეების დროს გატარება. ამიტომ სცდილობენ, ამ დღისათვის ყველანი მოხვდენ აქ. და ვისაც დააგვიანდება, სწორზე გადიხდიან საბალლო ქეიფს. ეს არის გამეორება დიდი ალაველდობის.

*

* *

ესეც თვით ალაველდი!

ურმებში, ხალხში, სახელდახლო დუქნებში გზას ძლივს გაიკვლევთ თვით ტაძრისაკენ.

გველდებ დაგლეჯილი ძველის ძველი გალავანი ისევ მეფეურათა სდგას ტიძრის გარშემო.

ოთხკუთხივ სადარაჯოზე მდგომი კოშკები — ეს ჩასაფრებლი ხსოვნებია საუკუნოების იქით გადატანილ ბრძოლებისა.

ვერსად ვერ ვუცქერი გულგრილად ძველ ციხე-სიმაგრეებს. არ ვიცი — ეს სილამაზის ტრფიალია მხოლოდ. თუ სული ჰგოდებს იქ დაკლებულ სასახელო ბრძოლებზე.

ვუვლი ტაძარს გარშემო. მას არ ამკობენ ქართული სანიმუშო ჩუქურთმები. მაგრამ თვალს აოცებ'ს სიდიდე და სილამაზე მისი.

ჩვენ წინაპრებს უყვარდათ ცხენების და ტაძრების აგება უშიშარ, მიუდგომელ ადგილას, მაშ რამ ააგებინათ ეს უზარმაზარი ტაძარი ამ მტრის სათარეშოდ გადაშლილ მინდორზე? ან იქნებ როცა იმას აგებდენ, საქართველო უზრუნველყოფილი იყო ყოველის მხრიდან და საფრთხე არსაიდან აღარ ელოდა თვით ბუნებრივად გაუმაგრებელ ადგილებსაც კი?

ხალხით სავსეა ყველგან — ტაძარში, გალავანში, გალავანს გარედ.

უკვე შემოღამდა.

დღეობის და ღამისთევის სურათიც ეხლა იშლება თვალწინ მთელი ზღაპრულობით.

რამდენიმე ათას ადგილას აკრიალდა ლაზათიანი ცეცხლი. სიბნელის გუმბათში შეიჭრენ წითლად ანთებული სილამაზენი. წყნარი ნიავი უფრო უმატებს მღელვარებას ამ სილამაზეს.

ყველა ჭიაკოკონასთან მოსჩანს ჩარდახიანი ურემი, გაშლილი სუფრა.

ყველგან იკვლის ცხვარი. მოზვერი ან დეკეული.

ხელდახელ გათლილ ხის შამფურებზე იწვის ავთანდილის ცვრიანი მწვადი.

გულდაგული ვახშმობაა.

ყველგან გაისმის სადღეგრძელო და სიმღერა, მათში ირევა უსწორ-მასწორო ცეკვა თამაში.

გალავნის გასწვრივ მთელი დღიურის სიგრძეზე გაჭიმულან საქეიფო დუქნები.

აქაც მწვადი მწვადს მისდევს. ღვინო ღვინოზე გადადის. სადღეგრძელო სცვლის სადღეგრძელოს.

ერთი სუფრის ხმაური გადადის მეორე სუფრის ხმაურში.

ერთგან უკრავს ზურნა. მეორეგან საზანდარი. მესამეგან „გარმონი“.

ხმა ხმაში იხლართება. სიმღერა — სიმღერაში. ერთი სუფრის ქეიფი აქეზებს და ახალისებს მეორეს.

ყველგან გაისმის:

— იმღერე!
— დალიე!
— დაუკარ!
— ითამაშე!

შეჯგუფებულ ხალხის გულში მრავალგან შეუქნიათ ანაზდეული წრე.

ერთგან თამაშობენ კახელი ბიჭები. მეორეგან თუში მეცხვარეები. მესამეგან მთიდან ჩამოსული ქისტები.

ცეცხლს აფრქვევენ. მიწასა ბდღვნიან. წრეში დამწყვდეულ მიმინოებს მოგაგონებენ.

რომელი რომელს სჯობია?

— ყველა კარგია! ყველა ლირსეულია! ოლონდ, გაბაგრძეთ კიდევ, კიდევ!

ხალხი ითრობა. ჰაერიც იჟღენთება ღვინით, ქეიფით, აურ-ზაურით.

ბრმა მესაზანდრის გოდება კი ამოღებული ხმალივით მოაპობს გულს:

. . . . . .

— ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე,

. . . . . .

— და როდემდის გქონდეს ქვისა გულია!
მე რომ ვსტირი, შენთვის სიხარულია!

— „ალავერდის მადლო და ძალო“, შენ გადაგვარჩინე ამდენს ცდუნებას: ღვინოს, დათრობას, თავდავიწყებას!

მაგრამ ახლად აშხეფებულ მაჭარსაც თუ გადაურჩით, ეს კი ნამდვილი დაღუპვა იქნება.

თავი გვენანება ასეთის დაღუპვისათვის და ვეწაფებით კახეთის შემოდგომის პირველ ნაკადს, უკვდავების გიჟსა და მხიარულ ნავადს...

*
* *

მეორე დღეს დილიდგან გაჩალებული დღეობაა.

ღამის მათევარ ხალხს მამლისყივილის მაგიერ აფხიზლებს ზურნის საარი და შიქასტა.

დამკვრელის წესით მოწყობილ სამიკიტნოებში ყოვრო მეტის ფაცალუკით ემზადებიან მხიარული დღის შესახვედრად.

იმათ წინ ლამე ნატეხი გუნებით დატოროლიალობენ მუშტრების მომლოდინე მეზურნეები და საზანდრები.

გზის პირზე ბუდემოშლილი ყორნებივით ჩამწკრივებულან ფეხსაცმელების მწმენდავი ტურტლიანი ბიჭები და მზრუნველობით მისჩერებიან ყველას ფეხებში.

იქით კიდევ რამდენიმე წყებათ გაჭიმულან სხვა და სხვა ტკბილეულობით მოვაჭრენი. მაგიდაზე დალაგებული იაფი და ნაირ-ნაირათ აჭრელებული კანფეტები გასაოცრად მაგონებენ ჩითის კაბებში და ხალათებში გამოწყობილ სოფლის პატარა გოგობიჭებს.

მათ მისდევენ ლიმონადით და ფერადი წყლებით მოვაჭრენი. სოფლის შელერებულ ბიჭებს ძალიან უყვართ ამ სასმელებით გამასპინძლება თავიანთ ტოლი გოგოებისა.

ყველაზე მრავლად კი გამოუფენიათ თავიანთი ნაწარმოები მეჭურჭლეებს და მჭედლებს.

ჯამები და ქილები არ ასვენებენ თვალს ნაირ-ნაირი წარწერით!

— მიყიდე არჩილ!

— მარო.

— სოსო.

აარჩიეთ რა ნათლობისაც გნებავდეთ.

ცეცხლთან ბრძოლაში გამოკვერილი მჭედელი კი დინჯათ დასდგომია თავს მზის სხივებზე მოლაპლაპე ცულსა და ნაჯახს, წალდსა და ნამგალს.

არ ჩამორჩენილან ლატარიებისა და სხვადასხვა თვალთმაქცურ გასართობთა მომწყობნიც.

მაჭრის ურმები ხომ მოსვენებას არ გაძლევენ მარჯვნივ თუ მარცხნივ.

განთიადზე მომატებია თუშების რამდენიმე ასი ურემი. მთელი სოფლისოდენა მანძილზე გაჭიმულან იგინი და ნამდვილ საღრეობო ბანაკს წარმოადგენენ.

თუშებში ტრიალებს ყველის სუნი.

ხევსურებში — ერბოსი და კარაქისა.

კახელებში — ღვინისა და მაჭრისა.

ყველგან ფუსფუსებს მრავალი და ფერადი ხალხი. ფერადი განა მარტო ტანისამოსით, არამედ სახიერადაც და ქცევითაც.

აგერ წერწერტი და ცქვიტი იერის ქისტი ქალები. იქით დაინახავთ თეთრ თავშალებიან ოსის მანდილოსნებს. ისინი როგორლაც უკარათ და უცხოდ დაგროვილან ერთად.

ყველაზე მედიდურ და ლამაზ სანახავს კი ისევ თუშის ქალები წარმოადგენენ. მათ აღარ ასხიათ გულისპირზე ღილები და ღინჭილები. თითქმის ყველას აცვიათ სუფთა ლურჯი კაბები და შავ მანდილ ჩამოფენილი დედოფლებივით დაბრძანდებიან მოფუსფუსე ხალხში. ყოვლად მოსაწონი არიან ეს რიდისა და პატივისცემის აღმძვრელი დარბაისელი არსებანი. მოწიწებით გზა დაგვითმია — საითაც კი მობრძანდებიან.

მაგრამ აქ ერთი რამისთვის დიდხანს ვერ მოიცლის კაცის ყურადღება.

აგერ გალავნის კედელს მიყუდებია მეგარმონე თავისი მეღაირით. ის გულმოდგინეთ აკვნესებს ახალ ქალაქურ ჰანგს. ჯერ მუშტარი არა ჰყავს. უკრავს თავისთვის უზმო გუნებაზე. დარწმუნებულია, რომ ვინმე დარდიმანდ ბიჭებს ჩქარა აუშლის საღეროელს და ჩაემბება თავანკარ ქეიფში.

ყველაზე მეტი მოუსვენარობა და სიხარული ეტყობათ სოფლის პატარა ბიჭებს. დაუდეგრათ დახტიან ჯგუფიდან — ჯგუფში. საფლავიდან — საფლავზე, მოვაჭრედან — მოვაჭრესთან. რაღაც ეშმაკობა უძევთ გულში მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

ცოტა დასვენება სჭირდება გუნებას.

მივდივართ დასასვენებელ სავანისაკენ — ტაძრისაკენ

ბჭესთან მოკრძალებითა ციალებს ბებრის ხელით ბრუნდეთ დანთებული სანთელი.

ტაძარში წირვაა.

მე მაინტერესებს ლეგენდები ალავერდის ხუროთ-მოძღვრობის შესახებ. ამიტომ ვიწრო კიბით ავდივარ ზევით.

ავლიე ორმოცი ბარაქიანი საფეხური.

აქ სულ სხვა სურათი წარმომიდგა: მთავარ შენობის შუა წელში, მარჯვნივ და მარცხვნივ კარგა მოზრდილი ეკლესიებია დაყოლილი, სადაც რამდენიმე ასი კაცი დაეტევა.

მარცხენა ეკლესიიდან ისევ ადის ვიწრო კიბე სადღაც მაღლა.

ავდევ სიბნელეში, და ბოლოს გავჩნდი სადღაც მაღლა, მრავლად დაფანტულ გვირაბებში. ჟოუანტელი გივლის, რომ არ დაიკარგო და არ ჩარჩე აქ გზა დაბნეული. კარგად ინახსოვრებ გამოვლილ გზას, რომ უკან გამობრუნებისას მოაგნო ისევ.

მთელი ეს უზარ-მაზარი ტაძრის ზევითა ნაწილი რაღაცა ორმაგ შენობას წარმოადგენს. სავსე არის გვირაბებით, ოთახებით, გასავლებით — მაღლა, დაბლა თუ გვერდებზე.

მთელ გუმბათს გარშემო უვლიან ეს გვირაბები. ჩვენც ვუვლით გარშემო.

აქ ერთ ადგილას ჩახვრეტილია ტაძრის თაღი. ყურს ვადებ ამ ჭუჭრუტანას და მოჯადოებული ლამის ველარ ავდგე:

იქიდან მოისმის რაღაც იმ ქვეყნიური საგალობელი, რაღაც ციური სიმფონია. ეს არც ზღაპარია, არც მოგონება. ეს არის სინამდვილე — შენის გულის სიმებზე აჟღერებული. მაგრამ ეს უცნაური საგალობელი თვით ზღაპარზე და მოგონებაზე ნაზი არის და შორეული.

ეს ტაძრის გუმბათი არის — ასეთ ჯადოსნურ ჰიმნათ რომ აქცევს სულ ჩვეულებრივ საგალობელს.

ეს ჭუჭრუტანა ისეთ შერჩეულ ადგილას არის ვაკეთებული თურმე, რომ ტაძარში მომხდარი ყოველივე ჩი-ში-ჩუმი — იქ გარკვევით მოისმის.

კურთხეულ იყოს ის მარჯვენა, რომელიც ასეთ დიდებულ ძეგლებს აგებდა, მაგრამ თავის სახელს კი არ-

საც სტოვებდა ისტორიის და შთამავლობის გასაცნობელად.

1530 წელს მიწის ძვრისაგა დაემხო ეს გუმბათი და ახლად აღადგინეს. 1742 წელს ისევ დაზიანდა ტაძარი მიწის ძვრისაგან და კვლავ შეაკეთეს.

როდინდელ ხელოვნებას წარმოადგენს ეს გვირაბები? ეს უჩინ-მაჩინი ოთახები და ხვრელები? — არავინ იცის დარწმუნებით.

რამდენი ათასი კაცი დაიმალებოდა იქ რაიმე საფრთხის დროს! და რაც უნდა მიმხვედრი ყოფილიყო მტერი, ამას მაინც ვერ შეამჩნევდა.

როგორც იქნა ჩამოვედი გალავანში და ასე მგონია — ეს არის ეხლა დავაღწიე თავი მეხუთხმეტე — მეთექვსმეტე საუკუნის ჯურღმულებსა და გუმბათებს მეთქი.

* * *

დღეობას ეშხი ემატება. უფრო და უფრო ენთება კიდევ. საითაც გაიხედავ — ლხინია გაჩაღებული.

ჰაერში მთვრალი ხალხივით ირევა ხმები სალამურისა და საზანდრისა, ზურნისა და „გარმონიკისა".

მათ ხმებზე ვინ თამაშობს. ვინ მღერის და ქეიფობს.

აგერ ჯამბაზიც. მაღლათ გაჭიმულ თოკზე მოუკეცია ალხეინათ. ასე გულდამშვიდებით ერთგული დერვიშიც ვერ მოიკეცავს მეჩეთის კარ წინ.

ძირს ეშმაკურ ხმებზე ჭყვიტინებს ზურნა.

ბერიკათ გამოწყობილი ჯამბაზის დამქაში „გუქა" კი მოუსვენრად დაობს და ხალხს ამხიარულებს.

ჩქარა ჯამბაზიც წამოხტება, მოიმარჯვებს ხარახას და შეუდგება მოხდენილ ცეკვა-თამაშს ტალღასავით მოქანავე თოკზე.

ეს ყველაზე კარგი გასართობია ქალების, ბავშვების და მოხუცებისთვის.

მერამდენეთ გადაავლებ თვალს მთელ არე-მარეს და ისევ ახედავ მოცეკვავეთა ათას წრეს. მინდორზე გაშლილ ათას სუფრას.

ისევ ხმაური, სიმღერა, ალიაქოთი.
თვით ჰაერიც კი ითვრება, ბარბაცებს...
ბრმა მესაზანდრის ხმა კი დამიზნებულია ისარივით
მოაპობს ამ დამთვრალ ჰაერს გულის კარისკენ:

— სულ არ გესმით ჩემი წერა-კითხვები!
რათ მიყვარხარ, ერთხელ არ მეკითხები!
— რომელ მსაჯულს ვსთხოვო სამართალია
ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!
— მაინც გლოცავ, გაიხარე მზეშია!
შენ ჩამაგდე საითნავოს დღეშია!
ხალხი იცინის, თამაშობს!
ხალხი ამბობს სადღეგრძელოს!
ხალხი მღერის და ხმაურობს!
ხალხი ჰსვამს და ითრობა!
ხალხი ლრეობს და მხიარულობს!
ხალხი ახარებს თავის ჭიას!
მეც ამ ხალხში ვარ სულით და გუნებით.
ძაგრამ დრო არის განშორების.
მშვიდობით მოცეკვავე ქისტო!
მოლხენილო თუშო მეცხვარე!
მომღერალო კახელო!

დიდებული ალავერდი — ეს თეთრი მყინვარი ალაზნის ველისა თანდათან ეფარება ჭალების და ბალ-ვენახების ქარავანს.

მაგრამ ჩემს ხსოვნას ჯერ კიდევ არ მოჰფარებია კახური სუფრა, სადაც შავათ დამკრახული გოგონა ყელგადაგდებით არაკრაკებდა!

— რა ვუყოთ რომ შავი ვარ!
დამწვარი ვარ მზისგანა!
მეც ხომ ადამიანი ვარ —
გაჩენილი ღვთისგანა!

დოკუმენტები

ალექსანდრე ჭავჭავაძე.

საქართველოს ძველი ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე

(1 გვ.) [1]) იბერია ანუ საქართველო პტოლომეს ხანებში თავის მოცულობით შესდგებოდა: ალბანიისა, საკუთრივ იბერიისა და კოლხეთისაგან. ალბანიას ანუ ალანიას ეჭირა კავკასიის მთის აღმოსავლეთი თხემები, დაწყებული დარუბანდით სამხრეთისაკენ ვიდრე ალაზანამდე. იბერია შეიცავდა ახლანდელი კახეთის ნაწილს, ქართლს, სომხეთის, ახალციხის მხარეს და არაქსზე მდებარე ყველა მიწა-წყალს. კოლხეთი შეიცავდა ლაზიკას, სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთს, რომელშიაც შედიოდა: ახლანდელი იმერეთი, სვანეთი და აბაზინების, ანუ აბასების მთელი მიწა-წყალი ტამანამდე. ძველად ქართველებს იბერებს, ანუ გიორგებს უწოდებდენ მათი ხელობის, მიწათ-მოქმედების გამო. გიორგი — (გვ. 2) საგან წარმოსდგა ოსმალური სახელწოდება გურჯი, რუსეთის ძველებურ აქტების გურზი, შემდგომ გრუზია; ხოლო თვითონ ქართველები თავის თავს უწოდებდენ „ქართველებს“ წინაპრის ქართლოსის სახელწოდებისაგან.

ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესლაც ჰყვავოდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მოწამედ მხოლოდ უტევი ნანგრევები-ღა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელთა ისტორიკოსების ნაწერები-ღა მოწმობენ ქართველი ხალხის ძველს სიდიადეს; ქართველი ხალხის მატიანების გაფანტული სხვადასხვა მონასტრებსა და ბიბლიოთეკებში, არ მიუქცევიათ ჯერეთ ყურადღება შრომისმოყვარე მკვევარისა, რადგან ქართული ენა მათთვის (მკვლევართათვის)

---

[1]) შენიშვნები იხილე წერილების ბოლოში. რედ.

უცხოა და ახლანდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უმნიშვნელო. მაგრამ მას (საქართველოს), მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწეოლები.

ხალხთა დიდს მოძრაობას აზიიდან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რამაც მრავალი სამეფოს ბედი გადასწყვიტა, თავისი გავლენა ჰქონდა ბუნებით მდიდარ საქართველოზედაც. აღვნუსხოთ აქ მოკლედ ის მთავარი გადატრიალებანი, რაიც საქართველომ განიცადა თავისი ოცი ათას (გვ. 3) წლისაზე მეტი ხნის არსებობის განმავლობაში. თანახმად ბიზანტიის ისტორიკოსების ცნობისა, საქართველოს ქრისტიანობა მიუღია მე-IV საუკუნეში და ჯერ კიდევ მე-V საუკუნეში იგი შეიცავდა მიწა-წყალს შავსა და კასპიის ზღვათა შორის, თავრიზიდან აზრუმამდე, დონის სათავეებიდან დარიალის ჩრდილოეთ ნაწილამდე, და ჰმფლობელობდა 16 მილიონზე მეტ ხალხს. მთელი ახლანდელი კავკასიის ჯუბერნია და მცირე სომხეთის ნაწილი მას ეკუთვნოდა [1]).

მე-VI საუკუნეში სპარსეთის მეფემ კავადმა საქართველოს ჩამოაცილა კასპიის ზღვის მიმდგომი აღმოსავლეთის ქვეყნები, ხოლო საბერძნეთის იმპერატორებმა დაიპყრეს [2]) (გვ. 4) აზრუმი, ლაზიკა [3]) და აფხაზეთის სამხრეთი ნაწილები. კავადს შემდეგ ქართველებმა უკან დაიბრუნეს მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები და აღიარეს რა იმპერატორების მფლობელობა. დაიბრუნეს აგრეთვე ლაზიკა და აფხაზეთის ნაწილები. 670 წლებში არაბები, მაჰმადის ნათესავის მურმანის მეთაურობით, საქართველოს შემოესივნენ და პირველად აოხრეს იგი.

721 წელს, ხალიფ ეზიდის დროს, არაბები კავკასიაში შემოვიდენ დარიალნით და დაარსეს დამოუკიდებელი ყაბარდო [4]). 850 წელს ხალიფის მხედართმთავარმა მუწკაველმა აოხრა დიდი სომხეთი, შემოიჭრა საქართველოში და დაარსა საშამხადო მის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ დარიალანში.

1058 წელს სულთანი თოღრულ-ბეგი შემოიჭრა საქართველოში და აოხრა; იგი განდევნილ იქნა იმპერიის

ჯარების დახმარებით (გვ. 5) 1061 წელს დაეცენ საქართველოს სამხრეთ ნაწილებს (გვ. 5) 1061 წელს თურქ-ოსმალები დაეცნენ საქართველოს სამხრეთ ნაწილს.

1089 წელს საქართველოს მეფე დავითმა, აღმაშენებლად წოდებულმა, აღადგინა საქართველოს ძველი საზღვრები; იმ დროიდან იწყება ოქროს ხანა, და გრძელდება 1223 წლამდე და შეიცავს სახელგანთქმული თამარის მეფობასაც.

1223 წელს სირიის სულთანი ახალციხეს თავს დაესხა, ხოლო მალე საქართველოს ჩანგისყაენის ურდოებიც შემოესივნენ. მათ ცეცხლითა და მახვილით მოიარეს საქართველო; მონგოლებმა მაინც ვერ შესძლეს ხალხის მთლად დამორჩილება, მაგრამ იმ ხნიდან იწყება საქართველოს უბედურება. საქართველო იძულებული იყო განუწყვეტლივ ებრძოლა თავის ძლიერ მეზობლებთან, ხან სპარსელებთან, ხან ოსმალებთან — მიუხედავათ იმისა, რომ იგი ერთად ერთი საქრისტიანო სახელმწიფო იყო მთელს აზიაში.

1385 გამოჩნდა მრისხანე თემურლანგი და საქართველოში ისეთს წინააღმდეგობას შეხვდა, რანაირსაც, თვით მონგოლ მემატიანეთა მოწმობით (histoire de Hans Deguine), იგი (გვ. 6) სხვაგან არსად შეხვედრია. გამარჯვება მას სისხლის მორევებად დაუჯდა. ოდნავ მოლოლი, რომ მიატოვებდა ჩვენს ქვეყანას, ეს უკანასკნელი ხელახლა აღსდგებოდა, ამაღლდებოდა ხოლმე; მან თავის შვილთა მკერდით, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა შემდგომი ქვეყნები მონგოლთა მახვილისაგან. ექვსჯერ შემოიჭრა თემურლანგი საქართველოში და ყოველთვის ერთსა და იმავე ურჩობას ხვდებოდა. ქართველებმა თავის მიუვალ მთებში დაიცვეს თავიანთი მეფეები და დამოუკიდებლობა.

1413 წელს ალექსანდრე I-ლმა საქართველო ძველ სიმაღლემდე აიყვანა. მაგრამ სამწუხაროდ მისმა მემკვიდრეებმა ვერ შესძლეს ერთ მეფობის შენარჩუნება. საქართველო მათ სამ სამეფოდ გაყვეს: იმერეთისა, ქართლისა და კახეთისად. და ამ განყოფაში იყო ჩამალული საქართვე-

ლოს დამხობის თესლი: საქართველო დასუსტდა. უფლისწულთა და ერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლა, თვით მეფეთა შორის უთანხმოება — საქართველოს შუაგულისაკენ თავისუფლად გზას უხსნიდა ოსმალებსა და სპარსელებს; მაგრამ მიუხედავათ შინაური ქიშპობისა საქართველო დიდხანს ეწინააღმდეგებოდა (გვ. 7) სულთან მურადის, შაჰ-ისმაილის, მაჰმედისა და აბას დიდის ცდებს. ბოლოს მთავრები სამეგრელოსი, ახალციხისა, სვანეთისა, გურიისა და სხვანი ჩამოშორდენ სამეფოს, მიემხრენ ოსმალებს, ხოლო შემდგომ ქართლმა, კახეთმა, სომხეთმა და მისმა მომიჯნავე ქვეყნებმაც სპარსეთის მფარველობა აღიარეს. მეფეებს ხელისუფლების აჩრდილი-ღა შერჩათ. ისინი იძულებული იყვნენ ხარკი ეძლიათ ხან სპარსეთის. ხან ოსმალეთისათვის, რათა ხარისხი მაინც შეენარჩუნებიათ.

1576 წელს მთიელთა ურდოები და შამხალელები შემოიჭრენ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილებში. მაშინ ალექსანდრე II-მ, კახეთის მეფემ რუსეთის მფარველობას მიმართა; ამ დროიდან იწყება ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა. რუსეთმა დაიცვა 1586 წელს საქართველო, მაგრამ არა დიდი ხნით. ოსმალები ხელახლა შემოიჭრენ და ჰფლობდენ მას. ათასობით კომლი გადაასახლეს ოსმალეთსა და სპარსეთის სხვადასხვა კუთხეში გაჰფანტეს.

1602 წელს ბორის გოდუნოვი (გვ. 8) თავის ძის თეოდორესათვის ცოლად ქართველ ბატონიშვილ ელენეს თხოულობდა და მის მამას გიორგის დამხმარე ჯარს ჰპირდებოდა. გიორგის სიკვდილმა ბოლო მოუღო მათს კეთილგანწყობილ ურთიერთობას. ამასობაში საქართველოში სისხლი კვლავ ძველებურად იღვრებოდა; უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად. მიწათ-მომქმედი მიწას შეიარაღებული ჰხნავდა, ტყვიის ქვეშ ჰკრეფდა ჭირნახულს. მაგრამ ქედი არ მოუხრია ალყურანის წინაშე, რომლის შემოღებას სცდილობდენ ოსმალებიცა და სპარსელებიც. თავის სამღვდელოების მიერ აღფრთოვანებულმა ქართველობამ, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად

შეითვისა ურჯულოთადმი (иноверцам) სიძულვილი, შეინარჩუნა სარწმუნოება, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი და თუ იგი გაუხეშდა თუ ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეითვისა, ამისი მიზეზი უბედური გარემოებანი იყო. [5]) მთელი სოფლები, თავადთა ციხე-კოშკები, ოდესლაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაჰქრენ, მაგრამ (გვ. 9) მათი ნანგრევები დღესაც ჰკვებავს ქართველობის სიამაყის გრძნობას.

ალა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ 1795 წელს გადასწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთ მორწმუნე რუსეთს, რომელშიაც იგი წინადაც ჰპოებდა დასაყრდნობს. რუსეთის მონარქებმა სულდიდობა გამოიჩინეს და მას დახმარების ხელი გამოუწოდეს.

საქართველოს მეფემ ერეკლე II-მ, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, თავის დიდს მფარველს ეკატერინე II-ს გამოსთხოვა მაშველი ჯარი, რათა შური ეძია სპარსელებზე საქართველოს დედაქალაქის აოხრებისათვის. რუსეთის იარაღის ლაშქრობანი, რომელიც მნიშვნელოვანი წარმატებით დაიწყო, მალე შესწყვიტა მისი უდიდებულესობის (ეკატერინეს) სიკვდილმა.

გიორგი XIII-მ, ავიდა რა 1797 წელს ტახტზე, ნეტარხსენებული იმპერატორის პავლესაგან მიიღო კურთხევა თავის შემდეგ მემკვიდრედ გამოეცხადებინა უფროსი ძე დავითი. ასეთი არჩევანი არ ესიამოვნათ მეფე გიორგის ძმებს, რომელნიც მოითხოვენ [6]) (გვ. 10), რომ მემკვიდრეობა გადასულიყო არა პირდაპირ ხაზით, არამედ ძმებზე უფროსობის მიხედვით. გარეშე მიზეზებზე, რომ არა ვთქვათ რა, რამაც საქართველო დაასუსტა, მეფის სახლობის მრავალრიცხოვან წევრთა ქიშპობა ტახტისა და საუფლისწულო მამულების გამო, ამის იროგვლივ ატეხილი დავიდარაბა საკმარისი იყო საქართველოს უკანასკნელი ძალების გამოსაფიტველად.

1800 წელს ბატონიშვილი ალექსანდრე ოცი ათასი ლეკით საქართველოში შემოიჭრა და ცდილობდა თავისი

ძმა გიორგი ტახტიდან ჩამოეგდო. ქართველებმა რუსების დახმარებით დაამარცხეს და გაჰფანტეს ლეკთა ბრბოები. მაგრამ ამ შემთხვევამ მეფე გიორგი დაარწმუნა, რომ შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება გარეშე ძალის დაუხმარებლად. მიზნად ისახავდა რა თავისი ხალხის სახელისა და სარწმუნოების დაცვას, გიორგისათვის ძნელი არ იყო გადაწყვეტა იმისა, თუ რომელი თავისი მეზობელი სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელი იყო ჩაებარებინა თავისი ერის მომავალი. მან მიმართა რუსეთს (გვ. 11). იცოდა რა ქართველების ძველაგანი მისწრაფება მისდამი და არც შემცდარა არჩევანში. მის განზრახვას ხალხი ერთსულოვანი სიხარულით შეხვდა. [7]) მაგრამ საქართველოს შეერთება რუსეთთან სხვადასხვანაირად ესმოდათ. საზოგადოების შემადგენელი პიროვნებანი უმრავლეს შემთხვევაში თავისი კერძო საოფიანობით ხელმძღვანელობენ მაშინაც კი, როდესაც საქმე ხალხის კეთილდღეობას ეხება. ქართველი თავად-აზნაურობა განყოფილი ორ უმთავრეს პარტიად. იმავე გზას ადგა.

ერთი პარტია გიორგი XIII სიკვდილის შემდეგ მოუთმენლად მოელოდა რუსეთის მთავრობის ჩვენში დამკვიდრებას; მას ეშინოდა ტახტზე ბატონიშვილი დავითი არ ასულიყო, რადგან დავითმა სავსებით გააბათილა თავისადმი ყოველგვარი სიყვარული იმით, რომ მოურიდებლად გამოაცხადა თავისი უსაფუძვლო განზრახვები.

მეორე პარტიას, პირიქით, სურდა მეფობა დაეცვა; მეფე რუსეთზე სავსებით დამოკიდებული იქნებოდა და საქართველოს თავისივე კანონების მიხედვით განაგებდა [8]); მაგრამ ამ პარტიის თვითეულ მომხრეს (გვ. 12) ამ შემთხვევისათვის მხედველობაში ჰყავდა რომელიმე ბატონიშვილი, თავისადმი კეთილგანწყობილი და ყურადღებას არ აქცევდა, ჰქონდა თუ არა (ბატონიშვილს) მემკვიდრეობის საამისო უფლება, ან პირადი უნარიანობა.

ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელთაც უკუეგდოთ პირადობა, იცოდენ ხალხის ხასიათი და იმა დროის პოლიტიკური გარემოებანი; ისინი ჰფიქრობდენ, რომ ყოველ-

გვარი ხალხური გადატრიალების დროს ახალი წყობილების დამყარება, რანაირი უნაკლოც გნებავთ იყოს იგი, ყოველთვის საკმარისი როდია საზოგადოებრივი სარგებლიანობის მისაღწევად, ვინაიდან ყოველს ახალს რასმე შეიძლება ასეთი დაბრკოლებანი შეხვდეს, რის დაძლევასაც ხშირად სამწუხარო შედეგები მოსდევს ხოლმე. რუსეთის სამოქალაქო წყობილების საქართველოში უცბად დამყარებას კი, მათის აზრით, მოჰყვებოდა, როგორც რუსეთის, ისე მისი ახალი ქვეშევრდომებისათვის შემდეგი უხეიროობანი:

1) საქართველოს უშუალო შეერთებით (გვ. 13) რუსეთს დაეკისრებოდა საქართველოს არა მარტო გარაშე მტრებისაგან დაცვა, არამედ მისი ნანგრევებისაგან აღდგენა, რასაც მცირედი მსხვერპლი არ დასჭირდებოდა.

2) რუსეთს დააწვებოდა მნიშვნელოვანი ფულადი ხარჯი საქართველოში თავისი მთავრობის დასამყარებლად და მეფის სახლობის მრავალრიცხოვან წევრთა ხეირიანად შესანახავად; საქართველოს მაშინდელი შემოსავალი კი ასეთი მცირე იყო, რომ ერთი ამ მოთხოვნილებათაგანის დაფარვაც ძლივს შეეძლო. მაშასადამე იბადებოდა შიში, რომ რუსეთს არ მიეტოვებია თავისი ახლი შენაძენი, რომელსაც იგი მხოლოდ ხარჯში შეჰყავდა.

3) ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის დროს, ვითომდა თავადაზნაურობის მოთხოვნით, ბაგრატიონთა დინასტიას, რომელიც 1000 წელზე მეტს ხანს მეფობდა იქ, — სპობდენ; ამით ამ წოდებას (თავად-აზნაურობას) ეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დასტოვებდა ახალ შენაძენ ქვეყანას.

4) დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთის მოხელეებისა (გვ. 14) საქართველოში მმართველობის შექმნის დროს და იმედი როდი ჰქონდათ, რომ უნარიანთა შორის ჰპოვებდენ ვისმე იქ სამსახურის მსურველთ; ვინაიდან ისეთნიც კი, რომელთაც საშუალო უნარიანობა ჰქონდათ, უეჭველია, ამჯობინებდენ სამსახური ჰქონოდათ რუსეთის შიდა გუბერნიებში.

5) მცხოვრებთა მხრით რუსული ენის საერთო უცოდინარობას და თარჯიმანობის უკიდურეს ნაკლებობას უსათუოდ მოჰყვებოდა სამოსამართლო დაწესებულებათა ან სრული უმოქმედობა, ან, ყოველ შემთხვევაში, სამართლის წარმოების საქმის დიდი არევ-დარევა და გაჭიანურება; ეს კი დაუყონებლივ უნდობლობას და საყვედურს დაჰბადებდა ხალხში, რომელიც შეჩვეული იყო საქმის სწრაფსა და მარტივ გადაწყვეტას ზეპირად.

მაგრამ ყოველივე ესე მოსაზრებანი ამაო დარჩა, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა გენერალ ლეიტენანტი კნორინგი, კავკასიის ხაზის ჯართა მაშინდელი ინსპექტორი, რომელსაც იმავე დროს საქართველოს საქმეების გამგებლობაც ებარა (გვ. 15). იგი საქმეს სულ სხვა თვალსაზრისით უყურებდა და ამიტომ სასწრაფო ზომები რეოდენი წინააღმდეგობაც არ შეხვედროდა თავად-აზნაურიილო, რომ თავის განზრახვათა ასრულების დროს მცირობის მხრით. საქართველო მაშინ ისეთს მძიმე ავადმყოფს ჰგავდა რომელსაც ძლივს-ღა შეუძლიან მკურნალს თავისი სისუტე ამცნოს; და განა შეეძლო მას ამ დროს რაიმე წინააღმდეგობა? იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მფარველობა მისთვის აუცილებელია და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა.

გენერალ-ლეიტენანტის კნორინგის აზრი საქართველოს საქმეების შესახებ დადასტურებულ იქნა და 1801 წელს დაარსდა საქართველოს უმაღლესი მმართველობა (Верховное Грузинское Правительство) რუსეთის შიდა გუბერნიების საერთო დაწესებულებათა მსგავსად; ხოლო გუბერნატორის მაგივრად დანიშნეს მმართველი.

ხალხი აღტაცებული მომავალი კეთილდღეობის იმედით, ღმერთს გულწრფელ მადლობას სწირავდენ და თავის სიხარულს ხანგრძლივი ლხინით გამოხატავდა.

მმართველობის [9]) მოქმედების დაწყებისას სამოქალაქო (გვ. 16) მოხელეებს, ვინაიდან ამას აუცილებლობა მოითხოვდა, ღებულობდენ სამსახურში განურჩევლად; ასეთი მოთხოვნები თავისი მოქმედების გამო ხალხში სა-

ხელგატეხილნი შეიქმნენ. სამართლის წარმოება განსაკუთრებით პირველ წლებში, არა თუ დამაკმაყოფილებელი იყო, არამედ მისი არსებობა სამართლისავე დაცინვად (критика) მოგეჩვენებოდათ. რუსულისა და ქართული ენის მცოდნეთა ნაკლებობა ისეთი დიდი იყო, რომ თვითონ მთავარმართველებმა (Главнокомандующий) ყიზლარში ძლივს გამონახა ერთი მღვდელი, რომელიც რამდენსამე წლის განმავლობაში მასთან თარჯიმანობას ეწეოდა, ვიდრე ახლები არ გამოჩდენ. აქედან ცხადია, თუ რანაირ მდგომარეობაში იყო დაწესებულებები მოკლებული აუცილებელ საშუალებას — ენის ცოდნას. მაშინდელი თარგმანები ქალალდზე დაწერილი აბდა-უბდა იყო [10]) და მაშასადამე გასარჩევ საქმეთა ყველა გარემოებანი როდი იცოდენ მოსამართლეებმა, ხოლო გადაწყვეტილება და განაჩენი — არც მთხოვნელებს ესმოდათ. რაზე უნდა დაემყარებინა თავისი აპელაცია (გვ. 17)მომჩივანს, რომელსაც სარჩელი დაეკარგებოდა?

ამ უნებურ არევ-დარევას ემატებოდა წინასწარ მოფიქრებული ბოროტებანიც ადგილობრივი უფროსებისა, რომელნიც განუსაზღვრელად საგებლობდენ იმით, რომ ქართველმა თავად-აზნაურობამ არ იცოდა თავისი უფლებანი. ჩვენი ქვეყნის ამისთანა უსიამოვნო მდგომარეობის შესახებ ხმებმა მის უდიდებულესობამდე მიაღწია და ეს იყო მიზეზი, რომ კნორინგის მაგივრად დანიშნეს გენერალ-ლეიტენანტი ციციანოვი.

თავადი ციციანოვი [11]) საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს და მის მეზობელ ქვეყანათა მდგომარეობას და არ შეიძლებოდა არ შეემჩნია თავისი წინამორბედის მიერ ჩადენილი შეცდომები; მაგრამ მას სხვა აღარა დარჩენოდა რა, თუ არა ბრძოლა იმ ბოროტმოქმედებასთან, რაიც ამ შეცდომის შედეგი იყო; მაგრამ უნდა ითქვას, რომ სრულიად არავითარი იმედი არ იყო სასურველი წესიერების დამყარებისა, ვინაიდან საჭირო სალსარი არ მოიპოებოდა; ეს კი თავიდანავე იყო გათვალისწინებული.

მეორე მხრით მას ესიმოვნებოდა იმის დანახვა, თუ რა თანხმობა იყო ადგილობრივ მცხოვრებთა და სამხედრო

ნაწილთა შორის. ყოველ სოფელს (გვ. 18) სურდა მასთან ჯარი ყოფილიყო დაბანაკებული და ქართველი გლეხები მათ უყურებდენ არა მარტო როგორც დამცველებს, არამედ როგორც სამუშაოში სასარგებლო დამხმარეებს. ერთად-ერთ სამოსამართლო დაწესებულებათა და საერობო პოლიციის წინააღმდეგ გაისმოდა საერთო საყვედური.

მთიულების, არაგვის ხეობაში მცხოვრებთა, მაშინ ველურ ქართველთა ამბოხება მოხდა თავადი ციციანოვის მმართველობის დროს. მთიულებმა, რომელნიც საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობას აწარმოებდენ, მოჰკლეს ბარით ერთი კაპიტან-ისპრავნიკი, რომლის ულვთობამ ისინი ამ დანაშაულობამდე მიიყვანა. იმ ადგილებთან ახლო მყოფმა სამხედრო უფროსმა, იმის მაგიერად, რომ სათანადო ზომები მიეღო მთავარი დამნაშავეების დასაჭერად, ერთი როტა ქვეითა ჯარი გაგზავნა მთიულებისაკენ და ამ უხეირო განკარგულებამ შეჰქმნა საბაბი რუსების წინააღმდეგ პირველი ტყვიის გასროლისა. და ვინაიდან ეს არეულობა მოხდა იმ დროს, როდესაც თ-დი ციციანოვი ლაშქრობდა ერევნის წინააღმდეგ, მთიულების ამბოხებაც სპარსელების გავლენას მიაწერეს (გვ. 19) თუმცა ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამბოხების ერთად-ერთი მიზეზი კაპიტან-ისპრავნიკის მოკვლა იყო. იმ ხანებში თ-დმა ციციანოვმა ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა და მეორე მხრით თვით ციციანოვიც ალყაშემორტყმული იყო სპირსელთა 40-ათასი ჯარით, რომელსაც პირადათ შაჰი ჰსარდლობდა. საქართველოს მდგომარეობა მაშინ ორჭოფული იყო და მრავალს საფუძვლიანი შიში ჰქონდა სპარსელთა მიერ დაპყრობისა. შიშიანობა იზრდებოდა; მაგრამ თავადი ციციანოვის გმირულმა სულმა სძლია ყველა დაბრკოლებანი, გააკვირვა სპარსელნი თავისი გამბედაობით, ერთი მუჭა ჯარით შაჰი დაამარცხა, საქართველოში დაბრუნდა და მთაში მოულოდნელი გამოჩენით ამბოხება ჩააქრო.

თავად ციციანოვს ჩვენს ქვეყანაზე ფართო და სწორი შეხედულება ჰქონდა; მისი ხანმოკლე მმართველობის დრო აღინიშნა ისეთი გამარჯვებით, რაიც არ ეფარდებო-

და იმ ძალებს, მაშინ მის ხელთ რომ იყო; ეს გარემოება იმედს (გვ. 20) ჰბადებდა საქართველოს საქმეების მოგვარებისას მცხოვრებთა და მთავრობის სასარგებლოდ. მაგრამ (ციციანოვი) მოჰკლა ბაქოსთან მუხანათმა ხანმა და ამით სამშობლომ დაჰკარგა უერთგულესი მსახურთაგანი და მომქმედი, გენიალური ჭკუათაგანი.

თავადი ციციანოვის სიკვდილის შემდეგ ორი გენერალი ედავებოდა ერთმანეთს სარდლობის უფლებას; ერთს განკარგულებას მეორე მოსდევდა; არავინ იცოდა, ვის დამორჩილებოდა; ურთიერთის საწინააღმდეგო ბრძანებანი ორი ხელისუფლებისა წარმოადგენდა უმთავრობის იშვიათს მაგალითს და არაკეთილსაიმედო პირებს საშუალებას აძლევდა ხალხი ეძარცვათ და ეჩაგრათ. ბოროტმოქმედება ისე გახშირდა, რომ შემდგომ მას უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. ხალხის საჭიროებათა და სულისკვეთების შესახებ ცნობებს მთავარ მმართველობას სულ უკულმართად გადასცემდენ. საქართველოს მაშინ თუმცა ჰყავდა თავადაზნაურთა წინამძღოლები, მაგრამ მათ (გვ. 21) არც რუსული ენა იცოდენ, არც ახალი თავისი უფლებანი და თავისი წოდებისათვის უხეირო წარმომადგენლებად რჩებოდენ. ამასთან ერთად ცალკე უფროსთა ინტერესი მოითხოვდა, რომ მთავარ მმართველობას არა თუ ნდობით ეცქირნა მცხოვრებთადმი, განსაკუთრებით მემამულეთადმი, არამედ ყოველთვის ეჭვით მოჰკიდებოდა მათ. ეს იყო მიზეზი, რომ ბოროტგამზრახველნი დაუბრკოლებლივ იკმაყოფილებდენ თავის ქვენა ინტერესებს იმ ხალხის ხარჯზე, რომელსაც არ ესმოდა ის უფლებანი და უპირატესობანი, მისთვის ახალს მთავრობას რომ მიენიჭებინა.

საგანგებო ხელისუფლება, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ კერძო უფროსები, მცხოვრებთ კანონიერად მიაჩნდათ. ხოლო მთავარმართებლის ხელისუფლება განუსაზღვრელად და უპასუხისმგებლოდ ითვლებოდა. ამ რწმენით ხალხი ბრმად ასრულებდა ყოველგვარ უკანონო მოთხოვნას. კაპიტან-ისპრავნიკების კერძო საჭიროებისათვის მემამულეთადმი ბრძანებანი ფრიად ჩვეულებრივი მოვ-

ლენა იყო (გვ. 22).მათი განკარგულებით ხშირად საბატონო სოფლებიდან გაჰყავდათ შეშითა და საკვებით დატვირთული ურმები საამებლად თავიანთი ნაცნობ მეგობრებისა და სრულიად უფასოდ შორეულ მანძილზე ჰგზავნიდენ; ურმის პატრონები კრინტს არ სძრავდენ, ვინაიდან მრავალმა მაგალითმა დაარწმუნა მცხოვრებნი, რომ ჩივილი საშიში იყო და ჩვეულებრივ ამას ამბოხების ნიშნად ჩასთვლიდენ ხოლმე.

ურმებისა და საქონლის მოთხოვნა ჯარის მოძრაობის დროს, პროვიანტისა და კომისარიატთა ბარგის გადასაზიდავად — ფრიად უზომო იყო. ეს აფიქრიანებდა ა/კავკასიის მცხოვრებთ, რომ მათ სრულიად არ ჰქონოდათ საკუთრება და ეს ფრიად ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის (промышленности) გაუმჯობესებას. საქართველოს უმაღლეს მმართველობის საერთო კრებულში აღნიშნული ფაქტები რომ არა, ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე (გვ. 23), რომ ა/კავკასიის ოლქთა მეოთხედ ნაწილს, ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. საქართველოს — ყოველწლიურად, მშვიდობიანობის დროსაც კი უფასოდ გამოჰყავდა 112. 154-მდე ურემი, ხარ-კამეჩით შებმული და 99. 780 სატვირთი ცხენი თავისი ჩალვადრებით [12]). ზემოხსენებული რიცხვი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, თუ რამდენათ ულირდათ ეს ბეგარა მცხოვრებთ, რომელნიც ყოველ ცვალებადობის დროს ხანდახან ჰკარგავდენ საქონელსაცა და ურმებსაც. თუ რამდენს ზედმეტს ბეგარას მოითხოვდენ, შეიძლება დავასკვნათ იქიდან, რომ შემდგომ ხანებში სატვირთვის მთელს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდენ 8.000 ურმით და ბეგარის ამ შემცირებისათვის საქართველო უნდა უმადლოდეს მის ბრწყინვალების, თავადი ვარშაველის, გრაფ პასკევიჩ-ერევანელის მზრუნველობითს მმართველობას.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენ სხვადასხვა შედეგი შეიძლება მივიღოთ ერთსა და იმავე გარემოებაში, როდესაც სხვადასხვანაირია განკარგულებანი, საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ 1807 წლის ექსპედიცია ახალქალაქის წინააღმდეგ და 1828 — 1829 წლების (გვ. 24) ომი,

1807 წლის ექსპედიციის დროს ჩვენი ჯარი 6000 არ აღემატებოდა, მისი მოქმედება ორი ლაშქრობით და სამი თვით განისაზღვრებოდა. უკანასკნელ ომში კი გარეთ მომქმედი ჯარი 20.000 აღემატებოდა, მათი ლაშქრობა თითქმის ტრაპიზონს აღწევდა და მოქმედება კი ორ წელიწადზე მეტს ხანს გრძელდებოდა. მაგრამ 1808 წ. ბეგარის არევდარეულმა მოთხოვნამ საქართველოს მცხოვრებნი გაპარტახებამდე მიიყვანა, მაშინ როდესაც უკანასკნელი ომის დროს ბეგარის დიდს მოთხოვნას ხალხი არ შეუწუხებია. ეს იმით აიხსნება, რომ ბეგარა ზედმიწევნით და სასტიკად იყო განსაზღვრული. ასე რომ მცხოვრებნი ყველაფერში უხვს ქირას ღებულობდენ, ტვირთის ზიდვა სახეირო ხელობად მიაჩნდათ და არც არმია ბრკოლდებოდა [13]).

ამაზე ნაკლებ გამანადგურებელი არ იყო მეორენაირი ბეგარაც: ახალი მთავრობა ეყრდნობოდა რა იმას (გვ. 25), რომ საქართველოს მცხოვრებნი ოდესღაც თავისი სურსათით ინახავდენ დამხმარე ჯარებს, ჰფიქრობდა: ხალხისათვის, რომელიც წინად ჯარს მუქთად ინახავდა, მცირედი ფასის მიცემა სურსათში საგრძნობელი არ იქნებოდაო.

მაგრამ მმართველობა ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ რას ნიშნავდა მეფობის დროს დამხმარე ჯარის კვება შეგროვილი პურით: ჯერ ერთი დამხმარე ჯარის საჭიროება ოცდაათი წლის განმავლობაში ოთხ-ხუთჯერ თუ იყო; მეორე მხრით ამისთანა ჯარის რიცხვი იშვიათად აღემატებოდა 3000 კაცს და ბოლოს კიდევ ის, რომ მათ იწვევდენ ფრიად მცირე ხნით სპარსეთისა თუ ოსმალეთის საზღვარზე რაიმე ერთი დარტყმისათვის. და განა ასეთი საშუალება, ნახმარი წინანდელი მთავრობის დროს აუცილებელ შემთხვევების დროს, აოხრებული ქვეყნისათვის დიდძალი რუსის ჯარის მუდმივი კვების ნიმუშად უნდა გამხდარიყო? (გვ. 26)ნამდვილად კი ეს მაგალითი დაედო საფუძვლად ა/კავკასიაში პურზე ფასის დაწესებას; ამ ფასს აწესებდენ სრულიად თვითნებურად მთავარმმართველნი ან გუბერნატორები — აწესებდენ ადგილობრივი

ფასების ნახევარს, ან მეოთხედს. და ეს გამაპარტახებელი სისტემა ვრძელდებოდა 27 წელს, ე. ი. საქართველოს მთავარმართველად თავადის ვარშაველის დანიშვნამდე.

ფასების დაწესებისა და განაწილების შემდეგ რეკვიზიციის წესით — საშუალებათა და მოსავლის ანგარიშგაუწევლად,—იგზავნებოდნენ პროვიანტ-კომისიონერები; თვითეულს მათგანს ყაზახთა რაზმი [14]) ახლდა, რომელსაც მთელი ოპერაციის განმავლობაში მცხოვრებნი ინახავდენ თავიანთი ხარჯით; დახმარება ამ რაზმებისა, რომელნიც ვითომდა სახაზინო ფულების დასაცავად იყვნენ იქ, აუცილებელი იყო პურის შესყიდვის დროს, ვინაიდან ფასის სიმცირით ხალხი ფრიად გამწარებული იყო, თავის საკუთრებას იცავდა და ისე არ ელოდა მას, სანამ ძალით არ წაართმევდენ და ხორციელად არ დასჯიდენ. [15]) ხანდახან (გვ. 27) პროვიანტის გამოღება გაწერის მიხედვით ისეთს სოფლებს დაეკისრებოდა ხოლმე, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო საკუთარი პური არ ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ სხვებისაგან შეესყიდნათ იგი. ამისთანა შემთხვევებში კომისიონერები შემდეგს ორს მიმართავდენ: თვითონ იძენდენ მათ მაგიერ პროვიანტს და მათგან ფულს ღებულობდენ, მაგრამ არა სახაზინო ფასების მიხედვით; გარდა ამისა ისინი ფულს ახდევინებდენ მცხოვრებთ აგრეთვე მოტანასა და ჩებარებაში, ვინაიდან პურის ჩაბარების დროს მცხოვრებთ ყოველთვის გაწერილზე მეტს ართმევდენ.

ხოლო როცა. საუბედურო დ პროვიანტის გაღება გაეწერებოდა ისეთ სოფლებს. არ ჰქონდათ პური არც თვითონ, არც მეზობლებს — მოუსავლობის გამო, ამისთანა შემთხვევაში მცხოვრებნი კომისიონერის სრულს განკარგულებაში ვარდებოდენ: იგი კომისიონერი სახაზინო ფასების მიხედვით ფულს მიუყრიდა ხოლმე და მრისხანედ უბრძანებდა — პროვიანტი გააჩინეთო. და მაშინ ყველაფერი საკვებით სახაზინო მიმწოდებელზე იყო დამყარებული (გვ. 28). აქაურ ბაღების ნაყოფის გასაღებას კიდევ სხვა დაბრკოლებანი და შევიწროება ხვდებოდა წინ.

საქართველოს მთავარმართებლად გენერალ-ფელდ-

მარშალის თ-დ ვარშაველის დანიშვნამდე იქაური ღვინოები დანიხრული იყო და ამ ნიხრს ტფილისში, სადაც ღვინის მოთხოვნა წელიწადში 700 ათას ვედროს უდრის, თვითონ მყიდველები აწესებდენ; პოლიცია მათ ანდობდა შემოტანილი ღვინის როგორც დახარისხებას, ისე ფასების დადებას; ამასთანავე იგი უბრძანებდა ვაჭრებს, თუ სახელდობრ ვისთვის უნდა მიეყიდნათ საუკეთესო ღვინოები და სხვებისადმი მიყიდვას სასტიკად უკრძალავდენ. ამ ბრძანების შესრულებას თვალყურს ჩვეულებრივ პოლიციის მოხელენი ადევნებდენ. ამგვარად, რაც უფრო უკუთესი იყო ღვინო, მით უფრო შეზღუდული იყო მისი გაყიდვა (გვ. 29). თავადის ციციანოვის შემდგომ ზოგიერთი პოლკების მოურიდებელი თვითნებობა აპარტახებდა არა მარტო იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც ისინი იდგნენ, არამედ მომიჯნავეებსაც, რომელთათვისაც ამის გამო უკვე აღარავითარი საკუთრება აღარ არსებობდა [16]). შინაური ფრინველი, ღვინო, ბოსტნები, ცხენები, ურმები, მთელი მათი ქონება ჯარისკაცთა განკარგულებაში ყო; ვენახების ლობეებსა და სარებს ჩვეულებრივად ყაზარმების გასათბობად ხმაროობდენ; და ყველაფერი ეს ხდებოდა აშკარად. ყოველ წინააღმდეგობის გარეშე, უფასოდ და პატრონები **ვერ ჩოდენ**, ვინაიდან პასუხად მუქარისა და დასჯის გარდა ვერას მიიღებდენ. **მრავალმა** თავადმა და აზნაურმა, რათა თავი გადაერჩინა შევიწროებისა და უფრო კი პირადი შეურაცხყოფისაგან, მიატოვა მამული და მიდიოდენ სპარსეთს ბატონიშვილ ალექსანდრესთან.

ყოველგან მოიპოებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც მლიქვნელობით უფრო მეტს ხეირს ნახულობენ, ვიდრე სხვები პატიოსანი სამსახურით. იმ დროს, როდესაც ყველა ზემოხსენებული უწესოება ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებდა (გვ. 30), ზოგიერთნი, რომელნიც ცდილობდნენ მთავარმართებლისათვის ერთგულების დამტკიცებას, საქართველოს მცხოვრებთა მდგომარეობას ფრიად ნეტარად უსახავდენ მას. ისინი ამტკიცებდენ: მცხოვრებნი უშიშარყოფელნი არიან გარეშე და შინაურ მტერთან, საკუთრება უზრუნველყოფილად მიაჩნიათ, თავის

საქონელს თავისუფლად ჰყიდიან კარგ ფასადო და სხვა, მაგრამ მათ არ სურთ თავიანთი კეთილდღეობა დააფასონო. გარდა ამისა, ისინი ქართველებს უმადურებს, უვიცებს უწოდებდენ: რუსეთისათვის მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთო. ამნაირი მსჯელობა დაედვა საფუძვლად იმ დასკვნას, რომ ქართველებს რუსის მთავრობა არ მოსწონთ, ჩვენთვის სრულიად უსარგებლოა ეს ქვეყანა, გარდა ხარჯებისა იმპერიისათვის მისგან სხვა არა მოსდევს რაო. აი, რანაირი აზრისა იყო დიდი ხნის განმავლობაში მთავარი მმართველობა ამ/კავკასიის შესახებ, რადგან არ იცნობდა იქაური ხალხის ხასიათს და არ ჰქონდა წარმოდგენილი სტატისტიკური საშუალებანი (?) იმ ქვეყნისა (გვ. 31) რომელიც მის მფლობელ სახელმწიფოს უზომო სარგებლობას ჰპირდებოდა.

გრაფის გუდოვიჩის უბედურ ლაშქრობას ახალქალაქსა და ერევანზე, გენერალ ტორმასოვისა ახალციხეზე და შემდგომ სპარსელების შემოსევებს, რომელთა თარეშები თითქმის ტფილისს აღწევდენ, სასტიკი შედეგები მოჰყვა: ჯერ ერთი ზემოხსენებულ ლაშქრობათა დროს სამხედრო ტრანსპორტისათვის უწესრიგოდ გამოყვანამ ყველგან აუარებელი რქიანი საქონელი დაღუპა; მეორე მხრით შავი ჭირი, რომელიც 1810 წელს ოსმალეთიდან იქნა შემოტანილი გენერალ ტორმასოვის უკან დახევის დროს, ა/კავკასიაში გავრცელდა; ბოლოს საერთო მოუსავლობას მთელ საქართველოში საშინელი შიმშილობა მოჰყვა. ყველაფერი ეს ადგილობრივს მცხოვრებთ სასოწარკვეთილებაში აგდებდა და ბედნიერების წინანდელი იმედები გაჰქრა. ხალხი ითმენდა, მაგრამ ბოლოს მისი მოთმინების ფიალაც აივსო. ამის უმთავრესი მიზეზი შემდეგი იყო. როდესაც სარდლობა გენერალმა ტორმასოვმა მარკიზ პაულუჩის (გვ. 32) ჩააბარა, ჯარი სურსათით უზრუველყოფილად მოაჩვენეს; მაგრამ როდესაც პოლკებმა სურსათის მოთხოვნა იწყეს, აღმოჩნდა, რომ ყველა მთავარი მალაზია ცარიელი იყო. ზემოხსენებული შეცდომა იმაზე იყო დამყარებული, რომ კომისიონერებს ფული სოფლად დარიგებული ჰქონდათ სურსათის სასყიდ-

ლად და ამ მხრით თავს უზრუნველყოფილად სთვლიდენ. მაგრამ იმ არაჩვეულებრივი შიმშილობის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა 1811 და განსაკუთრებით 1812 წელს, როდესაც მცხოვრებნი ტყე-ტყე დაძრწოდენ და ბალახ-ბულახით იკვებებედონ; როდესაც ტფილისში ერთი „ჩეტვერტი“ (დაახლ. ცხრა ფუთი — **რედ.**) უვარგისი ხორბალი 20-დან 30 ვერცხლის მანეთამდე ფასობდა, ყველა წინანდელი სასტიკი ღონისძიება სურსათის შესაძენად ამაო აღმოჩნდა.

პროვიანტის მოხელენი, რომელთაც მათი მოსარჩლენი უჭერდენ მხარს, მთავრობას თავისებური გამბედაობით ატყობინებდენ: ხსენებული სურსათი ნამდვილად უკვე შეძენილია, ფული (გვ. 33) საამისოდ მცხოვრებთ უკვე მიღებული აქვთ, მაგრამ ისინი პურს ჰმალავენ, რადგან ფასებმა აიწიაო. მეორე მხრით მოსალოდნელ გაჭირვებას პროვიანტ-მოხელეების უკანონო მოქმედებათა გამომჟღავნება ვერას უშველიდა; დარჩენოდათ ერთი საშუალება: დაეჯერათ კომისიონერთა მოხსენებისათვის და მთელი ბრალი მცხოვრებთადმი დაედოთ, ჩაეყენებინათ მათში სურსათის გამოღებამდე ეკზეკუცია და გამოეკვებნათ სამხედრო ნაწილები.

გადასწყვიტა რა, უკიდურესი გარემოების გამო, ასეთი ფრიად სახიფათო ღონისძიებისათვის მიემართნა, მარკოზ პაულიჩი თვითონ სპარსეთის პროვინციაში წავიდა[17]) კასპიის ზღვის სანაპიროებზე, დასამშვიდებლად იქაურ მცხოვრებთა, რომელნიც ადგილობრივ უფროსთა ბოროტმოქმედებას სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რანაირად მოექცეოდენ გლეხებს ჯარისკაცები, რომელნიც მათთან იყვნენ ჩაყენებულნი და ნაბრძანები ჰქონდათ: ძალა დაატანეთ და გამოართვით მათ (გლეხებს) ვითომდა უკვე ნაყიდი სურსათი (გვ. 34), რომელსაც ისინი განზრახ ჰმალავენო. ამას გარდა ჯარისკაცებს ნება ჰქონდათ საკვებად გლეხებისათვის რაც სურდათ, ის წაერთმიათ.

ეკზეკუციათა ყოველგვარმა ძებნამა და ძალდატანებამ ფუჭად ჩაიარა. სურსათი ვერსად აღმოაჩინეს. და თვით ჯარისკაცები, განსაკუთრებით კახეთში, უმეტეს

შემთხვევაში შინაური ფრინველისა და რქიანი საქონლის ხორცით იკვებებოდენ.

1811 წლის დამლევს კახეთში იფეთქა საშინელმა ამბოხებამ, რომელმაც უცბად იმსხვერპლა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, ეკზეკუციად აქა-იქ გაფანტული. ძნელად დასაჯერებელია ხალხის მაშინდელი გაბოროტება[18]); იგი სულ ახლობელსაც არ დაინდობდა, თუკი მას რუსების მოხრეობას შეამჩნევდა. მეამბოხენი შევარდენ სილნაღის ციხეში და ყელები დასჭრეს ყველა იქ მყოფ მოხელეს. თელავის ციხესაც ეს ბედი მოელოდა. მაიორმა უშაკოვმა თელავისა და მაიორმა თავადმა ორბელიანოვმა სილნაღის მაზრაში შეინარჩუნეს (გვ. 35) ორი პუნქტი და ზარალით იგერიებდენ მეამბოხეთა იერიშებს. ორივე მაზრის ყველა დანარჩენი ნაწილი კი გაშმაგებული მდაბიო ხალხის (чернь) სრულს განკარგულებაში იყო.

კასპიის ზღვის ნაპირებიდან რომ დაბრუნდა მარკიზ პაულიჩი, შეჰკრიბა რაზმი, რომელიც შესდგებოდა 1500 ქვეითისაგან არტილერიით, ერთი პოლკი ყაზახებისა და ქართული ცხენოსანი ჯარისაგან, რომელიც თითქმის მხოლოდ თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდა. (პაულიჩი) დაიძრა კახეთის მთა გომბორისაკენ, სადაც მეამბოხეთა უმთავრესი ბანაკი იდგა. წინასწარ მოსალაპარაკებლად მან მეამბოხეებს გაუგზავნა რამდენიმე სანდო პირი თავად-აზნაურთა და სამღვდელოებისაგან და შეუთვალა: პირობას გაძლევთ მის უდიდებულესობის თქვენი პატიება გამოვთხოვო. თუ რომ სავსებით შეინანებთ (თქვენს საქციელს) და მორჩილად თავ-თავიანთ სახლში დაბრუნდებითო. გაგზავნილი კაცები მეამბოხეებთან მივიდენ. ვილაც სიმეხმა, სახელად კოწო ოხანოვმა, მეამბოხეთა უფროსმა, მოუსმინა რა მოციქულებს, შემდეგი უპასუხა: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ (გვ. 36) ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა მათ გაგვჟლიტონ. ჩვენ რუსის მეფის მფარველობას ვეძიებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა; მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით. ხოლო

ახლა, როდესაც უფალმა ეს საშინელი შიშშილი დაგვატეხა თავს, როდესაც თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ! ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს. ხელებს აფათურებდენ და სჩხრეკდენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხავდენ, ღვინით ილეშებოდენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდენ. ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს ცოლებს და ქალებს შეურაცხყოფდენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგაც სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ღა ექნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსის მეფის წინაშე, რომ ქრისტეანეთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ ღმერთია მოწყალე, რომ რუსთა ლალატი არასოდეს (გვ. 37.) ფიქრად არა გვქონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ აქვე დავიხოცოთ. შენდობის იმედი არა გვაქვს: ვინ ამცნობს ხელმწიფეს ჩვენს მდგომარეობას? განა დაგვიწყებია, თუ რას გვიპასუხებდენ ხოლმე თქვენებური უფროსები, როდესაც ხელმწიფეს ვახსენებდით: до бога высоко, до царя далеко"-ო. წადით ისევ მათთან; ვერც თქვენ, ვერარც ისინი ვერარ მოგვატყუებთო".

ეს სიტყვები, რომელიც იქ მყოფმა მეამბოხეებმა ერთხმად დაადასტურეს, იმავე დღეს გადასცეს მარკიზ პაულიჩს.

ამის შემდეგ ამბოხების ჩასაქრობად ერთი საშუალება-ღა დარჩენილიყო — იარაღი. ორი პატარა შებრძოლების შემდეგ, რომლის დროსაც უფრო არტილერია მოქმედებდა, ურჩნი გაიფანტნენ. ბრძოლის დროს, ტყვედ წამოყვანილები მყისვე ჩამოახრჩვეს; დანარჩენებს პატიება გამოეცხადათ ზემოაღნიშნულ პირობის-და მიხედვით ქართველი სამღვდელოებისა და მემამულეების დახმარებით ყველანი ფრიად მალე დამშვიდდენ (გვ. 38) და მთავარმართებელს მორჩილება განუცხადეს.

ამბოხების ჩაქრობის შემდეგ კახეთის სხვადასხვა სოფლიდან მოიყვანეს ჯარისკაცები, რომელნიც მცხოვრებთ მეამბოხეთა ლევნისაგან გადაერჩინათ. ეს ჯარისკაცები აღასტურებდენ, რომ ისინი მართლა გადაარჩინეს იმ მცხო-

ვრებლებმა, რომელნიც მათის მოპყრობით კმაყოფილნი იყვნენ. განა ეს იმას არ მოწმობს, რომ ამბოხების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ უცაბედი შეურაცყოფა იყო? განა ყოფილა მთელს ა/კავკასიაში, გარდა ამბოხების დროისა, თუნდა ერთი მაგალითი ქართველის მიერ რუსის ჯარისკაცის მოკვლისა?

ამის შემდეგ მთავარმართებელმა ბრძანა დაუყოვნებლივ შეეგროვებინათ ხალხის შეწუხების გამომწვევი მიზეზების შესახებ ცნობები, რათა ზომა მიეღოთ მათი სამართლიანად დაკმაყოფილებისა. მაგრამ სწორედ ამ დროს მიღებულ იქმნა ბრძანება მარკიზ პაულუჩის მაგივრად გენერალ რტიშჩევის დანიშვნის თაობაზე (გვ. 39). ამ ცვლილებამ ხალხში ახალი ხმები, ახალი იჭვიანობა, ახალი შიში და მაშასადამე ახალი მღელვარება დაჰბადა.

თანაც ხალხი ვერ ჰხედავდა სასიკეთოსაკენ გამოგრუნებას.

ერთმა მემამულემ, რომელიც პირადად უკმაყოფილო იყო მთავრობისა, შეამჩნია რა მდაბიო ხალხის მღელვარება, შეჰკრიბა თავზეხელაღებულთა დიდი ბრბო და კარგა ხნის განმავლობაში კახეთის მყუდროებას აოლვევდა. საქართველოში ეს პირველი მაგალითი იყო იმისა, რომ მემამულემ ნება მისცა თავის თავს მეამბოხეთა მეთაური გამხდარიყო. მისი საქციელი სამაგალითოდ დასჯის ღირსი იყო; მაგრამ გენერალმა რტიშჩევმა ამ შემთხვევაში ზედმეტი თვინიერება გამოიჩინა; თუმცა ზემოხსენებულმა მემამულემ ქედი მოიხარა, მაგრამ წინად, ამბოხების მეთაურობის დროს, მას კაცი გაეგზავნა სპარსეთს ბატონიშვილ ალექსანდრესთან და იწვევდა მას ვითომდა ხალხის სახელით. ასეთი (გვ. 40) მოწვევა სპარსელებისათვის მით უფრო სახეირო იყო, რომ სწორედ მაშინ ფრანგებმა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყეს.

კახეთის თავად-აზნაურობის მაზრის წინამძღოლებმა, შეამჩნიეს რა ხალხში ახალი მღელვარება, სთხოვეს (მთავრობას) მაზრებში ჯარის გაძლიერება და აღნიშნავდენ, თუ რა საშიში მდგომარეობა შეიქმნებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილი რომ გამოჩენილიყო და მას წინააღმდეგობა

არ შეხვედროდა. მაგრამ რაკი იმ დროს გენერალი რტიშჩევი სპარსეთის საზღვრებზე იმყოფებოდა აბას-მირზასთან მოსალაპარაკებლად და რუსის ჯარიც იქითკენ იყო გაგზავნილი, მაზრის წინამძღოლთა თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა.

შემდგომ გამოირკვა, რომ სპარსელთა მხრით მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ საბაბი იყო იმისათვის, ალექსანდრე ბატონიშვილს უფრო კარგი შემთხვევა მისცემოდა კახეთში შესაჭრელად. ამ შემთხვევაში სპარსელებმა გონიერება გამოიჩინეს. მათ ალექსანდრე გამოისტუმრეს მარტოოდენ მისი აბელის ამარა, ყოველგვარ დამხმარე ჯარის გამოუტანებლად, ვინაიდან კახელებს სპარსელები სძულდათ (გვ. 41) და მიუხედავად წინამორბედ ამბებისა, რასაკვირველია. ბატონიშვილს ასე არ მიიღებდენ. (ბატონიშვილისათვის) ძნელი როდი იყო რუსებისადმი უკვე არსებული უნდობლობა გაეღვიებინა და შეურაცყოფის გრძნობა გაელიზიანებია. ზოგიერთი თავადაზნაური, ჰხედავდა რა (ბატონიშვილს) ხელისუფლების ზრდას და რუსების მხრით გაუბედავ წინააღმდეგობას, მიემხრო მას. მაგრამ მათი (თავად-აზნაურობის) უმრავლესობა იმყოფებოდა იმ რაზმში. რომელიც ბატონიშვილის წინააღმდეგ მოქმედებდა გენერალ-ლეიტენანტის თავად ორბელიანის უფროსობით.

ბატონიშვილ ალექსანდრეს ცდა გათავდა მისი დაღესტანში განდევნითა და საქართველოს საუკეთესო ნაწილის (კახეთის) აოხრებით. ამ არეულობის მთავარი გამომწვევი კი. ზემოხსენებული მემამულე, ბატონიშვილი რომ მოიწვია. დაიღუპა რუსთა იმ რაზმში მყოფი, რომელიც ბატონიშვილის წინააღმდეგ მოქმედებდა.

მიზეზები ბატონიშვილის ალექსანდრეს შემოსევისა პირველი ამბოხების შემდეგ. (გვ. 42) ასე ნათელი იყო; მაგრამ მაინც გამოჩდენ ისეთი ადამიანები. რომელნიც ამ აჯანყებას ადგილობრივ მცხოვრებთა წინასწარ მოფიქრებულს განზრახვას. სპარსეთის სამეფო კარის ინტრიგას და ნაპოლეონის გავლენასაც კი მიაწერდენ; და ამ ტყუილის მიზანი ის იყო, ამბოხების მთელი ბრალი ხალხის ხა-

სიათის დაუდგრომლობასა და რუსებისადმი სიძულვილზე გადაეტანათ, ამით ჭეშმარიტება მიეჩქმალნათ.

მაშინდელი არეულობის დაწვრილებითი განხილვა, პირიქით, ცხადჰყოფს, რომ ეს (არეულობა) მარტოოდენ ადგილობრივი ხასიათისა იყო და მასში საქართველოს სხვა კუთხეებს (уезды) არასოდეს მონაწილეობა არ მიუღიათ. კახეთის ამბოხება ყოველგვარ პოლიტიკურ მიზეზსა და უცხო გავლენის გარეშე მოხდა; მისი მიზეზი ხალხის ერთად-ერთი უმაგალითო შეწუხება იყო, განსაკუთრებით იმ საუბედურო შემთხვევის დროს, როდესაც მას სურსათს ეკზეკუციით ართმევდენ და ყოველგვარ უმსგავსობით საზღვარს გადასცილდენ (გვ. 44) [1] პირველი ნაპერწკელი იმა ამბოხებისა გაჩნდა სოფელ თიანეთში იმ საზიზღარი შემთხვევის გამო, რომლის მოხსენების ნებასაც ზრდლობა არ გვაძლევს. სადამდე შეიძლებოდა მისულიყო უხამსობა ჯარისკაცებისა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მცხოვრებთა წინააღმდეგ ძალა ეხმარნათ საკვების შოვნის მიზნით! რა შედეგი არ მოჰყვა ამას, განსაკუთრებით ღვინის სიუხვის გამო, რაიც ერთის მხრით სისასტიკესა და უწესოებას, ხოლო მეორე მხრით გაბოროტებასა და სიღატაკეს ზრდიდა! ქართველი თავად-აზნაურობა ასე რიგად დაშორებული თავისი ხელმწიფის ტახტს, მაშინაც, იქაური ადგილობრივი უფროსების სისტემის წყალობით უხმო იყო; ამიტომ მაშინდელი უბედური დროის ნამდვილი სურათი მის უმაღლესობისათვის არავის უცნობებია.

ამგვარად, ზემოხსენებული მიზეზების გამო დაზარალდენ მაზრები, რომელნიც განირჩეოდენ სიმდიდრითა და მოსახლეობით. ეს მაზრები (გვ. 45) მთიელთა შემოსევისაგან დაცულნი, ნეტარებაში უნდა ყოფილიყვნენ. და მართლაც, რა იქნებოდა საქართველოზე უფრო ბედნიერი რუსის მთავრობის დროს, მის (მთავრობის) მზრუნველობას (საქართველომდე) უცვლელად რომ მიელწია ხოლმე! ამის ცოცხალს მაგალითს ჩვენ ვხედავთ დაპყრობილ ქვეყნებშიაც კი: ლიფლანდია, კურლანდია და ესტლანდია ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ რუსეთის კვერთხს ქვეშე იმყოფებიან. ნუთუ საქართველოს, რო-

მელმაც მძლავრისა და ერთმორწმუნე სახელმწიფოს მფარველობას მიმართა, ნაკლები საბაბი უნდა ჰქონოდა თავისი კეთილდღეობის შემქმნელის ერთგული ყოფილიყო? მაგრამ აქამდე მას (საქართველოს) არ ჰქონია მაღალი ბედნიერება თავის ხელმწიფისადმი უშუალოდ ცნობისა. ფრიად დიდია მანძილი მასა და ტახტს შორის, ფრიად სუსტია აგრეთვე მის მცხოვრებთა ხმა, რომ მან მეფის ტახტამდე მიაღწიოს [20]). შეერთების 37 წლის განმავლობაში არც ერთს სახალხო საჩივარს, არც ერთი ბეწო საერთო თხოვნას (გვ. 46) ქართველთა მხრით არ მიუღწევია წმინდა ფერხთამდე დიდი მონარქისა, რომელმაც ისინი (ქართველები) თავის ერთგულ ქვეშევრდომთა შემადგენლობაში მიიღო. დიდი იყო მემამულეთა და მიწათმოქმედთა შეწუხება, მაგრამ ისინი ვერ ჰხედავდენ თავისი უავგუსტესი ხელმწიფისათვის მიემართნათ იმ თხოვნით, რასაც ადგილობრივი მთავრობაც კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ქართველებს გამოუცხადეს: თქვენ ისეთივე უფლებანი და უპირატესობანი გენიჭებათ, როგორიც რუსეთის ქვეშევრდომებს აქვთო; მაგრამ სინამდვილეში ისინი იმის საწინააღმდეგოს ჰხედავდენ, საკუთრების საქმეშიაც კი.

ასეთს მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო მთავარმართებლად თავადის ვარშაველის დანიშვნამდე, ე. ი. 27 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ განა საკვირველია ახლანდელი მდგომარეობა იქაური მემამულეებისა და განა შეიძლება ესაყვედუროს ქართველებს უმოქმედება სოფლის მეურნეობის (промышленности) გაუმჯობესებისათვის და გულგრილობა ყოველგვარ (გვ. 47) სამეურნეო მუშაობისადმი? ვინაიდან, რომელი ხალხი იქნება ისეთი, რომ ხელახლა შრომას ხელი მიჰყოს, თუ დარწმუნებული არაა შესაძენი საკუთრების შენარჩუნებაში?

მიუხედავად ამისა საქართველო უკვე შეეთვისა (сроднилась) რუსეთს. ამის ნათელს საბუთს იძლევა სპარსელთა მუხანათური თავდასხმა 1826 წელს. მათმა გამარჯვებამ, რამდენისამე თვის განმავლობაში ფრიად მნიშვნელოვანმა, მრავალმა ხრიკმა ვერ გასჭრა და ვერც

ერთს ქართველს გული ვერ შეუცვალა რუსის მეფისადმი მოშხრეობაზე. პირველ დაძახებისთანავე თავად-აზნაურნი და სხვა მცხოვრებნი ხელად გამოცხადდენ და მზად იყვნენ რუსეთის დროშის ქვეშ საბრძოლველად.

სასიამოვნო რამეა, რომ უკანასკნელმა შესანიშნავმა სამხედრო ამბებმა ა/კავკასიაში და ამ ქვეყნის რუსების მიერ ახლო გაცნობამ უკვე შესცვალა ის აზრი, თითქოს რუსეთისათვის საქართველო უსარგებლო რამ ყოფილიყოს.

—:—

რედაქციისაგან

პირველად ამ წერილზე არჩილ მიქაძემ მიგვითითა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ წერილს, ალ. ხახანაშვილიც იხსენიებს თავის სიტყვიერების ისტორიაში (ქართულში). „იმავნე (ალ. ჭ-ძეს) ეკუთვნის აქამდის დაუბეჭდავი მოკლე ისტორიული განხილვა საქართველოსი და მისი მდგომარეობისა 1801 — 1831 წ. წ.“ (გვ. 21).

მაგრამ, სამწუხაროდ, პატივცემული პროფესორი არ აღნიშნავს თუ სად ნახა ეს ხელთნაწერი, ან რომელ წიგნთსაცავში ინახება.

და როცა პროფ. მ. ა. პოლიევქტოვი რუსეთში მიემგზავრებოდა, ი. გრიშაშვილმა სთხოვა, რომ თავის ახალ მონოგრაფიისთვის („ალექსანდრე ჭავჭავაძე“), როგორმე გამოენახა და მოეწოდებინა ალ. ჭავჭავაძის ეს ხელთნაწერი... პატივცემულმა პროფესორმა გადასწერა და ჩამოიტანა...

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეს მოხსენება, როგორც კონტექსტიდან სჩანს, დაუწერია 1837-38 წლებში. იგი მოწმობს, რომ ალ. ჭავჭავაძეს მშვენივრად სცოდნია საქართველოს ისტორია და მაშინდელი მისი წყაროები.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჩვენში იცნობენ როგორც სასიყვარულო ლექსების ავტორს. და ეს წერილი ნათლად გვიმტკიცებს იმას, რომ ის პოლიტიკურ ცხოვრებას არ იყო დაშორებული, ესმოდა თავისი ქვეყნის ავკარგიანობა და სავსებით შეგნებული ჰქონდა იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა.

დედანი ამ წერილისა, ალ. ჭავჭავაძის საკუთარი ხელით დაწერილი, ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (Государств. Публичная Библиотека в Ленинграде; рукописное отделение № IV. F., 299).

—

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

[1]) ამ ქვეყნების მოსახლეობა შეგვიძლია გავითვალისწინოთ შემდეგისაგან. 1248 წელს მონგოლებმა ბერქუ-ხანის ბრძანებით საქართველოში აღწერა მოახდინეს და სირიის სულთნების და არაბების დასამარცხებლად 400 ათასი ჯარი შეაგროვეს, თუმცა ათაური კომლიდან თითო კაცი გაჰყავდათ (საქართველოს ისტორია ვახუშტისა). მაშასადამე თვითეული კომლი ოთხ კაცად რომ ვიანგარიშოთ მონგოლების მიერ დაპყრობილ საქართველოში, გარდა იმერეთისა და სხვა დამოუკიდებლად დარჩენილი ქვეყნვბისა, ყოფილა 16 მილიონი სული. იმავე ბერქუხანის დროს ასეთივე აღწერა მოახდინეს მონგოლებმა რუსეთშიაც

ა. ჭ.

[2]) აქამდე თვით ალ. ჭავჭავაძის ხელით არის მიწერილ; შემდგომ კი—მწერელისა.

რ ე დ.

[3]) ლაზიკა საქართველოს ერთ-ერთ პირველყოფილ ნაწილს შეადგენდა. იქ მოსახლე ტომი, რომელიც ახლაც იქ ცხოვრობს, წმინდა ქართველია და წმინდა ქართული ენით ლაპარაკობს; საქართველოს იგი ოსმალებმა ჩამოაშორეს და მცხოვრებთ მაჰმადიანიზმი მიიღეს; იგივე დაემართა შემდგომ ახალციხის პროვინციასაც, რომელიც გადაიქცა რა ოსმალურ საფაშოდ, შეინარჩუნა ქართული ენა, მაგრამ მიიღო მაჰმადიანიზმი.

ა. ჭ.

[4]) ეს უკანასკნელი სამი სიტყვა ხაზგასმულია ფანქრით არეს მხრით.

რ ე დ.

[5]) ჩადრი, სპარსული ქუდები, ქოშები, ფეხშორთხმული ჯდომა და ტანისამოს-ჩვეულებათა სხვა ცვლილება გადმოღებულ იქმნა სპარსთა და ოსმალთაგან და ასეთი რამ მთიელ ქართველთა შორის არ იციან.

ა. ჭ.

[6]) აბზაცის დასაწყისიდან ამ სიტყვამდე არეს მხრით ფანქრით ხაზგასმულია.

რ ე დ.

[7]) უკანასკნელი ორი ფრაზა არეს მხრით ფანქრით ხაზგასმულია.

რ ე დ.

[8]) აბზაცის დასაწყისიდან ამ ადგილამდე არეს მხრით ფანქრით ხაზგასმულია და კითხვის ნიშანი უზის.

რ ე დ.

[9]) საქართველოს მდგომარეობის მიუდგომელმა აღწერამ შეერთების ხნიდან 1827 წლამდე შეიძლება ვინმეს აფიქრებინებს, რომ დამწერი ეკუთვნის იმ ჯურის ხალხს, რომელნიც საგნებს გამადიდებელი შუშით უცქერიან. მაგრამ იმისთვის, ვინც დარწმუნებულია, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ჭეშმარიტების აღნუსხვით, მიუტევებელი იქნება რყევა იმ მხრით, რომ ცხად ჰყოს, თუ რამდენად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მართვის საქმეში ადგილობრივ (ხელისუფალთა) მოქმედება კეთილგანწყობილ და სულდიდ სურვილებს იმ დიდი მონაარქისას, ქართველი ხალხი თავის მოორჩილ ქვეშევრდომებად რომ მიიღო.

ა. ჭ.

[10]) ცნობისმოყვარეებს შეუძლიათ საჩივართა ამისთანა თარგმანები გადაათვალიერონ საქ. უმაღლეს მმართველობის არქივში.

ა. ჭ.

[11]) ხელთნაწერში სიტყვა ციციანოვი ფანქრით ხაზგასმულია და მის გასწვრივ არეზე არის მინაწერი, რომელიც ახლა ძლივს-ღა იკითხება: „....введе....поряд....“

რ ე დ.

[12]) ამ ფრაზის ბოლო, სიტყვებიდან „მშვიდობიანობის დროსაც კი“—ხაზგასმულია ფანქრით არეს მხრით და ახლა უკვე ძნელად ამოსაკითხი მინაწერია: „მართალია, მაგრამ გადასახადები თითქმის არ ყოფილა“.

რ ე დ.

13) ამ ადგილის გასწვრივ არეზე შენიშვნაა: „1807 წელს მთავარმართებელს ფული არ ჰქონდა, ხოლო 1828 და 1829 წლებში მას შეეძლო მოეთხოვნა ეს ფული და ჰქონოდა, რამდენიც უნდოდა“.

რ ე დ.

14) სიტყვებიდან „27 წელს“ აქამდე არეს მხრით ფანქრით ხაზგასმულია და ძნელად ამოსაკითხი მინაწერი აქვს: „მოისპო... მხოლოდ, მგონი ბარონ როზენის დროს.....“

რ ე დ.

15) გვერდით არეზე მინაწერია: „გაზვიადებულია“.

რ ე დ.

16) ამ სიტყვებს გვერდით არეზე მინაწერი აქვს: „ფრიად გაზვიადებულია“.

რ ე დ.

17) ეს ადგილი არეს მხრით ხაზგასმულია და კითხვის ნიშანი უზის.

რ ე დ.

18) ამ ფრაზას გვერდზე მინაწერი აქვს: „კახეთი — თავადის ჭავჭავაძის სამშობლოა“.

რ ე დ.

19) ხელთნაწერში ნუმერაცია შეშლილი და 42 გვერდს პირდაპირ 44 მოსდევს.

რ ე დ.

20) ამ ფრაზას გვერდით კითხვის ნიშანი უზის.

რ ე დ.

ბიბლიოგრაფია

ბიქტორ თევზაია

გრ. გ. გიორგაძე. ფეოდალური ურთი-ერთობა საქართველოში. სახელმწიფო გამომცემლობა. 1926 წ. ფასი 2 მანეთი.

ქართული ლიტერატურა ღარიბია ეკონომიური შინაარსის ნაწარმოებით. ეს ეხება როგორც თეორეტიულ, ისე პრაკტიკულ პოლიტიკურ ეკონომიას და განსაკუთრებით ეკონომიური კითხვების ისტორიულად გაშუქებას. უკანასკნელს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთო განვითარებისთვის, ისე ქართველი ხალხის ზოგიერთი თავისებურების გასაგებადაც.

რა ეკონომიური ურთი-ერთობა გვქონდა გუშინ, როგორი გვაქვს დღეს და რა სახეს მიიღებს ის ხვალ? აი კითხვები, რომელიც განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეს ყოველ მოქალაქეს და რის პასუხსაც ის უნდა ეძებდეს ჩვენს ლიტერატურაში. გ. გიორგაძის ნაშრომი პასუხს იძლევა პირველ კითხვაზე: რა ვიყავით გუშინ. სადა, ყველასათვის გასაგები ენით, სათანადო საბუთების აღნიშვნით და ეპიური სიმშვიდით მკითხველს უშლის ავტორი იმ ურთ-ერთობას, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა საქართველოში ბატონ-ყმობის სახით და ხასიათდებოდა შემდეგი დებულებით: ყველაფერი ყმისა ბატონისა არის.

წიგნის პირველ ნაწილში გ. გიორგაძე ასურათებს ფეოდალური იერარქიის ყველა საფეხურებს (მეფე-ფეოდალი, ბატონიშვილები, უმაღლესი მოხელენი, თავადები, ეკლესია-ფეოდალი, აზნაურები) და აღნიშნავს იმ საფუძველს, რაზედაც ეს დაყოფა ემყარებოდა. საფეხური და, მაშასადამე, პოლიტიკურ-სოციალური წონა დამოკიდებული იყო მამულის სიდიდეზედ. ეს არის, ასე ვთქვათ, ლეგალური საქართველო. მეორე მხრივ ჩვენ ვხედავთ ყმებს, რომლებნიც წარმოადგენენ ერთად-ერთ საწარმოო ძალას და იმავე დროს მოკლებულნი არიან ელემენტარულ უფლებებს. ყმის მდგომარეობა ავტორს საკმარისად ნათლად აქვს დახასიათებული იმ წყაროების მიხედვით, რომელნიც დღეს დღეობით ხელმისაწდომია. მეტად საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, რომელიც ეხება სამართალს და პროცესუალურ ნორმებს. ავტორის მიერ მოყვანილი მასალები საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ ყოველ შემთხვევაში საქართველოს ფეოდალური სამართალი და სათანადო პროცესუალური ნორმები სრულებით არ ჩამოუარდებიან დასავლეთი ევროპის იმავე ხასიათის სამართალს.

წიგნის მეორე ნაწილში ავტორი გვიხატავს ბატონ-ყმობას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და იმ ზოგად ცვლილებებს, რომელიც მან განიცადა რუსულ მმართველობის გავლენით. დასასრულ ფართოდ ეხება გლეხთა განთავისუფლების გარშემო ატეხილ დავას და არჩევს იმ პროექტებს, რომელიც თავად-აზნაურობის სხვა და სხვა წრიდან იყო შემუშავებული. ამ ნაწილიდან მკითხველი ტყობილობს, რომ ყველაზე უფრო რადიკალური პროექტის ავტორი, რომელიც გლეხთა განთავისუფლებას ეხებოდა, ყოფილა ნიკოლოზ ჭავჭავაძე. ერთ დროს ამის შესახებ საქართველოში დიდი დავა იყო და საზოგადოების ერთ ნაწილს რადიკალური პროექტის ავტორად ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, გ. გიორგაძის წიგნი ფრიად სასარგებლოა ქართველი მკითხველისთვის და განსაკუთრებით ახალგაზდობისთვის. უკანასკნელთათვის არა მარტო იმისთვის, რომ წასული ცხოვრების შესახებ ნათელი წარმოდგენა ქონდეთ. დღევანდელი ახალგაზდობის აზროვნებაში არ აღბეჭდილა თვითმყრობელობის სოციალურ-პოლიტიკური სახე. დღევანდელი მოზარდი თაობა სხვაგვარ სოციალურ ურთი-ერთობაში იზრდება. ხოლო თვითმყრობელობის ერთი სოციალური საფუძველთაგანი იყო ბატონ-ყმობის ხანიდან დარჩენილი ნაშთები. პსიხოლოგიურად ათი-ოცი წლის წინად უმაღლესი წოდების შეძლებული ნაწილი ძველი ბატონის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, ხოლო თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს სულის კვეთება, ნათლად დასურათებულია ავტორის მიერ.

მიუხედავად შრომის ასეთი ღირებულებისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია რამოდენიმე შენიშვნის გაკეთება. უსათუოდ ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ავტორს დაესურათებია თვით ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის პროცესი. ფეოდალიზმი ხომ უფრო მაღალი საფეხურია წინა დროის ეკონომიურ-სოციალურ ურთი-ერთობასთან შედარებით. მკითხველებისთვის მეტად საყურადღებო იქნებოდა იმ მიზეზების აღნიშვნა, რომელმაც წარმოშვა ბატონ-ყმური დაავადებულება.

ცხადია, რომ ყმები არ იქნებოდენ კმაყოფილი თავისი მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნემდის ფართო აჯანყებებს ადგილი არ ქონდა საქართველოში. რა არის ამის მიზეზი? ლომთათიძის ერთ ნაწარმოებში გამოყვანილია საქართველო, რომელიც პასუხს აგებს უმაღლეს სამსჯავროს წინაშე. კითხვაზედ „თუ რას შვებოდა ის" — უპასუხებს, რომ ყოველთვის თავს ვიცავდი. თუ საქართველო გარშემორტყმული იყო მტრებით თითქმის მუდმივად, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბატონი და ყმის წინააღმდეგობა არ ღებულობდა მკაცრ სოციალური ბრძოლის ხასიათს. დამონებული ერი, ან რომელსაც ემუქრება დამონება, ნაკლებ აღვივებს შინაურ წინააღმდეგობას. სოციალურს ჩრდილავს ეროვნული. ასეთი მდგომარეობით ხასიათდებოდა ფეოდალური საქართველო. ამასთან დაკავშირებით ეხება. რატომ ვერ შეძლო საქართვე-

ლომ ასეული წლების განმავლობაში გამოეყო თავისი სხეულიდან ბურჟუაზიული ელემენტები, რომელნიც ხელს შეუწყობდენ ძლიერი ცენტრალური მთავრობის შექნის და მეურნეობის გადახალისებას? ამასაც უმთავრესად ხელს უშლიდა საქართველოსი ხშირი დარბევა მეზობელ სახელმწიფოების მიერ. ამ მხრივ მეტად საინტერესო იქნება დაახლოვებითი გამორკვევა იმ საქართველოში დაგროვილი სიმდიდრის, რომელიც ხარკის და ერთდროული წაგლეჯის სახით გაქონდათ დამპყრობელებს. საქართველოს არ ქონია ხანგრძლივად მუდმივი საალებ-მიცემო ცენტრი, რომელიც იმავე დროს შეიძლება გამხდარიყო, როგორც ევროპაში ამას ქონდა ადგილი, გაქცეულ ან გამოყიდულ ყმების თავშესაფარი და სადაც მათი საქმიანობით ფართოდ გაიშლებოდა ხელოსნობა, ბურჟუაზიული ურთი-ერთობის პირველი საფუძველთაგანი. თუმცა ისტორიული მოვლენების ახსნის მიზნით მეტად სახიფათოა ბელეტრისტულ ნაწარმოებით სარგებლობა, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ მოვლენას. ილია ჭავჭავაძის პროტესტანტი გმირები, მათი ბატონების წინააღმდეგ ამხედრებულნი: კაკო ყაჩაღი, გლახა გაბრიელი ტყეში გარბიან. ფეოდლური ურთი-ერთობის წინააღმდეგ მომქმედნი ახალ ურთი-ერთობის მიერ დაშვებულ და დაკანონებულ მოქმედებით გამოდიან ცხოვრების სარბიელზედ. დაცემა, გაცარცვა, კაცის კვლა — აი მათი საქმიანობა, რამდენათაც ის მიმართულია ბატონობის წინააღმდეგ. დანიელ ჭონქაძის გმირი — დურმიშხანი კი, ბატონისგან დევნილი, ვაჭრობას კიდებს ხელს და ამით საძირკველს უყრის ახალი სოციალური ურთი-ერთობას. მარამ ეს ხდება უკვე ფეოდალური ხანის მიწურულში. ჩვეულებრივად კი ფეოდალური ეპოქის პროტესტანტი კაკო ყაჩაღი იქნებოდა, რომელსაც, გარდა ტყისა, სხვა დასაყნობი წერტილი არ ქონდა. საერთოდ მეტად საინტერესოა საქართველოს აღებ-მიცემობის გამორკვევა და მისი სისუსტის ახსნა-განმარტება, რაც მომავლის საქმეა.

უკანასკნელი შენიშვნა, რომელიც უნდა აღინიშნოს — ეხება მეტად საინტერესო კითხვას: ფეოდალურ ურთი-ერთობის ხანაში არსებობდა თუ არა ჩვენში პირველი ღამის უფლება? ამ კითხვამ ქართულ ლიტერატურაში დიდი დავა გამოიწვია ერთ დროს. მარამ არც მაშინ და არც ახლა, გ. გიორგაძის შრომაში, არ არის დასაბუთებული პირველი ღამის **უფლების** არსებობა. ზ. ჭიჭინაძის მიერ მოგროვილი შეუმოწმებელი მასალები, რომლითაც სარგებლობს ავტორი, არ ამტკიცებს ასეთი უფლების არსებობას. ისინი ეხებიან უფრო ფაქტს, რომელიც გამომდინარეობს ძალ-მომრეობისაგან. ავტორის უკანასკნელი საბუთი — ultima ratio — ილია ჭავჭავაძის მოთხრობა — „გლახის ნაამბობი" არ გვგონია რომ გამოდგეს ამ ინსტიტუტის არსებობის დასამტკიცებლად. ასეთი ურთიერთობის ნიმუში, რომელიც შეიქნა დათიკას და გაბრიელ შორის ცოლის თხოვნის ნიადაგზე, ფაქტიურად შესაძლებელი იყო გლეხების განთავისუფლების შემდეგაც. საერთოდ თვალსაჩინო ქონებრივი უთანასწორობა ამ შემთხვევაში ქმნის დათიკოებისთვის ერთ-

ნაირ პრივილეგიას. ეს ფეოდალის მეუფნეობის დროს ხშირი მოვლენაა, ძაგრამ ამით უფლებრივი ინსტიტუტის არსებობის დაცვა არ შეიძლება. „პირველი ღამის უფლება“ ავტორს წიგნის მეორე ნახევარში აქვს მოთავსებული. ეს ნაწილი ეხება მეცხრამეტე საუკუნეს. წინანახანებსთვის, ეტყობა, საბუთი არ არის. რადგანაც ხალხთა ისტორიაში პირველი ღამის უფლება აუცილებლივ არ ახლავს ყველგან ფეოდალურ წყობილებას. მისი არსებობის დასამტკიცებლად ჩვენში მეტი საბუთებია საჭირო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შრომა დიდ სარგებლობას მოუტანს მკითხველთ ფეოდალურ ურთი-ერთობის გაშუქების საკითხში. ლამაზად არის გამოცემული და მისი ენა ყველასათვის მისაწდომია.

ბენო გორდეზიანი

ნიკო ფიროსმანიშვილი.

ნიკოს შემოქმედების ღირებულებაზე საშუალო აზრით დარჩენა შეუძლებელია, ან უნდა მიიღო როგორც ჩვეულებრივი მღებავი აბრების და სამიკიტნოს კედლების, — ან დაინახო მასში დიდი ოსტატი მხატვრობის, და ახალ მიღწევების აღმომჩენი. მე, ფიროსმანში ვხედავ დიდ ოსტატს. ის არ არის პრიმიტივისტი და მარტო ერთი კუთხის (ამ შემთხვევაში კახეთის) გადმომცემი.

ფიროსმანის შემოქმედება უფრო პანტეისტურია და მეტაფიზიკას მოკლებული. მის სურათებს ემჩნევა წინასწარ განუძრახავათ სოციალუტილიტარული მიდგომა საგნებთან; ხატვის საკუთარი მეთოდით მოგვაგონებს საფრანგეთის რევოლიუციონურ ოსტატებს (1910 წ. — 1917-მდე) და მისი შემოქმედების ტეხნიკა, განსაკუთრებით საგნების ორკესტროვკის დროს — რამოდენიმედ არის კინოტეხნიკის განვითარების ერთ-ერთი პრობლემა.

„ნიკო-ჯან ჩემი ხათრისთვის ერთი კურდღელიც მიახატე აი აქ, კარგი იქნება“ ურჩევს მიკიტანი. ნიკომ იცის რომ, კურდღელი არ არის საჭირო ამ სურათისათვის, ზედმეტია, უკურდღლოთაც შეუძლია ამ აბრას სარდაფში ჩატყუებული მუშტარი გაართოს და მან ძალზე მარილიან ყაურმას რაც შეიძლება მეტი ღვინო დაასხას დასანელებლათ, მაგრამ ეს არის სურვილი ფულზე მადაგახსნილი მიკიტანის და იმ ხალხის, რომელიც ხელოვნებაზე მაშინ ფიქრობს როცა ღვინოს დალევს და სურათს შეხედავს. კურდღელი აქ უთუოთ საჭიროა. ეკონომიაა ფანტაზიის, გარდა ამისა ეს არის „ხმა ერის“, რომელიც მიკიტანს, ნიკოს და სარდაფს აცოცხლებს და აცხოვრებს.

კინო-რეჟისორმაც იცის რომ მხატვრული სურათის დადგმისათვის არ არის დიდათ საჭირო, რომელიმე გმირმა ჩაიცვას ბუზმეტიანი ჩოხა-ახალუხი, მოსირმული მესტები, გაიკეთოს გაწკეპილი ულვაშები და ისწავლოს ხანჯალზე ხელის დადება. ისედაც შეიძლება „მთავარის“ ასახვა, მაგრამ რეჟისორი ვალდებულია იფიქროს მაყურებელზე „ხმა ერის“ (ამ შემთხვევაში უფრო განსაზოგადოებულის) მოითხოვს ასეთ რეკვიზიტს. თუ ასეთ მოთხოვნას ანგარიშს არ გაუწევს: ჯიუტობით პროფესიას დაკარგავს, ფილმას დალუპავს და „მხატვრულ ესტეტიკას“ დაამახინჯებს. ეს არის სინამდვილე.

და ნიკოს სინამდვილის მიღმა ერთხელაც არ გადაუხედავს.

მრავალი მხატვარი სინამდვილის სწორი გადმოცემისათვის თვალებს იბრმავებს და კუჭს იჭლექებს. სურვილი მაინც არ უსრულდებათ. ნამდვილ ხელოვნისათვის — კი შემოქმედებითი ნიჭი ბევრჯელ „ბოროტსულად“ გადაიქცევა ხოლმე. ამ დროს ჭირვეულობს და სცდილობს მოიცილოს მოწოლილი შემოქმედებითი ენერგია. ზოგჯერ გაქცევამდის მიდის. აქ აშკარავდება თუ რამდენ შემოქმედებით შესაძლებლობას იტევს ტალანტი. ნიკოც ასეთ შემოქმედებს ეკუთვნის. მან სცადა გაქცეოდა „ბოროტ-სულს“, მაგრამ სადაც წავიდა თან გაჰყვა: ვერც რკინის გზაზე მეისრეობამ უშველა და ვერც რძით ვაჭრობამ ბაზარზე. საბოლოოთ ისევ თავის თვალებს მიენდო. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ პოეზიაშიც. მოიგონეთ პოეტი ბარათაშვილი. ყაზბეგმაც სცადა ამნაირი „გაქცევა“. ერთ დროს პეტერბურგის მთავარმა პერსონამ სადღაც მთიულეთის სოფელთან, — აჩხოტში, გამოაკრა აბრა: „Торговля Алек. Казбека здес продается водка и вино“.

ფიროსმანი საქართველოს სიგრძე სიგანეში მიმოდიოდა ყოველ მხრიდან სურათებათ იცლებოდა ქართულ მიწაზე. ეს იყო ხოყიერი მიწის სარჩული მზეზე გადმობრუნებული. აქ არის რასსიული თავისებურება ფორმით და ფერებით.

ნიკოს სურათებს რომ უყურებთ გრძნობთ მთლიან საქართველოს. ერთნაირად გაცოცხლებულია და მთავარ-ასახული კახელი ოვადი და გლეხი. საჩხერელი მელვინე, ყანწი და ტიკი, სვირელი ინტელიგენტი, ჩოხაში გამოწკეპული, გასაქცევად მომზადებული იმერელი, მამალი და ცხენი, წყნეთელი მენახშირე, რაჭველი მეკურტნე, ზარმაცი კამეჩი, უთვისტომო მეეზოვე, ორთაჭალის ბოზი, მალაკანი კოლონიიდან, აღდგომის ბატკანი, არლანი და ყარაჩოღელი, ლაქია და ფრაკი. მისთვის კახეთის სინოყიერე არის მასალა, საქართველოთემა. თვალ გადგმულია შავი ზღვიდან ადირბეიჯანის საზღვრამდე. დიდი ოსტატი ხედვის, ფუნჯის ერთი მოსმით სჭრის გეომეტრიზაციის პრინციპებს. ეს არის განსაკუთრებული თვისება ტალანტის, ამიტომ ფიროსმანიშვილი უპირველეს არის მხატვარი, შემდეგ ქართველი. სხვაგან და სხვა თემით ისეთივე ძლიერი დარჩებოდა. ამის საბუთია მისი პორტრეტები და ცხოველების სურათები. ნიკო საგანს იჭერს სწორედ იმ მომენტში, როცა ის (საგანი) ყოველ მომენტზე უფრო ააშკარავებს თავის თავს. ცხადია, მარტო ქართველი ადამიანი კი არ დაიჭირა იმ მომენტში როცა ის „ყველაზე უფრო ქართველია და ყველაზე უფრო ადამიანი, როცა ის არ ჰგავს არც რუსს, არც სპარსელს, არც სხვა მეზობელს, რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მასზე გავლენა მოუხდენია“ — ნუ თუ ასეთივე მომენტში არ არის დაჭერილი: „მალაკნების ქეიფი“ „დათვი“ „თავადი ბარიატინსკი“ „შამილი“ „ბოთლი“, „გოგო და ბატები“. „აქლემი და მისი პატრონი“. და თითქმის ყველა საგნები? აქედან ცხადია მისი ტალანტი „ქართველობაზე“ უფრო მაღლა დგას. პატრიოტულ ხედვიდან საერთაშორისო მხატვრულ მიღწევებში გადადის.

ზოგიერთი უცნობი, ქართული კულტურის და საქართველოს ცხოვრების ისეთი აზრის არის ფიროსმანზე თითქოს ის იყოს საუკეთესო გადმომცემი საქართველოს ცხოვრების (ისტორიულად და ეთნოგრაფიულად) და ამბობს: „Лучше и иначе нельзя передать жизнь до революционной Грузии, охватить ее в такой (?) полноте и силе“ ეს არ არის მართალი ამის სათქმელად საქართველოში ცხოვრება არ კმარა საჭიროა უფრო დაკვირვებით შესწავლა მდგომარეობის, რომ ასეთი აზრის არ იყო ფიროსმანზე.

ფიროსმანი მოხვედრილია მიკიტნებში, სარდაფებში, ალდგომის ბატკნებთან, ორთაჭალის ბოზებთან, თავადის გამუდმებულ ქეიფთან, კახეთის ვენახებთან და კურტნიან მუშებთან. რასაც ხედავს იმას განიცდის — განიცდის და ხატავს. როცა ასე შევხედავთ თითქოს „ერთი ჭიქა არაყისათვის“ კედლის მომხატავს ცხადია „გაგიჟებულ“ ხელოვანთან გვაქვს საქმე. ეს ასეა და სხვანაირად არ შეიძლება. მხატვარი არ უნდა იყოს ან ხედვა დაზიანებული — ჰქონდეს კაცს რომ სთქვას ფიროსმანზე თითქოს ის იყოს „პრიმიტივისტი“ ისიც „დიდი“, ან და „ბარბაროსი ბავშვის ქალწულური სულით“ (სიმართლე უნდა ვთქვა უკანასკნელი გამოთქმა არ მესმის). პრიმიტიული კულტურის ახატვა არ ნიშნავს მხატვარის პრიმიტივისტობას. საქმე იმაშია თუ როგორ ხმარობს მხატვარი მასალას, საღებავებს და ხაზებს. როდესაც ასე შევხედავთ ფიროსმანს — სურათები პრიმიტივისტ კრიტიკოსებს დასცინიან. უნდა იყო მხატვარი და საღებავებით თავ დასდგომოდე სამ არშინიან (ან მეტ) მუშამბას, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაგება, რომ პრიმიტიული მხატვრობა, ფორამლი ძიება. და ძიების შედეგი საგნის ცოცხლად გადმოცემისათვის სულ სხვა და სხვა მოვლენაა. ნახატს პრიმიტიული დაერქმევა სამ შემთხვევაში: 1. ბავშვის ნახატს. 2. უნიჭო მხატვარის ნახატს. 3. განზრახ გაუბრალოებულ ნახატს.

ბავშვის ნახატი მოკლებულია საგნის ცოცხლად და თავის დამახასიათებელ მომენტში (გეომეტრიზაციის დაცვით) გადმოცემას. უნიჭო მხატვრის ნახატი მოითხოვს ცნობილ წარწერას: „ეს ლომია და არა ძაღლი“. განზრახ გაუბრალოებული სურათი ტენდენციურია გამიზნულად. ასეთ შემთხვევაში შემომქმედი მოწყვეტილია პირველ ყოფილ სიცხადეს. ასეთ მხატვრებში საუკეთესო პრიმიტივისტად ჩაითვლება გამოჩენილი ლარიონოვი (პირველი პერიოდი) მაგრამ, შეხედეთ მის სურათებს უთუოდ გაგეცინებათ, სიყალბე ეტყობა, როგორც ფერებში აგრეთვე ფორმაში. ამ შემთხვევაში ბავშვების სურათები უფრო დამაჯერებელია. რომ შედარებაც არ შეიძლება პრიმიტივისტებთან ფიროსმანის, ამისათვის ანრი რუსოს პრიმიტივისტული შემოქმედებაც კმარა. თუმცა უნდა ითქვას: ფერების ერთი დანახვით რუსო ფიროსმანს მოგვაგონებს. ცხადია არც ერთი აქ დასახელებული დამახასიათებელი თვისება პრიმიტივისტობის ფიროსმანის სურათებს არ მოადგება.

ფორმალი ძიება მხატვრობაში შეუძლია მხოლოდ იმას, ვის ნიჭსაც ებრძვის ფილოსოფიური ჭვრეტა. ფიროსმანი-კი იყო ერთი

„უკულტურო“ თანაც პოეტი. ზედმეტია მის ფორმალ ძიებაზე ლაპარაკი. ფიროსმანის სურათები არის ძიების შედეგი საგნის ცოცხლად გადმოცემისათვის. თუ როგორის,—ამისათვის გადავხედოთ ძიების ჭვეყანას საფრანგეთს.

ფიროსმანის სურათებზე ამბობენ: „დიდის კომპოზიციით არის გამარჯული“ „ირემი... უმძაფრესი სიცხოველით შეკუნთული ცხოველ არსებათ“ „ფიროსმანის ნატიურ მორტები... არ ჩამოუარდება არც ერთ ნატიურ მორტს სეზონისას“ ან კიდევ „все“ (ფიროსმანის სურათზეა ლაპარაკი) напонинает достижения мастеров Дерена и Матисса“ ცხადია ასეთი ზოგადი თქმა ფიროსმანზე არაფერს ამბობს არსებითად. რას ნიშნავს „დიდის“ „უმძაფრესი სიცხოველით შეკუნთვილი“. რატომ არ ჩამოუვარდება „სეზანს“ რათ გვაგონებს დერენს ან მატისს.

კრიტიკოსები კრიტიკულად სდუმან.

სპარსეთის მხატვარი მაშინ მიიღებს მხატვარის წოდებას თუ ხვეულს სისწორით გადმოსცემს. ხვეულში ერთმანეთს უკავშირდება „შარი“ „კონუსი“ და „ცილინდრი“. ფორმის განმარტებისათვის შეხვედრის ასეთი ფორმულა წამოაყენა სეზანმა და ამით დაამტკიცა, რომ ხელოვანი უნდა იყოს კარგი ხელოსანი. თავის შემოქმედებაში სეზანი. ფორმის გადმოცემის დროს, ამ ფორმულას ამტკიცებს. ფიროსმანი ამ ფორმულას ინსტიქტიურად გრძნობს (საგანის ერთი შეხედვით ან შინაგანი ჭვრეტით), ფორმის გადმოცემის დროს ეს სხეულდება და საგანი იღებს „უმძაფრეს სიცხოველით შეკუნთვას. სეზანი ფერებშიაც ეძებს ასეთ ფორმულის გამონახვას და თავის ნატიურ მორტების ყოველ მილიმეტრს ფერით ავსებს. ფიროსმანი-კი ნატიურ მორტებში დეკორატორად რჩება. ხშირად შეხვდებით ფიროსმანის სურათებში ვან-გოგის დინამიურობას ორკესტროვკის დროს. შეყვარებული მაყურებელი გოგენის ძზიურობასაც იგრძნობს ფიროსმანში. მაგრამ ეს ორი არ არის მთავარი. მე როდესაც დაწვრილებით გავეცანი საფრანგეთის თანამედროვე მხატვრების ორიგინალებს დავრწმუნდი, რომ ფიროსმანი უთუოდ დიდი მოვლენა იყო. პიკასოს შემდეგ განსაკუთრებით დაძაინტერესა მატისმა და მისმა მიმდევრებმა წოდებით „ველურები“ მატისში ვნახე ის უბრალოება და ძალ-უტანებელი შემოქმედება, მეროლიც ასე ახალისებს ფიროსმანის მნახველს. მატისისათვის სურათი არის ერთი მთლიანი დეკორატიული ზეგანი. ყოველი ფერი საკუთარი სიცოცხლით არის ანთილი. მთლიანად კი ყველა ფერი შეხამებით არის დადებული, რომელსაც არ ფარავს ტეხნიკური ვირტოუზობით. ხშირათ ფიროსმანისებურათ ნახმარია მასალა ფერათ (ტილო) გარეგნული ილლიუზია არ არის მთავარი მატისისათვის. მატისი ყოველთვის ცდილობს გამონახოს რიტმი შინაგანი წონასწორობის, ფერების გარმონიის, და ამით აცოცხლებს ტიპიური ფორმის ჩონჩხს. თითქმის ასევე მოქმედებს ფიროსმანიც. მხოლოდ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს ფერს, ხედვითი მთელი ძალა გადააქვს ტიპიური ფორმის, — ჩონჩხის ასაშენებლად. ასე ხორცეულათ

ენათესავება ფიროსმანი იმ მხატვრობას, რომელზედაც ფეხი მოიდგა შემდეგ, იმპერსიონიზზმა, ფუტურიზმა და კუბიზმა. ნათესაობის იქით ფიროსმანს რჩება საკუთარი ფერები და ტეხნიკური მიღწევა სიუჟეტის ორკესტროვკაში.

ფიროსმანის საღებავები მოითხოვენ სპეციალურ შესწავლას და შეხამების ანალიზს. ამისათვის საჭიროა ცალკე გალერეია, ფიროსმანის რომელიც არ არსებობს. ერთის თქმა შეიძლება გადაჭრით: რამდენათ უფრო ვაკვირდები ქართულ ბუნებას დღის სხვადასხვა დროს იმდენათ ღირებული მეჩვენება ფიროსმანის ფერები. იქ დიდ უბრალოებასთან ერთად უნდა იყოს დიდი სინამდვილე.

შემოქმედების მთვარი ცენტრი სახეების გადმოცემის დროს, ფიროსმანს გადააქვს თვალებში. ისეთი ოსტატობით აქვს შესწავლილი თვალების მოძრაობა, და ამ მოძრაობით მთელი სხეულის გეომეტრიული მდგომარეობა, რომ მაყურებელს შეუძლიან მარტო თვალების ნახვით მის სურათებზე საგანი მთლიანად წარმოიდგინოს. ზოგჯერ განსაცვიფრებელ მიღწევამდე მიდის და გაჯერებს, რომ ამაზე დიდი გახცდა მთავრის გადმოსაცემად შეუძლებელია. მაგალითისათვის „ბავშვებიანი დედაკაცი წყალზე მიდის“ „მეეზოვე“ მატისიც ასე განიცდის გარემოს: წერტილებს — ჩასვავს თვალებათ მხოლოდ ისე მოხერხებულად, რომ ვერც ერთი კლასიკი წლობით რომ წვალობს თვალების გადმოცემაზე მატისის სურათის სიცხოველემდე ვერ აღწევს.

ფიროსმანი გრძნობდა თავის სიდიდეს, მაგრამ არ გაბერილა თავის თავზე დიდი წარმოდგენით, თავს გრძნობდა როგორც ერთი უსახელო ოსტატი-ხელოსანი. ხალხისათვის თავის ატელიის სიმაღლიდან არ გადმოუხედნია. ცხოვრობდა მასსაში და მასსის ფსიხოლოგიით. ხშირად გამოჰხატავდა იმ სოციალურ მდგომარეობას რომელიც ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილებით იყო შექმნილი. „ნიკოლა“-ში ხალხი ხედავდა ერთერთ ძმას.

ხსენებული მდგომარეობის საუკეთესო გამომსახველია „ქეიფი რთველში“. გალაღებული თავადობა ზურნით ევროპიულად გამოწყობილ მზარეულ ლაქიით, — ქეიფობენ გაშლილ სუფრაზე. სვამენ იმ ღვინოს რომელიც გლეხის ოფლით არის მიწიდან ამოწოვილი. ქეიფი ცენტრში. მარჯვნივ და მარცხნივ-კი გლეხის ოჯახის უწყვეტი მუშაობა ამ მადა გახსნილი ხალხის გასაძღომად. ან კიდევ „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი საწყალი ქალი“ საუკეთესო მხატვრული პლაკატია კაპიტალიზმით შექმნილ სამართლიანობის წინააღმდეგ. ცხადია თუ რის თქმა უნდა ფიროსმანს ამ სურათებით. სათქმელს კარგათ ამბობს. ფიროსმანი, მუდმივი პერსონა სარდაფების, კედლებიდან გაჰყვიროდა ამ უსამართლობაზე.

ნიკოს მრავალი მიმდევარი ჰყავს, განსაკუთრებით ისევ იმ წრიდან საიდანაც მოგვევლინა. ამ მიმდევრებიდან ვერც ერთი ვერ მიდის თუნდ იქამდე, ძველ თბილისს ამოცდეს და რამდენიმედ პოპულიარული გახდეს. შუა ბაზრის სარდაფები, სრაჩხანა, რიყის ქუჩა — ასეთი მხატვრების სურათებით და აბრებით არის მორთუ-

ლი, მაგრამ ფიროსმანის მხატვრული თვალი არავის აღმოჩენია. ოდნავ ყურადღებას იქცევს — მეტეხის ძირში — სასტუმრო „თეელავი“-ს პირდაპირ მოთავსებული მეხაშის აბრა. ბატკნის თავფეხი მასსონების ორდენივით გამოყვანილი ლურჯ ფონზე მოყვითლო ფერით, უნდა იყოს ფიროსმანის „საალდგომო ბატკანი“.

ესტეტ მხატვრებიდან ყველაზე ძლიერ გავლენაშია გუდიაშვილი რომელიც ხალხსნობამდის არ მიდის. მისი თემა უფრო პირველ ყოფილი კულტურის (ქართულის) არის ვიდრე ფიროსმანის. გუდიაშვილი ოსტატია განსაკუთრებით ფერების და შემდეგ ფორმის. უმთავრესად გადმოგვცემს ეტნოგრაფიას საკუთარი განცდებით. გუდიაშვილის ხედვა რასსიულად გამართულია და გამართლებული. ფიროსმანს სჭარბობს უფრო შეგნებული (მოფიქრებული) ოსტატობით, მაგრამ აქ უკვე აღარ არის ფიროსმანის მზიურობა. გუდიაშვილის სურათებზე ყველა თვალებში ნაღველია ჩაღვრილი. ამ თვალებით იგრძნობ ერის ბრძოლებით მოღლილობას და ისტორიულ განცდებით შექმნილ სპლინს.

რაც ვთქვი ეს არის თემა სულ სხვა ხალხის, კიდევ რომ სწამთ: „წმინდა მხატვრობა“ „ხელოვნების ქურუმობა“ „ინდივიდუალური სიმაღლე“ — რაც ხშირად შანტაჟათ არის გამოყენებული, — და ათასი რამ ჩემთვის დღეს რომ მიუღებელია უკვე. ფიროსმანში მე უფრო სხვა მხარე მაინტერესებს: მისი რეჟისორის კინო-თვალი. ფიროსმანი სადაც დადის, ყველგან ხედავს იმას რაც მთავარია, როცა შინაგანი ჭვრეტით ხატვაა საჭირო, ასეთსავე სიმახვილეს იჩენს ფანტაზიით შექმნილ საგნებისადმი. შემოქმედების დროს მისი ტვინის ლაბორატორიიდან ისე გადმოდიან მუშამბაზე საგნები, როგორც კარგი ოპერატორიდან გადაღებული სურათები. ყველა გამოსულ ნეგატივს თავის ადგილას ათავსებს გეომეტრიულ გასაოცარი პროპორციით. არღვევს ყოველ აკადემიურ მხატვრულ კანონებს და ქმნის საკუთარს. ამით განსხვავება ფრესკების — კლასიკებიდან. საბოლოოდ იქმნება სურათი სანახაობა, — მონტაჟით შეკრული საგნებისა. როგორც კინო სურათში ვერ გაიგებ თუ საიდან არის აპარატით გადაღებული ესა თუ ის საგანი-ისე არსჩანს თუ ფიროსმანი რომელი წერტილიდან ხედავს საგნებს. სანიმუშოთ დააკვრდით სურათს: „კალო ქართლის სოფელში“ აქ მხატვარი შემოქმედების დროს სხვადასხვა წერტილიდან უყურებს საგნებს. თვითონ ტრიალებს კალოსავით როგორც ოპერატორი და ზედმიწევნითი გეომეტრიზაციით და მთავარის ასახვით (ამით განსხვავდება ფოტოდან) ქმნის საგნების მთლიანობის ილიუზიას. ან კიდევ სურათი: „თავად ბარიატინსკის შეთე გზას უჩვენებს შამილის დასაჭერად“ წინა ხაზზე დახატულია მთელი „როტა“ ჯარის კაცების და მათი ცხენოსანი ოფიცერი — ისე როგორც ეს უნდა ყოფილიყოს უკანა ხაზზე პერსპექტივის დაცვის დროს. თვითონ ბარიატინსკი და შეთე უკანა ხაზზეა წინა ხაზის სახით. მაგრამ ეს ისეთი ოსტატობით არის გაკეთებული, რომ არამც თუ შეუსაბამობას — დიდ მხატვრულ მიღწევას ააშკარავებს. ამავე ოსტატობით არის

გაკეთებული: „შამილი და მისი მცველი“ რამოდენიმედ „გიორგი სააკაძე საქართველოს იხსნის მტრებისაგან“. ფიროსმანმა ფუნჯის ერთი მოსმით ახალი პრობლემები წამოაყენა მხატვრობაში რომლის საბოლოო გადაწყვეტა უნდა კინომ იკისროს.

ამ მხრივ ფიროსმანი ჯერ კიდევ მომავალშია.

მთლიანად ფიროსმანის სურათები ასე წარმომიდგენია:

ათასზე მეტი სურათი ფიროსმანის კარგი სცენარისტის მოხერხებით, რომ დალაგდეს და მოხდეს სასწაული: სურათებზე საგხები ამოძრავდენ-შეიქმნება საოცარი კინო-სანახაობა მრავალი მილწევებით რომლის გადაწყვეტაზე დღეს თავს იმტვრევს მრავალი მხატვარი და უფრო მეტი რეჟისორი*).

---

*) ეს წერილი დაწერილი იყო „ქართული მწერლობის“ 1 ნომრისათვის. იბეჭდება დაგვიანებით რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

რედ.

ვ. გორეთელი

ლ. ტროცკი. ლიტერატურა და რევოლიუცია. 188 გვ. თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა. სახელგამი, ტფილისი 1926 წ. ფ. 70 კ.

წიგნში წარმოდგენლია რუსეთის თანამედროვე ლიტერატურის განხილვა შემდეგი სქემით. მწერლობა ოქტომბრის გარეშე, რომელიც იყო რუსული ლიტერატურის მთავარი ხაზის დასრულება. ეს მწერლობა პირველად იყო აზნაურული და შემდეგ ბურჟუაზიული. იგი მთლიანად ოქტომბრის წინააღმდეგი იყო. ის მოკვდა თავის წარმომშობ კლასთან ერთად. ამავე ლიტერატურის უმცროსი ხაზია — ეგრედწოდებულ თანამგზრავთა ლიტერატურული შემოქმედება, ეს შემოქმედება არის ახალი „საბჭოთა" მოტეტიავე ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა ნაროდნიკულ მწერლობიდან და, რომელიც იცვლის სახეს ახალი სოციალური პირობების მიხედვით. მას არა აქვს ძველი ტეტიათა მოტრფიალეების ტრადიციები და არც პოლიტიკური პერსპექტივები. შემდეგ განხილულია ფუტურიზმი. ავტორის აზრით იყო ძველი მწერლობის ბოგემური და რევოლიუციური შტო. მისი წარმომადგენლობის: ხლებნიკოვის და კრუჩიონიხის სიტყვათა შემოქმედება პოეზიის გარეშე სდგას. ეს არის ფილოლოგია და არც იმდენათ საფუძვლიანი, რამოდენიმეთ პოეტიკაა, მხოლოდ არა პოეზია. ამ მუშაობას ხელოვნებისთვის დახმარებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ფუტურიზმს აქვს სხვა დადებითი მხარეებიც: მისი გავლენა განიცადა პროლეტარულმა პოეზიამ და, ამას გარდა, უთუოდ ნაყოფიერი იყო ფუტურიზმის მუშაობა სიტყვის, რიტმისა და ლექსის ინსტურმენტოვკის დარგში. რაც შეეხება ფორმალურ სკოლას, რომელსაც წარმოადგენენ: შკლოვსკი, ჟირმუნსკი და იაკობსონი — ტროცკის აზრით, მასაც უთუოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის. თუმცა ხელოვნების საკითხების განმარტება'ში — ფორმალიზმის აზრს ბევრი ადრე დამწიფებულ ხუცესობისა და მისი დასკვნა უდღეურია. მაგრამ მაინც, ფორმალიზმის მეთოდოლოგიური ხერხები, კანონიერ ფარგლებში მოქცეული, ხელს შეუწყობს ფორმის მხატვრულ და ფსიქოლოგიურ თვისებათა გარკვევას.

პროლეტ. ხელოვნება ახლა განიცდის მოწაფეობის ხანას. მას შეაქვს მასსებში მხატვრული კულტურა. იგი აწოდებს ახალ კლასს კულტურის ძველ მიღწევებს და ამითი იგი არის მომავალი სოციალისტური ხელოვნების საწყისი. საკითხზე: რა არის პროლეტარული კულტურა და შეიძლება თუ არა მისი არსებობა — ტროცკი უპასუხებს: „პროლეტარული არა თუ არ არსებობს ამ ჟამად, არა-

მედ არც მომავალში იქნება. პროლეტარიატმა აიღო ძალა-უფლება ხელში მისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს კლასიური კულტურა და ჩაუყაროს საფუძველი ზოგად — კაცობრიულ კულტურას".

როგორი უნდა იქნეს პარტიული პოლიტიკა ხელოვნებაში? ჩვენი პოლიტიკა — განაგრძობს ტროცკი — გარდამავალ პერიოდის ხელოვნებაში უნდა ეცადოს, რომ სხვადასხვა მხატვრულ ჯგუფებს და მიმდინარეობას, რომელნიც დგანან რევოლიუციის ნიადაგზე, გაუადვილონ რევილიუციის შეთვისება; წაუყენოს მათ კატეგორიული კრიტერი, რევოლიუციისაკენ ან და რევოლიუციის წინააღმდეგ და მისცეს მათ მხატვრულ თვითგანმტკიცების დარგში სრული თავისუფლება.

რევოლიუციის ხელოვნებას სჭირდება ახალი შეგნება. ეს შეგნება, უპირველეს ყოვლისა, შეურიგებელი მტერია მისტიციზმის, როგორც აშკარასი, ისე რომანტიკით გადასხვაფერებულის, რადგან რევოლიუცია გამოდის იმ მთავარი იდეიდან, რომ ერთად ერთი პატრონი (ქვეყნის) უნდა იქნეს კოლექტიური ადამიანი და მისი ძლიერება განისაზღვრება ბუნებრივ ძალთა შეგნებით და მათი გამოყენებით. ეს ხელოვნება ვერ შეურიგდება პესიმიზმს და სკეპტიციზმს. იგი აქტიურ რეალისტურია და მას მტკიცედ სწამს მომავალი.

ასეთია ტროცკის ძირითადი შეხედულებანი თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. წიგნი საუცხოოდ არის ნათარგმნი. მხოლოდ ერთ ალაგას კორექტურული შეცდომა იწვევს აზრის გაუგებრობას („იმ შემოქმედების უშუალობის წყაროს, თვალივით რო ამოხეთქილა „ღრუბელ„-ში, (ლაპარაკი მაიაკოვსკის ლექსზე) ან ვეღარ დაიბრუნებს").

გამოცემულია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ძალიან იაფიც ღირს.

ვ. გორეთელი.

[illegible]

ანდრო დოლიძე. „შავი წარსული“ მოთხრობები. სახელგამი. 1926 წ. 154 გვ. ტირ. 1000.

წიგნში მოთავსებულია რვა მოთხრობა და ერთიც თარგმანი — მ. გორკის — „პატარა ამბავი“. ნოველების უმრავლესობა შეეხება 905 წ. შემდეგ რეაქციის ეპოქის დასურათებას. ავტორი შესაფერი დაკვირვებით და ნიჭით გადმოგვცემს წარსული დროის დუხჭირ და უარყოფით მხარეებს. მისი ყურადღების ცენტრში მოქცეულია უმთავრესად გურიის ღარიბი გლეხობის აუტანელი ყოფა — სოფლად და ქალაქად.

პირველი მოთხრობა „უმანკო მსხვერპლი“ გვიხატავს სოფლელი გლეხის ქალის პატარა ვასასის უმწეო მდგომარეობას. ვასასი ხაცნობებმა წამოიყვანეს სოფლიდან ქალაქში ვითომდა სასწავლებლად. სწავლების მაგიერ აქ იგი მოსამსახურედ გახადეს. ვასასი მსხვერპლი გახდა საშინელი ექსპლოატაციის — ხის მოაჯირიდან გადმოვარდა და დაიმტვრა.

„დარიკოს დღესასწაული“ შავი ფერადებით გვიშლის წინ „გაჭივრებისა და სიღარიბისაგან სოფლიდან ქალაქში გადმოგდებულ“ დარიკოს ცხოვრების სურათს. დარიკო მოსამსახურეთ დგება ერთ-ერთ საგუბერნიო დაწესებულების მოხელესთან. მისი უპატრონობით უსვინდისოთ სარგებლობს მისივე „ხაზეინი“ და უპატრონო ქალს ძალით აუპატიურებს.

მოთხრობებში: „საბედისწერო ჩუსტებ“-ში და „ათანასე“-ში წარმოდგენილია გურიის სოფლის გლეხკაცობის მძიმე ხვედრი. ეკონომიურად გაძვალტყავებულ და მიწასთან გასწორებულ გლეხკაცობას ვინ არ გინდათ რომ არ იბრიყვებდეს სოფლად! თავადაზნაურობა, სამღვდელოება, მამასახლისი, ათასი ჩარჩი და წურბელა ყველა გლეხის კისერზე ზის, ყველა მას სჩაგრავს.

გლეხკაცობა ხშირად ვერ იტანს თვითმპყრობელობის აუტანელ სიმკაცრეს და იმიტომ ზოგი (ექვთიმე წკირაძე მოთხრობა „საბედისწერო ჩუსტები“) გამოსავალს თვითმკვლელობაში პოებს: ზოგსაც — თვით „სტრაჟნიკები“ ასალმებენ წუთისოფელს. (ათანასე ბუბუნეშვილი „ათანასე“).

ამხ. დოლიძის მოთხრობები დაწერილია ლამაზი, ცოცხალი ენით. თუმცა ისინი თემატიურად განიცდიან სხვების გავლენას (მაგ. ეგნ. ნინოშვილის) მაგრამ ავტორს აქვს საკუთარი მიდგომა საკითხისადმი და თავისებური მხატვრული ალლოც.

წ ე ს დ ე ბ ა.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

I. კავშირის საგანი და მიზნები.

§ 1. ქართველ მწერალთა კავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც აერთებს, განურჩევლად მიმართულებისა ქართველ მწერლებს: პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს კრიტიკისა და ესტეტიურ-ლიტერატურულ დარგის წარმომადგენლებს და მთარგმნელებს (მხატვრულ ნაწარმოებთა).

§ 2. კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ მწერლობის განვითარებას, დაიცვას მწერალთა პროფესიული ინტერესები და იზრუნოს მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

§ 3. ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირს უფლება აქვს:

ა) დრო გამოშვებით, ანუ ერთდროულად გამოსცეს ჟურნალები, გაზეთები, სხვადასხვა ხასიათის კრებულები, წიგნები და სხვა, და უმთავრესად იზრუნოს ახალი და ძველი სიტყვა კაზმულ მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემისათვის:

ბ) გამართოს საჯარო ლექციები და მოხსენებანი სალიტერატურო საკითხებზე, სალიტერატურო საღამოები, მოაწყოს კავშირის წევრთა განსაკუთრებულ კრებებზე კითხვა ახალ ნაწარმოებთა:

დ) ყოველ მხრივად ხელი შეუწყოს კავშირში შემავალ ცალკე ლიტერატურულ ასოციაციებს.

ვ. მოაწყოს სამეცნიერო-სალიტერატურო ექსპედიციები შესასწავლად ქართულ სახალხო პოეზიისა, ხალხის ზნე-ჩვეულებათა ლექსიკოლოგიურ მასალათა შესაკრებად და სხვა.

ე) იქონიოს სიტყვა-კაზმულ მწერლობის ხელნაწერ და დასტამბულ ნაწარმოებთა მუზეუმი. შეკრიბოს მწერალთა ფაქსიმილე და სურათები, შეადგინოს შეძლებისამებრ, როგორც ძველ, ისე ახალ მწერალთა ვრცელი ბიოგრაფიები.

ვ) მოაწყოს წიგნთსაცავი და სამკითხველო, უმთავრესად სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის შინაარსის წიგნების ქართულ და უცხო ენაზე.

ზ) დანიშნოს ჯილდო ქართულ ენაზე საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთათვის, თარგმანებისათვის, და ლიტერატურული საკითხების მეცნიერულ გამოკვლევებისათვის.

თ) იქონიონ დამოკიდებულება სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ დაწესებულებებთან და კავშირებთან.

ი) საჭიროების მიხედვით დაარსოს ფილიალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ია) გამართოს სამხატვრო ლიტერატურული სალამოები, წარმოდგენები; და სხვა საჯარო გასართობები თავის ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

იბ) მიიღონ ნაანდერძევი ქონება და მოიხმაროს მოანდერძის სურვილისამებრ.

იგ) იზრუნონ, მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

იდ) წარადგინონ პენსიებზე დამსახურებული მწერლები.

იე) აღძრას საკითხი დამსახურებულ მწერალთა იუბილეებისა.

ივ) საჭიროების მიხედვით აღმოუჩინოს დახმარება, როგორც თავის ნამდვილ წევრებს, აგრეთვე მათ ოჯახებს.

იზ) ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მწერლებს.

იჰ) მოაწყოს მწერალთა სახლი.

ით) იქონიონ მწერალთათვის თავშესაფარი ბინები, როგორც ქალაქად ისე აგარაკად.

კ) იზრუნოს მწერალთა პანთეონის აგებისა და გამშვენიერებისათვის.

§ 4. კავშირი აღჭურვილია იურდიული პირის უფლებით.

§ 5. კავშირის ცენტრალური ორგანოები იმყოფება თბილისში.

§ 6. კავშირს აქვს საკუთარი ბეჭედი.

§ 7. კავშირი ექვემდებარება საქართველოს ს. ს. რ. ყოველს კანონდებულებას.

II კავშირის შემადგენლობა.

§ 8. კავშირს შეადგენენ წევრები: ა) საპატიონი და ბ) ნამდვილნი.

შენიშვნა 1. საპატიო წევრად არჩეულ იქნებიან მწერალნი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართულ ლიტერატურის წინაშე.

შენიშვნა 2. საპატიო წევრს აქვს ნამდვილი წევრის ყველა უფლება. — კავშირის წევრად მიღება და კავშირიდან გამორიცხვა შეადგენს კავშირის კონფერენციის კომპეტენციას.

III. კავშირში შემავალი სალიტერატურო ასოციაციები (მიმართულებანი).

§ 10. კავშირის ფარგლებში არსებობენ ცალკე სალიტერატურო ასოციაციები (მიმართულებანი) რომელთაც აქვთ თავისი საშუალო ორგანოები.

§ 11. კავშირის ფარგლებში შემავალი სალიტერატურო ასოციაციები წარმოადგენენ ლიტერატურულ კულტურულ ორგანიზაციებს და არა აქვთ უფლება წარმომადგენლობისა მწერლობის საერთო პროფესიულ საკითხებზე, რაც შეადგენს მხოლოდ ქართველ მწერალთა კავშირის პრეროგატივას.

§12. კავშირის შემავალ სალიტერატურო ასოციაციებს უფლება აქვთ: იქონიონ თავისი გამომცემლობა, გამართოს საჯარო ლექ-

ციები, მოხსენებანი სალიტერატურო საკითხებზე, სამხატვრო სალიტერატურო სალამოები, წარმოდგენები, საჯარო გასართობები და გაიჩინოს შემოსავალთა სხვა წყაროები თავის საშუალებათა გასაძლიერებლად სრულიად საქართველოს. მწერალთა კავშირის მთავარ საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით და მისი დასტურით, ხოლო მთელი მატერიალური პასუხისმიგებლობა ამ სფეროში დაეკისრებათ ხსენებულ ასოციაციებს, რისთვისაც ისინი ამ შემთხვევაში ალჭურვილი არიან იურიდიული პირის უფლებით.

შენიშვნა. მწერალთა კავშირის მთავარს საბჭოს სასარგებლოდ გადაიჩიცხება ყოველი ასოციაციის წმინდა შემოსავალი 10%. ასოციაციის დანარჩენი მოგება რჩება ასოციაციის განკარგულებაში.

§ 13. სალიტერატურო ასოციაციების წევრებად შეიძლება მიღებული იქნენ მხოლოდ ის წევრები, რომლებიც შედიან მწერალთა კავშირში.

შენიშვნა. მწერალი რომელიც არ ითვლება კავშირის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს სალიტერატურო ასოციაციაში მხოლოდ კანდიდატისაგან წევრი-თანამშრომლის უფლებით და საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩაიჩიცხება მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მიღებულ იქნება ქართველ მწერალთა კავშირში, თანახმად კავშირის წესდებისა.

§ 14. დებულება კავშირში შემავალ სალიტერატურო ასოციაციისა განიხილება და დამტკიცდება ცენტრალურ საბჭოს მიერ.

§ 15. კავშირი ყოველ მხრივ ხელს უწყობს მასში შემავალ სალიტერატურო ასოციაციებს, როგორც ნივთიერი დახმარებით ისე მორალურად.

§ 16. მწერლები, რომლებიც არ ითვლებიან ამა თუ იმ სალიტერატურო ასოციაციის წევრად პერსონალურად შედიან მწერალთა კავშირში.

IV. კავშირის ქონება.

§ 17. კავშირის ქონებას შეადგენს:

ა) საწ. გადასახადი (ერთდროული 50 კაპ. თვიურად 25 კაპ.).

ბ) შემოსავალი კავშირის მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზ.

3) ალმანახებისა, წიგნებისა და სხვა.

ბ) შემოსავალი კავშირის სასარგებლოდ გამართული საჯარო ლექციებისა, სალამოებისა, წარმოდგენებისა და სხვა.

დ) კავშირის მიერ შექმნილ დაწესებულებათა შემოსავალი.

ე) უძრავ და მოძრავ ქონებათა შემოსავალი.

3. დახმარებანი.

V. საქმეთა გამგეობა.

§ 18. კავშირის საქმეების გამგებელი ორგანო არის: ა) კონფერენცია, ბ) საბჭო, გ) სარევიზიო კომისია.

§ 19. კავშირის კონფერენცია არის ჩვეულებრივი და საგანგებო, ჩვეულებრივი კონფერენცია მოიწვევა საბჭოთა მიერ ყოველ წელს, საგანგებო კონფერენცია მოიწვევა: საბჭოს მიერ თავის შეხედულებისამებრ, ბ) სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, გ) როდესაც ამას მოითხოვს კავშირის წევრთა არა ნაკლები ერთი მესამედისა. მოთხოვნა საგანგებო კონფერენციის მოწვევისა უნდა შესრულებულ იქნეს საბჭოს მიერ არა უგვიანეს სამი კვირისა მოთხოვნის განცხადების დღიდან.

დღე და საგანი კონფერენციისა უნდა გამოცხადებულ იქნეს გაზეთებში ორი კვირით ადრე კონფერენციის მოწვევამდე.

§ 20. კონფერენციას ესწრება კავშირის ყოველი წევრი სრული ხმის უფლებით. კონფერენცია კანონიერად ჩაითვლება, უკვე, თუ პირველ მოწვევისას წევრთა ერთი მესამედი მაინც დაესწრება და მეორე მოწვევის დროს, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

§ 21. კონფერენცია გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომელიც შეეხება კავშირის საქმეებს, მაგრამ კონფერენციის გარეშე არ უნდა გადასწყდეს საკითხები:

ა) წევრების მიღებისა და გამორიცხვისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება საბჭოს წლიური ანგარიშისა და ხარჯთაღრიცხვისა.

გ) არჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.

დ) დამტკიცება და შეცვლა ინსტრუქციებისა საბჭოს და სარევიზიო კომისიისა.

ე) კავშირის წესდების შეცვლა.

ვ) კავშირის გაუქმება.

შენიშვნა. კონფერენციაზე ყოველი საკითხი სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

§ 22. **კავშირის საბჭო არის აღმასრულებელი ორგანო კონფერენციისა და პასუხისმგებელია მის წინაშე, იგი განაგებს კავშირის საქმეებს კონფერენციის დადგენილების თანახმად და ყოველ წლივ უდგენს კონფერენციას თავის მოქმედების ანგარიშს. საბჭო შესდგება 20 წევრისაგან რომელთაც ირჩევს კონფერენცია (მათთან ერთად ირჩევა 7 კანდიდატი).**

§ 23. **სარევიზიო კომისია შესდგება 4 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს კონფერენცია, და ორი კანდიდატისაგან, იგი მოქმედებს კონფერენციის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციების ფარგლებში.**

VI. კავშირის გაუქმება.

§ 24. **კავშირის გაუქმების დროს დაცულ უნდა იქნეს ამ წესდების მე-21 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესი, რის შემდეგაც აირჩევა სალიკვიდაციო კომისია რომელიც კავშირის საქმეთა მოწესრიგების შემდეგ იწვევს სალიკვიდაციო კონფერენციას, რომელიც გადასცემს კავშირის დარჩენილ ქონებას საქართველოში არსებულ ანალოგიურ საზოგადოებრივ დაწესებულებას.**

„ქართული მწერლობის“-ს

გამოსულ ნომრების შინაარსი

№ 1

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ნიკოლოზ მიწიშვილი — მწერლობა და საზოგადოებრივობა; **ვახტანგ კოტეტიშვილი** — ქართული მწერლობა; **პავლე ინგოროყვა** — მწერალთა კავშირის ამოცანები; **ნ. საქარელი** — ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა; **ნიკოლოზ მიწიშვილი** — ქართული კულტურის ახალი გზები; **მემედ აბაშიძე** — ქართული ენის გაწმენდისათვისთვის.

კ რ ი ტ ი კ ა:

გერონტი ქიქოძე — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; **Maurice Raynal** — ლადო გუდიაშვილი.

ლ ე ქ ს ე ბ ი:

(ალფაბეტით) **ს. აბაშელი** — ტფილისი; **ვალერიან გაფრინდაშვილი** — სოფლისაკენ; **რაუდენ გვეტაძე** — გული; **ნ. ზომლეთელი** — სოფლის გოგო; **ნინო თარიშვილი** — ჩემს ტოლებს; **სოლომონ თავაძე** — შიო არაგვისპირელი; **პაოლო იაშვილი** — პოეზია; **საფო მგელაძე** — თუში; **კოლაუ ნადირაძე** — თეთრი ტყემლები; **ტიციან ტაბიძე** — სერგეი ესენინს; **სანდრო შანშიაშვილი** — მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში; **ნ. შენგელაია** — გზა სვანური სოფლისაკენ; **ნ. ჩაჩავა** — ჯაფარას; **ს. ჩიქოვანი** — ნაწყვეტები.

პ რ ო ზ ა:

ნიკო ლორთქიფანიძე — თავსაფრიანი დედაკაცი; **ლეო ქიაჩელი** — უცნაური მოთხრობები; **სერგო კლდიაშვილი** — პროვინციის მთვარე; **დემნა შენგელაია** — ლაფშა.

გ ი გ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა:

ტიციან ტაბიძე — სანდრო შანშიაშვილი; **პაოლო იაშვილი** — ნიკო ფიროსმანიშვილი; **ვან-დეიკ** — ლადო გუდიაშვილის სურათების გა-

საღისკუსიო კითხვები:

სიმონ ჩიქოვანი — თანამედროვეობა და ქართული პოეზია.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

მწერალთა კავშირის ყრილობა. რეზოლიუციები.

№ 2.

პ რ ო ზ ა:

ნიკო ლორთქიფანიძე — ეპისკოპოზი ნადირობაზე; **შალვა დადიანი** — ჯადო; **ვ. ბარნოვი** — ნანატრი ნადირი; **სტეფანე კასრაძე** — გვართ-სამხილავი; **ლეო ქიაჩელი** — უცნაური მოთხრობები; **ლ. მეტრეველი** — ცხოვრების რადიო.

ლ ე ქ ს ე ბ ი:

(ალფაბეტით) **ს. აბაშელი** — წერილი ნოე ჩხიკვაძეს; **ვალერიან გაფრინდაშვილი** — აუქციონი; **რაჟდენ გვეტაძე** — მერკვილაძის დები; **ნ. ზომლეთელი** — რიფის ბედი; **იასამანი** — ზაფხულში; **კ. ლორთქიფნიძე** — ექვსი სიმღერა; **ტიციან ტაბიძე** — „თამუნია წერეთელს"; **ლ. მაჭავარიანი** — 1. გრიგოლ ვეშაპელს. 2. დაცვენილი ხსოვნები; **ი. მოსაშვილი** — დაბრუნებული დარები; **კოლაუ ნადირაძე** — გაზაფხული ტფილისში; **ვ. ჟურული** — ლილი: **ვ. რუხაძე** — ქალაქის სამკაული:**ს. ფაშალიშვილი** — სიტყვა ჩემს საუკუნეს; **ნოე ჩხიკვაძე** — ორი ლექსი; **ნ. ჩაჩავა** — პოემიდან: „ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ"; **ს. ჩიქოვანი** — მყინვარი; **გ. ცეცხლაძე** — სპარსული ნოხი, ყალიონი და იალბუზი:**გ. ქუჩიშვილი** — ლექსები.

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ნ. საქარელი — ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა; **ვანგანი** — დასაყრდნობი წერტილი; **აკაკი პაპავა** — ფრაგმენტი; **ვანდეიკ** — ნიკო სულხანიშვილი: **კ. დონაძე** — ვარლამ ჩერქეზიშვილი; **ბ. გორდეზიანი** — გრიგოლ ვეშაპელი;**პ. საყვარელიძე** —ფეოეიდანის ქართველები; **ტიციან ტაბიძე** — ნატა ვაჩნაძე; **კარლ რადეკი** — უნიადაგონი; **ა. ვორონსკი** — კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიისათვის.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

აკაკისა და ივანე მაჩაბლის მიწერ-მოწერა.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პუშკინის პრ. № 91.

15/X—26 წ. მთავარლიტი № 1421. შეკვ. № 722/93. ტირაჟი № 2500.

ბიბლიოთეკა
„ქართული მწერლობა“

გამოვიდა და იყიდება

№ 1 ბესიკი — რჩეული ლექსები. ფასი 25 კაპ.
№ 2 დედნა შენგელაია — ლაფშა. „ 25 კაპ.
№ 3 მ. ჯავახიშვილი — ეშმაკის ქვა. „ 25 კაპ.
№ 4 გ. რჩეულოვი — ქვრივის ლიმონები. ფ .25 კაპ.

ბიბლიოთეკა „ქართული მწერლობა“ სისტემატიურად აწარმოებს ქართულ და თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემას.

გამოცემათა შეძენა შეიძლება წიგნის ყველა მაღაზიებში, რკინისგზის კიოსკებში და ყურ. „ქართული მწერლობის“ ადგილობრივ და პროვინციის აგენტებთან.

შინაარსი

წერილები:

შალვა დადიანი — ვასო აბაშიძე.
ნიკოლოზ მიწიშვილი — ფიქრები საქართველოზე.
ნ. საქარელი — მწერლობა და საზოგადოებრივობა.
გრ. გიორგაძე — ჯვარედინზე.
ს. თ — ია — ქართული წიგნი.
აკ. ვასაძე — ქართული დრამა.

ლექსები:

ს. აბაშელი — შემოდგომის მზე.
ვალერიან გაფრინდაშვილი — მზის-უმზირას გამყიდველი.
ი. გრიშაშვილი — ჩუსტის მკერავი.
ტ. გრანელი — ორი ლექსი.
რაჟდენ გვეტაძე — ქვის მჭრელი.
ნინო თარიშვილი — შარა გზაზე.
გ. ლეონიძე — იორის ლამეები.
კ. ლორთქიფანიძე — ესენინზე. სიკვდილი.
კოლაუ ნადირაძე — იმერეთს.
ე. პოლუმორდვინოვი — ფიქრების შემოდგომა
ვ. ყურული — გზა მთაწმინდიდან წიწამურამდე.
ვ. რუხაძე — მიწის ძვრა.
ტიციან ტაბიძე — ილაიალი.
გ. ქუჩიშვილი — ორი ლექსი.
სანდრო შანშიაშვილი — ქაჯი — (გოეტედან).
ნ. ჩხიკვაძე — დაუბეჭდავი ლექსი.
გ. ცეცხლაძე — საიდუმლო ბარათი.
ა. პუშკინი — ევგენი ონეგინ (გ. ცეცხლაძის თარგმანი).
ს. ჩიქოვანი — მიძღვნა ახალ პოეტებს.

პროზა:

მ. ჯავახიშვილი — ცოფიანი.
ნ. ლორთქიფანიძე — ესკიზები.

დ. შენგელაია — ჰოროველ.
ს. კლდიაშვილი — ბილბაო.
დ. სულიაშვილი — პირველი სიტყვა.
ლ. მეტრეველი — ალაევერდობა.

დოკუმენტები:

ალექსანდრე ჭავჭავაძე — საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ქრ. რაჭველიშვილის თარგმანი რუსულ ხელნაწერიდან).

გიბლიოგრაფია:

ბიქტორ თევზაია — გ. გიორგაძე: ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში.
ბ. გორდეზიანი — ნიკო ფიროსმანიშვილი.
გ. გორეთელი — ლ. ტროცკი; ლიტერატურა და რევოლიუცია.
Sirius — ან. დოლიძე: შავი წარსული.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება.